

ნოდარ არდოტელი

ბეჟიტური ენა

თბილისი

2014



Тбилисский государственный университет
им. Иванэ Джавахишвили
Институт языкознания им. А. С. Чикобава

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Arn. Chikobava Institute of Linguistics

Н. А. Ардотели

Бежитинский язык

(грамматический анализ с текстами и словарем)

Nodar Ardoteli

The Bezhta Language

(Descriptive analysis with texts and lexicon)

Тбилиси – Tbilisi
2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ნოდარ არდოტელი

ბეჟიტური ენა

(გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი)

თბილისი
2014

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ბეჟიტური (resp. ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატიკული სტრუქტურის ვრცელი აღწერითი ანალიზი, რომელსაც თან ერთვის ჟანრობრივად განსხვავებული დიალექტური ტექსტები და მცირე ლექსიკონი. ყურადღება გამახვილებულია ბეჟიტურ ენაში პოზიერ ყველა გრამატიკულ კატეგორიაზე და მოცემულია მათი სისტემატიზაციის სურათი. გამოკვლევაში წამოყენებულია არაერთი აქამდე უცნობი პრობლემური საკითხი (კერძოდ, მარცვალთვასაყრის პრობლემა, მორფონოლოგია, ასპექტი, პრედიკატული სინტაგმა...) და დამატებით გამოყოფილია აქამდე უცნობი ზოგი (მაგალითად, გვარის) გრამატიკული კატეგორია, რასაც ახლავს სათანადო დასაბუთების ცდა. ნაშრომში, დიასისტემური მეთოდის გამოყენებით, ფაქტობრივ პირველად არის გათვალისწინებული ორივე დიალექტის თქმათა ენობრივი მონაცემები.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტთათვის, კავკასიურ ენათა სპეციალობის სტუდენტთა და კავკასიის ხალხთა კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

В монографии представлен описательный анализ грамматической структуры бежитинского (resp. бежитинско-гунзибского) языка, к которому прилагаются краткий бежитинско-грузинский словарь и различные тексты, дифференцированные как по диалектам, так и по жанрам. В труде подробно рассматриваются почти все грамматические категории, имеющиеся в исследуемом языке и разработан не один малоизученный вопрос (в частности, проблема распределения слогов, морфонология, аспект, предикативная синтагма...). В некоторых случаях выделяются до сих пор неисследованные грамматические категории (например, залог; даётся попытка соответствующего доказательства). В работе при помощи диасистемного метода фактически впервые учтены данные обоих диалектов и всех говоров.

Книга предназначена для исследователей иберийско-кавказских языков, для специалистов теоретической лингвистики, для студентов по специальности кавказских языков и лиц, интересующихся историей культуры кавказских народов.

რედაქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ვ. შენგელია**

Редактор — Член-корреспондент Национальной АН
Грузии, проф. **В. Г. Шенгелиа**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ნ. არდოტელი

ISBN

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა (ქართ. და რუს. ენებზე)	13
შესავალი	19
0.1. ენისა და ხალხის სახელწოდება	19
0.2. ბეჟიტელებისა (ბეჟიტელ-ჰუნზიბელებისა) და ბეჟიტური ენის გავრცელების არე	21
0.3. ბეჟიტელების რაოდენობა	25
0.4. ბეჟიტური ენა და მისი დიალექტები	27
0.5. მოკლე ისტორიული ცნობები	28
0.6. სამეურნეო ყოფა-ცხოვრება	32
0.7. სულიერი კულტურა	33
0.8. ბეჟიტური ენის შესწავლის ისტორია	35
0.9. პირობითი ნიშნები და ტრანსკრიფცია	38

ნ ა წ ი ლ ი I

ფონოლოგია

თავი I

ფონოლოგიური სისტემა

1.1. ხმოვანთა სისტემა	44
1.1.1. მარტივი ხმოვნები	44
1.1.2. ნაზალიზებული ხმოვნები	46
1.1.3. გრძელი ხმოვნები	47
1.1.4. ჰიატუსის საკითხისათვის ბეჟიტურ ენაში	49
1.2. სონანტთა სისტემა	50
1.3. თანხმოვანთა სისტემა	53
1.4. დისტრიბუცია	57

1.4.1.	კონსონანტური კომპლექსები	57
1.4.2.	გემინატები	59
1.5.	მარცვალი	61
1.5.1.	მარცვლის სტრუქტურა	62
1.5.2.	მარცვალთვასაყრის საკითხისათვის	63
1.6.	მახვილი	64
1.6.1.	მახვილის ბუნება და ადგილი	65

თავი II

ფონეტიკური პროცესები

2.1.	კომბინაციური ფონეტიკური პროცესები	67
2.1.1.	ხმოვანთა კომბინაციური პროცესები	67
2.1.2.	თანხმოვანთა კომბინაციური პროცესები	72
2.1.2.1.	თანხმოვანთა დაკარგვა	72
2.1.2.2.	ასიმილაცია	72
2.2.2.	სისინა სიბილანტთა გაშიშინება	73
2.2.3.	შიშინა სიბილანტთა გასისინება	74
2.2.4.	სპონტანური ფონეტიკური პროცესები	77

თავი III

მორფოლოგია

3.1.	ზოგადი	79
3.2.	ჰიატუსის სუპერაციისათვის	80
3.3.	სიბილანტთა გაშიშინების საკითხისათვის	82
3.4.	პალატალიზაციის თავისებურებანი	83
3.5.	სინკოპე	83
3.6.	მორფოლოგიის ზემოქმედებით გამოწვეული ცვლი- ლებები	84
3.7.	ფუძისა და სუფიქსის ურთიერთდამოკიდებულები- სათვის	85

ნაწილი II

მორფოლოგია

თავი IV

გრამატიკული კლასის კატეგორია

4.1.	მორფოლოგიური კატეგორიების შესახებ ზოგადად	87
4.2.	გრამატიკული კლასების სისტემა	88
4.2.1.	გრამატიკული კლასები და მათი ნიშნები	90
4.2.2.	სახელთა კლასიფიკაცია კლას-კატეგორიის მიხედვით	93
4.2.3.	კლასიფიკატორთა დისტრიბუციისათვის	96
4.2.4.	გრამატიკული კლასის კატეგორია ატრიბუტივებში	98
4.2.5.	გრამატიკული კლასის ნიშანი ინფიქსად	100
4.2.6.	გრამატიკული კლასის გარჩევის სხვა საშუალებანი	101

თავი V

რიცხვის კატეგორია

5.1.	რიცხვი ზოგადად	104
5.2.	მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებით სახელებში	105
5.3.	მრავლობითი რიცხვის განსაზღვრული ფორმები	109
5.4.	ატრიბუტულ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება	111

თავი VI**სახელი**

6.1.	არსებითი სახელის ბრუნება	113
6.1.1.	ძირითადი ბრუნვები	113
6.1.2.	საბრუნებელი სახელის ფუძე	117
6.1.3.	ბრუნების ტიპები	118
6.1.4.	საკუთარ სახელთა ბრუნება	124
6.1.5.	ძირითად ბრუნვათა ფუნქციები	124
6.1.6.	ლოკატიური ბრუნვები	126
6.1.7.	ლოკატიურ ბრუნვათა წარმოება	126
6.1.8.	ლოკატიურ ბრუნვათა ფუნქციები	134
6.2.	ზედსართავი სახელი	134
6.2.1.	ზედსართავი სახელის ჯგუფები და მათი წარმოება	135
6.2.2.	განსაზღვრულობის გამოხატვა ზედსართავებში	140
6.2.3.	ხარისხების წარმოება	141
6.2.4.	ზედსართავ სახელთა ბრუნება	143
6.3.	რიცხვითი სახელი	146
6.3.1.	რიცხვითი სახელების წარმოება	146
6.3.2.	რიცხვითი სახელების ბრუნება	154
6.4.	ნაცვალსახელი	156
6.4.1.	პირის ნაცვალსახელები	156
6.4.2.	ჩვენებითი ნაცვალსახელები	159
6.4.3.	კითხვითი ნაცვალსახელები	164
6.4.4.	კუთვნილებითი ნაცვალსახელები	166
6.4.5.	უკუქცევითი ნაცვალსახელი	166
6.4.6.	განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	167
6.4.7.	განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	169
6.4.8.	ურთიერთობითი ნაცვალსახელი	169
6.4.9.	უარყოფითი ნაცვალსახელი	170

თავი VII**ზმნა**

7.1.	ზოგადი	171
7.2.	გრამატიკული კლასისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში	171
7.3.	უღვლილების ტიპები: კლასოვანი, კლასოვან- პიროვანი	173
7.4.	გარდამავლობის საკითხისათვის	176
7.5.	გარდამავლობისა და გვარის ურთიერთობისა- თვის	177
7.6.	ასპექტის კატეგორია	179
7.7.	კაუზატივი	184
7.7.1.	კაუზატივის სინთეზური წარმოება	185
7.7.2.	კაუზატივის ანალიზური წარმოება	188
7.8.	დრო-კილოთა სისტემა	188
7.8.1.	საუღლებელი ზმნის ფუძე	189
7.8.2.	ინფინიტივი	191
7.8.3.	სუბინუმი	194
7.8.4.	დროთა სინთეზური ფორმების წარმოება	195
7.8.4.1.	აწმყო ძირითადი	195
7.8.4.2.	აწმყო ზოგადი	201
7.8.4.3.	მყოფადი დრო	204
7.8.4.4.	ნამყო ძირითადი	207
7.8.5.	დროთა ანალიზური ფორმების წარმოება	210
7.8.5.1.	აწმყო კონკრეტულის ფორმები	214
7.8.5.2.	ნამყო შედეგობითი	215
7.8.5.3.	ნამყო უწყვეტელი	216

7.8.5.4.	წინარე ნამყო	218
7.8.5.5.	ნამყო განგრძობითი	218
7.8.5.6.	ნამყო ძირითადის თურმეობითი	219
7.8.5.7.	ნამყო უწყვეტლის თურმეობითი	220
7.8.6.	კილოს კატეგორია	221
7.8.6.1.	ბრძანებითი კილო	221
7.8.6.2.	პირობითი კილო	224
7.8.6.3.	ნატვრითი კილო	225
7.8.7.	აწმყოს აბსოლუტივი	226
7.8.8.	ნამყოს აბსოლუტივი	227

თავი VIII

უდეტრები

8.1.	ზოგადი	229
8.2.	ზმნისართი	229
8.2.1.	ზმნისართი სტრუქტურის მიხედვით	229
8.2.2.	ზმნისართი შინაარსის მიხედვით	232
8.3.	თანდებული	235
8.4.	კავშირი	238
8.5.	ნაწილაკი	239
8.6.	შორისდებული	241

ნაწილი III

სინტაქსი

თავი IX

ატრიბუტული სინტაგმა

9.1.	სინტაქსის საგანი და მიზანი	245
9.2.	ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა თანამიმ- დევრობის საკითხი	246
9.3.	ატრიბუტული სინტაგმის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა	249
9.3.1.	შეთანხმება	249
9.3.2.	ზმნისართული შესიტყვება	259
9.3.3.	გათიშული სახელური შესიტყვება	260

თავი X

პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები

10.1.	ზოგადი	262
10.2.	ზმნური შესიტყვების წევრთა წყობა	262
10.3.	პრედიკატული სინტაგმის სტრუქტურა	264
10.4.	სინტაქსური კონსტრუქციები	270
10.4.1.	ნომინატიური კონსტრუქცია	270
10.4.2.	ერგატიული კონსტრუქცია	271
10.4.3.	დატიური კონსტრუქცია	272
10.4.4.	პოსესიური (ნათესაობითიანი) კონსტრუქციის პრობლემა	273
10.4.5.	ლოკატიური კონსტრუქცია	274

ნაწილი IV

ბეჟიტური (ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ტექსტები

I. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	
ლექს-სიმღერები	275
წეს-ჩვეულებანი, ამბავები, ზღაპრები	281
გამოცანები	292
II. ჰუნზიბური დიალექტი	
ლექს-სიმღერები	293
წეს-ჩვეულებანი, ამბავები, ზღაპრები	300
ანდაზები	310

ნაწილი V

მოკლე ბეჟიტურ-ქართული ლექსიკონი

ბეჟიტურ-ქართული ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები	313
რეზიუმე (რუს. ენაზე)	345
ლიტერატურა (ქართულ და უცხო ენებზე)	387

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც დადესტინის მთიანეთში გავრცელებული ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხის უმწერლობო ენას ეძღვნება, წარმოადგენს ბეჟიტური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის აღწერით ანალიზს. ნაშრომს თან ერთვის მოკლე ლექსიკონი და დიალექტური თვალსაზრისით და ჟანრობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტები, რომლებიც ჩვენ მიერ ადგილობრივ იქნა ჩაწერილი.

მონოგრაფიაში თავიდან მოცემულია ცნობები ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა აღმნიშვნელი ეთნონიმების, ენობრივი გარემოცვის, ისტორიული საცხოვრისის (თან ერთვის რუკა), სამეურნეო ყოფაცხოვრების, სულიერი კულტურისა და ფონემური ტრანსკრიფციის შესახებ, შემდეგ კი წარმოდგენილია ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის ანალიზი ყველა ენობრივი ერთეულის თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბეჟიტური (*resp.* ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში, ე. ლომთაძის მრავალრიცხოვანი მონოგრაფიებისა და სტატიების გარდა, მოგვეპოვება ე. ბოკარევის, მ.-რ. ჰამზათოვის, მ. ხალილოვის, ი. ისაყოვის, ბ. ქომრის, ჰ. ვან დენ ბერგის... ნაშრომები, მაინც მოკლებულნი ვიყავით ამ ენის სრულყოფილ (ორივე დიალექტის მონაცემების შემცველ) გრამატიკას. მართალია, ბოლო ხანებში გამოქვეყნდა, ერთი მხრივ, ჰელმა ვან დენ ბერგის [ვან დენ ბერგი 1995], ხოლო, მეორე მხრივ, ი. ისაყოვისა და მ. ხალილოვის [ისაყოვი, ხალილოვი 2012] მონოგრაფიები, მაგრამ ამ ნაშრომებში განიხილება ოდენ ჰუნზიბური დიალექტის (მათი კვალიფიკაციით, ჰუნზიბური ენის) მონაცემები და ყურადღების გარეშე რჩება საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის თავისებურებანი.

აღსანიშნავია, რომ ბეჟიტური ენის აღწერითი გრამატიკის მასალების შეგროვება დაიწყო ჯერ კიდევ წინა საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც ვიმყოფებოდი წუნტის რ-ნის ბეჟიტელ-ჰუნზიბელებით დასახლებულ ყველა აულში. ამავე საუკუნის 90-იან წლებშიც გაგრძელდა მუშაობა მაჰაჩყალის მახლობელ რაიონებსა და აულებში, სადაც ბეჟიტელები და ჰუნზიბელები კომპაქტურად ცხოვრობდნენ. შემდეგ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, შეწყდა ეს მუშაობა. საბედნიეროდ, 2008 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი №026-08) კვლავ განახლდა დიდი ხნის წინ დაწყებული მუშაობა. საგრანტო სამუშაო (სამეცნიერო ხელმძღვანელი — პროფ. ვ. შენგელია) მიზნად ისახავდა საქართველოში კუნძულების სახით გავრცელებული მთის კავკასიური ენების გრამატიკული ანალიზის ჩატარებას, საანადო ტექსტების ჩაწერასა და ლექსიკონის შედგენას. ბეჟიტური ენის გაღრმავებული შესწავლისათვის დამატებითი ლინგვისტური მასალის მოპოვების მიზნით ყოველწლიურად იმართებოდა სამეცნიერო მივლინებები ყვარლის რ-ნის სოფლებში — ჩანტლისყურესა და სარუსოში (მივლინებები მოწყობილი იყო არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ). ბეჟიტური ენის ეს გრამატიკული ანალიზი ემყარება სწორედ, წინამორბედ მკვლევართა მონოგრაფიებში დაბეჭდილი ტექსტების გარდა, ზემოხსენებულ მივლინებათა დროს ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებებსა და ჩაწერილ ტექსტებს.

მართალია, ნაშრომზე მუშაობისას ვცდილობდით, რომ იგი დესკრიფციული ხასიათისა ყოფილიყო, მაგრამ დიალექტურ სახესხვაობათა ანალიზისას ჩნდებოდა ისეთი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ისტორიული რეალობის გაუთვალისწინებლად ჭირდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისტორიულ-მედარებითი (*resp.* დიაქრონიული) ანალიზი ემყარება ცალკეულ ენათა აღწერითი (*resp.* სინქრონიული) ანალიზით მიღებულ შედეგებს.

ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით და შესრულდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის კავკასიურ ენათა განყოფილებაში 2008-2010 წლებში. 2012 წელს იგი შემოწმებულ იქნა ადგილზე მასალის სიზუსტის თვალსაზრისით, თუმცა სხვა მხრივ არსებითი ცვლილებები არ განუცდია.

ავტორი მონოგრაფიაში განხილულ საკითხებზე ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას მაღლობით მიიღებს შემდეგ მისამართზე: არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 0108, ინგოროყვას ქ. 8, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა. E-mail: nodariardoteli@yahoo.com

*

*

*

ავტორი დიდი მადლიერებით იგონებს ყველას, ვინც ბეჟიტურ ენაზე მუშაობისას მისთვის დახმარებას არ იშურებდა: მაჟიდ ხალილოვი (ბეჟიტა), ხაიბულა ვაქილოვი (ბეჟიტა), მაჰომედ რასულოვი (სარუსო), ჰაჯი მუსაევი (ჩანტლისყურე), ხალილ იბრაჰიმოვი (ჰუნზიბი), მაჰომედ იუსუფოვი (ხაშარხოტა), შაჰრუზათ აბდულხალიყოვა (ღარბუთლი), ჰაჯიაჰმად ყურბანოვი (ღარბუთლი), ჯავგარათ კახიტაევა (ჩანტლისყურე), ჯავგარათ შაიხფოლქოვა (ჩანტლისყურე), აიშათ მაჰომედოვა (სარუსო), ფატიმათ იბრაჰიმოვა (ხაშარხოტა), ანისათ ისაევა (ნაჰადელი, სარუსო), უნეიზათ ხალილოვა (ჩანტლისყურე), რამზანათ იბრაჰიმოვა (ტლადალელი, ჩანტლისყურე) და სხვ.

Книга посвящается светлой памяти
дорогого учителя, профессора **Г. В. Рогава**

Предисловие

Предлежащая работа, которая посвящается бесписьменному языку одного из малочисленных народов в горном Дагестане, представляет собой описательный анализ фонологической системы и грамматической структуры бежитинского (resp. бежитинско-гунзибского) языка. К работе прилагаются краткий словарь и разножанровые тексты, записанные автором на месте. Во введении монографии даются сведения об этнонимах бежитинцев и гунзибцев, об их лингвистическом окружении и количестве, о диалектной дифференциации, об их хозяйственном быте и историческом местожительстве (прилагается карта), о духовной культуре, об истории изучения вопроса и применяемой транскрипции; затем представлен анализ фонологической системы и грамматической структуры бежитинского языка с максимальным учетом особенностей всех лингвистических единиц.

Несмотря на то, что, кроме многочисленных монографий и статей Э. А. Ломтадзе, имеются труды Е. А. Бокарева, М.-Р. Э. Гамзатова, М. Ш. Халилова, И. А. Исакова, Б. Комри, Х. ван ден Берга..., нет грамматик, учитывающей данные обоих диалектов рассмотренного языка.

В монографиях, с одной стороны, Х. ван ден Берга [Ван ден Берг 1995], а, с другой, И. А. Исакова и М. Ш. Халилова [Исаков, Халилов 2012], рассматриваются лишь данные гунзибского диалекта (по квалификации авторов, гунзибского языка) и остаются без внимания особенности собственно бежитинского диалекта.

Следует отметить, что собирание лингвистического материала для описательной грамматики бежитинского языка мы начали еще во второй половине восьмидесятых годов двадцатого века, когда мы побывали во всех населяющихся бежитинцами и гунзибцами аулах цунтинского района. В девяностых годах также продолжалась работа в плоскостных (бабаюртовском, кизилюртовском) районах,

где компактно жили бежитинцы и гунзибцы. Затем по разным причинам временно была прекращена эта работа. К счастью, в 2008 году по финансовой поддержке Национального научного фонда им. Шота Руставели нам вновь удалось возобновить эту работу. Проект ставил целью-провести грамматический анализ тех горских кавказских языков, которые были предствлены в виде островов в Грузии. Для углубленного изучения бежитинского языка с целью добывания дополнительного лингвистического материала ежегодно проводились научные командировки в двух селах (Чантлискуре и Сарусо) Кварельского района (командировки были организованы Институтом языкознания имени А. С. Чикобава в 2008-2012 гг.). Данный грамматический анализ бежитинского языка основывается как на опубликованных текстах и засвидетельствованных материалах, встречающихся в монографиях и отдельных статьях предшествующих исследователей, так и на непосредственных наблюдениях над живой речью и записанных нами текстах во время вышеупомянутых научных командировок.

Правда, при изучении исследуемого языка мы старались, что данная монография носила дескриптивный характер, но при анализе диалектных вариантов возникали такие вопросы, которые нельзя было решить успешно без учета исторической реальности. Это естественно, ибо историко-сравнительный анализ опирается на те данные, которые получены в итоге описательного анализа отдельных конкретных языков.

Предлагаемая работа осуществлена по финансовой поддержке Национального научного фонда имени Шота Руставели и выполнена в 2008-2010 гг. в отделе горских кавказских языков Института языкознания им. А. С. Чикобава. В 2012 году лингвистический материал был проверен и уточнен на месте. После этого существенных изменений и дополнений работа не претерпела.

Все обоснованные замечания и предложения по рассмотренным в работе вопросам будут приняты автором с признательностью по следующему адресу: Институт языкознания им. А. С. Чикобава, ул. Ингорква, 8, г. Тбилиси, 0108, Грузия. E-mail: nodariadoteli@yahoo.com

*

*

*

Автор выражает глубокую благодарность всем лицам, оказавшим ему содействие при изучении бежитинского языка на месте: Маджиду Халилову (Бежита), Хайбулу Вакилову (Бежита), Магомеду Расулову (Сарусо), Гаджи Мусаеву (Чантлискуре), Халилу Ибрагимову (Гунзиб), Магомеду Юсупову (Хашархота), Шахрузат Абдулхаликовой (Гарбутль), Гаджихмаду Курбанову (Гарбутль), Джавгарат Кахитаевой (Чантлискуре), Джавгарат Шайхполковой (Чантлискуре), Айшат Магомедовой (Сарусо), Фатимат Ибрагимовой (Хашархота), Анисат Исаевой (из селения Нахада, Сарусо), Унейзат Халиловой (Чантлискуре), Рамзанат Ибрагимовой (из селения Тладал, Чантлискуре) и др.

შესავალი

0.1. **ენისა და ხალხის სახელწოდება.** ბეჟიტური (resp. ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენა მიეკუთვნება დაღესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა დიდოურ (ცეზიურ) ქვეჯგუფს. სპეციალურ ლიტერატურაში საკვლევი ენის სახელწოდებად, **ბეჟიტური-ს** (resp. **ბეჟეტური-ს**) გარდა, გვხვდება: ა) **კაბუჭური**¹ (**კაბუჭურ-ჰუნზიბური**), ბ) **ხვანური**.

ხვანური, კაბუჭურის ანალოგიურად, ეთნიკურ სახელს (ხუნძ. **ხუნ**² „ხვანი“, ხუნ-ალ „ხვანები“) ეფუძნება.

¹ ეთნონიმი „**კაბუჭი**“, რომელსაც ემყარება ენის სახელწოდება, სპეციალურ ლიტერატურაში ორგვარად არის ახსნილი: ა) **კაბუჭი** <***ქაფურ-ჩი** <***ქაფურ-ჩი** <***გაბურ-ჩი** <***გაიფურ-ჩი** [ლომთაძე 1996 : 22]; ბ) **კაბუჭი** <***ყაბუჩი** < **ტყაბუჭი** [ხალილოვი 1995 : 14]. მ. ხალილოვის ეტიმოლოგია, თავი რომ დავანებოთ სემანტიკურ შეუსაბამობას (უსულო საზოგადო არსებით სახელთაგან ეთნონიმების წარმოება ჩვეულებრივ არ ხდება), ფონეტიკური ასპექტითაც მიუღებელია. ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკის მიხედვით, ქართ. **ტყაბუჭი** ბეჟიტურად ორგვარად შეიძლება გარდაქმნილიყო: 1) ხმოვნის ჩართვით: ტყაბუჭი (შდრ. ჰყანტი < ქართ. ჰყანტი, კარამიტი < ქართ. კრამიტი...); 2. ანლატში პროთეტული ხმოვნის დართვით: იტყაბუჭი (შდრ. იშთოფი < ქართ. შტოფი...).

რაც შეეხება ე. ლომთაძისეულ ახსნას, არ არის აუცილებელი **კაბუჭი-ს გაიფურ-ჩი**-ზე დაყვანა. ქაფურჩი „ქართველი“ (ზედმიწ. „ურჯულო კაცი“) გამოიყენებოდა შებრუნებით ბეჟიტელის აღსანიშნავად, ფონეტიკურ გარდაქმნათა გრადაცია ასე წარმოიდგინება: **ქაფურჩი** > ***ქაფური** > ***კაფური** (**ქ** > **კ** შდრ. ხაშ. კოხი < ქართ. ქოხი) > **კაბუჭი** (**ჩ** > **ჭ** — ასიმილაციით). საგულისხმოა, რომ ქართ. საისტორიო წყაროებში თავს იჩენს კაბუჭი < კაბუჭი.

² ხუნძ. **ხუნ**-ს პარალელები ეძებნება მონათესავე ანდიურ (ბაგვ., ჰამ...) და დიდოურ ენებში. იგი შეუნიშნავთ ჯერ კიდევ ა. კომაროვს [1959 : 69] და რ. ერკერტს [1888 : 292]. ამ ეთნიკური სახელის შესახებ სპეციალურად მსჯელობს ე. ლომთაძე [1996 : 25-26].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ფოლკლორში „ხვანები“ გაიგივებულია დაღესტნის მთიან ნაწილში მცხოვრებ ხალხებთან და მათი საერთო სახელწოდებაა. საანალიზო ეთნონიმის გენეზისი საკვლევი (შდრ. ხუნძ. ხუნ-ი „ცხენი“). ხუნძ. ხუნ-ალ („ხვანები“) ხუნ-ი („ცხენობა“) ფორმასთან დაკავშირება სარწმუნო არ ჩანს [ლუგუევი, მაჰომედოვი 1994 : 9].

ისტორიულად ქართველები ცეზიების, ჰინუხელების, ბეჟიტელ-ჰუნზიბელების აღსანიშნავად იყენებდნენ საერთო მნიშვნელობის ეთნონიმს „დიდური“ (პლინიუს უფროსი), „დიდურო“ (კ. პტოლემე) [იხ. იმნაიშვილი 1963 : V; ხალილოვი 1995 : 14; არდოტელი 2007 : 9].

ამჟამად ტერმინად **ბეჟიტური**, განსაკუთრებით უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში, საყოველთაოდ დამკვიდრდა, თუმცა მის გვერდით **ბეჟტური-ც**¹ იკაფავს გზას. ეთნონიმი **ბეჟტაასა** („ბეჟიტელი“) გენეზისურად უკავშირდება **ბეჟ** („ბაკი“) ძირს, რომლის საგანაც I სერიის ესივის **-ტაა** ფორმანტის დართვით არის ნაწარმოები: ბეჟ-ტაა „ფარეხზე“, „შემოღობილში“. თვითსახელწოდებაა **ბეჟ-ტაა-სა** „ბეჟიტ-ელ-ი“ (ზედმიწ. **ბეჟტლა-დან**).

ჰუნზიბელი ხალხის აღსანიშნავად სპეციალური ეთნიკური სახელი, ხვანელ-ის გარდა, გვხვდება **ჰან-ტაა-ს** (შდრ. **ჰან-ტაა** „ჰუნზიბი“, ზედმიწ. „ერთ+ზე“, შდრ. ჰან-ყა „ერთხელ“) „ჰუნზიბელი“, **ჰანტაალას** მიც „ჰუნზიბური ენა“. **ნიღალ-ას** (შდრ. ნიღე „რკო“...) „ნაჰადელი“ — ასე უწოდებდნენ ბეჟიტელები ნაჰადელებს. მართალია, ნ. მარი ბეჟიტელ-ჰუნზიბელების აღსანიშნავად ეთნონიმ ქიბურ- (ქიბურალა) (ქიბურული ენა) ფორმას იყენებს, თუმცა მას არ გაურკვევია, **ქიბური** ჰუნზიბელსაც გულისხმობდა თუ არა. ამჟამად ბეჟიტელებს ხუნძები ეძახიან **ბეჟტა-ალ**, დიდოელები — **ქიბური**, ხვარშიელები — **ქაბალა**. საგარაუდოა, საისტორიო წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი **კაბუჭი** გამოხატავდა არა ოდენ საკუთრივ ბეჟიტელებს, არამედ აღნიშნავდა ბეჟიტურ-ჰუნზიბურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებს, ვინაიდან იგი მეტად ზოგადი სემანტიკით გამოიყენებოდა.²

¹ **ბეჟიტური** ქართული გაფორმებაა **ბეჟტურისა**, რომლის გამოყენება და გავრცელება ე. ბოკარევს უკავშირდება. **ბეჟიტურის** ხმარებას დიდი ტრადიცია რომ არ ჰქონდეს, უფრო მართებული იქნებოდა **ბეჟიტაური** (შდრ. კარატა—კარატაული...).

² საგულისხმოა, რომ ი. გიულდენშტედტი კაბუჭას და დიდოს მხარეს ცალ-ცალკე მოიხსენიებს, ხოლო ი. ბაგრატიონი მას უფრო ტოპონიმის („კაბუჭი ანუ ანტარა“) მნიშვნელობით იყენებს.

ჰუნზიბელი ხალხისა და ჰუნზიბური დიალექტის აღსანიშნავი ტერმინი მიღებულია ერთ-ერთი მთავარი აულის **ჰუნზიბ** სახელწოდებიდან.¹ შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა ნახადური ენა (აულ ნახადას მიხედვით), რომელიც ჩვენს ნაშრომში ჰუნზიბური დიალექტის ერთ-ერთ თქმას აღნიშნავს.

0.2. ბეჟიტელებისა (ბეჟიტელ-ჰუნზიბელებისა) და ბეჟიტური ენის გავრცელების არე. ბეჟიტელ-ჰუნზიბელი ხალხის განსახელების არეალი დაღესტნის მაღალმთიანეთში — მდინარე **ხვანორის** (ბეჟ. **ქანზორ**, ჰუნზ. **ხ^აჟანზორ** „ხვანთა მდინარე“, შემდეგ მიერთვის მდინარე ავარიის ყოისუს) და მის პატარა შენაკადების ხეობებში მდებარეობს ზღვის დონიდან 1600-2200 მეტრზე. ეს ტერიტორია მოქცეულია კავკასიონის წყალგამყოფი მთაგრებილის ჩრდილოეთ კალთებსა და მიჩიტლის ქედს შორის. მათ ყვარლის რ-ნის სოფ. ახალსოფელს 50-მდე კილომეტრი აშორებს, ხოლო დაღესტნის დედაქალაქ მაჰაჩყალას — 293 კმ.

ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა ძირითადი ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს წუნტის რ.-ში, თავის ისტორიულ მიწა-წყალზე. ბეჟიტელების განსახლების არეალი შემოიფარგლება სამი აულით: **ბეჟტლა** (ქართ. ბეჟიტა, კაპუჭი), **ხაშარხოტა**² (resp. ხოჩარხოტა) და **ტლადალი** (ქართ. ქალაქი). ჰუნზიბელებიც სამ სოფელში ცხოვრობენ: **ჰუნზიბში**³ (resp. ჰუნზებ, ჰუნზი, ენძებ), **ნაჰადასა** (ნაჰადასა) და **ღარბუთლში**.

აულთა ზემომოყვანილი სახელწოდებანი ხუნძურია. თავის მშობლიურ ენაზე მათ ასე გამოთქვამენ და წერენ: 1. **ბეჟტაა**, **ბეზტაა** (bežtʰa, beztʰa, бѣжкѣа, бѣзкѣа); 2. **ტადალა** (tʰadala,

¹ წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებში გვხვდება ნაირსახეობები: **ჰუნზალური**, **ენზებური**, **ხუნზალური** და ა. შ.

² ბეჟ. **კაშარჯო-ტა** < **კაშარ** „პირს“ + **კო** „ბოლი“ > „კვამლი“ > „სახლი“ + ხუნძ. -ტა < ტად „ზედ.“ უწინ ბეჟტლას მცხოვრებთა წინაპრებს **ოკოჰალა**-ში უცხოვრიათ, სადაც ახლა მარტოოდენ ნანგრევებია.

³ აულ ჰუნზიბშივე ერთიანდება ხუტორები: ჰელა, როდოლ და ჰილიადა [ბოკარევი 1959 : 14].

ლადალა), 3. **ვაშარ-ვო** || **ვოშარ-ვოტა** || **ვოჩარ-ვოტა** (qašar-qo || qošar-qoṭa || qočar-qoṭa, ხოშარ-ხო || ხოშარ-ხოტ|ა || ხოჩარ-ხოტ|ა); 4. **ჰონტაო** (Hontao, Гьонкьо); 5. **ნიხალალა** (Nixalal'a, Нихалалта); 6. **ჰიმოდკურო** (Himodkuro, Гьимодкуро); 7. **დარბალ** (Darbal, Дарбал); 8. **როდორ** (Rodor, Родор); 9. **ჰელაა** (**ჰელა**) (Helaa, Гьელაა); 10. **თოდორ** (Todor, Тодор).¹

ზემოჩამოთლილი ბეჟიტური აულები (ბეჟტლა, ხაშარხოტა და ტლადალი) განლაგებულია სუბალპურ ზონაში, მდინარე ხვანორის მარჯვენა მხარეზე,² ხოლო მარცხენა მხარეზე გაშენებულია ჰუნზიბური აულები (ჰუნზიბი, ნაჰადა და დარბუთლი). ეს აულები ჰუნზიბიდან ხუთი-შვიდი კილომეტრით არიან დაშორებული და ერთიანდებიან ტლადალის სასოფლო ადმინისტრაციაში.

ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა მიწა-წყალს აღმოსავლეთიდან ანკრატლის (ანტა- „შვიდი“, რატა „მიწა“, შდრ. უნკრატლი: უნყო „ოთხი“, რატა "id".) თემის აულები (ანწროსო, თლებელი, ბუგუნი...) ესაზღვრება, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ანწუხური აულებია, სამხრეთიდან დაუსახლებელი მთები და ხეობები ეკვრის კავკასიონის წყალგამყოფ ქედამდე, რომელიც ახალსოფელსა და სარუსოს გადაღმა მდებარეობს.

ბეჟიტელები³ დაღესტნის მაღალმთიანეთის ავტოქტონური მოსახლეობაა და დღევანდელ მიწა-წყალზე უხსოვარი დროიდან მოსახლეობენ, რასაც მოწმობს მიკროტოპონიმები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მონაცემები.

გარდა წუნტის რაიონისა, რომელიც დღესდღეობით ბეჟიტელი ხალხის ძირითად განსახლების ადგილად ითვლება, ისინი, სხვადასხვაგვარი და არაერთდროული მიგრაციული პროცესების გამო, სხვა ტერიტორიაზეც ცხოვრობენ.

¹ ბოლო სამი დასახლება ხუტორია და ჰუნზიბის შემადგენლობაში შედის, ხოლო მეოთხე (დარბალ) ამჟამად დანგრეულია.

² ბეჟიტა და ხაშარხოტა მდინარის ორსავე მხარეზეა გაშენებული.

³ ტერმინები „ბეჟიტელები“ და „ბეჟიტური“ ამ ხალხისა და მათი დედაენის მნიშვნელობით აქაც და ქვემოთაც გამოყენებულ იქნება ფართო მნიშვნელობით, რომელშიც „ჰუნზიბელები“ და „ჰუნზიბურიც“ მოიაზრება.

საქართველოში ბეჟიტელები კომპაქტურად მოსახლეობენ ყვარლის რ.-ნის ორ სოფელში — ჩანტლისყურესა (ბეჟიტელები, ხაშარხოტელები, ტლადალელები) და სარუსოში (ნახადელები, ღარბუთელები).¹


თავდაპირველად ბეჟიტელებს საქართველოს ტერიტორიაზე თითო-ოროლა კომლის სახით გადმოსვლა და დამკვიდრება უნდა დაეწყოთ კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დასრულების შემდეგ, XIX ს.-ის 60-იანი წლებიდან. მანამდე, სამომარი მოქმედებების გამო, საამისო პირობები არ იქნებოდა, ვინაიდან მთავარი გზები და უღელტეხილები მეფის რუსეთის ჯარებს გადაკეტილი ჰქონდათ [შდრ. ლუგუევი, მაჰომედოვი 1994 : 29-30]. მოგვიანებით, XIX ს.-ის 90-იანი წლებიდან, მათ უნდა დაეწყოთ კომპაქტური დასახლება ყვარლის რ.-ნის არეშის სოფსაბჭოს ტერიტორიაზე [დაწვრ. იხ. ლომთაძე 1996 : 16-18].

ბეჟიტელები დაღესტანში სხვადასხვა ადგილას გადასახლდნენ და დამკვიდრდნენ. ისინი მეტწილად მოსახლეობენ ბაბაიურთის (კარაუზეკისა და კაჩალაის დასახლებებში), ყიზილიურთის (ნოვოსტალსკსა და კომსომოლსკოეში), ყიზლარის (ვპერედში, რიბალკასა და ზარეჩნოეში) და ტარუმოვკის რაიონებში, აგრეთვე კაბალსა და ტაბახჩოლში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა). მათი უმნიშვნელო რაოდენობა არაკომპაქტურად ცხოვრობს მაჰაჩყალასა და აღმოსავლეთ თურქეთის ზოგ ქალაქში. ბეჟიტელები თურქეთში გადასახლებულან დიდოელებთან (ცეზიებთან) ერთად XIX ს.-ის მეორე ნახევარში, კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შემდგომ პერიოდში (დაახლ. 1861-1877 წწ.).

¹ ჰუნზიბელები ცხოვრობდნენ სოფ. თხილისწყაროში, რომლებიც წინა საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს თავისი ინიციატივით გადასახლდნენ დაღესტანში — ჰუნზიბში, სტალსკოესა და შუშანოვკაში.

რუკა №1

აულები მთაში, რომლებშიც გავრცელებულია ბეჟიტური ენა.



პირობითი ნიშნები:

1. საზღვარი
2. მდინარე
- დასახლებული პუნქტი

0.3. **ბეჟიტელების რაოდენობა.** ბეჟიტელები ანთროპოლოგიურად ევროპეიდულ რასაში შემავალ წინააზიური რასის კავკასიურ ვარიანტს მიეკუთვნებიან. სხვა დიდოელ ხალხებთან (ცეზიები, ჰინუხელები, ხვარშიელები) შედარებით შავგვრემანი იერსახით გამოირჩევიან, საშუალო სიმაღლისანი არიან, აქვთ მაღალი და ვიწრო სახე. ძირითადად გაბატონებულია მონოგამია, თუმცა გვხვდება პოლიგამიის ფაქტები, რაც ყიდვითი ქორწინების შედეგია. შეინიშნება აგრეთვე ლევირატისა და სორორატის გადმონაშთები. ქორწინება მეტწილად სოფლის (თემის) შიგნით ხდება. ფესვგადგმულია სისხლის აღების ძველთაძველი ადათი.

ბეჟიტელთა ოჯახები მეტწილად მრავალშვილიანია და, ბუნებრივია, მათი რაოდენობა ინტენსიურად იზრდებოდა. ამისი დასტურია ის ფაქტი, რომ მხოლოდ საკუთრივ ბეჟიტელების რიცხვი 1868 წლიდან XX ს.-ის 10-იანი წლების ბოლომდე თითქმის 2,5-ჯერ 1700-დან 4050 სულამდე გაიზარდა.

1926 წლის საკავშირო აღწერის შემდეგ ბეჟიტელები, სხვა ანდიელ-დიდოელთა ანალოგიურად, ოფიციალურად ხუნძებად (*resp.* ავარიელებად) აღირიცხებიან, რაც, ბუნებრივია, ართულებს მათი ზუსტი რაოდენობის დადგენას. ზემონახსენები სირთულის მიუხედავად, შევეცდებით ქრონოლოგიური ტაბულის სახით წარმოვადგინოთ მათი დემოგრაფიული მონაცემები საკავშირო აღწერისათუ წინამორბედ მკვლევართა კერძო აღრიცხვის მიხედვით.

ცხრილი №1

ბეჟიტელთა რაოდენობა

აღწერის სახეობა	საკავშირო აღწერის შედეგები							კერძო აღრიცხვის შედეგები					
	1868	1926	1939	1989	1873	1908	1920	1927	1959	1995	1995	1995	10000
აღწერის შედეგები													
წელი	1868	1926	1939	1989	1873	1908	1920	1927	1959	1995	1995	1995	10000
რაოდენობა	1700	2549	4500	7000	1703	2140	2803	2500	7000	7000	7000	7000	10000

ჰუნზიბელთა რაოდენობა

აღწერის სახეობა	საკავშირო აღწერის შედეგები							კერძო აღრიცხვის შედეგები					
	1866	1886	1894	1916	1926	1989	2010	1873	1908	1920	1959	1995	2001
აღწერის შედეგები													
წელი	1866	1886	1894	1916	1926	1989	2010	1873	1908	1920	1959	1995	2001
რაოდენობა	568	426	450	479	600	2000	918	563	655	799	600	2000	1400

0.4. **ბეჟიტური ენა და მისი დიალექტები.** ბეჟიტური (*resp.* ბეჟიტურ-ჰუნზიბური) ენის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას ვხვდებით: ერთნი [ბოკარევი 1959 : 5; მაღიევა 1965 : 3...] ბეჟიტურსა და ჰუნზიბურს სხვადასხვა ენად მიიჩნევენ, სხვანი [ჩიქობავა 1965 : 10; ლომთაძე 1996 : 26...] დიალექტებად და აერთიანებენ ერთ (ბეჟიტურ, *resp.* ბეჟიტურ-ჰუნზიბურ) ენად.

თუ ზემოხსენებულ ორ ენობრივ ერთეულს მკაცრი კომპარატივისტული კრიტერიუმით მივუდგებით, მაშინ ბეჟიტური და ჰუნზიბური, ე. ლომთაძის თვალსაზრისისდა კვალად, უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი ენის ორი დიალექტი [იხ. არდოტელი 2009 : 33]. მართალია, ბეჟიტური და ჰუნზიბური ენობრივი ერთეულების ცვლილებანი ენის იერარქიის ყველა დონეზე საკმაოდ თვალსაჩინოა,¹ მაგრამ მათი მიჩნევა დიალექტებად სავსებით შესაძლებელია.

ბეჟიტურ ენაში, ჩვენი დაკვირვებით, გაირჩევა ორი დიალექტი: ა) საკუთრივ ბეჟიტური და ბ) ჰუნზიბური. თავის მხრივ, საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში შეიძლება გამოიყოს სამი კილოკავი, რომლებიც ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან: ა) ტლადალური, ბ) ხაშარხოტული და გ) ბეჟტური (*resp.* კაპუჭური).

რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტს, პირობითად შეიძლება გამოიყოს ორი თქმა: ა) ღარბუთლურ-ნაჰადური და ბ) საკუთრივ ჰუნზიბური.

ბეჟიტური ენა უდამწერლობო ენათა რიცხვს განეკუთვნება. ბეჟიტელ-ჰუნზიბელები სამწერლობო-საურთიერთო ენად (**Lingua franca**) ხუნძურს იყენებენ. ბეჟიტელები ხუნძურსა და რუსულს (საქართველოში — ქართულს) სკოლაში ითვისებენ. ამჟამად დაწყებითსა და საშუალო სკოლებში, აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლებას რუსულ ენაზე ეუფლებიან. ყვარლის რაიონის სოფ. ჩანტლისყურესა და სარუსოში სკოლაში სწავლება ქართულად მიმდინარეობს. ბეჟიტურ სკოლებში ხუნძური **IV** კლასიდან ისწავლება, როგორც ფაკულტატიური საგანი.

¹ წინამდებარე მონოგრაფია სწორედ ამგვარ ენობრივ ცვლილებათა მასშტაბის დადგენის ცდაც არის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენა მარტოოდენ ოჯახში და მათ მშობლიურ აულებში ამ ენაზე მოსაუბრეთა შორის გამოსაყენებელი ენაა (აქაც მათ შეუძლიათ ხუნძურად, რუსულად ან ქართულად¹ იმეტყველონ). შეიძლება ითქვას, რომ ბეჟიტელები (განსაკუთრებით ჰუნზიბელები) არიან პოლიგლოტები — დედაენის გარდა, იციან ხუნძური, რუსული და ქართული.

აღსანიშნავია, რომ პრესაში ხუნძურად და რუსულად ქვეყნდება წერილები, რადიო-ტელევიზია გარკვეულ დროს უთმობს გადაცემებს ხუნძურ ენაზე, თეატრალური წარმოდგენები ხუნძურ ენაზე იმართება, რაც იწვევს ენით, სარწმუნოებით, ყოფა-ცხოვრებით, წეს-ჩვეულებითა და კულტურის თავისებურებით ახლომდგომი, საერთო წარმომავლობის ხალხების კონსოლიდაციას. მიმდინარეობს ძლიერი კონვერგენციული პროცესები, რომლებიც თავის დაღს ასვამს ბეჟიტურ ენას. რუსული და ხუნძური ენის ინტენსიური ექსპანსიის პირობებში ბეჟიტური ენა თანდათან თმობს პოზიციებს და გაქრობის პირას არის მისული. ამიტომ მეტად საშურია ამ ენის შესახებ, რაც შეიძლება მეტი დოკუმენტაციის შექმნა.

0.5. მოკლე ისტორიული ცნობები. ბეჟიტელები, რომლებიც წერილობით წყაროებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კაპუჭებისა და ხვანების სახელით არიან ცნობილი, ამჟამინდელ ტერიტორიაზე დიდი ხნიდან ცხოვრობენ და ითვლებიან აბორიგენ მოსახლეობად. ეთნონიმი „კაპუჭი“ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იჩენს თავს ძვ. არაბულ გეოგრაფიაში, რომლის სახელწოდებაც არის „მალთაბრუნი“. მანამდე ბეჟიტელები ისევე, როგორც სხვა დიდოური მოდგმის მცირერიცხოვანი ხალხები (კეზიები, ჰინუხელები, ხვარშიელები) ანტიკურ, ქართულ

¹ ისტორიულად ბეჟიტელებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა, რაც შეპირობებული იყო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემოებებით. ა. ბერჟე წერს, რომ ანწუხსა და კაპუჭში „ხუნძურის გარდა, ქართულადაც ლაპარაკობენო“ [ბერჟე 1859 : 260].

და სომხურ წყაროებში მოიხსენიებიან სახელწოდებით „დიდო“ („დიდუროი“, „დიდური“, „დიდი“, „დიდუვანიც“-ი...). აღნიშნულ ტერიტორიაზე ბეჟიტელების არსებობას „დიდური“ ეთნონიმით გვამცნობს პლინიუსი (ჩვ. წ. 29-79). ამასვე ადასტურებს კ. პტოლემე (ჩვ. წ. 120-176), როცა დიდოებს (**Diduroi**) თუშეთის მიმდებარე მიწა-წყალზე ასახელებს: „კავკასიისა და კერაუნის მთებს შორის ცხოვრობენ ტუსკები (თუშები?) და დიდურები“ [ლუგუევი, მაჰომედოვი 1994 : 10].

ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ტოპონიმური მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბეჟიტელების ისტორიული საცხოვრისი ამჟამინდელ ტერიტორიაზე არსებობდა უკვე ახ. წ. I საუკუნიდან და დიდოს ტომთა პოლიტიკურ კონფედერაციაში კაპუტელები აქტიურ როლს თამაშობდნენ.

ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ბეჟიტელები შედიოდნენ თუ არა სერირის ფეოდალურ სამეფოში (V-XIII სს.), რომელიც უმთავრესად ხუნძურ ტერიტორიას მოიცავდა. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ახ. წ. შუა საუკუნეებში XIV ს.-მდე მათი დამოუკიდებლობის შესახებ [ლუგუევი, მაჰომედოვი 1994 : 14-15], თუმცა ამ თვალსაზრისის გაზიარება ჭირს. ამავე ავტორების საფუძვლიანი მოსაზრებით, დიდოელები სერირის სამეფოში არ ერთიანდებოდნენ, ვინაიდან ისინი საქართველოს ყმადნაფიცები იყვნენ.

ზოგადად, დიდოების, კონკრეტულად კი ბეჟიტელების საქართველოსთან მჭიდრო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კავშირი აშკარაა V ს.-დან. V-VI სს.-ში ძლიერდება ქართველების მისიონერული მოღვაწეობა დაღესტნის მაღალმთიანეთში ქრისტიანობის გასავრცელებლად. ცნობილია, რომ დიდოეთი ამ პერიოდში ნეკრესის საეპისკოპოსოს შემადგენლობაში იყო.

X ს.-დან დიდოეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირი საქართველოს სამეფოსთან ძლიერდება. კვირიკე დიდი ქორეპისკოპოსის (1010-1037 წ.წ.) ცნობით, დიდოეთი შტორის საერისთავოში შედის დავით აღმაშენებლის მეფობისას (1089-1125 წ.წ.). ბეჟიტელები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს

გარეშე დამპყრობლების — სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. XII-XIII სს.-ში ბეჟიტელები სხვა დიდოელ ხალხებთან ერთად საქართველოს ყმადნაფიცები გახდნენ და საქართველოს მართვა-გამგეობის ქვეშ მოექცნენ.

ბეჟიტელები ისევე, როგორც დიდოეთის სხვა ხალხები და საქართველოს მთიელები (ფხოველები) ხარკს უხდიდნენ სამეფო ხელისუფლებას, რაც ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. ამით ჩანს გამოწვეული 1212 წელს ფხოვთან ერთად საყოველთაო აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. 1212 წლის ზაფხულში მეფე თამარის რეგულარულმა ჯარმა დაამარცხა ამბოხებულები და სასტიკად გაუსწორდა მათ. აჯანყებულებს მოუწიათ ხარკის გადახდა, მიხველების მიცემა და ქრისტიანული აღმსარებლობისადმი ერთგულება. ამ ავბედით მოვლენების ანარეკლი ჩანს თლიარათის რ.-ში დადასტურებული ტოპონიმი „თამარ მაიდან“-ი და დიდოურ ენაში შემონახული ფრთიანი ფრაზა: „თამარ დედფალეს ეჰენ წოხლ'ო დებერ! „დაე, თამარ-დედოფლის ლოდმა დაგიტანოს შენ!“

თამარ-მეფის ბრწყინვალე ეპოქის შემდეგ, ჩინგის-ხანისა და თემურ-ლენგის თათარ-მონღოლთა შემოსევებმა XIII-XIV სს.-ში საქართველოს სამეფო საგრძნობლად დაასუსტა. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს. II ნახევარი) დიდოეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად კახეთის სამეფოს ქვეშევრდომი გახდა.

სწორედ ამ ხანებიდან (XV ს.) უნდა მომხდარიყო დიდოეთის, როგორც პოლიტიკური გაერთიანების, დაშლა. ბეჟიტელებმა, ჰუნ-ზიბელებმა და ანწუხელებმა ამ რეგიონში შექმნეს მძლავრი და მდიდარი პოლიტიკური გაერთიანება ანკლ-რატლში ანწუხ-ბეჟიტის სახელით ცნობილი, რომელსაც ხარკს დიდოელებიც (ცეზიებიც) უხდიდნენ. ცეზიებმა ამ ხარკის გადახდისაგან განთავისუფლება სრულად XVIII ს.-ის შუა ხანებშილა მოახერხეს. XVI-XVIII სს.-ში ირანისა და თურქეთის საქართველოში აგრესიამ საქართველოს სამეფო დაშლამდე მიიყვანა. თურქეთისა და ირანის ექსპანსიის გაძლიერების შედეგად დაღესტნის მთიანეთი, პოლიტიკური

თვალსაზრისით, მთლიანად მოსწყდა საქართველოს, თუმცა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეულწილად შენარჩუნებულ იქნა.

სწორედ თურქულ-ირანული ექსპანსია იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც დაარღვია კავკასიის ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა და ისინი ერთმანეთს მტრად გადაჰკიდა.

XVIII ს.-ის შუა ხანებში ანწუხ-ბეჟიტის გაერთიანება დაიშალა ცალკეულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებად.

XIX ს.-ის 40-იანი წლებიდან ბეჟიტელები აქტიურად ჩაებნენ იმამ შამილის თაოსნობით ცარიზმის რუსეთის წინააღმდეგ გამართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომში, რომელიც 1859 წელს მარცხით დამთავრდა. დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, 1861 წელს ბეჟიტის სანაიბო შეუერთდა ღუნიბის ოლქს, ხოლო ჰუნზიბელები გამოეყვნენ ბეჟიტის სანაიბოს და შექმნეს ენზების სოფლის თემთა კავშირი. ამის შემდეგ საქართველოსთან თანდათან აღდგა დიდი ხნით გაწყვეტილი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი და მოიხსნა ბლოკადა, რომელიც ცარიზმის რუსეთთან ომის გამო ჰქონდათ დაწესებული.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის მარტში, მოხდა ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაცია ცენტრალურ აზიაში. მათი ისტორიული მიწა-წყალი დაუნაწილდა საქართველოს, დაღესტანს, ჩრდილოეთ ოსეთსა და სტავროპოლის მხარეს. ჩეჩენეთის ყოფილ რესპუბლიკაში — ვედენოს, რითლაბისა და ქურჩალაის რაიონებში — 5000 სულამდე დაღესტნელი გადაასახლეს, მათ შორის იყვნენ ყველა ჰუნზიბური აულის მკვიდრნი და ბეჟიტელების უმრავლესობა. მიგრაცია შეეხო ყვარლის რ-ნის ბეჟიტელ მოსახლეობასაც, რომელთა ხანდაზმული წარმომადგენლები ახლა ემოციურად ყვებიან საქართველოდან გადასახლებისას ნახული და განცდილი ამბების შესახებ. მათ ერთი დღით ადრე აფრთხილებდნენ გადასახლების შესახებ და ამიტომ სათანადო მომზადება არ ესწრებოდა. დაღესტნის მთიანეთიდან დანიშნულების ადგილამდე 10 დღის სავალი გზაა და ბევრი მათგანი გზაში იღუპებოდა. მთის ბუნებაში გაზრდილებს გაუჭირდათ ბარის კლიმატისადმი და საკვებისადმი შეგუე-

ბა, რაც იწვევდა მაღარისა და საბოლოოდ სიკვდილს [დაწვრ. იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 10-12].

გადასახლებულთა ნაწილი თანდათანობით ტოვებდა ჩეჩნეთს და უბრუნდებოდა თავის ისტორიულ მიწა-წყალს. 1957 წელს, ჩეჩენ-ინგუშთა რეაბილიტაციისა და რეპატრაციის შემდეგ, ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა ნაწილი მაჰაჩყალის მახლობელ რაიონებში გადასახლდა, ხოლო უფრო დიდი ნაწილი დაუბრუნდა წუნტის რ-ში მშობლიურ ადგილ-გარემოს, გარკვეული ნაწილი კი კვლავ საქართველოში დასახლდა.

0.6. სამეურნეო ყოფა-ცხოვრება. ბეჟიტელები ეთნოლოგიური თვალსაზრისით და სამეურნეო ცხოვრების სპეციფიკით დიდად არ განსხვავდებიან დაღესტნის სხვა ახლომონათესავე ხალხებისაგან. ისინი მეტწილად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევენ. ისტორიულად უფრო გავრცელებული მომთაბარე მესაქონლეობა იყო, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა მეცხვარეობას, რომელიც განვითარების მაღალ დონეზე იდგა. ამის უტყუარი მოწმეა ბეჟიტური ენის მეცხოველეობის მდიდარი ტერმინოლოგია, რომელშიც დასტურდება არაერთი სპეციფიკური ტერმინი. მესაქონლეობა ბეჟიტელთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგი იყო, რადგანაც იძლეოდა საკვებსა და ტანსაცმელ-ფეხსაცმელისათვის აუცილებელ მასალას. გარდა ამისა, ამ ხალხების ჩვეულებითი სამართლის ნორმები და მართლმსაჯულება მესაქონლეობაზე, როგორც საგადასახადო ფორმაზე, იყო დამყარებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ბეჟიტელები რიცხვმრავალ ფარებს ზაფხულობით მთის იალალებზე აძოვებდნენ, ხოლო ზამთარში — კახეთის საზამთრო საძოვრებზე.

ბეჟიტელთა სამეურნეო ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ეკავა მეცხენეობას. ცხენი იყო გადასადგილებლად ერთადერთი მოსახერხებელი საშუალება. კახეთიდან მძიმე ტვირთიც ცხენის მეშვეობით მოჰქონდათ (სახედარი კი ამ საქმისთვის ნაკლებად გამოსადეგი იყო და შედარებით ნაკლებადაც ხდებოდა მისი მოშენება).

უნდა ითქვას, რომ ბეჟიტელები ძველთაგანვე მისდევდნენ ტყავის, ხის, ქვის, რკინის და თიხის დამუშავებას. მართალია, თავდაპირველად ეს ყველაფერი კუსტარული წესით მზადდებოდა, მაგრამ თანდათანობით, გაცვლის მატებასა და ვაჭრობასთან ერთად, მოხდა ხელოსნობის ჩამოყალიბება. ყოველ აულში იყვნენ სახნისების, უღლის, თოხებისა და ფარცხის ხელმარჯვე ოსტატები. გარდა ამისა, მამაკაცთაგან ზოგი სამჭედლო საქმეს მისდევდა, ზოგს კალატოზობა ემარჯვებოდა, ზოგს კი მკალობა ეხერხებოდა. ქალთა ტრადიციულ საქმედ კი ოდითგანვე ითვლებოდა მატყლის დამუშავება — ჩეჩვა, რთვა და ქსოვა.

0.7. სულიერი კულტურა. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჟიტელი ხალხის სულიერი კულტურა მდიდარი და მრავალფეროვანია. მართალია, ეს ხალხი ამჟამად მუსლიმები არიან, თუმცა ისტორიულად იყვნენ წარმართებიცა და, მოგვიანებით, ქრისტიანებიც. ამიტომ მათ რწმენა-წარმოდგენებში და ფოლკლორში არეკლილია წინა საუკუნეთა მანძილზე ფესვგადგმული რელიგიების კვალი. უდამწერლობო ენათა მატარებელი ხალხების ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ქანრში¹ — ზღაპრებსა და სიმღერებში, გადმოცემებსა და ლეგენდებში, ანდაზებსა და გამოცანებში — ასახულია ხალხის სანუკვარი იდეალები, მათი მსოფლხედვა და მსოფლალქმა, მათი ოცნებები და წარმოდგენები ბუნების მოვლენებზე, ადამიანთა ურთიერთობებზე, კეთილსა და ბოროტზე, ღვინისა და ჭირზე და ა. შ.

მთათა წიაღში საუკუნეობით ცხოვრება დაღესტნის მთიელებს აიძულებდა ეძიათ და მიეგნოთ იმ უებარი საიდუმლოებებისათვის, რასაც ადამიანთა სამკურნალო საშუალებები ერქვა. სახალხო მედიცინა ამ მხარეში მაღალ დონეზე მდგარა, რაც არაერთ მოგზაურს აღუნიშნავს. მკურნალი ექიმბაშები, ემყარებოდნენ რა წინაპართა ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას, წარმატებით მკურნალობდნენ ავადმყოფებს. ხალხური მედიცინის ცოდნა მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და დიდ სამსახურს უწევდა ადგილობრივ მკვიდრთ.

¹ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები [იხ. გვ. 275-312].

როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმართული რწმენის კვალი ცალკეული ელემენტებისა და რელიქტის სახით დღესაც შემორჩენილია, თუმცა ისლამი ახლა მთლიანად არის გაბატონებული. საუკუნეების მანძილზე ორი მსოფლიო რელიგია — ქრისტიანობა (V ს.-დან) და ისლამი (VIII ს.-დან) — ეტოქებოდა და ავრცელებდა თავის ექსპანსიას დაღესტანში. უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული სარწმუნოება უფრო მეტად იყო გავრცელებული, ვიდრე მუსულმანური. მეტადრე ეს ითქმის XI-XIII სს.-ზე, როდესაც საქართველო აღმავლობის მწვერვალზე იყო და თავის ექსპანსიას დაღესტნის მნიშვნელოვან ნაწილზე ავრცელებდა. XV ს.-ში ისლამმაც ინტენსიურად დაიწყო გაბატონება. მიუხედავად ამისა, დიდოელ ხალხებში, მათ შორის, ბეჟიტელთა რწმენა-წარმოდგენებში წამყვანი ადგილი მაინც წარმართობას ეჭირა. ეს იმიტაც იყო შეპირობებული, რომ ამ ხალხებმა (განსაკუთრებით ცეზიებმა, ჰინუხელებმა და ხვარშიელებმა) ისლამი ძალიან გვიან მიიღეს. XIX ს.-ში დიდოელთა იდეოლოგიურ სფეროში ბატონობდა რელიგიური სინკრეტიზმი, რომელშიც წამყვანი ადგილი უკვე ისლამს ეჭირა, საკმაოდ თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი წარმართული წეს-ჩვეულებანი, ხოლო ქრისტიანობა გადმონაშთის სახით თავს იჩენდა ცალკეულ რიტუალებში.

ცნობილია, რომ დაღესტანში ისლამი ერთდროულად არ გავრცელებულა. თავდაპირველად იგი ფეხს იკიდებს სამხრეთ და აღმოსავლეთ დაღესტნის ბარში, შემდეგ ხუნძეთში (ხუნძახი, ლუნიბი...); ხუნძები კი ცდილობდნენ ისლამი შეეტანათ ანკრატლისა და კაპუჭის თემებში. XVIII ს.-ში ბეჟიტელ მოსახლეობაში ისლამი ნაწილობრივ იყო გავრცელებული. ისლამის გავრცელებაზე, ქართული ქრისტიანობის ექსპანსიის შემცირების პირობებში, დასავლეთ დაღესტნის მთიანეთში დიდი გავლენა უნდა მოეხდინა იმამ შამილის ბრძოლას, რომელიც შარიათს ეფუძნებოდა. თავად ამ ევრონულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინამძღოლი — იმამი შამილი ისლამის დოგმების თავგამოდებული შემსრულებელი და დამცველი იყო. ამიტომ იგი ამ იდეოლოგიას — გიაურთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს — ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა დაღესტნის მაღალმთიანეთში მოსახლე ხალხებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ბეჟიტელ-ჰუნზიბელე-ბი სუნიტი მუსლიმები არიან, მკაცრად ასრულებენ ყურანის დოგმებს, რომლებიც თვალსაჩინოდ სახეცვლილია, თუმცა მათი დაცვა სავალდებულოდ ითვლება. ამჟამად ახალგაზრდა თაობა ნაკლებად ერკვევა რელიგიურ ლიტერატურაში, მაგრამ ხანდაზმულები ჩინებულად კითხულობენ ყურანსა და სხვა სასულიერო წიგნებს არაბულ ენაზე.

0.8. შესწავლის ისტორია. პირველად ბეჟიტური ენის ლექსიკური მასალა წარმოდგენილია ს. პალასის ცნობილ ლექსიკონში [პალასი I, 1787; II, 1789; დაწვრ. იხ. მაღიევა 1965 : 4-6]. აკად. ი. გიულდენშტედტს, რომელიც კაპუჭურს (ბეჟიტურს) დიდოურისაგან განსხვავებულ ენად მიიჩნევდა, ხოლო ჰუნზიბურს დამოუკიდებელ ენად გამოყოფდა, მოეპოვება მწირი ცნობები და სალექსიკონო მასალა [გიულდენშტედტი 1787 : 490-491]. ორივე ზემოხსენებული ავტორის ენობრივი მასალა ინტერესს მარტოოდენ ისტორიული თვალსაზრისით აღძრავს.

მთის კავკასიურ ენათა აღიარებული მკვლევარი პ. უსლარი მისთვის ჩვეული სიზუსტით აღრიცხავს ბეჟიტური ენის რიცხვით სახელებს [უსლარი 1989 : 21].

რ. ერკერტს ჩაწერილი აქვს ბეჟიტური (ავტორის ტერმინოლოგიით, კაპუჭური) ენის 183 ფრაზა, რომლებიც შეუდარებია ხვარშიულ და დიდოურ ენათა სათანადო მონაცემებისთვის [ერკერტი 1995 : 203-221]. სიზუსტის თვალსაზრისით, მისი მასალა და ამ მასალის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

ა. დირი ბეჟიტური ენას ეხება რამდენიმე შრომაში [დირი 1906 : 170-179; 1909 : 79-85; 1928 : 79-85]. ამ ნაშრომებში ა. დირს ბეჟიტური ენის მეტად მოკლე მიმოხილვა და მწირი ლექსიკური მასალა მოეპოვება, თუმცა მისი ნაშრომები და ამ ნაშრომებში ციტირებული საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის მონაცემები, სიზუსტის თვალსაზრისით, უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია [იხ. ლომთაძე 1996 : 19-20].

ნ. მარი ბეჟიტელებსა და ჰუნზიბელებს ერთმანეთისაგან განრჩევდა [მარი 1920 : 45]. მოგვიანებით მან ეს თვალსაზრისი შეიცვალა [იხ. ლომთაძე 1996 : 22].

ბეჟიტური ენის მონაცემებს თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში ფართოდ იყენებს ივ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი 1937].

ი. მეგრელიძე სხვა დიდოურ ენებთან დაკავშირებით ეხება ბეჟიტური ენის რაოდენობით რიცხვით სახელებს [მეგრელიძე 1940 : 129-156].

XX ს.-ის 30-იანი წლების მიწურულს ბეჟიტური ენის შესწავლას შეუდგნენ და მისი კვლევა-ძიება მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ე. ლომთაძემ და ე. ბოკარევმა, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული მთლიანად დიდოურ ენათა დამუშავების მყარ მეცნიერულ საფუძველზე დამყარება.

ე. ლომთაძემ კოლოსალური შრომა გასწია და მრავალწლიანი კვლევის შედეგები წარმოადგინა რამდენიმე მონოგრაფიისა თუ ცალკეული წერილების სახით [ლომთაძე 1949; 1953; 1956^ა; 1956^ბ; 1984; 1994; 1996; 2000; 2003...].

უნდა ითქვას, რომ ამ გამოკვლევებში ციტირებულ და დაბეჭდილ ენობრივ მასალას ამჟამად დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა აქვს [ბურჭულაძე 2000 : 238].

ბეჟიტური ენის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ე. ბოკარევს, რომელმაც ხანგრძლივი კვლევის შედეგებს თავი მოუყარა მის შემაჯამებელ მონოგრაფიაში [ბოკარევი 1959].

მართალია, დ. იმნაიშვილი უშუალოდ არ სწავლობდა ბეჟიტურ ენას, თუმცა მის საეტაპო მნიშვნელობის საკუთრივ დიდოური, ჰინუხური და ხვარშიული ენებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში არაიშვიათად ვაწყდებით შედარებებს ბეჟიტურ ენასთანაც. კერძოდ, ყურადღებას იქცევს, სხვა მონათესავე ენებთან ერთად, ბეჟიტური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური საკითხების ისტორიული ასპექტით განხილვა [იმნაიშვილი 1963].

ჰუნზიბური დიალექტის ფონეტიკურ საკითხებს იკვლევდა რ. ჰამზათოვი [ჰამზათოვი 1972; 1973; 1975].

აღსანიშნავია, რომ XX ს.-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული თავის მშობლიურ ენაზე ნაყოფიერად მუშაობს მ. ხალილოვი, რომლის კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა, ლექსიკონი და სტატია [ხალილოვი 1981; 1986; 1991; 1995; 1999^ა; 1999^ბ; 2004...]. ყურადღებას იქცევს მისი თანავეტორობით გამოქვეყნებული ორენოვანი და სემანტიკური ლექსიკონები [ისაყოვი, ხალილოვი 2001; კლიმოვი, ხალილოვი 2003; ქომრი, ხალილოვი 2009...].

ჰუნზიბური დიალექტის (მისი შეფასებით, ენის) დამუშავებას დიდი დრო და ენერგია შეაღია ი. ისაყოვმა, რომელმაც თავისი კვლევის შედეგები, მ. ხალილოვთან ერთად, ვრცელი მონოგრაფიის სახით წამოადგინა [ისაყოვი, ხალილოვი 2012].

საკვლევი ენის ცალკეული საკითხების შესახებ საინტერესო დაკვირვებები აქვს გ. ბურჭულაძეს [ბურჭულაძე 1986; 1998; 2000]. ზოგადად, დაღესტნურ ენებს, კერძოდ კი, ჰუნზიბურ დიალექტს (მისი აზრით, ენას) 1990-1994 წ.წ. დიდი ენთუზიაზმით იკვლევდა ჰ. ვან დენ ბერგი, რომელმაც გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი ტექსტებითა და მცირე ლექსიკონით [ვან დენ ბერგი 1995]. დასანანია, რომ ნაადრევად შეწყდა მისი მეცნიერული საქმიანობა.

ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის შესახებ დაბეჭდილია მოკლე გრამატიკული მიმოხილვები [ბოკარევი, მადიევა 1967; კიბრიკი 1981; ტესტელეცი 1990; ალექსეევი 1994; 2002; ისაყოვი 1999; 2000; 2001; ხალილოვი 2001; 2002].

ბეჟიტური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის არაერთი აქტუალური საკითხი არის განხილვის საგანი ახალი თაობის ლინგვისტთა ნაშრომებში [ათაევი 1983; 1985; 1996; მაჰომედოვი 1990; ტესტელეცი 1993; ქომრი, ფორკერი და ხალილოვა 2003; 2007; 2010...].

ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის მონაცემებს იყენებენ დაღესტნურ ენათა წინამორბედი და თანამედროვე მკვლევრები

[ჭაიდაყოვი 1973; გუდავა 1979; 1980; ალექსეევი 1988; კიბრიკი, კოძასოვი 1988; 1990; არდოტელი 2009⁹; 2009^ბ...].

ბეჟიტელ-ჰუნზიბელთა ისტორიასა და ეთნოგრაფიას ეხება ორი ნაშრომი [ლუგუევი, მაჰომედოვი 1994; რიზახანოვა 2000].

0.9. პირობითი ნიშნები და ტრანსკრიფცია. ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის ფონემური შედგენილობა რთულია. განსაკუთრებით ეს ითქმის ვოკალურ სისტემაზე, რომელშიც სპეციფიკური ხმოვნები მრავლად დასტურდება. სახელდობრ, ბეჟიტურ-ჰუნზიბური ენის ჰუნზიბურ დიალექტში 24 ხმოვანი მოგვეპოვება, ბეჟიტურ დიალექტში კი — 18 ხმოვანი. სადა ხმოვნების გარდა, რომლებიც ორსავე დიალექტს ახასიათებს, დასტურდება გრძელი, ნაზალიზებული, უმლაუტიანი **ჟ, ო, უ, ე, წ**. ირაციონალური (ნეიტრალური) **გ**, ვიწრო არალაბიალიზებული **ჟ (ჟ)** და **ა**-სკენ გადახრილი ღია **ო(ო)**. ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის მონაცემების მიხედვით, ხმოვანთა კრებსით ცხრილში ოცდაათამდე ხმოვან-ფონემაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება კონსონანტურ სისტემას, იგი, ხმოვანთა სისტემასთან შედარებით, გაცილებით მარტივია. ბეჟიტურ-ჰუნზიბურში არაფერი დასტურდება ისეთი, რომელიც სხვა დიდოვურ ენებში არ მოგვეპოვებოდეს (თუ არ გავითვალისწინებთ ყრუ სპირანტ ხ^ჰ-ს არსებობას ჰუნზიბურ დიალექტში, რაც ახალი მოვლენაა და ხუნძურის ინტენსიურ გავლენას უნდა მიეწეროს).

ამრიგად, ბეჟიტური დიალექტის თანხმოვანთა სისტემაში 34 ფონემა განირჩევა, ხოლო ჰუნზიბური 35 თანხმოვანს გვიჩვენებს.

დადესტნურ ენათმეცნიერებაში ბეჟიტური ენის მასალის ტრანსკრიფცია რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ხუნძური ენის ანბანს ემყარება.

ბეჟიტურისთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური ფონემების გამოსახატავად, რომელთა გრაფემები ქართულს არ მოეპოვება, გამოიყენება შემდეგი დამატებითი სატრანსკრიფციო ნიშნები:

•• — ხმოვნის თავზე (ჟ) აღნიშნავს მის პალატალიზაციას.

˘ — ხმოვნის თავზე (ჟ) მიუთითებს მის სიგრძეს.

- ´ — ხმოვნის თავზე (ა´) ან გვერდზე (ა´) აღნიშნავს მახვილს.
- ˙ — ხმოვნის თავზე (ო˙) აღნიშნავს ო-სკენ გადახრილ არალაბიალურ ა-ს.
- ˘ — ხმოვნის თავზე (ა˘) აღნიშნავს არალაბიალიზებულ, სუსტ, ვიწრო ა-ს.
- ᶑ — ხმოვნის გვერდზე (ᶑ) აღნიშნავს ნაზალიზაციას.
- ᶑ — თანხმოვნის გვერდზე (ტᶑ) გამოხატავს ველარიზაციას.
- ᶑ — ნეიტრალური (ირაციონალური) ხმოვანია.
- ‘, ’ — ლატერალთა (ლ‘, ლ’) მომდევნოდ აღნიშნავენ მათ აღვეოლარულ ელფერს.

ლ‘, ლ’, ტᶑ — მიახლოებით ისეთივე ლატერალებია, ხუნძურ ენაში რომ დასტურდება.

ჰ ფარინგალური ფშვინვიერი სპირანტია.

ჟ ფარინგალური მჟღერი სპირანტია.

ყ ლარინგალური აბრუპტივია (შდრ. მეგრ. ყუდე „სახლი“).

() ფრჩხილებში წარმოდგენილი, ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები აღნიშნავენ ზედმიწევნით თარგმანს.

[] კვადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილია ავტორის გვარი და მისი ნაშრომის დაბეჭდვის თარიღი.

ჩვენ სინოპტიკური ტაბულის სახით წარმოვადგენთ სატრანსკრიფციო ნიშნებს შემდეგი თანამიმდევრობით:

1. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხმარებული სატრანსკრიფციო ნიშნები.
2. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული ლათინური საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნები.
3. საენათმეცნიერო მიზნით ხმარებული, ხუნძური დამწერლობის საფუძველზე შექმნილი სატრანსკრიფციო ნიშნები.

ცხრილი №3. ბეჟიტური ენის ფონოლოგიური სისტემა

№	ქართ.	ლათ.	რუს.	№	ქართ.	ლათ.	რუს.
1	ა	a	a	34	ა̇	õ	ã
2	ა̄	ā	ā	35	ა̇ ^ნ	õ ⁿ	ã ⁿ
3	ა ^ბ	a ⁿ	a ⁿ	36	პ	p	п
4	ა̇	ǎ	ǎ	37	ჟ	ž	ж
5	ა̄	ǎ̄	ǎ̄	38	რ	r	р
6	ა ^ბ	ǎ ⁿ	ǎ ⁿ	39	ს	s	с
7	ა̇	ǎ̇	ǎ̇	40	ტ	ʈ	т
8	ა̇ ^ნ	ǎ̇ ⁿ	ǎ̇ ⁿ	41	ტ ^ბ	ʈ ^b	т ^б
9	ბ	b	б	42	უ	u	у
10	გ	g	г	43	უ̄	ū	ӯ
11	დ	d	д	44	უ ^ბ	u ⁿ	у ⁿ
12	ე	e	э	45	ე̄	ë	е̄
13	ე̄	ē	ē	46	ე̄ ^ბ	ë ⁿ	е̄ ⁿ
14	ე ^ბ	e ⁿ	э ⁿ	47	ფ	p	п
15	ვ	v	в	48	ქ	k	к
16	ზ	z	з	49	ღ	γ	г̃
17	თ	t	т	50	ყ	q	к̃
18	ი	i	и	51	შ	š	ш
19	ი̄	ī	й	52	ჩ	č	ч
20	ი ^ბ	i ⁿ	й̄	53	ც	c	ц
21	კ	ḳ	к	54	ც̣	ç	ц
22	ლ	l	л	55	ჭ	č	ч
23	ლ ^ნ	l ⁿ	л̄	56	ხ	x	х
24	ლ ^ნ	l ⁿ	л	57	ხ̄	x̄	х̄
25	მ	m	м	58	ყ	q	х̄
26	ნ	n	н	59	ჰ	h	г̃
27	ი	j	й	60	ჰ ₀	h ₀	х
28	ო	o	о	61	ჟ	ω	г
29	ო̄	ō	ō	62	ც	’	ь
30	ო ^ბ	o ⁿ	ō	63	ღ	ə	ы
31	ო̇	ö	о̄	64	ღ̄	ə̄	ы̄
32	ო̇ ^ნ	ö ⁿ	о̄ ⁿ	65	ღ ^ბ	ə ⁿ	ы ⁿ
33	ა̇	ò	â				

შემოკლებათა განმარტება

1. ენობრივი ერთეულები:

- არაბ. — არაბული ენა
 ასახ. — დიდოური ენის ასახური კილოკავი
 ბაცბ. — ბაცბური ენა
 ბეჟ. — ბეჟიტური ენა
 ბეჟიტ./ბეჟტ. — საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ბეჟიტური თქმა
 თურქ. — თურქული ენა
 კაპ. — საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის კაპუჭური თქმა
 ლათ. — ლათინური ენა
 რუს. — რუსული ენა
 საკ. ბეჟ., საკ. ბეჟ. დ. — საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი
 საკ. დიდ. — საკუთრივ დიდოური ენა
 ტლ./ტლად. — ტლადალური კილოკავი
 ქართ. — ქართული ენა
 ჩეჩნ. — ჩეჩნური ენა
 ხაშ. — ხაშარხოტული კილოკავი
 ხვარშ. — ხვარშიული ენა
 ხუნძ. — ხუნძური ენა
 ჰუნზ. — ჰუნზიბური დიალექტი

2. გრამატიკული ტერმინები:

- აბსოლუტ. — აბსოლუტივი
 აწმყ. — აწმყო
 აწმყ. კონკრ. — აწმყო კონკრეტული
 განს. მრ. — განსაზღვრული მრავლობითი
 დიალ. ვარ. — დიალექტური ვარიანტები
 ერგ. — ერგატივი
 ვნ. — ვნებითი გვარი
 ზედს.-ზედსართავი სახელი
 თანდ. — თანდებული

ინსტრ. — ინსტრუმენტალისი
 კავშ. — კავშირი
 კლ. — გრამატიკული კლასი
 მიც. — მიცემითი ბრუნვა
 მოქ. — მოქმედებითი გვარი
 მრ. რ. — მრავლობითი რიცხვი
 მხ. რ. — მხოლოდობითი რიცხვი
 ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა
 ნაცვალ. — ნაცვალსახელი
 ნაწ. — ნაწილაკი
 პოტ. — პოტენციალისი
 რიცხვ. — რიცხვითი სახელი
 სახ. — სახელობითი ბრუნვა
 სუბსტ. — სუბსტანტივი
 უახლ. — უახლოესი (ობიექტი)
 შორისდ. — შორისდებული

3. მონოგრაფიების, ჟურნალებისა და კრებულების სახელწოდებანი:

გამყრელიძე და სხვ. 2008 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი, „თუ გამ-ბა“.

იკეწ — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადური, თბილისი.

იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბილისი.

კიბრიკი და სხვ. 2001 — А. Е. Кибрик, К. И. Казенин, Е. А. Лютинова, С. Г. Татевосов, Багвалинский язык: Грамматика. Тексты. Словари. Москва, ИМЛИ РАН, "Наследие".

ლელ — ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი. მოსკოვი.

საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი.

სდა — სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი.

АДД — Автореферат докторской диссертации.

АКД — Автореферат кандидатской диссертации.

Яз. и мышл. — Язык и мышление, Москва-Ленинград.

4. სხვა შემოკლებანი:

- ანატ. — ანატომიური
- ა. შ. — ასე შემდეგ
- ახ. წ. — ახალი წელთაღრიცხვა
- ბოტ. — ბოტანიკური
- გადატ. — გადატანით
- დაწვრ. — დაწვრილებით
- დაახლ. — დაახლოებით
- ე. წ. — ეგრეთ წოდებული
- ზოოლ. — ზოოლოგიური
- ზედმიწ. — ზედმიწევნით
- იხ. — იხილეთ
- მად. — მადიევა
- ს., სს. — საუკუნე, საუკუნეები (თარიღთან)
- საკ. — საკუთრივ
- სამეტყ. — სამეტყველო
- სოფ. — სოფელი
- ძვ. — ძველი
- წ., წწ. — წელი, წლები (თარიღთან)

ნაწილი I

ფონოლოგია

თავი I


ფონოლოგიური სისტემა

1.1. **ხმოვანთა სისტემა.** ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის ვოკალურ სისტემაში ოცდაათამდე ხმოვან-ფონემას ითვლიან [ბოკარევი 1959 : 16, 68; ჰამზათოვი 1972 : 155-160; ლომთაძე 1994 : 11-13; ვან დენ ბერგი 1995 : 21-22; ხალილოვი 1995 : 389; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 259...]. ამასთანავე, არ არის დადგენილი გრძელი ნაზალიზებული ხმოვნების ფონემური სტატუსი [ლომთაძე 1994 : 12; არდოტელი 2009 : 42].

სპეციალურ ლიტერატურაში ხმოვანთა სისტემის აღწერისას აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით: ის, ვინც ჰუნზიბურ დიალექტს ენად მიიჩნევს, ხმოვნებსაც დამოუკიდებელი ენის კვალობაზე აანალიზებს, ხოლო ელ. ლომთაძე საკვლევი ენის ორივე დიალექტის მონაცემებს ერთობლივად განიხილავს, რაც ბოლომდე თანამიმდევრული არ ჩანს. ჰუნზიბური დიალექტი, რომელიც ხმოვანთა სისტემის მეტ სირთულეს ამჟღავნებს — ერთი სისტემის ფარგლებში ოცდაოთხ ხმოვან-ფონემას გვიჩვენებს, რაც ფაქტობრივ დადგენილიც არის [იხ. ლომთაძე 1956 : 370; 1994 : 11-13...]. რაც შეეხება საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტს, ამ ენობრივ ერთეულში ხმოვანთა რაოდენობის განსაზღვრაში განსხვავებული თვალსაზრისებია [ლომთაძე 1994 : 11-12; შდრ. ბოკარევი 1959 : 68-69; შდრ. ხალილოვი 1995 : 387-389].


1.1.1. **მარტივი ხმოვნები.** უდავოა, რომ ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში განირჩევა ხუთი სადა ხმოვანი, რომლებიც ქმნიან ცნობილ სამკუთხედს:

სქემა 1



ჰუნზიბურ დიალექტს, საკუთრივ ბეჟიტურისაგან განსხვავებით, მოეპოვება ე. წ. ირაციონალური /გ/ (**ბგხნუ** „თბილი“, **სგ** „დათვი“, **გს** „ძმა“, „და“...), ა-სკენ გადახრილი ფართო, არალაბიალური /ო/ (**ობუ** „მამა“, **გოზ** „არ არის“...) და არალაბიალიზებული, ვიწრო /ჲ/ (**სჲ** „მელა“, **ჲგ** „ის“, **სჲრძო** „ცხენი“...).¹ მაშასადამე, ჰუნზიბური დიალექტის სადა ხმოვანთა სისტემა მეტი სირთულით გამოირჩევა და შეიძლება იგი გამოიხატოს ხმოვანთა კუბით:

სქემა 2



¹ ექვბენვა მინიმალური წყვილებიც: **როჲჲუ** ცივი“ — **როჲჲუ** „ცალიერი“, **ბგსა** „გადაწვა“ — **ბგსჲ** „თევზი“, **ცან** „თხა“ — **ცან** „ოდესლაც“, **თჲდუ** „ნადები“ — **თოდუ** „ტალახი, აყალო“, **ბიყა** „ცოდნა“ — **ბგყა** „დამშევა“ [დაწვრ. იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 26-27].

ზემომოყვანილი კუბის ფერდებზე გამოხატული ფონემები ასახვენ როგორც ლოკალურ რიგს, ისე ენის აწეულობას. მასთან, თითოეული ფონემა სხვა ფონემას ერთი დისტინქციური ნიშან-თვისებით მაინც უპირისპირდება.¹


რაც შეეხება საკვლევ ენაში არსებულ მარტივ ხმოვანთა რეალიზაციას, მათი ფუნქციური დატვირთვა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოხსენებული ხმოვანი ყოველგვარ ფონოლოგიურ პოზიციაში დასტურდება (უჩვეულოა ინტერვოკალური პოზიცია), მათი სიხშირული კოეფიციენტი და რელევანტურობა თვალშისაცემია: „ხმოვანთა შორის ყველაზე მეტი სიხშირით გამოირჩევა ა, შემდეგ ო, შემდეგ კი ი და ე“ [ხალილოვი 1995 : 389].

1.1.2. **ნაზალიზებული ხმოვნები.** ჰეჟიტური ენის ორივე დიალექტისთვის ნიშანდობლივია ნაზალიზებული ხმოვნები, რომლებიც სათანადო მარტივი ხმოვნებისაგან ნაზალური ტემბრის (ელფერის) სიჭარბით განსხვავდებიან. მათი ფონმურობა ეჭვს არ იწვევს, რადგანაც მინიმალური წყვილები მოეპოვება, მაგ.: **იზ** „ციხე-სიმაგრე“, „ქვების გროვა“ — **ი^ნზ** 1. „დიდი საცერი“; 2. „ყალყზე“, **ლ^ნელ^ნ** „მოცვზე“ — **ლ^ნელ^ნ** „სელი“, **ხ^ნ** (ტლ. ხორო) „ფუტკრის სკა“ — **ხ^ნო** „ხორცი“, **ც^ნ** 1. „ვარსკვლავი“, 2. „მარილი“ — **ც^ნან** „თხა“, **წ^ნო** „ცეცხლი“ — **წ^ნო^ნ2** „მუცლის აპკი“ და მისთ. ჰუნზიბურ დიალექტში, როგორც ცნობილია, დამატებით სამი ნაზალიზებული ფონემა გვაქვს: /ი^ნ/, /ი^ნ/, /ე^ნ/. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჰუნზიბური დიალექტის ნაზალიზებულ ხმოვანთა სისტემა, რომელიც საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის სათანადო ხმოვანთა სისტემასაც ახასიათებს, სქემატურად შეიძლება ასე გამოიხატოს:

¹ მეტ-ნაკლებად განსხვავებული სქემა მოეპოვება გ. მაჭავარიანს [მაჭავარიანი 1963 : 143-144].

² გრძელი ნაზალიზებული ხმოვნების სტატუსის განსაზღვრა დამატებით კვლევას საჭიროებს.

სქემა 3



შენიშვნა: არტიკულაციურად ნაზალიზებული ხმოვნები ნაირგვარობას არა მარტო დიალექტებისა და თქმების მიხედვით გვიჩვენებენ, არამედ ფონოლოგიური პოზიციისა და მეტყველების ნაწილების მიხედვითაც კი. გარდა ამისა, ახალი თაობის მეტყველებაში ამგვარი ფონემები ნაკლებპოვნირია, იშლება და თანდათანობით ორდინალურ ხმოვნებს უთანაბრდება [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 21].

1.1.3. **გრძელი ხმოვნები.** ხმოვანთა გრძელი კორელატები გამოიყოფა ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში და ისინი ჰიატუსთან ორგანულად ჩანან დაკავშირებული [იხ. არდოტელი 2009 : 69-70]. ამ რიგის ხმოვნები უპირატესად ინტერვოკალური თანხმოვნის სინკოპირებით ერთად თავმოყრილ ხმოვანთა შერწყმის საფუძველზე წარმოქმნილი ხმოვნებია, რომლებიც სათანადო სადა ხმოვნების საარტიკულაციო თვისებებს შეიცავენ და ყოვნების მიმატებით და ჰიატუსის სუპერაციის თავისებურ რეალიზატორებად გვევლინებიან. ამას ერთგვარად მიგვანიშნებს მათი დისტრიბუციაც — ეს ხმოვნები ძირითადად მორფემათა საზღვარზე დაჩნდებიან და სხვადასხვა გრამატიკულ ფორმებში არიან დადასტურებული, თუმცა მათ აქვთ ფონემური ფუნქცია, მაგ.: **ბისა** „თევზი“ — **ბისა** „თევზები“, **ლ’ი** „წყალი“ — **ლ’ი** „წყალმა“ და ა. შ.

ბეჟიტურ დიალექტში გამოიყოფა ხუთი გრძელი ხმოვანი (**ა**, **ე**, **ი**, **ო**, **უ**), ხოლო ჰუნზიბურ დიალექტში მათი რიცხვი სპეციფიკურ ხმოვანთა (**ა**, **ჲ**, **გ**) ხარჯზე რვამდე გაიზარდება.

ბეჟიტური ენის ორივე დიალექტის მონაცემთა მიხედვით, ხმოვანთა კრებისთი ცხრილი ოცდაათ ხმოვან-ფონემას ითვლის.

ცხრილი №4

ლოკალური რიგი	წინა	შუა				შუანა			
		არაბაგისმიერი		ბაგისმიერი		არაბაგისმიერი		ბაგისმიერი	
		გამაღვ	სამწყვ	გამაღვ-გამაღვი	გამაღვი	გამაღვ	სამწყვ	გამაღვი	სამწყვი
		ფ	ჟ	ფ	ჟ	ფ	ჟ	ფ	ჟ
ენის აწმულობა	მდალი	გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
		სამწყვ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
		გამაღვი-გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
	საშუალო	გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
		სამწყვ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
		გამაღვი-გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
	დაბალი	გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
		სამწყვ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
		გამაღვი-გამაღვი	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ

1.1.4. **ჰიატუსის საკითხისათვის ბეჟიტურ ენაში.** ცნობილია, რომ ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკისათვის ჰიატუსი ნიშანდობლივი არ არის. ხმოვანთა თავყრა არც მის ახლომონათესავე ენათათვის არის დამახასიათებელი.

ბეჟიტურ ენაში ჰიატუსის სუპერაცია ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში სონანტებისა (**ა, უ**) და ლარინგალური აბრუპტივის (**ც**) ჩართვით, მაგ.: **იოო** „დედა“, **ჰინამუ** (შდრ. საკ. ბეჟ. **ჰამ** "id".) „ნაცარი“, **ყოჟა** „ბავშვი“, **ბუჟალ** „კეთება“, **მოცა** (ჰუნზ., შდრ. ბეჟ. **მოცალ** "id".) „დავიწყება“ და სხვ. მისთ.

გარდა ზემომოყვანილი ნიმუშებისა, დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც ჰიატუსი დაძლეული არ არის. ერთმანეთის მიჯრით ორი ხმოვნის პოზიციება უფრო მეტად ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტს ახასიათებს და გვხვდება როგორც ძირეულ მორფემებში, ისე მორფემათა მიჯნაზეც, მაგ.: **მიან** || **მიცა** „დასველება“, **ბოორ** „ერთგვარი წინდა“, **ინშეარტო** „ახლაზან“, **ზაიფაბ** „ავადმყოფი“, „სუსტი“, **ნაიბ** „ნაიბი“, **სიყენყუ** (< ქართ. ციყვი + აწყუ „თავი“) „ციყვი“ და ა. შ.

ჰიატუსი მეტწილად თავს იჩენს ნეოლოგიზმებში, მაგ.: **რადიო** „რადიო“, **პოეზ(დ)** „მატარებელი“, **მელიციანერ** „მილიციონერი“, **სოციალიზმ** „სოციალიზმი“...

შეინიშნება მეტად საინტერესო მოვლენა ისეთ სახელებში, რომლებშიც ერთმანეთის მიმყოლ ნაზალურ ხმოვანთა სუპერაცია არ ხდება. ეს შეპირობებული ჩანს ინტერვოკალურ პოზიციაში ნაზალური ელემენტის არსებობით. რაც შეეხება ოდინდელი რედუცირებული ნაზალური თანხმოვნის ნაზალურობის კოეფიციენტის დადგენას, მას ექსპერიმენტული კვლევა-ძიება სჭირდება. ნაზალიზაცია, როგორც ჭარბი არტიკულაციური მოვლენა, ერთგვარად ჰიატუსის სუპერაციას ახდენს, მაგ.: **ტუნა** „ბაბუაწვერა“, **წანან** || **წანან** „მშვილდი“ (მშვილდ-ისრისა, აკვნისა), **ჰანდ** „გუგულის ხმიანობა“ და მისთ.

მ. ხალილოვის ბეჟიტურ-რუსულ ლექსიკონში [ხალილოვი 1995] გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებსაც ინტერვოკალურ პოზიციაში ხმოვანთგამყარად ორი **ა** აქვთ, მაგ.: **ყააო** „მრული“,

თუთააა „ალუმინისფერი“, დიდათ „ბრალი“, ღააა „დახეული“, „დამპალი“, ბააა „ლაქა“...

თუ ანალოგიურ მაგალითებს გენეზისის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ მეორე **ა-ც (ა < რ)** რეკონსტრუირდება (სოაა < სორაა 1. „ცხენი“, 2. „ტალღა“...), თუმცა სინქრონიულ დონეზე უნდა ჩაიწეროს **სოა-ს** ან **სოაია-ს** სახით. ინტერვოკალურ პოზიციაში ორი **ა-ს** რეალიზაცია ნაკლებად სავარაუდოა.

ჰიატუსი უფრო მეტად ახასიათებს საქართველოში წარმოდგენილი ბეჟიტური ენის სარუსოსა და ჩანტლისყურის მეტყველებას, რაც გამოწვეული უნდა იყოს ინტერფერენციული პროცესების მოქმედებით, კერძოდ, ჰიატუსის მქონე ქართული ენის ზეგავლენით, მაგალითად, სოფ. სარუსოს მეტყველებაში გვხვდება **კორიო** (შდრ. ბეჟ. კოაა < კორაა, ტლ. კორა "id".) „ბეჭედი“, **ბუა** (შდრ. ჰუნზ. ბუა, ბეჟ. ბუა, ტლ. ბოა "id".) „კეთება“, „გაჩენა“ და მისთ.

1.2. სონანტთა სისტემა. პალატალური **/ა/**-სა და წყვილბაგისმიერი **/აჟ/**-ს დისტრიბუცია განსაზღვრულია — ისინი რეალიზდებიან როგორც სონანტები. სწორედ მათი ფუნქციური ურთიერთმონაცვლეობა მიგვანიშნებს, რომ **/ა/** და **/აჟ/** მივიჩნიოთ სონანტებად [იხ. არდოტელი 2009 : 145], რადგანაც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებას ავლენენ [ვან დენ ბერგი 1995 : 20].

/ა/ დაჩნდება მხოლოდ გრამატიკული კლასის ექსპონენტად და **ი-ს** ალოფონად (**ი/ა**), მაგ.: მი დილ **ა-ატცა** „მე შენ (II კლ.) მიყვარხარ“, კეტო ბილ'ო **ა-აჟცა** „კარგი სახლი (IV კლ.) იქნება“, **ა-აცცალის** რუა „ბიძაშვილი ქალის ვაჟი“ და მისთ.

ბოლო მაგალითში **{ა-}** დაცლილი ჩანს კლასიფიკატორის ფუნქციისაგან და მას ხმოვანთა სუპერაციისმაგვარი ფუნქცია ეკისრება ისევე, როგორც ქვემოწარმოდგენილ მაგალითებში: საკ. ბეჟ. **იო** „დედა“, წუაბ **დედალი** „დედალი“, სიონა (შდრ. ტლ. შიონა

"id".) „არაფერი“...; ჰუნზ. შიჲონ „არარა“, დიჲე „ჩემი“, ბალ'აჲ „ხანჯალი“ და ა.შ.

საინტერესოა, რომ {ჲ} კითხვითი ნაწილაკის ფუნქციითაც გამოიყენება, მაგ.: ჰუნზ. იჲჲ-რბუ ლო-ჲ? „დედ-მამა გყავს?“ (ზედმიწ. „დედ-მამა არსა?“).

რაც შეეხება /ჲ/ სონანტს, იგი კლასიფიკატორის გარდა, ლაბიალიზებული კომპლექსის ძირითად კომპონენტადაც გვხვდება, რომლის გამარტივება ბეჟიტურ ენაში დემონსტრაციულ ხასიათს ატარებს.

ლაბიალიზებული კომპლექსი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული, უმთავრესად ორი დამოუკიდებელი ფონემის მეტ-ნაკლებად შემჭიდროებულ არითმეტიკულ ჯამს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მონოფონემად. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ლაბიალიზებული კომპლექსები თვალსაჩინოდ განსხვავდებიან აფხაზურ-ადიღურ ენათა ლაბიალიზებული /გ/, /ქ/, /კ/ თანხმოვნებისაგან, რომელთაც ფონემური ღირებულება აქვთ.

ჩვენ ვემხრობით იმ თვალსაზრისს, რომელიც ლაბიალიზებული კომპლექსის ბიფონემურობას უჭერს მხარს [ტრუბეცკოი 1987 : 313; ჩიქობავა, ცერცვაძე 1982 : 81; მიქაილოვი 1958 : 29; ბოკარევი 1959 : 67; გიგინეიშვილი 1977 : 42; გუდავა 1979 : 28...]. C + W კომპლექსის ბიფონემურ კვალიფიკაციას ამტკიცებს ფონოლოგიური ფაქტორი — ნ. ტრუბეცკოის მონოფონემის დადგენის (ბგერათა ფონემური კლასიფიკაციის) წესებიც და პოზიციური ფონეტიკური პროცესებიც [არდოტელი 1997 : 46-47].

C + W ტიპის ლაბიალიზებული კომპლექსი, ახლომონათესავე ენათაგან განსხვავებით, ბეჟიტური ენისთვის ნიშანდობლივი არ არის. ამჟამად ამგვარი კომპლექსი ბეჟიტური ენის არცერთ დიალექტსა და თქმაში არ შეინიშნება, თუმცა მისი ისტორიული პოვნირება ხელშესახებია. C + W ტიპის კომპლექსის დისტრიბუცია ბეჟიტურ ენაში, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, ანლაუტით # — V და ინლაუტში ინტერვოკალური ფონოლოგიუ-

რი პოზიციებით შემოიფარგლებოდა, მაგ.: # — V ტო <*ლ'ტო (საკ. ბეჟ.), ტნ < ლტნ (ჰუნზ.) (მდრ. საკ. დიდ. ლ'ტაჲ: ჰინ. ლტე: ხვარ. ლ'ტე "id".) „ძალი“; ტოდო <*ლ'ტოდო (საკ. ბეჟ.) (მდრ. ინხ. ლ'ტოდე "id".) „დღე“, ზუყურ <*ზუყურ (ჰუნზ.) (მდრ. ჰინ. ზეყურე "id"., საპ. ზოყურ-ა „ყოფნა“) „ყო“...

მართალია, სხვა დიდოურ ენებში ლაბიალიზებული კომპლექსის მოშლის შემთხვევები არ არის იშვიათი, მაგრამ გამარტივების პროცესი თანამიმდევრულად და ბოლომდე მხოლოდ ბეჟიტურ ენაში არის გატარებული. ბიფონემური კომპლექსის გამარტივება სხვადასხვაგვარად ხდება:

ა) აუსლაუტური აღმავალი დიფთონგის შერწყმით, მაგ.: ბეჟ. რაკო <*რაკტა, ჰუნზ. რაკტ <*რაკტო <*რაკტა (მდრ. ხუნდ. რაკ (<*რაკტა): ანდ. როკტო (<* რაკტა): საკ. დიდ. როკტი (ასახ.) „გული“, საკ. ბეჟ. მუნორო <*მუნტე-რო (მდრ. საკ. დიდ. ბინტაჲ: საკ. ხვარ. ბინტაჲ: ხუნდ. ვტეზე „დაკლა“) „დაკლა“...

ბ) წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო ასიმილაციით: საკ. ბეჟ. ბოჯ <*ბიჯტ (მდრ. ხუნდ. ბაყ "id"., ბაყტაზე „გამზევება“) „მზე“, ჰუნზ. ზუყურ < ზეყურ „ყო“ და მისთ.

გ) ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში ლაბიალიზებული კომპლექსის ძირითადი კომპონენტის დაკარგვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ტოდო <*ლ'ტოდო (მდრ. ინხ. ლ'ტოდე) „ხვალ“, „დღე“, საკ. ბეჟ. ტო <*ლ'ტო (მდრ. საკ. დიდ. ლ'ტაჲ: ჰინ. ლ'ტე: ხვარ. ლ'ტე "id".) „ძალი“, ჰუნზ. ტნდნ <*ლ'ტადა (მდრ. ჰინ. ლ'ტადე "id".) „წვიმა“, „დღე“ და ა. შ.

დ) ლაბიალური კომპონენტის დაკარგვით: განდი (მდრ. გტანდი "id".) „ორმო“, ქეტრი (მდრ. ქართ. ქვევრი "id".) „ქვევრი“, ლდღე (მდრ. საკ. დიდ. ლტადი "id".) 1. „ყვავი“, 2. „მკერდის ნაჭერი (ხორცი)“ და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ლაბიალიზებული თანხმოვნები ხუნძურიდან ნასესხებ ლექსემებში დელაბიალიზაციას განიცდიან“ [ხალილოვი 1995 : 393]. უნდა შევნიშნოთ, რომ ლაბიალიზებული კომპლექსები (ავტორის მიხედვით, თანხმოვნები) დელაბიალიზაციას კი არ განიცდიან,

არამედ ხდება **C + W** მოდელის კომპლექსის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვით ან ასიმილაციით.

ისმის კითხვა: რა იწვევს საანალიზო კომპლექსის გამარტივებას?

ჩვენი შეხედულებით, გამარტივება ინლაუტში მეტწილად პოზიციური ფონეტიკური პროცესებით ჩანს შეპირობებული, რაც ზემოთაც იყო ნაჩვენები.

რაც შეეხება ანლაუტში ლაბიალიზებულ კომპლექსთა გამარტივებას, იგი დიდოურ ენათათვის ესოდენ დამახასიათებელი წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტებით ჩანს გამოწვეული. ლაბიალიზებულ კომპლექსთა მოშლა რეალიზებულია არა მართოდენ ძირეულ მასალაში, არამედ სხვა ენათაგან შეთვისებულ ლექსიკაშიც, მაგ.: ხუნძ. **ქუნ** > ბეჟ. **ქენ** „საჭმელი“, ქართ. **ღვი-ნო** > ბეჟ. **ღინო** „ღვინო“ და მისთ.


1.3. თანხმოვანთა სისტემა. ბეჟიტური ენა, სხვა მონათესავე ენათაგან განსხვავებით, კონსონანტური სისტემის სიმარტივით გამოირჩევა, რაც ინტენსიურ თანხმოვანთა უქონლობით არის გამოწვეული.

კონსონანტური სისტემის თვალსაზრისით, ბეჟიტური ენის დიალექტებს შორის არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა. ორსავე დიალექტს სპეციფიკური თანხმოვნებიდან ერთნაირად ახასიათებს: 1) სუპრაგლოტალური (resp. აბრუპტიული) თანხმოვნები: /პ/, /ტ/, /წ/, /ჭ/, /კ/, /ყ/, /ც/; 2) სპეციფიკური ლატერალები: სპირანტი /ლ/, ფშვინვიერი აფრიკატი /ლწ/, აბრუპტიული აფრიკატი /ტწ/; 3) უვულარული სპირანტები: /ზ/, /ჰ/; 4) ლარინგალური /ჰ/; 5) ჰუნზიბურ დიალექტში შეინიშნება პალატალური სპირანტი /ხ/, რომელიც ხუნძური ენის ძლიერი ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს. ნასესხებ ლექსიკაში სპორადულად შეიძლება მყდერმა აფრიკატებმაც (**ძ**, **ჯ**) იჩინონ თავი, მაგრამ მათ ფონემის სტატუსი არ მოეპოვებათ [შდრ. ლომთაძე 1956 : 374].¹

¹ ე. ლომთაძე ერთ სიბრტეზე სვამს **ძ**, **ჯ** აფრიკატებსა და წყვილბაგისმიერ აბრუპტივ /პ/-ს, რომლის სიხშირული კოეფიციენტი მაღალია და ფონემის სტატუსი აქვს.

ბეჟიტური მოკლებულია დადესტნურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილ თანხმოვნებს: 1) თანხმოვანთა ინტენსიურ კორელატებს; 2) ლაბიალიზებულ თანხმოვნებს; 3) მყდერ აფრიკატებს და 4) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს.¹

ბეჟიტური ენის კონსონანტურ სისტემაში აბრუპტივების არსებობა და, აქედან გამომდინარე, ბილაბიალური, დენტალური და წინაველარული ლოკალური რიგები სამწვერა კონებს ქმნიან:



იმის გათვალისწინებით, რომ წინანუნისმიერი, უკანანუნისმიერი აფრიკატები, მაგარსასისმიერი ლატერალები და ზემოფარინგალური ხშულ-მსკდომები მოკლებულნი არიან მყდერ კორელატებს, ორწვერა ოპოზიციით არიან წარმოდგენილი: **ც — წ, ჩ — ჭ, ლ' — ტ, ზ — ყ.**

რაც შეეხება სპირანტებს, ისინი, როგორც წესი, წყვილულების სახით დასტურდება, თუმცა მაგარსასისმიერი, წინაველარული და ლარინგალური რიგები, მყდერთა უქონლობის გამო, ცალეულებით არიან წარმოდგენილი:

¹ მართალია, მ. ხალილოვი საკ. ბეჟიტურ დიალექტში ფარინგალიზებულ თანხმოვანთა სერიას ცალკე გამოყოფს, მაგრამ მათი ფონემური ფუნქციის საკითხი დამატებით სარკვევია [ხალილოვი 1995 : 390].

შესწავლის ამ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ ბეჟიტურში, სხვა დიდოურ ენათაგან განსხვავებით, ფარინგალიზაცია არ არის ფონოლოგიური სტატუსისა და, ამდენად, ეს თანხმოვნები უნდა მივიჩნიოთ შესაბამის თანხმოვანთა ალოფონებად.

სქემა 4

სპირანტები	
მჟღერი	ფშვინვიერი
ზ	ს
ჟ	შ
—	ლ'
—	ხ'
ვ	ხ
ფ	ჰ
—	ჰ

ზემომოყვანილ თანხმონებს დაემატება სონორები და ბეჟიტური ენის თანხმონთანა სისტემის კლასიფიკაცია ცხრილის სახით ასე გამოიხატება:

ცხრილი №5

წარმოების რაგვარობა	ჩქამირები						სონორები		სონანტი
	მხელ-მსკდომები		აფრიკატები		სპირანტები		ლიკვიდი	სონანტი	
	არალატ-რალი	ლათ-რალი	არალატ-რალი	ყრუ	ლათ-რალი	ყრუ			
	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი			
ლოკალური რიგი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი	მსმცდნაფდი
ბილაბიალური	ბ	ფ	პ						
წინაენის-მიერნი	ა) ენა-ტილისმიერი	ღ	თ						
	ბ) ენა-ენისმიერი			ც	ჭ	ს	რ		
	გ) უკანაენისმიერი			ჩ	ჭ	შ			
	დ) მკარსასმიერი			ლ	ტა	ლ			
შუაენისმიერი									ა
უკანაენის-მიერნი	ა) წინაგულარული	გ	ქ	კ		ხ			
	ბ) უკანაგულარული					ღ	ხ		
ფარიგალური			ჟ	ყ		შ			
ლარიგალური			ხ			ჟ			

შენიშვნა: ზემომოყვანილ ტაბულაში აფრიკატები და სპირანტები **ც, წ, ზ, ხ** სისინებია, ხოლო **ჩ, ჭ, ჟ, შ** — შიშინები. გარდა ამისა, სონორები, მათი ფუნქციური რეალობაცვიდან გამომდინარე, სონანტური ბუნებისანი არ არიან.

1.4. **დისტრიბუცია.** სადა ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია ანლაუტსა და ინლაუტში, აუსლაუტში უ შეზღუდულია საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ისევე, როგორც მისი ფონემური შესატყვისი ო ჰუნზიბურში. აბსოლუტურ ბოლოში უ ძალიან იშვიათად დაჩნდება ნასესხებ მასალაში (ყადრუ „ავტორიტეტი“, ზულმუ „ტვირთი“, „ძალადობა“...), ხოლო ძირეულ მასალაში ძირითადად მორფემებში იჩენს თავს (ეგგ-უ „საინტერესო“, გელოტას-ზუ „უცაბედად“...). ო > უ პროცესი უფრო ხაზარხოტულ და ტლადალურ თქმებში შეიმჩნევა, რომლებშიც კაპუჭური თქმის ო > უ, მაგ.: კაპ. ზიქრო — ტლ. ზიქრუ „გოდება“, კაპ. მოდ — ხაშ. მურ „კევრი“. აუსლაუტში გრძელი (უ), ნაზალიზებული (უნ) და პალატალიზებული კორელატების დაძებნა არახმაბაძვით ლექსიკაში ჭირს.¹

თანხმოვანთა დიდი ნაწილი ყველა ფონოლოგიურ პოზიციაში გვხვდება [იხ. ლომთაძე 1956 : 371-376; მადიევა 1965: 13-25; ვან დენ ბერგი 1995 : 23-24]. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ უგულარული ზ და ჰ, რომელთა დისტრიბუცია ჰუნზიბურ სიტყვა-ფორმათა ანლაუტში შეზღუდულია [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 24], ხოლო საკუთრივ ბეჟიტურ კილოში (განსაკუთრებით მის კაპუჭურ კილოკავში) ისინი ოდენ ანლაუტსა და ინლაუტში გვხვდებიან [ხალილოვი 1995 : 391].

1.4.1. **კონსონანტური კომპლექსები.** ბეჟიტური ენისთვის, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, თანხმოვანთკომპლექსები ნაკლებად არის დამახასიათებელი. ამგვარი ვითარება უნდა აიხსნას, ერთი მხრივ, სრულხმოვნობით შეპირობებული სუპერაციის ძლიერი ტენდენციით, მეორე მხრივ კი, დენაზალიზაციისა და დელაბილიზაციის პროცესებით, რომლებიც ამარტივებენ ფონემატურ სტრუქტურას.

¹ მართალია, დასტურდება თითო-ორჯო სახელში (უნ⁶ „ქინქლა“, ხან⁶ „სახედარი“), მაგრამ ისინი ხმაბაძვითობასთან არიან დაკავშირებული.

ძირეულ მორფემულ სტრუქტურებში დასტურდება ორი თანხმომცემის (resp. თანხმომცემისა და სონორის) კომბინაციები. ლექსიკური მარაგის დიდი ნაწილი წარმოდგენილია ორმარცვლიანი სტრუქტურით: **CVCV** (resp. **CVCCV**, **CVSCV/CVCSV**), მაგ.: საკ. ბეჟ. **მჰჩე** „მიწა“, **შჸუნა** „საფლავი“, **მალ'ო** „ძილი“, **ბოცო** „მთვარე“, **ციზო** „ცეზი“, **მაყო** „ცრემლი“, **გოგვა** „ზარი“, **პაჸლე** „კატა“, **კუსსო** „ვიწრო“, **ბელ'ნა** „რვა“...; ჰუნზ. **შელუ** „რქა“, **ხო^ნხე** „ხე“, **ბიშე** „ხბო“, **რიჸე** „დეკეული“, **ჸენა** „მწყემსი“, **კიმა** „ყველი“, **ჰარე** „თვალი“, **ზალ'ე** „ქარი“, **კოდო** „ყურძენი“, **გედუ** „კატა“, **ნაკი** „ცერათითი“, **ლიბუ** „ფოთოლი“ და მრ. სხვ.

სიტყვების არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა გვხვდება განსხვავებული (**CV**, **SV**, **CVC**, **SVS**, **VC**, **VCV**, **VSV**, **CVCVC**, **CVSVC**...) სტრუქტურით და ფუძეთქმნადობის პროცესში ძირ-ფუძეთა სიმრავლეზე მიგვანიშნებს [დაწვრ. იხ. არდოტელი 2009 : 181-199; შდრ. ბარნოვი 1998 : 55].

ერთი მორფემის ფარგლებში ინტერვოკალური პოზიცია გვიჩვენებს, რომ ყველაზე მეტი თანხმომცემანტომპლექსი არის სონორი + ნებისმიერი ჩქამიერი თანხმომცემი (**S+C**) [შდრ. ბარნოვი 1998 : 61].

მაშასადამე, ამ წესიდან გამოსვლით ბეჟიტურში გვხვდება **SC** აგებულების 33 წყვილი:¹ **-რბ-**, **-რფ-**, **-რდ-**, **-რთ-**, **-რტ-**, **-რწ-**, **-რზ-**, **-რხ-**, **-რჩ-**, **-რშ-**, **-რლ'**, **-რტ^ბ-**, **-რგ-**, **-რვ-**, **-რყ-**, **-რღ-**, **-რხ^ნ-**, **-რჰ-**, **-ლობ-**, **-ლოფ-**, **-ლოდ-**, **-ლოთ-**, **-ლოტ-**, **-ლოკ-**, **-ნდ-**, **-ნთ-**, **-ნტ-**, **-ნზ-**, **-ნჩ-**, **-ნკ-**, **-მტ^ბ-**, **-მპ-**.

მოდელი **ჩქამიერი + თანხმომცემი** შედარებით მცირერიცხოვანია და ერთი მორფემის ფარგლებში გააჩნია კომბინატორული შეზღუდვა — იგი არ შეინიშნება ლატერალურ, ფარინგალურ და ლარინგალურ თანხმომცემებთან [ბარნოვი 1998 : 60].

¹ ბუნებრივია, რომ დამატებითი კვლევა-ძიების შედეგად კიდევ გამოვლინდეს ხმოვანტომპლექსები.

რაც შეეხება ზემომოყვანილ წყვილებს სონორი + სონორი (**S+S**), წესიდან გამომდინარე, ყურადღების გარეშე დარჩა. ამ რიგის კომპლექსები ცალკე უნდა იქნეს განხილული.

გარდა ზემონახსენები კომპლექსებისა, დასტურდება **ჩქამიერი + სონორი (C+S)** მიმდევრობის ჯგუფები, რომლებიც ნაკლებ გავრცელებული და მცირერიცხოვანია [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 25].

დასასრულ, წარმოვადგენთ ყველაზე მცირერიცხოვან თანხმომდევრობის მოდელს **სონორს + სონორი (resp. სონანტი)**: **ირმატო** „ვირი“, **მომლა** „მუწუკი“, „კოჭრი“, **კორაო** „ბეჭედი“, **ლ'ანნო** „იშვიათი“, **ლ'ამმზ** „წვრილი“, **ქელლო** „ძველი“ და სხვ.

ამასთანავე, ძალზე მცირერიცხოვანია სამწევრიანი თანხმომდევრობანი და მათი მეტი წილი ნასესხებია, მაგ.: **ჰუნზ**. **ჭაჟაჟაჰ** „უთჩხული“, **ურღზი** „ფიქრი“, **კომპოხტი** „კომპოსტო“ და მისთ.

1.4.2. **გემინატები**. გაორმაგებული თანხმოვნების (resp. გემინატების) შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში ერთიანი აზრი არ არსებობს და მაგარი (ინტენსიური) ფონემის სინონიმად გემინირებულსაც იყენებენ [ლომთაძე 1956 : 376; ბოკარევი 1959 : 15; ხალილოვი 1995 : 391; შდრ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 49-52; ვან დენ ბერგი 1995 : 25; კიბრიკი და სხვ. 2001 : 36-38...].

გემინატები მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ინტენსიური თანხმოვნებისაგან, როგორც ორპიკიანი გაორმაგებული (ორი ერთგვარი თანხმოვნის მჭიდროდ დაკავშირებული) ფონემების ჯამი ცალმაგი ფონემისაგან [დაწვრ. იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 49-52; არდოტელი 2009 : 166-170].

უდავო დებულებაა, რომ ამჟამად დიდოურ ენათა სინამდვილეში ინტენსივობის კორელაცია არ არსებობს, რადგან ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირება ფონოლოგიურად ელიმინირებულია.

ბეჟიტურ ენაში დასტურდება გაორმაგებული თანხმოვნები, რომლებიც ოდენ ინტერვოკალურ პოზიციაში ფუძის ბოლოკიდურად გვხვდებიან, მაგ.: საკ. ბეჟ. **იწწო** „ახალი“, **ხეტტო** „მსხვილი“, **ლ'ამმზ** „წვრილი“, **ესსო** „ვიწრო“, **ქელლო** „ძველი“, **ლოკკო** „შავგვრემანი“, **ქაჩჩო** „ნათელი“, **წოდლო** „წითელი“, **კოლ'ლი** ინა „ბნელად“, **ახხო** „ძალიან“, **მტლათთა** „უკან“, „უკნი-

დან...“; ჰუნზ. ლ'ამუ „წვრილი“, ვუსსუ „წვრილი“, გწუ „ახალი“, კოტტუ „კარგი“, უეტატო „ყოველთვის“, ინჩო „ახლო“, ბრლ'ლ'ე „შუაში“, ჰიხხუ „მორს“ და სხვ.

გემინატთა არტიკულაციის აღწერისას აზრთა სხვადასხვაობა მინიმუმამდეა დაყვანილი. კერძოდ, ვან დენ ბერგი წერს:¹ "These geminates are realised somewhat longer than single consonants: with plosives and affricates the closure is held on, with fricatives the friction is longer" [ვან დენ ბერგი 1995 : 25].

ს. კოძასოვი ბავგალური ენის გემინატების შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს: "Специфическим явлением багвалинского языка является ясно выраженная геминация интервокальных спирантов в некоторых словах. При этом удлинение не сопровождается интенсификацией звука, так что различие сильных (напряженных) и слабых (диффузных) геминированных в интервокальной позиции последовательно сохраняется". ავტორი დასძენს: "Интервокальная геминация явно неисконна и обусловлена каким-то просодическим контекстом, который не удалось определить" [კიბრიკი და სხვ. 2001 : 37].

უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავ სახელებში, რომელთა ფუძის ბოლოკიდურადაც ხდება გემინაცია და ზოგ ზმნისართშიც, გემინატები წარმოქმნილია ფუძის აუსლაუტში რედუცირებული ო ხმოვნის ერთგვარი კომპენსაციის საფუძველზე [იხ. 6.2.1].

ამრიგად, გაორმაგებული თანხმოვნები შეიძლება მიღებული იყოს სამი გზით:

ა) ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის საკომპენსაციო დაკარგვითა და, შესაძლოა, მეზობელი მარცვლის მახვილის ზემოქმედებით [ლომთაძე 1991 : 22], მაგ.: კაპ. ღუნნალ II < ღუნნალ „დედამიწა“, „სამყარო“, კაპ. წუღღ-ო (< ტლ. წუნდი-ო) „წითელი“, ბეჟ. ხეტტ-ო, ჰუნზ. ხუტტ-უ (< ხაშ. ხეტი-ო) „მსხვილი“, ტლ. ლ'ამმ-ო, ჰუნზ. ლ'ამმ-უ (< ხაშ. ლ'ამი-ო) „წვრილი“ და მისთ.

¹ ციტატები მეტი სიზუსტისათვის მოგვყავს ორიგინალის ენაზე.

ბ) მეზობელ თანხმოვანთან ასიმილაციით, რასაც ადგილი აქვს როგორც ცალკეულ ფუძეებში (ბეჟ. ოქქო < ქართ. ოქრო, ტშმთეწწცა < რუს. учительница, კაბ. მჷლათთჷ, შდრ. ჰუნზ. მუ-ლალ'-დო „შემდეგ“, „უკან“...), ისე გრამატიკულ ფორმებში, მაგ.: კაბ. ბტჩჩა < ბტჷჩჩა „ჭრის“, გიცცა < გიტ-ცა „ასხამს“, ხორ „ცხვარი“ — მრ. რ. ხოლ-ლა, ქიდ „გოგო“ — ერგ. ქიბბა < ქიდ-ბა და მისთ.

გ) ყურადღებას იქცევს ერთი რიგის სახელები, რომლებშიც გაორმაგებული თანხმოვნების ასხნა პოზიციურად ვერ ხერხდება. საფიქრებელია, რომ ამგვარ შემთხვევებში ექსპრესიული გემინაცია აპირობებდა გაორმაგებული თანხმოვნების წარმოქმნას, რომლებიც, თავის მხრივ, ინტენსიურ ფონემებს დაედევნენ საფუძვლად [არდოტელი 2009 : 166-170], მაგ.: ახხო „ძალიან“, „მეტისმეტად“ (შდრ. ახო „კარგად“), თელი „უხვად“, „მრავლად“ (შდრ. ქართ. მთელი), ჰუნზ. ბედო II ბედდო (შდრ. საკ. ბეჟ. ბეთა "id.") „შემდეგ“, „მერე“, ქუქქუთთო „გუგული“, ციცო „მათ-რახი“, გოგა „ზარი“, დოტტო¹ „ბლაგვი“, „ჩლუნგი“ და სხვ. მისთ.

ამ კუთხით საინტერესოა ჰუნზიბური დიალექტის ჩვენება, რომელშიც თანხმოვანთა გემინაციით უფროობითი ხარისხი გამოიხატება [იხ. 6.2.3].

1.5. მარცვალი. მარცვალი ეწოდება ხმოვნით (resp. მუდგე-რობის სიჭარბით) შეპირობებულ სიტყვის ერთ მთლიან ფონემიკურ ერთეულს, რომელიც წარმოთქმის ერთჟამიერობითა და სტრუქტურის სიმყარით ხასიათდება.

საყოველთაოდ გავრცელებულია მარცვლის დაყოფა ღია და დახურულ მარცვლებად [ახვლედიანი 1966 : 116; შანიძე 1980 : 20-21; ჩიქობავა 2008 : 101].

¹ გ. მაღიევას საკ. ბეჟიტურში, ხოლო ჰ. ვან დენ ბერგს ჰუნზიბურში მოჰყავთ გემინატებისა და შესაბამისი მარტივი თანხმოვნების ე. წ. მინიმალური წყვილები (გოგა „ზარი“ — გოგა „ლოყა“...), რომლებიც სინამდვილეში ამტკიცებენ არა გემინატების ფონემურობას, არამედ სათანადო მარტივ თანხმოვანს უპირისპირებენ თანხმოვანთკომპლექსს და, აქედან გამომდინარე, ისინი მინიმალურ წყვილებადაც ვეღარ ჩაითვლებიან [მაღიევა 1965 : 27; ვან დენ ბერგი 1995 : 26].

ჩვენი აზრით, **დახურულ მარცვლად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ინტერკონსონანტური ხმოვნის შემცველი მარცვალი**, მაგ.: ქიდ „გოგო“, დოხ-თურ „ექიმი“ და მისთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ალ'-ნა** („შვიდი“) სიტყვაში **ალ'**- ფონოლოგიური ასპექტით ისეთივე ღიაა, როგორც **-ნა**. კლებადი სონორობის მიხედვით, მარცვლის მარცხნივ გავრცობის პრინციპი ისეთივე რელევანტურია, როგორც მარცვლის მარჯვნივ გავრცობის პრინციპი. ცნობილია, რომ მარცხნივ გავრცობილი ღია მარცვალი ენობრივი უნივერსალია და თითქმის ყველა ენას მოეპოვება [იაკობსონი და ჰალე 1962 : 268]. ამიტომ პრეპოზიციური ღიაობა ისეთივე ღირებულია, როგორც პოსტპოზიციური.

1.5.1. **მარცვლის სტრუქტურა.** ბეჭიტურ ენაში მარცვლის წარმოქმნა შეუძლია მხოლოდ ხმოვან-ფონემას, ამიტომ ერთ მარცვალში ოდენ ერთი ხმოვანი გვაქვს. დასტურდება როგორც დახურული, ისე ღია მარცვალი. ღია მარცვალთა რაოდენობა დახურულ მარცვალთა რიცხვს სჭარბობს, მაგ.: **ა-ზო** „ზაფხული“, **ა-ტა-ლო** „პარკი“, **ჟაც-ცა** „მეგობარი“, **ზა-ლ'ო** „ქარი“, **რ-ჟო** „ვაჟი“ და მრ. სხვ.

თავისთავად მარცვალთა ღიაობის ჩვენეული წესი დახურულ მარცვალთა რაოდენობას უფრო ზღუდავს: **ნიც** „სირცხვილი“ **ნითოდ** „როლის“, **ჩიოდ** „სიმი“, **ჩარ-დახ** „სხვენი“ და ა.შ.

უნდა ითქვას, რომ ანლაუტში ფონემათა არანაწილების საკითხი მარტივია, რადგან ამ პოზიციაში მხოლოდ ცალეულები გვაქვს — ნებისმიერი ხმოვანი ან თანხმოვანი. ამის გათვალისწინებით, დასტურდება შემდეგი სილაბური მოდელები: **V, SV, VS, CV, VC, SVC, CVS, SVS, CVC**.

ბეჭიტური ენის ფონემატური სტრუქტურიდან გამომდინარე, შეთვისებული ლექსიკის ანლაუტის მარცვალში თანხმოვანთა თავყრა აკრძალულია და თანხმოვანთკომპლექსების სუპერაცია

ორი გზით ხდება: ა) პროთეტული ხმოვნის დართვით: **იშთოფი** (< ქართ. „შტოფი“ < რუს. **штоф**), **ისტოლი** (< ქართ. < რუს. **стол**) „მაგიდა“, **იშკოლა** (< რუს. **школа**) „სკოლა“...; ბ) თანხმოვანთმიმდევრობაში ხმოვნის ჩართვით ან მეტათეზისით: **ბირინჟი** (< ქართ.) „ბრინჯი“, **ბალინცა** (< რუს. **бальница**) „საავადმყოფო“, **კარამიტი** (< ქართ.) „კრამიტი“.

ინლაუტური მარცვლის სტრუქტურაში, რომელსაც მეტწილად ფუძისეული მორფემა ქმნის, არ დასტურდება **VS, VC** ტიპის მოდელები. მათი უქონლობა შეპირობებული ჩანს იმით, რომ ინტერვოკალური კონსონანტი დამარცვლისას მომდევნო ხმოვანს ეკედლება.

ინლაუტში გვხვდება შემდეგი სილაბური მოდელები: **CV, SV, CVS, SVC, CVC, SVS, CSVS, SCV**.

აუსლაუტში მარცვალი მარჯვნივ შეიძლება გაივრცოს მხოლოდ და მხოლოდ ერთი თანხმოვნით. ამ წესიდან გადახრები ანომალიურია. აუსლაუტში ძალიან ხშირად დასტურდება **SV, CV** სილაბური მოდელები, შედარებით ნაკლებად გვხვდება **SVC, CVS, CVC, SVS**.

1.5.2. **მარცვალთგასაყრის საკითხისათვის.** არსებობს რამდენიმე ფონოლოგიური თეორია სიტყვის დამარცვლის შესახებ [შჩერბა 1948 : 78; ტრახტეროვი 1956 : 15; ავანესოვი 1956 : 22; უთურგაიძე 1976 : 139...], თუმცა ვერც ერთი ვერ გვაძლევს მარცვლის საზღვრის დადგენის ზუსტ ექსპლიციტურ წესებს. რამდენადაც „დამარცვლის კანონზომიერება ენის ფონემატური სტრუქტურის კანონზომიერებებს ემყარება“ [შჩერბა 1948 : 80], მარცვალთგასაყრის წესებიც, ენათა მიხედვით, მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

დისტრიბუციული ანალიზის შედეგებისა და ფონემატურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით ჩამოვაყალიბებთ დამარცვლის ხუთ წესს:

1. **რამდენადაც მარცვლის შესაქმნელად ერთი ხმოვანიც სავსებით საკმარისია, ერთ მარცვალში მხოლოდ ერთი ხმოვანი გვაქვს.**

2. **ინტერკონსონანტური ხმოვანი, თუ მას მოსდევს ერთი თანხმოვანი, წინამავალ თანხმოვანს ეკედლება,** მაგ.: ი-და-რა „მართველობა“, ბა-დი „სხვა“, ბა-წო „მგელი“, ბა-შა-რა „მზრუნველობა“ და სხვ.

3. **ინტერვოკალური თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო ხმოვანს,** მაგ.: ი-სი „და“, ო^ნ-ხა-წე „ლორმუცელა“, ა-ჯო „ცოლი“.

VCV სტრუქტურის მორფემაში სადემარკაციო ხაზის გავლება თანხმოვნის წინ (V — CV) გამართლებულია ორი ფაქტორით: ა) ღია მარცვლისადმი მიდრეკილებით; ბ) სიტყვის ფონემური შედგენილობით, რომელშიც ინტერვოკალური თანხმოვანი ყოველთვის ძლიერდამართვიანია. გარდა ამისა, CV მიმდევრობა შენივთების მეტი უნარით გამოირჩევა, რასაც საგანგებოდ გახაზავს ა. ტრახტეროვი: „თანხმოვნის საარტიკულაციო მიდრეკილება მომდევნო ხმოვნის მიმართ უფრო ძლიერია, ვიდრე წინამავლის მიმართ“ [ტრახტეროვი 1956 : 23].

4. **ინტერვოკალურ პოზიციაში ორი ან ორზე მეტი თანხმოვნიდან პირველი პირველ მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენები კი — მომდევნოს,** მაგ.: ა^ნ-სალ „აჩქარება“ ქორ-თო „ჭურჭელი“, წო-დორ-ლ^ი „სიფრთხილე“.

5. **მარცვალთგასაყარი დაიდება გაორმაგებული თანხმოვნის ცენტრზე პიკებს შორის და გაიყოფა ორად,** მაგ.: ჯუს-სუ „ვიწრო“, ლახ-ხი „ბევრი“, ბგხ-ხუ „თბილი“ და მისთ.

1.6. **მახვილი.** ცნობილია დებულება, რომ „ენაში არ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური ანდა წმინდა ტონური მახვილი, არამედ ჭარბობს ერთ-ერთი მათგანისათვის დამახასიათებელი მომენტები“ [ჩიქობავა 2008 : 96]. სწორედ ამ ორი სახეობიდან (დინამიკური, ტონური) ბეჭიტურისთვის უფრო მეტად დინამიკური მახვილი არის ნიშანდობლივი.

1.6.1. **მახვილის ბუნება და ადგილი.** ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამჟამად ბეჟიტური ენის სიტყვათმახვილი სუსტი დინამიკური და არაფიქსირებულია. მასთან, მას შეიძლება დისტინქციური ფუნქციაც გააჩნდეს, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მის ფონოლოგიურ ირელევანტურობას უსვამენ ხაზს [ვან დენ ბერგი 1995 : 29; ხალილოვი 1995 : 394; შდრ. ლომთაძე 1984 : 135].

ელ. ლომთაძეს შენიშნული აქვს, რომ სახელობითისა და ერგატივის ბოლოხმოვნის ფუძის მქონე ფორმების გასარჩევად გამოყენებულია მახვილი, მაგ.: სახ. ბრლო „სახლი“ — ერგ. ბილო, ცაყდაჰლა „დედები“ — ერგ. ცაყდაჰლან და სხვ.

გრამატიკული ფორმების გასარჩევად მახვილი სხვაგანაც გამოიყენება. კერძოდ, ერგატივისა და მრავლობითი რიცხვის ფორმებს მარტოოდენ მახვილი განასხვავებს, მაგ.: სახ. აწო „ცოლი“ — ერგ. აწჰ, მრ. რ. აწჰა, სახ. ონ „მუცელი“ — ერგ. ონჰ, მრ. რ. ონჰა, სახ. წემუწ „კვერცი“ — ერგ. წემუწან, მრ. რ. წემუწან და სხვ. მისთ.

სიტყვაში მახვილის ადგილი დამოკიდებულია არა მარტო სიტყვის ფონემატურ სტრუქტურაზე, არამედ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილზედაც. მასთან, მახვილი მკაფიოდ ლოკალიზებული არ არის [მაღიევა 1965 : 33]. როგორც ჩანს, დიალექტთა და თქმათა მიხედვითაც მახვილი მეტ-ნაკლებ თავისებურებას ამჟღავნებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მახვილი ჩვეულებრივ თავმარცვალს ან მეორე მარცვალს ეცემა, მაგ.: ბრწი „ცხვარი“, ცრმატო „ვირი“, რჰრ „ვაჟი“, ჰნლტი „საქმე“, ბნლო „სახლი“, ჩახნლალ „დაწერინება“, ნგსარ „თქვა“, რეჟერ „წაიღო“ და მრ. სხვ.

იმ ფორმებს, რომელთაც გრძელი ხმოვანი მოეპოვება, მახვილიც, როგორც წესი, ამგვარ ხმოვანს მოუდის, რაც არაიშვიათად სიგრძისა და მახვილის აღრევის მიზეზი ხდება. შესაძლოა მახვილი ხანდახან ხმოვანთა სიგრძესაც შეერწყას, თუ შერწყმის შედეგად მახვილიანი ხმოვანი გრძელდება.

საგულისხმოა, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმებს მახვილი ხშირად თავკიდურა მარცვალზე მოუდის, თუმცა ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფორმებში იგი აუსლაუტისაკენ ინაცვლებს, მაგ.: სახ. ყანა „კევი“ — ერგ. ყანა-ლრ, მრ. რ. ყანწ, სახ. რნოჟა „ზვა-ვი“ — ერგ. რნოჟა-ლრ, მრ. რ. რნოჟწ.

ჩვენი აზრით, ორმარცვლიან ინფინიტივის ფორმებს მახვილი თავმარცვალზე ეცემა, რაც ასახულია კიდევ ბოლოხან გამოქვეყნებულ ლექსიკონებში [ხალილოვი 1995; ისაყოვი, ხალილოვი 2001; შდრ. იმნაიშვილი 1963 : 22; ლომთაძე 1984 : 34], მაგ.: კალ'ალ „გამოყოფა“, ქრქკალ „შემსუბუქება“, ძწვალ „მოხვდომა“, „არსებობა“ და მრ. სხვ.

პირობითი კილოსა და სიტყვაწარმოების აფიქსიან ფორმებში მახვილი ფუძეებს ბოლოში მოუდის. გარდა ამისა, არსებობს მუდმივმახვილიანი ფუძეები, რომლებსაც ფლექსია-დერივაციისას მახვილი ერთსა და იმავე ხმოვანზე ექნებათ ლოკალიზებული [დაწვრ. იხ. ლომთაძე 1984].

თავი II

ფონეტიკური პროცესები

2.1. კომბინაციური ფონეტიკური პროცესები

2.1.1. **ხმოვანთა კომბინაციური პროცესები.** 1) ბეჟიტური ენის დიალექტებსა და თქმებში შეინიშნება **ხმოვანთა ალტერნაციის მოვლენები**, მაგ., **ა ~ ე: ი ნაჟი** (კაბ.) — **ნეზი** (ხაშ.) — **ნიჟი** (ჰუნზ.) „ნიორი“, **გალ'ი** > || **გალ'ი** (ხაშ.) — **გელი** (ტლ.) — **გეჟ** <*გეჟი <გელი (კაბ.) „არის“, **ცუხანი** (კაბ.) — **ცუხენი** (ხაშ.) „სხვენი“...;

ე ~ ო: **მუშე** (ჰუნზ.) — **მუშო** (კაბ.) „სუნი“, „სუნთქვა“, „ჰაერი“, **როლ'ე** (ჰუნზ.) — **რალ'ო** (ტლ.) „შუალა“, **ოჟო** (ხაშ.) — **ოჟე** (ტლ.) „ვაჟი“, **ენ'ხე** (კაბ.) — **ეხო** (ხაშ.) „მდინარე“.

ი ~ ე: **ზაჟი** (კაბ.) — **ზაჟე** (ხაშ.) „ზაჟი“, **ფიკ** (კაბ.) — **ფეკ** (ხაშ.) „ლილი“, **ლინი** (ჰუნზ.) — **ლინე** (კაბ.) „ზამთარი“, **ლიდიტინა** (კაბ.) — **ლირტენა** (ტლ.) „კატოკი“, **ბენზინ** > || **ბენზენ** (კაბ.) „ბენზინი“.

ა ~ ო: **ჰანილაჟას** (კაბ.) — **ჰანილოს** (ჰუნზ.) „ალისფერი“.

ი ~ ა: **ლ'იწო** (კაბ.), **ლ'იჭო** (ტლ.) — **ლაჭი** (ჰუნზ.) „ტანსაცმელი“, **მილ'ო** (კაბ.) — **მალუ** (ჰუნზ.) „ფრჩხილი“.

ო ~ უ: **ზიქრო** (კაბ.) — **ზიქრუ** (ხაშ.) „ლოცვა“, **მოჟ** (კაბ.) — **მურ** (ხაშ.) „კევერი“, **მილ'ო** (კაბ.) — **მალუ** (ჰუნზ.) „ფრჩხილი“.

უ ~ ო: **ხალუ** (კაბ.) — **ხალო** (ტლ.) „ხახვი“.

ხმოვანთა ზემოწარმოდგენილი მონაცვლეობა ბევრ შემთხვევაში რაიმე კანონზომიერებით არ ჩანს შეპირობებული. ამგვარ ცვლილებებს, როგორც ჩანს, საფუძვლად ედება სხვადასხვა ფონეტიკური თუ მეტაფონეტიკური (პერცეფციული, ანალოგიური...) ფაქტორი [იხ. მადიევა 1965 : 31-32; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 70].

2) ხაშარხოტულ თქმაში გვხვდება ხმოვანთა **გაჩენის** შემთხვევები ინლაუტსა და აუსლაუტში, მაგ.: კაბ. გოტ — ხაშ. გოტი „კვამლი“, კაბ. ჰაბ — ხაშ. ჰარე.

3) გავრცელებულია **ხმოვანთა რედუქცია** — მახვილიანი ხმოვნის ზემოქმედებით უმახვილო ხმოვანი ნაწილობრივ ან მთლიანად რედუცირდება, მაგ.: საკ. ბეჟ. ყალბი (< ქართ. ყალიბი "id".) „ყალიბი“, უმთელ < უმითელ (შდრ. რუს. учитель) „მასწავლებელი“, გელი > გეი > გეჲ „არის“, უოდრ-ყ (< უოდრ-ყი) „დღეს“, ბოხნ-ყ (<*ბოხნ-ყა) „ბალახებში“ და მისთ.

ფუძეთა და აფიქსთა საურთიერთო ზეგავლენის შედეგად ხდება ხმოვანთა დაკარგვა. როგორც წესი, იკარგვის უმახვილო ხმოვანი. კერძოდ, „და“-ს ბადალ მანერთებელ კავშირად გამოიყენება **-ნო**, რომელიც მახვილიან ხმოვანზე დასრულებულ ფუძეებთან **ო**-ს კარგავს, მაგ.: ჰუნზ. ქიდ „გოგო“ + ოჟე „ვაჟი“ — ქიდ-ნო ოჟენ (< ოჟენო) „გოგო და ბიჭი“, ბჰხ „ბალახი“ + ხონ^ნო „ხე“ — ბჰხნო ხონ^ნონ (< ხონ^ნონო) „ბალახი და ხე“ და მრ. სხვ.

ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ბრუნვისნიშნისეული ხმოვნითი ელემენტები რედუცირებულია, მაგ. ჰუნზ. სახ. ლადე „ყვა-ვი“ — ერგ. ლადრ-ლ (<*ლადრ-ლი); საკ. ბეჟ. სახ. უარა „ძროხა“ — ერგ. უარან (*უარან-ლ <* უარან-ლი).

გარდა ამისა, ლოკატიურ ბრუნვათა ნიშნისეული ხმოვნები მახვილის ზემოქმედებით არის დაკარგული, მაგ.: ჰუნზ. მარან-ტჰ (<*მარან-ტჰო) „მთაზე“, მიჟუ-გ (< მიჟუ-გო) „ჩვენთან“ და სხვ. მისთ.

ხმოვანზე დასრულებულმა ხმოვანმახვილიანმა ფორმანტმა შეიძლება გამოიწვიოს ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის **აპოკოპე**, მაგ.: ოჟუტ „ვაჟი“ — ერგ. ოჟუ-დრ (< ოჟუტ-დრ) „ვაჟმა“, სიჲო „რა“ — ერგ. სინ-ლრ და მისთ.

გარდა ამისა, აპოკოპეს იწვევენ:

ა) მრავლობითი რიცხვის ფორმანტები ჰუნზიბურ დიალექტში: ზნტჰა „თითი“ — ზნტჰ-ბან, ჰრლჲ „ტერფი“ — ჰრლ-ურ, ბგცუ „მკლავი“ — ბგც-ლა, ჰარე „თვალი“ — ჰარ-ურ, ჩიკე „თიკანი“ — ჩიკ-ბა...

ბ) ჰუნზიბური დიალექტის ბრძანებითი კილოს ფორმანტები, რომლებსაც მოუდის მახვილი: ფუძ. ნგს^ჰ, ბრძ. ნგს-რ „გაყიდე!“ ფუძ. ნგლ^გ-, ბრძ. ნგლ'-ო „მომეცი!“ ფუძ. ცე^ნტ^ე-, ბრძ. ცე^ნტ^ე-რ-ბ „წავიდეს!“ და სხვ.

გ) ჰუნზიბურში უმახვილო აუსლაუტში ბეჟიტური ო-ს ადგილს უ იჭერს, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნაწილობრივ რედუქციად. ამასთანავე, ამ მოვლენას კანონზომიერი და რეგულარული ხასიათი აქვს, მაგ.:

საკ. ბეჟ.	ჰუნზ.	
რაკო	როკუ	„გული“
ჰუდო	ჰუნ ^ნ დუ	„მემა“
ჰატტო	ჰატტუ	„ფქვილი“
რაჰჰო	რაჰჰუ	„ცივი“
იცილო	იჩილუ	„ძველი“, „მოხუცი“
ნუცო	ნუცუ	„თაფლი“
სუკო	სუკუ	„კაცი“

ე. ლომთაძის მახვილგონივრული მოსაზრებით, ფუძეთა აბსოლუტურ ბოლოში რეალიზებული ო ხმოვნის დავიწროება წინა პოზიციის მახვილის ზეგავლენით არის გამოწვეული [ლომთაძე 1984 : 112].

რაც შეეხება ერთმარცვლიან სახელებს, რომლებშიც მსგავსი პროცესი ხდება, იგი ანალოგიით უნდა იყოს წარმოქმნილი:

საკ. ბეჟ.	ჰუნზ.	
ჟო	ჟუ	„ნივთი“, „რამე“
ჯო	ჯუ	„ოცი“ ¹

¹ ხო („ხორცი“) უცვლელად დაიცვა ორივე დიალექტმა. როგორც ჩანს, ანალოგია ყველა შემთხვევაში ერთნაირად არ მოქმედებს.

4) ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში დასტურდება **ხმოვანთა შერწყმისა** და ამის შედეგად გრძელი ხმოვნის ჩამოყალიბების ფაქტები. ა) კაპუჭურ თქმაში მრავლობითი რიცხვის ერგატივში ბრუნვის ნიშანი **-მო** კარგავს პირველ კომპონენტს და წინამავალ ხმოვანს ერწყმის, მაგ.: მადოჰალლა „მეზობლები“ — ერგ. მადოჰალლ^ჲ (< მადოჰალლა-მო), ჰალმადლა „ამხანაგები“ — ერგ. ჰალმადლ^ჲ (< ჰალმადლა-მო).

ბ) ორსავე დიალექტში დიურატიული ასპექტის გამომხატველ ზმნურ ფორმებში მრავალგზისობის სუფიქსის ხმოვანი გრძელია, რაც ხმოვანთა შერწყმით ჩანს მიღებული: დლოჰ-დ^ჲ-ს „თიბავს ხოლმე“, დოჰ-დ^ჲ-ს „მუშაობს“, ჩახ-დ^ჲ-ს „წერს ხოლმე“ და მისთ.

გ) ცალკეულ ზმნათა ფუძეში ხდება ინტერვოკალური თანხმოვნის (*resp.* თანხმოვანთა) დაკარგვა, რაც იწვევს ხმოვანთა თავყრას. ჰიატუსის სუპერაცია ხდება მათი შერწყმითა და გრძელი ხმოვნის ფორმირებით, მაგ.: ჯ^ჲ-ც (< ჯოჰ^ჲ-ც) „სწავლობს“, „კითხულობს“, რ^ჲ-ც < რუჟ^ჲ-ც (მდრ. ჰუნზ. რუო-ჩ) „აკეთებს“, გ^ჲ-ს < გი^ჲ-ს „მოვა“ და სხვ.

დ) ინფინიტივის ნიშანი **-ა** დიურატიულობის ნიშნის (**-და**) ხმოვანთან შეხვედრისას ერწყმის მას და გრძელდება, მაგ.: ჰუნზ. ჩახ-დ-^ჲ (<*ჩახ-და-ა <*ჩახ-და-ალ) „წერა“, ცოჰ-დ-^ჲ (<*ცოჰ-და-ა <*ოჰ-და-ალ) „მუშაობა“, ხგს-დ-^ჲ (<*ხგს-და-ა < ხგს-და-ალ) „ფხანა“ და მრ. სხვ.

ე) მადიექტივებელ **-მო** სუფიქსსა და ფუძისეულ ხმოვანს შორის ხმოვანთგამყარი შეიძლება არ ჩაერთოს, რაც შედეგად ხმოვნის სიგრძეს გვაძლევს: ილ^ჲ < ილ'ა-მო (მდრ. ჰუნზ. ბელ'ა-რუ "id".) „მაგარი“, ნიყ^ჲ || < ნიყა-მო „მწარე“, ყოყ^ჲ || < ყოყო-მო „მძაღე“, „მყრალი“ და ა. შ.

5) **ხმოვანთა სინკოპირების** თვალსაზრისით საინტერესოა ზოგი ნასესხობის ჩვენება, რომლებშიც რეალიზებულია ხმოვნის უკვალოდ დაკარგვა, მაგ.: ჰერესი „ტყუილი“ — ჰერსუჟან „მატყუარა“, ალბალი (< ქართ.) „ალუბალი“, ჰანგარში (< ქართ.) „ანგარიში“ და სხვ. მისთ.

ბ) **დიფთონგიზაცია**. დიფთონგები დამახასიათებელია ბეჟიტური ენის ფონოლოგიური სტრუქტურისთვის. მასთან, დასტურდება როგორც აღმავალი (**აა-**, **აე-**, **აი-...**; **აჟა-**, **აჟე-**, **აჟი-...**), ისე დაშავალი (**-აა**, **-აე**, **-აი...**; **-აჟ**, **-აჟე**, **-აჟი...**) დიფთონგები, რომლებიც უპირატესად ერთგვაროვან ცვლილებებს ემორჩილებიან [იხ. 1.2.].

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ბეჟიტური ენის ლექსემათა და ფორმათა ანლაუტში გვაქვს როგორც ისტორიული დიფთონგი, ისე პოზიციური.¹ პირველ შემთხვევაში აღმავალი სახის დიფთონგს ქმნის კლასის ექსპონენტი, მაგ.: საკ. ბეჟ. **აე**-სცა „გჭამ“, **აე**^ნ-ღეო „გავადე“, **აა**-ტალ „სიყვარული“, **აჟ**-ყო „დიდი“.

რაც შეეხება პოზიციურ დიფთონგს, იგი ზოგჯერ იქმნება **C + W** კომპლექსის მოშლის საფუძველზე **C + W > W**, როცა მისი მომდევნო კომპონენტი (**ჟ**) მეზობელ ხმოვანთან არტიკულაციის უმოკლესი გზის წესის რეალიზაციით აღმავალ დიფთონგს ქმნის, მაგ.: ჰუნზ. **ჟა**დნ „დღე“, „წვიმა“, **ჟა** „ძალი“, **ჟა**ლლაპ „ღმერთო“, „ღმერთმანი“, **ჟელი**ლჩ „საქართველოში“, **ჟი**ჭდნ „ჭიკჭიკი“, **ჟე**ხნ „მწყემსი“ და მრ. სხვ.

ინლაუტში, როგორც წესი, ტრიფთონგები გვხვდება, რომელთა წარმოქმნის ერთი გზა არის ინტერვოკალურ პოზიციაში (**V — V**) **ა** და **ჟ** სონანტების ჩართვა, მაგ.: საკ. ბეჟ. სიბოჟას „შემოდგომისა“, ყორიან „ფასკუნჯი“, დეჟეოლი „წადება“, „წაყვანა“, მისრიანლა „ეგვიპტელები“ და ა. შ.

ამჟამად აუსლაუტში ბილაბიალური სონანტი მხოლოდ ტრიფთონგს ქმნის, ვინაიდან აუსლაუტური კლასიფიკატორი ძირეულ მასალაში მოშლილია, მაგრამ **ა** ხშირად დასტურდება პოზიციური დიფთონგისა თუ ტრიფთონგის ერთ-ერთ კომპონენტად, მაგ.: საკ. ბეჟ. ლ'იო „ქვეშ“, ხულ'ოო „დალია“, ხო

¹ ისტორიული და პოზიციური დიფთონგების განსხვავებისათვის იხ. [არდოტელი 2009: 72].

„ცხვარი“, ჰაჲ „თვალი“, რაჰაჲ „კლიტე“, ქოროჲა „ძროხები“, ქუჲო „ხევი“...; ჰუნზ. სოჲ „ვის?“, ჩანხადიჲა „დასაწყერად“, ნიჲო „საით?“ და მისთ.

2.1.2. თანხმოვანთა კომბინაციური პროცესები

2.1.2.1. **თანხმოვანთა დაკარგვა.** ცნობილია, რომ ნ, მ (ხანდახან რ) დასუსტების ნიადაგზე მეზობელ ხმოვნებს ანაზალეზენ, რაც ნაწილობრივი რედუქციის ტოლფასია. ნაზალური ელფერი შეიძლება ამ ხმოვნებთანაც თანდათან წაიშალოს. ეს მოვლენა უფრო მეტად ხაშალხუტურ თქმასა და ჰუნზიბურ დიალექტს ახასიათებს, მაგ.: კაპ. ი^ნზ — ხაშ. იზ „ცხრილი“, კაპ. ა^ნც — ჰუნზ. ე^ნცუ — ხაშ. აც „კარი“, კაპ. ლ^ნუ^ნ — ხაშ. ლ^ნუ „მატყლი“, კაპ. ო^ნგ — ხაშ. ოგ „ცული“, კაპ. ცა^ნ — ჰუნზ. ცა „ვარსკვლავი“ და მისთ.

2.1.2.2. **ასიმილაცია.** ბეჟიტური ენისთვის მეტად პროდუქტიულია ასიმილაცია. გავრცელებულია როგორც პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია, ისე რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია. ასიმილაციის პროცესი რეალიზებულია:

ა) **ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებში:** ჰონ^ნს^ნუ || ჰონ^ნს^ნუ (საკ. ბეჟ.) „ყოველთვის“, ციც^ნრო (ხაშ.) — ციც^ნო (კაპ.) „მათრახი“, ბეზ^ნხი < ბეჲხი < ჲეზ^ნხი (< ქართ.) „ვეფხვი“, გოგ^ნრა (ხაშ.) — გოგ^ნა (კაპ.) „ზარი“, ოქ^ნრო (ხაშ. < ქართ.) — ოქ^ნო (კაპ.) „ოქრო“, ჲშთენ^ნიცა (< რუს. учительница) „მასწავლებელი“ და მისთ.

ბ) **შემჩნეულია რეგრესული ასიმილაციაც** [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 73], მაგრამ ამ შემთხვევებში კითხვა ისმის: რ > ჲ პროცესი თავისთავად ხდება, თუ ჲ-ს გავლენით, მაგ.: სორ^ნა (ხაშ.) — სოჲა (კაპ.) „ცხენი“, კორ^ნა (ხაშ.) — კოჲა (კაპ.) „ბეჭელი“...

გ) **ერგატიული ბრუნვის ნიშნისა და ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნის შეხვედრისას**, მაგ.: ზამან „დრო“ — ერგ. ზამალ^ნლი, ხან „მეფე“ — ნათ. ხალ^ნლი-ს: ჲუყონა გეჲ ბუყა ყონა ქიბ^ნბა (< ქიდ-ბა — ნ. ა.) ხალ^ნლის (მად. 1965 : 93) „მეფეს

ჰყავდა (ზედმიწ. „იყო“) დიდი ორი გოგო“. მესედ (ჰუნზ.) „ოქრო“ — ერგ. მესილ-ლი და მრ. სხვ.

დ) **მრავლობითი რიცხვის ფორმებში**, მაგ.: ი^ნჯ „თუში“ — ი^გ-ჯა < *ი^გ-ბა (შდრ. ჰუნზ. ი^გ-ბო "id".), ბეჟ „ბაკი“ — ბეჟ-ჟა || < ბეჟ-ლა, ი^ნზ „საცერი“ — ი^ნზ-ჯა < *ი^ნზ-ბა, შადტან „ეშმაკი“ — შადტალ-ლა < შადტან-ლა, დაღისთან „დაღესტანი“ — დაღის-თალ-ლა < დაღისტან-ლა „დაღესტნელები“, ხორ „ცხვარი“ — ხოლ-ლა < ხორ-ლა და მრ. სხვ.

ე) **აწმყო დროის წარმოების დროს**: ოც-ცა (< ოწ-ცა) „აგდებს“, ჰიწ-წო (< ჰიწ-ცო) „ეშინია“, ძაც-ცა (< ძატ-ცა) „უყვარს“...

2.2.2. **სისინა სიბილანტთა გაშიშინება**. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის კაპუჭურსა და ტლადალურ თქმებს შორის უენიშნუ-ლია სისინა სიბილანტთა გაშიშინების პროცესი [ლომთაძე 1956 : 378; მაღიევა 1965 : 16-18; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 70-71]. გაშიშინება რეალიზებულია წინა რიგის ე, ი ხმოვანთა და ძ სონანტის მეზობლად, ამიტომ ისინი მიღებულნი უნდა იყვნენ პალატალიზაციით. საილუსტრაციო მაგალითები:

	კაპ.-ხაშ.	ტლად.	
ზ : ჟ :	გეზა ჰალტეზი	გეჟა ჰალტეჟი	„ლილი“ „მუშაობა“
ს : შ :	სიშო სიკო	შიყო შიკო	„რა“ „პირი“

ზემოწარმოდგენილი ცვლილებები შეპირობებული ჩანს პალატალიზაციით, რაც დაჩნდება გრამატიკულ ფორმათა, კერძოდ, სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილებისასაც, მაგ.: ჰუნზ. ც^ნ „მარილი“ — ნათ. ჩიშო-ს, საკ. ბეჟ. ჰიწ-ალ (ტლ.) „ჩვენება“ — აწმყ. ჰიწეჩ, ლ^ნწ-ალ „ჩაცმა“ — ნამყ. ლ^ნწეშო, ბრძ. ლ^ნწა! ძეზალ „წყავანა“, „წალება“ — აწმყ. ძეჟემ და მისთ.

საფიქრებელია, რომ პალატალიზაციას უკანამავალი **ი** და **ე** ახდენდნენ, ვინაიდან წინმდგომი ხმოვანი ამას ვერ ახერხებს, მაგ.: დი**ც**-ალ „ჩურჩინა“, „ჩეჩვა“ — კაუზ. დი**ჩ**ელ-ალ „ჩეჩვინება“, „გაფცქვნევა“, ლე**ს**-ალ „ჩაკეტვა“ — ნამყ. ლე**შ**ენა „ჩაკეტა“ და მრ. სხვ.

2.2.3. **შიშინა სიბილანტთა გასისინება.** სპირანტთა (**ზ**, **ს**) და აფრიკატთა (**ც**, **წ**) წარმოქმნა შესაბამისი შიშინე-ბისაგან (**ჟ**, **შ**, **ჩ**, **ჭ**), რაც რეგულარულ ხასიათს ატარებს ხუნძური ენის დიალექტებსა და ჭამალურ ენაში [ტრუბეცკოი 1987 : 257; ცერცვაძე 1948 : 137-141; მიქაილოვი 1958 : 98-99; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 69-75; გუდავა 1964 : 83...], ბეჟიტური ენის თქმებსა და დიალექტებში სპორადულად ხდება. მასთან, სიბილანტთა მონაცვლეობა ძირითადად შეპირობებული ჩანს პალატალიზაციით, ვინაიდან **ი**, **ე** ხმოვანთა და **ა** სონანტის მეზობლად ხორციელდება [იხ. არდოტელი 2009 : 157-161; შდრ. გუდავა 1979 : 43-47].¹ კერძოდ, სიბილანტთა გასისინების თვალსაზრისით, ბეჟიტური ენის დიალექტები ერთგვაროვან სურათს არ გვიჩვენებენ — გასისინება მეტწილად ტლადალურ და ხაშარხოტულ თქმებს ახასიათებს, შედარებით ნაკლებად იგი ჰუნზიბურ დიალექტშიც იჩენს თავს.²

შიშინა სპირანტები **ჟ**, **შ** კაპუჭურ და, განსაკუთრებით, ხაშარხოტულ კილოკავში სისინა სპირანტებად გარდაიქმნებიან, ხოლო ტლადალური კილოკავი და ჰუნზიბური დიალექტი არქტიპებს ინახავენ. საილუსტრაციო მაგალითები:

¹ იშვიათად ეს წესი ირღვევა, მაგ.: კაბ. **წიმაწ** — ხაშ. **წიმაწ** — ტლ. **ჭიმაჭ** „ღრძილი“, მაგრამ: კაბ. **წემუწ** — ხაშ. **ჭემუწ** — ტლ. **ჭემუჭ** „კვერცხი“ და მისთ. ჩანს, კომბინაციურ პროცესს სპონტანურ პროცესში გადაზრდის ტენდენცია უყალიბდება.

² ცალკეული შემთხვევები არც კაპუჭური მეტყველებისთვის არის უცხო, მაგ.: ე**წ** „ვაშლი“ — ერგ. ე**ს**ა, მ**აჩ**ე „მიწა“ — ერგ. მი**ც**ა...

კაბ.	ხაშ.	ტლ.	ჰუნზ.	
ზ	ზ	ჟ	ჟ	
ი ^ნ ზო	ი ^ნ ზო	ი ^ნ ჟო	ი ^ნ ჟუ ¹	„თესლი“
ზიზ-ნლ	ზიზ-ნლ	ჟიჟაჰ-ალ	ჟბჟ-ა	„შეწვა“, „შეხრაკვა“
ი ^ნ ზ	ი ^ნ ზ	იჟ	ე ^ნ ჟ	„ერთგვარი საცერი“
ბეზა		ბეჟა	ბეჟა	„ნაჭრის სარტყელი“, „მოსართავი“
გეზა	გეზა	გეჟა	გეჟა	„ლილკილო“, „საკინძე“
მეზ-ალ	მეზ-ალ	მეჟ-ალ	ბეჟ-ა	„წალემა“, „წაყვანა“
ბიზალბა ²		ბიჟალბა	ბილაჟბა	„წვერი“
ს	ს	შ	შ	
გისაქ-ალ		გიშაქ-ალ	გიშოქ-ა	„გამოსვლა“, „გამოყოფა“
ლ ^ი ისო	ლ ^ი ისო	ლ ^ი შო	ლ ^ი შა	„ცეკვა“
მეს-ალ	მეს-ალ	მეშ-ალ	ბეშ-ა	„ჭამა“
ნისდნ			ნიშე	„ლამით“
ხისა	ხისა	ხიშა	ხიშო	„ხვალ“

¹ ტ. გულდავას მონოგრაფიაში ბეჟ. იზო („თესლი“) თარგმნილია „თოვლად“ [იხ. გულდავა 1979 : 43]. თოვლის გამომხატველი სახელი ბეჟ. **ი^ნზ**, ჰუნზ. **ა^ნზ** სულ სხვა წარმომავლობის ამოსავალ **ზ**-ს შეიცავს [იხ. არდლოტელი 2009 : 120].

² გამონაკლისს ქმნის კაბ. **ნაჟი**, ხაშ. **ნეზი**, ჰუნზ. **ნიჟი** („ნიორი“), რომელშიც, წინა რიგის ხმოვანთა არსებობის მიუხედავად, **ჟ** > **ზ** არ ხორციელდება. ეს კი მიგვანიშნებს, რომ ამ პროცესს მოპოვებული აქვს სპონტანურობის სტატუსი [შდრ. გულდავა 1979 : 46].

ანალოგიურად იცვლებიან აფრიკატებიც:

კაბ.	ხაშ.	ტლ.	ჰუნზ.	
ც	ც	ჩ	ჩ	
ფეც		ფეჩ	ფეჩ	„ლუმელი“
ფეც-ალ	ფეც-ალ	ფეჩ-ჰლ	ბეჩ-ა	„ყოფნა“, „არსებობა“
ნიც	ნიჩ(?)	ნიჩ	ნიჩ	„სირცხვილი“
ციხიძო	ციხირო	ჩიხირო		„მთვრალი“, „ნასვამი“
იცილო	იცილო	იჩილო		„ძველი“, „მოხუცი“
წ	წ	ჭ	ჭ	
წიტ	წიტ	ჭიტ	ჭიტ	„დანა“
ლ'იწო	ლ'იწო	ლ'იჭო	ლაჭი	„ტანისამოსი“
ჰიწ-ალ	ჰიწ-ალ	ჰიჭ-ალ	ჰიჭ-ა	„შეშინება“
წიხო	წიხო	ჭიხო	ჭიხხუ	„შორს“
წიმაწ	წიმაწ ¹	ჭიმატ	ჭემატ	„ღრძილი“
წემუწ	წემუწ	ჭემუჭ	ჭემუ	„ბუხის კვერცხი“, „მატლი“
წიქე	წიქე	ჭიქე	ჭიგე	„რწყილი“

როგორც ზემომოყვანილი საილუსტრაციო მასალა ცხადყოფს, საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის კაპუჭურ და ხაშარხოტულ კილოკავებში ხდება გასისინება, ხოლო ჰუნზიბურ დიალექტსა და ტლადალურ თქმაში კი არქექიპები დაცულია.

¹ ეს ფორმა შესაძლოა ასიმილაციით იყოს მიღებული: წიმატ > წიმაწ.

გასაზიარებელია ტ. გუდავას თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საანალიზო მაგალითებში ამოსავალია შიშინა სიბილანტები [გუდავა 1979 : 45; შდრ. ლომთაძე 1956 : 378-379; მადიევა 1965 : 16]. ამის დასტურად შეიძლება დამატებით მოვიყვანოთ ნასესხობანი, რომლებშიც **შიშინა** > **სისინა** პროცესის მართებულობა ეჭვს გარეშეა, მაგ.: კაპ. გაგიზდა (< ქართ. გაგიჟდა) ძაჯალ „გაბრაზება“, თეფსი II < თეფში (< ქართ.)¹ „თეფში“, ჭევარი (< ქართ.) „მწევარი“ და მისთ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ზოგი საკითხი დაზუსტებას საჭიროებს. სახელდობრ, გასისინებას განიცდიან არა მხოლოდ საკუთრივ ბეჟიტური (resp. დიდოური) შიშინა სიბილანტები, არამედ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოური (resp. სხვაგვარი წარმომავლობის) შიშინა სიბილანტებიც, მაგ.: ხუნძ. ბეჟიზე ~ კარ. ბეჟა ~ ბეჟ. ზიზალ „შეწვა“, ხუნძ. ჭიეზე ~ საკ. დიდ. იჩა, საკ. ბეჟ. დეცალ „ყოფნა“, „არსებობა“ და ა. შ.

2.2.4. **სპონტანური ფონეტიკური პროცესები.**² ყურადღებას იქცევს **დელატერალიზაციის** პროცესი ჰუნზიბურ დიალექტში, მაგ.:

საკ. ბეჟ.		ჰუნზ.	
ლ'იწო (კაპ.),	ლ'იჭო (ტლ.)	ლაჭი	„ტანსაცმელი“
მილ'ო (კაპ.)		მალუ	„ფრჩხილი“
გელი (ტლ.),	გაღ'ი (ხაშ.)	ლი (<*გელი)	„არის“
ბოლ'ო (კაპ.)		ბოლო	„კისერი“

¹ ეს სიტყვა შეიძლება ხუნძურიდანაც იყოს შემოსული, როგორც მეორეული ნასესხობა, შდრ. ხუნძ. თებსი „სუფრა“, თეფში (ჭად.) „თეფში“.

² ამ საკითხებს აქ დაწვრილებით ვერ შევვხებით, რადგან ისინი ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შესწავლის საგანია. ვაკვრით შევჩერდებით მხოლოდ ორ საკითხზე [დაწვრ. იხ. არდოტელი 2009 : 150-180].

გარდა ამისა, ინტერვოკალურ პოზიციაში შეიმჩნევა უკანაენისმიერი ფშვინვიერი **ჟ**-ს გამჟღერება, მაგ.:

ჰუნზ.

საკ. ბეჟ.

ონ^ნგუ

ან^ნქო

„ნიჩაბი“

ჰიგე

ჰიქე

„რწყილი“

ბეგალა

ბექალა

„გველი“

გოჩორი

ქოჩორი (< ქართ.)

„ქოჩორი“

საინტერესოა, რომ შებრუნებული პროცესი თავად საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტშიც იჩენს თავს, მაგ.: ჰოგო „ის“ — ერგ. ჰოგ^ლო, (კაპ.), ჰოქ^ლო (ტლ.).

თავი III

მორფონოლოგია

3.1. **ზოგადი.** ფონოლოგიური და მორფოლოგიური მოვლენები და, აქედან გამომდინარე, კანონზომიერებანი ენობრივი იერარქიის სათანადო დონეზე საკმაოდ მკაფიოდ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული. მიუხედავად ამისა, ენის გლობალურ სისტემაში ფონოლოგიურ-ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები თანაარსებობენ და ერთმანეთზე მეტ-ნაკლებ ზემოქმედებას ახდენენ, რაც, ბუნებრივია, თავისებურად აისახება ენობრივი სისტემის შუალედურ რგოლში — მორფონოლოგიაში.

სპეციალურ ლიტერატურაში მორფონოლოგია განმარტება შემდეგნაირად: **"Морфонология имеет объектом варьирование фонем в составе морфов одной морфемы, т. е. их алтернации (чередования), называемые алломорфированием"** [ლელ 1990 : 315]. ანდა: „ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ტიპის მორფემათა ალომორფულ შედგენილობას, ალომორფებს შორის არსებულ მონაცვლეობებს და იმ ფონოლოგიურ ცვლილებებს, რომლებიც ვლინდება მორფემათა ურთიერთდაკავშირების დროს, მორფოფონოლოგია ან მორფონოლოგია, ანუ მორფოფონემიკა ეწოდება“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 189].

თ. უთურგაიძე მორფონოლოგიის არსს ასე განმარტავს: „მორფონოლოგია, ენის შუალედური სისტემა, წარმოადგენს მორფოლოგიისა და ფონოლოგიის ურთიერთზემოქმედების შედეგს ენის გლობალურ სისტემაში: მორფემის პოზიციურ ცვლილებას მორფემათა თანამიმდევრობაში ფონემატური მოდელის დაწოლით“ [უთურგაიძე 2009 : 102].

მაშასადამე, როგორც ზემომოყვანილი განმარტებები ცხადყოფს, მორფონოლოგია (*resp.* მორფოფონემიკა) წარმოადგენს ფონოლოგიისა და მორფოლოგიის შუალედურ საფეხურს, რომელზედაც ხდება ურთიერთზემოქმედებით გამოწვეული და შეპირობებული მორფონოლოგიური ცვლილებები. ამგვარ პროცესებში წამყვანი როლი შეიძლება ეკისრებოდეს რომელიმე მათ-

განს, მაგრამ დომინანტობა არ ნიშნავს, რომ მორფონოლოგია მივაკუთვნოთ ფონოლოგიას ან მორფოლოგიას [შდრ. კიბრიკი 2001 : 49-60]. მორფონოლოგიური წესების დადგენა უნდა განხორციელდეს ორივე ენობრივი იერარქიული დონის სპეციფიკური კანონზომიერებების მაქსიმალური გათვალისწინებით. ვინაიდან მორფონოლოგიური ტრანსფორმაციები ნიშანდობლივია უპირატესად მორფემათა საზღვრისათვის, ხოლო ფონეტიკური პროცესები კი მეტწილად მორფემის ფარგლებში სხვა მორფემათა გავლენის გამორიცხვით რეალიზდება, სირთულეს არ უნდა ქმნიდეს ენობრივ დონეთა ცვლილებების სტატუსის განსაზღვრა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩვენ შევეცდებით თავდაპირველად გავანალიზოთ ფონოლოგიური სისტემის დაწოლით შეპირობებული მოვლენები, შემდეგ კი — მორფოლოგიური სტრუქტურის ზემოქმედებით რეალიზებული ცვლილებები.

3.2. ჰიატუსის სუბერაციისათვის. ბეჟიტური ენისათვის ერთი სიტყვის ფარგლებში დამახასიათებელი არ არის ვოკალური კლასტირები.¹ ხმოვანთა თავყრის სუბერაცია ხდება ძირითადად სამი გზით: 1) **ხმოვანთა შერწყმით**, 2) **ეპენთეზისით**, 3) **კვეციით**.

1) ხმოვანთა შერწყმა მეტად გავრცელებული პოზიციური ფონეტიკური პროცესია, რომელიც მორფემათა ზღვარზე ორსავე დიალექტში დასტურდება [იხ. 1.1.4]. გრძელი ხმოვნების შერწყმისა და ამ გზით ჰიატუსის დაძლევის რამდენიმე წესი არსებობს:

ა) ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმით მიიღება გრძელი ხმოვანი: $V+V>\bar{V}$: საკ. ბეჟ. ბისა „თევზი“ — მრ. რ. ბისა ($<$ ბისა-ა), კაპ. ზოყა $<$ ზოყაოო ($<$ ხაშ. ზოყაოო) „დაბალი“, კაპ. ზუყა $\parallel <$ ზუყაოო „იყო“, ბა $\parallel <$ ბა-ოო „გააკეთა“, კაპ. ხა $<$ ხაშ. ხა-

¹ ამჟამად ჰიატუსის (V+V) დამკვიდრების ტენდენცია შეიმჩნევა ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში. კერძოდ, სარუსოს მეტყველებაში ორი ხმოვნის თავყრისას მათ შორის ხმოვანთგამყარდ ა ხშირად არ ჩაერთვის, მაგ.: კორია (შდრ. ბეჟ. კოჰჰ "id.") „ბეჭედი“, მია „დანესტიანება“ და მისთ. ანალოგიურ სურათს ვხვდებით საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტშიც, მაგ.: ბუალოო (ხაშ.) „დაიხოცნენ“, ბეაქირო (ტლ.) „წაიქცა“, ცანია „თხები“, ნენა „ძუძუები“ და ა. შ.

რო) „გეჯა“...; ჰუნზ. ჩახდ $\bar{\text{a}}$ (<*ჩახ-და-ალ) „წერა“, ბოჰ-დ- $\bar{\text{a}}$ (<*ბოჰ-და-ალ) „მუშაობა“, ნგლ'წყო < ნგლ'ა-ა-ყო < ნგლ'ა-ცა-ყო) „არ მისცე!“ და ა. შ.

ბ) თანხმოვანთა დაკარგვის შედეგად ერთად მოხვედრილ ხმოვანთა შერწყმა $V + C(S) + V > V + V > \bar{V}$: საკ. ბეჟ. ძ $\bar{\text{a}}$ ს (< ძოჟოს) „აკეთებს“, წოდოლ- $\bar{\text{a}}$ (< წოდოლ-ალ < წოდოლ-აძო) „შავები“, წიქ $\bar{\text{a}}$ (< წიქა-ო < წიქა-აძო) „სარკეები“, ტლ. ბიყ $\bar{\text{a}}$ (< კაბ. ბიყა-ცა-ს "id.") „არ ვიცი“, ნიყ $\bar{\text{a}}$ (< ნიყა-აძო) „მწარე“, ძ $\bar{\text{a}}$ ც $\bar{\text{a}}$ (< ძ $\bar{\text{a}}$ ც $\bar{\text{a}}$ -აძო) „წმინდა“, „ნათელი“, მ $\bar{\text{a}}$ (< მარო, შდრ. ჰუნზ. მარუ "id.") „მთა“...¹ ჰუნზ. ბ $\bar{\text{a}}$ ლ'- $\bar{\text{a}}$ (< ბ $\bar{\text{a}}$ -ლ'-ა-აძო) „ხნავს“, ნგლ'- $\bar{\text{a}}$ (< ნგლ'-ა-აძო) „აძლევს“ და სხვ.

გ) თანხმოვანთა რედუქციის საკონპენსაციოდ წარმოიქმნება გრძელი ხმოვნები $V + C(S) > \bar{V}$: საკ. ბეჟ. ოჟო-დ $\bar{\text{a}}$ (< ოჟო-დალ, შდრ. ჰუნზ. ოჟ-დალ "id.") „ვაჟები“, ჰ $\bar{\text{a}}$ -ჰ $\bar{\text{a}}$ ს „თითო-თითო“, დ $\bar{\text{a}}$ -დ (< დ $\bar{\text{a}}$ -დ) „მე“ (ინსტრ.)...; ჰუნზ. ობ $\bar{\text{a}}$ (< ობ $\bar{\text{a}}$ -ლ, შდრ. საკ. ბეჟ. აბო-ლ "id.") „მამას“, ბ $\bar{\text{a}}$ წ $\bar{\text{a}}$ (< ბ $\bar{\text{a}}$ წ $\bar{\text{a}}$ -ლ, შდრ. საკ. ბეჟ. ბა-წ $\bar{\text{a}}$ -ლ "id.")² „მგელს“, ყან $\bar{\text{a}}$ (< ყან-ი-ლ) „ორს“, ლ' $\bar{\text{a}}$ -ლ'ინო (< ლ'იო-ლ'ინო < ლ'ინო-ლ'ინო), „სამ-სამი“, რუჟ- $\bar{\text{a}}$ (< რუჟ-ალ, შდრ. საკ. ბეჟ. რუჟ-ალ "id.") „შეჭამს“, Ø $\bar{\text{a}}$ (< Ø $\bar{\text{a}}$ -ლ "id.") „წავა“ და მისთ.

2) ეპენტეზისის დროს მეტად პროდუქტიულია სონანტების (**ა**, **ჟ**) და გლაიდის (**ც**) ჩართვა ინტერვოკალურ პოზიციაში,³ რაც სათანადო მორფემათა (CV- — -VC) მიმდევრობაში წარმოიქმნება და მისი გამარტივება (გამიჯვნა) ფონემატური მოთხოვნით არის ნაკარნახევი [იხ. 1.1.5]. საილუსტრაციო მაგალითები:

¹ ზოგჯერ ხმოვანთა სიგრძის ახსნა სპეციალური ეტიმოლოგიური ძიების გარეშე ვერ ხერხდება, მაგ.: ჰ $\bar{\text{a}}$ „მსხალი“, წ $\bar{\text{a}}$ „მუცლის აპკი“ და მისთ.

² ვან დენ ბერგი ვარაუდობს, რომ ჰუნზ. ობ $\bar{\text{a}}$ (< ობ $\bar{\text{a}}$ -ლ) „მამას“ [ვან დენ ბერგი 1995 : 32], თუმცა საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტის მონაცემები ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს არ უჭერს [იხ. ლომთაძე 1996 : 155].

³ მორფემათა ზღვარზე, ჰიატუსის სუბერაციის გარდა, მათ შეიძლება დელიმიტაციის ფუნქციაც გააჩნდეთ.

ა) **ღ**: საკ. ბეჟ. **ღი-ღე** „ჩემი“, ისტოლი-**ღ-ალ'** ლ'ირო „მაგიდის ქვეშ“, **ბი-ღ-ა**ტიერო „დახოცა“, **აზ-ღ-ო** „მსუქანი“, ტურუცი-**ღ-ა** „დიღები“, **ლინა-ღ-იგ** „50“, **ზუ-ღ-ა**ყორო „იყვნენ“, **ბუ-ღ-ა**ლორო „დაიხოცნენ“...; ბ) **ჟ**: საკ. ბეჟ. **რუ-ჟ-ო**ჩატ „არ გავაკეთებ“, ჰუნზ. **ნუ-ჟ-ის** „არ მოვიდა“ და სხვ. მისთ.

გ) **ც**: საკ. ბეჟ. **ჟოდი-ც-ის** „დღის“, **ვო-ც-ოს** „კითხულობს“...; ჰუნზ. **ბი-ც-ერუ** „პატარა“, **ყერე-ც-ეჩა** „დაჯდომა“, **ღი-ც-ი** „მე“ (მიც.) და სხვ.

გარდა ამისა, ჰიატუსი შეიძლება დაძლეულ იქნეს სხვა გზითაც [იხ. 1.1.5; 1.1; 1.4.2].

3) სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას და ბრუნებისას ხელშესახებია ხმოვანთა **აპოკოპე**, მაგ.: საკ. ბეჟ. ჩოჯა „ჩოხა“ — მრ. რ. ჩოჯა¹ || < ჩოჯა-**ო**, მატა „შუბლი“ — მრ. რ. მატა || < მატა-**ო**..., სახ. ბუყო „დიდი“ — ერგ. ბუყა (< ბუყო-ა), სახ. ყონა „ორი“ — ერგ. ყონ-ი (< ყონა-ი) და სხვ. [იხ. 2.2.1; 5.2; 6.1.3].

3.3. სიბილანტთა გაშიშინების საკითხისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში, ა. კიბრიკი და ი. ტესტელეცი მიუთითებენ სიბილანტთა და სათანადო (სადა და პალატალიზებულ) ხმოვანთა ჰარმონიის კანონებზე [კიბრიკი, ტესტელეცი 2004 : 221-223]. ამ საკითხს შეხებია წინამორბედი თუ მომდევნო თაობის არაერთი მკვლევარი [ბოკარევი 1959 : 73; ლომთაძე 1956 : 379; 1963 : 72-81; მაღიევა 1965 : 16-17; გუდავა 1979 : 43-48; არდოტელი 2009 : 155-157].

ჩვენ იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომელიც, ზოგადად, დიდოურ ენებში, კონკრეტულად, ბეჟიტურში სისინა სიბილანტთა გაშიშინებას პოზიციურად ხსნის [ლომთაძე 1963 : 72-81; გუდავა

¹ აღსანიშნავია, რომ ე. ლომთაძე არაიშვიათად მრავლობითი რიცხვის ფორმებში ორ ხმოვანს ადასტურებს, მაგ.: გენი „მსხალი“ — გენი-ა, ბეჯი „ვეფხვი“ — ბეჯი-ა... [ლომთაძე 1996 : 86]. ამგვარი მრავლობითები ფაკულტატიურად არსებობენ და შეიძლება მიჩნეულ იქნენ გარდამავალ ფორმებად. ამგვარ ფორმებში ხმოვანთა სუპერაცია ხდება მათი შერწყმით (ტალო „ქვა“ — მრ. რ. ტალ-ა < ტალო-ა), ან ეპენტეზისით (ვოჯო „სახლი“ — მრ. რ. ვოჯო-ა < ვოჯო-ა).

1979 : 44; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 70-71...]. ამასთანავე, სისინ-შიშინათა მონაცვლეობაში ზოგი გარემოება დაზუსტებას ითხოვს. კერძოდ, სისინა სიბილანტები შესაბამის შიშინებად გარდაიქმნებიან წინა რიგის ე, ი ხმოვანთა და სონანტ მ-ს გავლენით, რაც პალატალიზაციად კვალიფიცირდება [გულდავა 1979 : 46]. რაც შეეხება პალატალიზებულ ხმოვანთა (ჰ, ო, უ) მომდევნოდ სისინათა გაშიშინებას, ამასაც ანალოგიური ახსნა ეძებნება [იხ. 2.2.2].

3.4. პალატალიზაციის თავისებურებანი. ცნობილია, რომ ბეჟიტურ ენაში პალატალიზაცია გულისხმობს ხმოვანთა ნაწილობრივ რეგრესულ ასიმილაციას, რისი ფორმულებიც ასე წარმოგვიდგება: ა + ი, ე, ე > ჰ, ო + ი, ე, ე > ო, უ + ი, ე, ე > უ.

ზემომოყვანილი ფორმულების რეალიზაცია ხდება ძირ-ფუძისეულ მორფემებში, მაგრამ არაიშვიათად ფუძის პალატალიზებული ხმოვნის გავლენით იგი თავს იჩენს ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსებშიც, მაგ.: ჟოჟ „ჩირქი“ — ჟოჟხ-ალ (< ჟოჟხ-ალ) „დაჩირქება“, ოლოჯან „ახალგაზრდა“ — ოლოჯან-აბ (< ოლოჯან-აბ) „ახალგაზრდული“...

სწორედ ზემოწარმოდგენილი მაგალითების ჩვენება ცხადყოფს, რომ ფუძისეული უმლაუტიანი ხმოვანი პროგრესული ასიმილაციის შედეგად სუფიქსისეულ ხმოვანთა ასიმილაციას ახდენს [იხ. არდოტელი 2009 : 68]. მიუხედავად ამისა, ბეჟიტურშივე შეიმჩნევა კომბინაციური ფონეტიკური პროცესის სპონტანურ ფონეტიკურ პროცესად გარდაქმნის ტენდენცია.

3.5. სინკოპე. ხელშესახებია ამა თუ იმ სეგმენტის ან გრამატიკული ელემენტის დართვისას ხმოვნის (resp. მთლიანი მარცვლის) სინკოპირება, მაგ.: უაჰდი (< უა + ჰუდი) „ეს“ (ზედმიწ. „აი, ეს“), უაჰლი (< უა + ჰული) „ეგ“ (ზედმიწ. „აი, ეგ“), უაგი (< უა + ჰაგი), უაგო (< უა + ჰაგო) „ის“ (ზედმიწ. „აი, ის“)... [იხ. ლომთაძე 1956 : 270].

3. 6. **მორფოლოგიის ზემოქმედებით გამოწვეული ცვლილებები.** წინა პარაგრაფებში ჩვენ განვიხილავდით ფონოლოგიური ფაქტორებით შეპირობებულ ცვლილებებს. ახლა შევეცდებით ისეთი ცვლილებების გაანალიზებას, რომლებსაც მორფოლოგიური ელემენტების დართვა იწვევს.

ცნობილია, რომ დიდოურ ენებში I გრამატიკული კლასის პოზიტიური ნიშანი არ ფიგურირებს, თუმცა, იგი ჩვეულებრივად მარკირებულია: ნულოვანი მორფემით (Ø-) გამოხატული I კლასი ამჟამად თავისი უნიშნობით უპირისპირდება სხვა კლასებს. ამგვარი ვითარება დასტურდება როგორც ზმნასა და ატრიბუტივებში, ისე რელიქტურ სუბსტანტივებში, მაგ.: ის (< უი-სი) „ძმა“, ის¹ (< ი-სი) „და“...

კითხვა ისმის: რამ გამოიწვია I კლასში პრეფიქსული მარკირების მოშლა?

I კლასის ექსპონენტის დაკარგვა, ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკიდან გამომდინარე, შეპირობებულია არა ფონეტიკურად, არამედ მორფოლოგიური ფაქტორით — კლას-ნიშანთა მოშლის საერთო ტენდენციით. ამგვარი მოსაზრების სისწორეს ცხადყოფს სახელთა ისეთი სტრუქტურული მოდელები, რომელთა ფუძე უ სონანტით იწყება, მაგ.: უეჟა „მწყემსი“, უაჰდი „ეს“, უაა „ძროხა“ და მისთ. დიდოური ენები ხუნძურ-ანდიურ ენათაგან განსხვავდებიან მრავალგვარი ინოვაციით, მათ შორის კლასიფიკატორების მოშლისაგან მიდრეკილებითაც. განსაკუთრებით ეს ითქმის კლასის სუფიქსურ ექსპონენტებზე. ბეჟიტურში, როგორც პერიფერიაზე გავრცელებულ ენაში, საფიქრებელია, იმთავითვე იჩენდა თავს კლასის ექსპონენტთა მოშლის საერთო ტენდენცია და ეს განხორციელდა I კლასის ნიშნების გაქრობით [დირი 1928 : 343; ჯავახიშვილი 1992 : 256-257; ჩიქობავა 1979 : 118].

I კლასის ექსპონენტის დაკარგვამ გამოიწვია ძირ-ფუძეთა ფონემატური სტრუქტურის ცვლილება და თანხმოდანთკომპლექსის მასუპერიორებელი ხმოვნები ფუძის კუთვნილებად იქცა (*უ-ისი > ისი > ის „ძმა“, *ი-ისი > ისი „და“...).

¹ „ძმისა“ და „დის“ გასარჩევად ენამ გამოიყენა ლექსიკური საშუალება აუსლაუტში •-ს მოკვეცი (ის „ძმა“).

ყურადღებას იქცევს III კლასის **ბ-** ექსპონენტის ტრანსფორმაცია ნაზალიზებული ხმოვნის შემცველ ზმნურ ფუძეებში, რომლებშიც **ბ > მ (> ნ)**, მაგ.: კაბ. **ღენ^ნტაერ** (I კლ.), **ჟენ^ნტაერ** (II კლ.), **მენ^ნტაერ** || **ნენ^ნტაერ** (III კლ.) „წავიდა“; ჰუნზ. **მ-აყერ** (< **ბ-ან^ნყერ**) „მოვიდა“... [იხ. 4.2.1].

3. 7. **ფუძისა და სუფიქსის ურთიერთდამოკიდებულები-სათვის.** მორფემათა დაკავშირების დროს თავს იჩენს ფონეტიკური ცვლილებები, რომელთა ჩამოყალიბება მორფოლოგიის მოთხოვნილებით ხდება, ხოლო ამგვარი ენობრივი მოვლენების რეალიზაციით მიღებული ენისთვის უჩვეულო შედეგების დაძლევა სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით ხორციელდება. ეს შეეხება როგორც სახელური, ისე ზმნური ფლექსია-დერივაციის შედეგად მიღებულ შემდეგ გრამატიკულ ფორმებს:

1) ჰუნზიზურ დიალექტში ერგატიული ბრუნვის ნიშანს ხმოვანფუძიან სახელებთან ეკვეცება ხმოვნითი ელემენტი: **-ლ** (< **-ლო**). ეს გამოწვეულია ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ზემოქმედებით, მაგ.: სახ. გნდუ „კატა“ — ერგ. გედრ-ლ (<*გედი-ლო), სახ. ღერუ „მკერდი“ — ერგ. ღერა-ლ (<*ღერა-ლო) „მკერდმა“ და მისთ.

2) ხმოვნური (ჩანართი) ელემენტები, რომლებიც ირიბ ბრუნვათა ფორმებში ბრუნვის ნიშანსა და სადა ფუძეს შორის იჩენს თავს, შეპირობებულია ბრუნვის ნიშანთა დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ყამ „თავი“ — მიც. ყამ-ო-ლ, ნათ. ყამ-ო-ს...; ჰუნზ. ჭიტ „დინა“ — ნათ. ჭიტ-ო-ს, ინსტრ. ჭიტ-ო-დ და სხვ. [იხ. 6.1.3].

3) თანხმოვანთა გემინაცია და ფუძისეული ხმოვნის დაგრძელება გამოყენებულია უფრობითი ხარისხის საწარმოებლად. ამ შემთხვევაში მორფოლოგია სათანადო სემანტიკის გამოსახატავად ფონეტიკურ საშუალებებს მიმართავს, მაგ.: საკ. ბეჟ. იტინო „პატარა“ — იტინო „ძალიან პატარა“, ჟუყო „დიდი“ — ჟუყო „ძალიან დიდი“... [იხ. 6.2.3].

4) დანაწევრებითი რიცხვითი სახელების წარმოებისას ხდება ჰაპლოლოგიური მოვლენა — მარცვალთა რედუქცია და ზოგ-

ჯერ კი რედუბლიცირებული რიცხვითი სახელის პირველი ფუძის ცვთა ცალ ხმოვნამდე, მაგ.: საკ. ბეჟ. ყრ-ყონა (< ყონა + ყონა) „ორ-ორი“, ა-ცაწონა (< ცაწონა + ცაწონა) „ათ-ათი“...; ჰუნზ. ბე-ბელ'ნო (< ბელ'ნო + ბელ'ნო) „რვა-რვა“, რ-ცოყენ (< ცოყენ + ცოყენ) „ოთხ-ოთხი“... [იხ. 6.3.1].

ანალოგიურ სურათს ვაწყდებით ნამყო ძირითადის თურ-მეობითის ფორმათა წარმოებისას საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ტლადალურ კილოკავში, მაგ.: დეტენა ზუყონაჲ (შდრ. კაპ. დეტენა ზუყონა გეჲ "id.") „წასულა თურმე“ [იხ. 7.8.5.6].

5) კლასთა გარჩევის საშუალებად გამოყენებულია უკლასნიშნო ზმნის ძირეულ მორფემებში ხმოვანთა ალტერნაცია [იხ. 7.2].

6) დიურატიული ასპექტის გამომხატველ ფორმებში განგრძობითობის **-და** ნიშნის ინფინიტივის **-ალ** ნიშნთან შეხვედრისას ხდება ხმოვანთა შერწყმა. სათანადო ფორმათა მორფოლოგიური სეგმენტაციის დროს გრძელი ხმოვანი ინფინიტივის ნიშანს ეკედლება [იხ. 7.8.2].

7) ნამყო ძირითადის უარყოფით ფორმათა წარმოებისას უარყოფითობის სუფიქსში გლაიდი (ც) ხმოვანთგამყარის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, მაგ.: საკ. ბეჟ. ჩახე-ც-ემ „არ დაწერა“, ტუტ-ე-ც-ეს „არ ესროლა“ და მისთ.

ამგვარ დროულ ფორმებში არაიშვიათია გლაიდის ჩავარდნით ხმოვანთა შერწყმა, რაც ჰუნზიტურ დიალექტში სისტემურად არის გატარებული, მაგ.: ზუყ-ნ-ს (შდრ. საკ. ბეჟ. ზუყე-ც-ემ || ზუყ-ნს "id.") „არ იყო“, ბუტ-ნს (< ბუტი-ც-ის) „არ დაიძინა“, მაწ-ნს (< მაწი-ც-ის) „არ დაინახა“ და ა. შ.

ამრიგად, ბეჟიტურ ენაში დასტურდება როგორც ფონოლოგიური სისტემის ზემოქმედებით შეპირობებული, ისე მორფოლოგიური სტრუქტურის გავლენით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებები. შესწავლის ამ ეტაპზე შემაპირობებელ ფაქტორთაგან წამყვანი ადგილი ფონოლოგიას უჭირავს, თუმცა ამ საკითხების გამოწვლილვითი შესწავლა უფრო მეტად მოჰფენს ნათელს აღნიშნულ ფაქტორთა ხვედრით წილს.

ნაწილი II

მორფოლოგია

თავი IV

გრამატიკული კლასის კატეგორია

4.1. მორფოლოგიური კატეგორიების შესახებ ზოგადად.

ბეჟიტურ ენაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ანალოგიურად, წარმოდგენილია ათი მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული. მორფოლოგიისათვის უმთავრესია სახელისა (იგულისხმება ყოველგვარი სახელი) და ზმნის კორელაცია, თუმცა მეტყველების სხვა ნაწილები გარკვეული გრამატიკული ნიშნების მატარებელნი არიან და მათთვის კუთვნილ ფუნქციას ასრულებენ. როგორც ცნობილია, მეტყველების ამგვარი წევრები (ზმნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული) უდეტრების ჯგუფში ერთიანდებიან [შანიძე 1980 : 34].

ბეჟიტური ენის მორფოლოგიის ბირთვს წარმოადგენს გრამატიკული კლას-კატეგორია, რომელიც მთლიანად გამსჭვალავს მორფოლოგიურ სტრუქტურას და საზიაროა სახელისა და ზმნისათვის. კლას-კატეგორიის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხების კვლევა შეუძლებელია. ამჟამად კლასიფიკატორი თავისი არსით ბიფუნქციურია — კლასის ექსპონენტით მარკირებული ზმნა რიცხვსაც გამოხატავს.

გრამატიკული კლასის ნიშნები, ზმნის (*resp.* ნაზმნარი სახელის) გარდა, გარჩეულია ატრიბუტულ სახელებშიც, რომლებიც საზღვრულს ეთანხმებიან კლასსა და რიცხვში. კლასიფიკატორები გვხვდება როგორც პრეფიქსად (*ძირითადად*), ისე ინფიქსად და სუფიქსად (*ნაკლებად*).

ბეჟიტური ენისთვის ნიშანდობლივია ფლექსიაც და დერივაციაც. ბრუნებაში გაირჩევა ძირითადი და ლოკატიური ბრუნვები. თვალშისაცემია ადგილობით ბრუნვათა სიმრავლე, რომლებიც ერთგვარად ანაზღაურებენ თანდებულთა სიმცირეს. ამასთანავე, სახელს მოეპოვება რიცხვის კატეგორია, რომელიც სპეციალური ბოლოსართებით იწარმოება.

ზმნას აქვს დროის, კილოს, რიცხვის, კაუზატივის, ასპექტის, პოტენციალისის კატეგორიები. ჰუნზიბურ დიალექტში შეინიშნება პირის კატეგორიის ჩანასახიც. ჩამოყალიბებულია გვარის ორგანულ ფორმათა ბინარული ოპოზიცია, რაც ზმნის სტაბილიზაციას მიეწერება.

პრეფიქსაცია გრამატიკული კლასის კატეგორიისათვის არის დამახასიათებელი, დანარჩენ კატეგორიებს კი სუფიქსური წარმოება მოეპოვება.

4.2. გრამატიკული კლასების სისტემა. ბეჟიტურ ენაში სახელთა კლასიფიკაციისათვის ძირითადად გამოყენებულია ორი საშუალება: 1) სათანადო სახელის კლასური კუთვნილება გამოიხატება სპეციალური მარკერებით — კლასის ექსპონენტებით; 2) კლასთა დაპირისპირება გაირჩევა ფუძეთმონაცვლეობით, ანდა ხმოვანთა ალტერნაციით.

ამოსავალი პრინციპი, რაც სახელთა კლასიფიკაციას უდევს საფუძვლად, არის ტრადიციული საზოგადოების თვალთახედვით საგანთა სოციალური ღირებულების მიხედვით გარჩევა [ჩიქობავა 1979 : 107]. რა თქმა უნდა, ეს არ ანიშნავს, რომ სახელთა კლასების მიხედვით კლასიფიკაციისას ამგვარმა მოტივაციამ დროთა ვითარებაში ცვლილება არ განიცადა: III-IV კლასებში სახელთა დაჯგუფებისას ზემოაღნიშნული კრიტერიუმი ან აღარ იყო აქტუალური, ანდა მას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბეჟიტური ენის მონაცემთა სხვაგვარი ინტერპრეტაცია დაბრკოლებას ხვდება, რადგან გაუგებარი იქნებოდა, რა სოციალური ღირებულების მიხედვით გაერთიანდა მუყ „სატეხი“, სინო „ფიწალი“, ხოლო „ხერხი“... III კლასში, ხოლო აზაკ

„გრდემლი“, ტიგან „ძალაყინი“, წიტი „დანა“, ტრუპ „ხელკვერი“, „ჩაქუჩი“ და მისთ. IV კლასში? ანდა: რა მოტივაციით მიუჩინა ენამ ადგილი III კლასში ამჟამინდელი შეხედულებით უფრო მეტად არაფასეულ სომატური ტერმინების ნაწილს (ზოტხო „თითი“, მწ⁵ „ცხვირი“, ვათ 1. „ხელისგული“, 2. „სილა“, ხილა „ხრტილი“...), ხოლო მეორე, უფრო ღირებული, ნაწილი (ყამ „თავი“, ჰ⁶დ⁷ „ტვინი“, სიკო „პირი“, ჰ⁸დ⁹ „თვალი“, ძაკო „გული“...) IV კლასში გააერთიანა?¹ მ. ხალილოვი ვარაუდობს, რომ ანალოგიურ სახელებში არ უნდა ყოფილიყო მოაზრებული აქტუალურობის იდეა [ხალილოვი 1981 : 33]. ეს სახელები რატომ არ იყო აქტუალური და ფასეული? — ამ კითხვაზე ავტორი არაფერს გვეუბნება.

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის მონაცემებზე დამყარებით გ. მაღიევა მიდის უარყოფით დასკვნამდე: „ამა თუ იმ კლასისადმი მათი (სახელების — ნ. ა.) მიკუთვნების პრინციპი ჩვენთვის ბევრწილად გაუგებარია“ [მაღიევა 1965 : 56].

საფიქრებელია, რომ III და IV კლასების დიფერენციაციის დროს პირველ ეტაპზე სახელთა კლასიფიკაცია მეტ-ნაკლებად მოტივირებული იყო (III კლასს განაკუთვნებდნენ ცხოველ-ფრინველთა, მწერთა და მისთ. სახელებს, IV კლასს კი — შრომის იარაღების, რკინეულის, ფულისა და აბსტრაქტული ცნებების გამომხატველ სახელებს), ხოლო მეორე ეტაპზე ამგვარი მოტივაციის დაცვა აღარ ხერხდებოდა და სახელთა დაჯგუფება ნებისმი-

¹ ხუნძურში ლ'იმერ „ბავშვი“ III კლასში შედის. ჩეჩნურში, ხვარშიულ ენასა და საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ამ სახელმა IV კლასში გადაინაცვლა. ჰუნზიბურ ენაში ყარა „ბავშვი“ III კლასში ერთიანდება [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 262; შდრ. ბოკარევი 1959 : 28; ვან დენ ბერგი 1994 : 35], რაც იმის მიმანიშნებელია, რომ „ბავშვი“ გააზრებულია არაგონიერ (არალირებულ) სულიერ არსებად. ჩანს, „ბავშვი“, თავისი სოციალური მდგომარეობის გამო, ინდო-ევროპულ ენებშიც ნივთს ეტოლებოდა და საშუალო სქესისად მიიჩნეოდა [ჩიქობავა 1979 : 89]. **ჟანაზა** „ცხედარი“ (კაცისაც და ქალისაც) III კლასის კუთვნილებაა, ე. ი. უკვე არაგონიერ არსებად არის ქცეული.

ერად მიმდინარეობდა.¹ სხვა შემთხვევაში ახლომონათესავე ენებსა და ერთი ენის დიალექტებში ერთნაირი შედეგი უნდა მიგველო, თუმცა ამ თვალსაზრისით ასეთ ენობრივ ერთეულებს შორის თანხვედრასთან ერთად განსხვავებებიც გვხვდება.

4.2.1. **გრამატიკული კლასები და მათი ნიშნები.** ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში გარჩეულია ოთხი კლასი.² სინქრონიულ დონეზე სუბსტანტივთა შედგენილობაში ცოცხალი კლასის ნიშნები არ მოგვეპოვება და, ბუნებრივია, სახელთა კლასების მიხედვით განაწილების პრინციპი სემანტიკურ საფუძველს ემყარება. მასთან, კლას-კატეგორია, როგორც სახელისა და ზმნის საერთო მახასიათებელი, მთლიანად გამსჭვალავს მეტყველების ნაწილებს. თითოეულ კლასს თავისი საკუთარი ნიშანი მოეპოვება,

¹ როგორც ჩანს, III-IV კლასთა მიხედვით სახელთა დანაწილება-დაჯგუფების მოტივაცია ასოციაციებსა და ანალოგიებს ემყარებოდა.

² სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, გრამატიკულ კლასთა დადგენის პრინციპები და, აქედან გამომდინარე, შედეგებიც სხვადასხვა სპეციალისტთან სხვადასხვაგვარია [იხ. დირი 1909 : 79; ლომთაძე 1956 : 385-390; 1996 : 28-48; ბოკარევი 1959 : 23, 75; მაღიევა 1965 : 56; ვან დენ ბერგი 1995 : 35; ხალილოვი 1981 : 25-29; 1995: 394-295; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 262-263].

ჩვენი აზრით, არნ. ჩიქობავას შეხედულების კვალდაკვალ [ჩიქობავა 1979 : 103] მხოლოობითისა და მრავლობითის შეპირისპირების საფუძველზე კლასთა გამოყოფა მართებული არ არის, რადგან კლას-კატეგორიისა და რიცხვის კატეგორიის აღრევა ხდება. ერთი გრამატიკული კატეგორიის კვალიფიკაციისათვის ორი კატეგორიის ჩვენებათა გათვალისწინება გაუმართლებელია [ანდლულაძე 1968 : 24; შლრ. ბოკარევი 1959 : 29]. მასთან, მრავლობით რიცხვში გრამატიკულ კლასს საკუთარი მარკერი არ მოეპოვება, არამედ მას მხოლოობითისაგან სესხულობს. ამდენად, მრავლობითი რიცხვის ფორმები მეორეულია და მათი მხედველობაში მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენს [თოფურია 2003 : 17].

სამკლასოვან ენათა წყებაში (კარატაული, ახვახური...), რომელთაც მრავლობითში ორი კლასი აქვთ, ამ წესით სამკლასოვანი სისტემისაგან ორკლასოვანი სისტემა მიიღება. ეს კი, ყველა თვალსაზრისით, ალოგიკურია: ინდო-ევროპულ ენათა მორფოლოგიაში ატრიბუტივთა სქესს მრავლობითი რიცხვის მიხედვით არავინ ადგენს [ჩიქობავა 1978 : 14]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მრავლობით რიცხვში დეპერსონალიზაცია ხდება, რაც მხოლოობითი რიცხვისთვის უცხოა. ამ გარემოებათა გამო, კლასთა გამოყოფა მხოლოობითი რიცხვის ჩვენების მიხედვით უნდა გადაწყდეს.

რომელსაც კლასის ექსპონენტს (კლასიფიკატორს) უწოდებენ. ამჟამად სახელთაგან ცოცხალი კლასიფიკატორები მარტოოდენ ატრიბუტულ სახელებს (ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი...) აქვთ და მათ კლას-ნიშანი ყოველთვის პრეფიქსად მოუდის. გაქვავებული კლასის ექსპონენტები შეიძლება ინფიქსად ან სუფიქსად შეგვხვდეს. ატრიბუტულ სახელთა სტრუქტურაში კლასიფიკატორს ჩვეულებრივ საზღვრული სახელი აჩენს და შესაბამისი ნიშანიც მისი კუთვნილებაა. ამის გათვალისწინებით, თუ მსაზღვრელი კლასიფიკატორს იგუებს, მაშინ იგი საზღვრულს ეთანხმება კლასსა და რიცხვში, მაგალითად: საკ. ბეჟ. **რ**-ოწირო **ყორა რ**-ეტეფრო ბილ'ოლა „გამძლარი ბავში წავიდა შინ“; ჰუნზ. აგ ბულ'ი ლოდერ Ø-იყერ **ოყე** გყლან ლო „სახლში ნამყოფი ის პატარა ბიჭი გაზრდილა“, ... **ჰალტი** ქანდ **ბ**-უტოროს ზუყურ (ვან 1995 : 173) „საქმე ხელით გასაკეთებელი იყო“, ... **რ**-იყეყ **ხო ნ**-უტურუ სუკუ (ვან 1995 : 178) „ბევრი ხორცის შემჭმელი კაცი“ და მრ. სხვ.

სუფიქსური კლასიფიკატორი, როგორც წესი, გაქვავებულია: ჰუნზ. შაყილა-**ბ** სუკულ ავე შაყილა-**ბ** კანქლან, შაბდალლილ ჰუმერ ბერცინა-**ბ** კანქლან (ანდაზ.) „ბრძენი კაცი ჭკვიან ცოლს ეძებს, სულელი სახელამაზს ეძებს“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბეჟტის თქმაში II და IV კლასის ექსპონენტების დამთხვევა ხდება, რაც კლასთა შემცირებად არის მიჩნეული [მადიევა 1965 : 56]. სინამდვილეში ჩვენს თვალწინაა არა კლასთა შემცირება, არამედ კლასიფიკატორთა (II-IV კლ.) დამთხვევა, რაც მეორეული მოვლენაა (**რ** > **ჲ**). გარდა ამისა, III და IV კლასის ექსპონენტები ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან: **ბ** > **მ** (> **ნ**) რეალიზებულია ნაზალიზებული ხმოვნისა და ნაზალური თანხმოვნის (სონორის) შემცველ ფუძეებში [ლომთაძე 1996 : 35], მაგ.: II კლ. დ-ეტეფერ „წავიდა“ — III კლ. მ-ეტეფერ (> II ნ-ეტეფერ).

რაც შეეხება IV კლასის ნიშნად **რ**-სთან ერთად **ნ**-ს პოვნირებას, ელ. ლომთაძე კითხვას სვამს: **ნ** მიღებულია „IV კლასის რ-სგან (რ > ნ) თუ III კლასის მ-სგან (მ > ნ)? გადაჭრით ამჟამად ვერაფერს ვიტყვით...“ [ლომთაძე 1996 : 40].

III კლასის ძირითადი ნიშანი **ბ** გარდაიქმნება **მ** სონორად ოდენ ნაზალური ბგერის შემცველ სახელებისა და ზმნების ფუძეებში, რაც სავსებით სამართლიანად რეგრესულ ასიმილაციად მიიჩნევა. რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტში¹ IV კლასის ექსპონენტად **ნ**-ს წარმოჩენას, იგი გარკვეულ ფონოლოგიურ პოზიციებში სწორედ **რ**-ს ბგერინაცვალი ჩანს,² მაგ.: ჰუნზ. ლ'გ ნ-აყერ (<*რ-ა^ნყერ) „წყალი მოვიდა“, ნ-აშუ (<*რ-ა^ნშუ) ჰუნი „მოკლე ვზა“ და მისთ.

ბეჟიტურ ენაში კლას-ნიშანთა სისტემა ამგვარია: პირველი კლასი ნულოვანი მორფემით (**∅**) არის წარმოდგენილი, რომელსაც ინფიქსად შესაძლოა **ჟ**-ს სახე ჰქონდეს, მეორე კლასის ნიშანია **ა**, III კლასის ნიშნად **ბ**, **მ**, **ნ** გვხვდება, ხოლო IV კლასის ნიშნად კი — **რ** (**ა**, **ნ**). მრავლობით რიცხვში მკაფიოდ არის გამოიჯნული ადამიანისა (გონიერისა) და არაადამიანის (არაგონიერის) გამომხატველი სახელები. I კლასში ექცევა მხოლოობითის I და II კლასთა სახელები, რომლებიც მესამე კლასის ექსპონენტს (**ბ**, **მ**, **ნ**) იყენებს, ხოლო II კლასში ერთიანდება ყველა სხვა დანარჩენი სახელი და ნიშნად IV კლასის ექსპონენტი (**რ**, **ა**, **ნ**) აქვთ.

გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები სქემატურად:

სქემა 5

კლასი \ რიცხვი	I	II	III	IV
მხოლოობითი	∅ (ჟ)	ა	ბ (მ, ნ)	რ, ა (ნ)
მრავლობითი	ბ (მ, ნ)		რ, ა (ნ)	

¹ IV კლასის ნიშნის დისტრიბუცია საკ. ბეჟიტურ დიალექტში ამგვარია: **რ** (ზაშარ., ტლად.), **ა** (ბეჟ.): **რ** ↔ **ა**.

² უღრ. ზვარშ. ლ > ნ საინტერესოა იმ მხრივ, რომ ლ (< რ) > ნ. რ > ნ სხვა ენებსაც ახასიათებს [იხ. გუდავა 1964 : 47, 70].

ზემომოყვანილი კლასის ნიშნები ცალთანხმოვნია, თუმცა კლასიფიკატორი მარცვლოვან სახეს (CV-, -VC) უნდა ატარებდეს. კლასიფიკატორთა მარცვლოვნობა შეპირობებულია საკვლევი ენის ფონოტაქტიკური კანონზომიერებით — ანლაუტი და აუსლაუტი სრულხმოვნობით ხასიათდება. ამიტომ კლასის ექსპონენტს (თანხმოვნით ელემენტს) უშუალოდ მოსდევს ან უძღვის ე. წ. თანხმლები ხმოვანი, რომლის ფუნქცია საბოლოოდ ნათელი არ არის. შესაძლოა, ამგვარ ხმოვნურ ელემენტებს პრეფიქსის ფუძესთან დაკავშირებისას თანხმოვანთა შესაძლო თავყრის სუბერაცია ეკისრებოდეს, ვინაიდან თავკიდურად და ხშირად აუსლაუტშიც თანხმოვანთა კომპლექსები არაკანონიკურია საკვლევი ენის სახელთა სტრუქტურისთვის.

4.2.2. სახელთა კლასიფიკაცია კლას-კატეგორიის მიხედვით. გრამატიკული კლასების მიხედვით სახელები ამგვარად ჯგუფდება:

I გრამატიკულ კლასში (Ø, უ) ექცევა მამაკაცი და მასთან გათანაბრებული არსებანი, აგრეთვე რელიგიური და მითოლოგიური ცნებები: ჯღამ¹ „ადამიანი“, აბო „მამა“, ის „ძმა“, უაცცა „მეგობარი“, ოჟო „ვაჟიშვილი“, ჰყილ „ბრძენკაცი“, უქეა „მწყემსი“, ჰჰმჰყ „სულელი“, ოლოჰჰან „ჭილი“, გეგუჰან „მოჭიდავე“, გიჰდიმო (ტლ. გუდმორ "id".) „ქურდი“, დურსა „სიძე“, იჟეო „გამარჯვებული“, ყორონ „ქვრივი (კაცი)“, ბარჰაჟ „ხუნძი“, ფაჩაჰ „მეფე“, გელეხი „გლეხი“, ჯაზაჰ „ქართველი“, ჰობოლ „სტუმარი“, ყაჩალი „ყაჩალი“, ჯოჰდაგი „მოწაფე“, ჩაფარ „შიკრიკი“, „მსტოვარი“, ალლაჰ „ღმერთი“, აჟარაგ „წინასწარმეტყველი“, მალაჰქ „ანგელოზი“, ნართაჟ „ნართი“, დჰდჰდ „ჯადოქარი“ და მისთ.

¹ ჯღამ „ადამიანი“ და მისთ. სახელები ბისემანტიკურია — აღნიშნავს როგორც პირველ, ისე მეორე კლასს. ჰუნზიბურ დიალექტში ამავე რიგისაა **გხ** „ძმა“, „და“. ამ სახელთა შინაარსობრივად გარჩევა სათანადო ატრიბუტივის დართვით ხდება: წუჰაბ **გხ** „და“. საკ. ბეჟიტურ დიალექტში ეს სახელი ლექსიკურად დიფერენცირებულია: **ის** „ძმა“, შდრ. **ისი** „და“.

II გრამატიკულ კლასში (ა) ერთიანდება ქალი და მასთან გათანაბრებული არსებანი, ზოგი მითოლოგიური და ზღაპრული პერსონაჟის სახელწოდებანი: ავო „ქალი“, „ცოლი“, იფო „დედა“, ისი „და“, ქიდ „გოგო“, აბოლა „დედინაცვალი“, ნუჟ „მოწმე“, ყოროლა „ქვრივი (ქალი)“, დოჟერქა „მწველავი“, ტჟუმენ (ჰუნზ. ტისუნ) „პატარძალი“, დაცცალ „ბიძაშვილი (ქალი)“, დაცცა (ტლ. ჰეა) „დაქალი“, ჰურულუცენ „ფერია“, ვართა „როკაპი“ და ა. შ.

ამავე კლასში შემოდიან ნივთთა კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები, რომელთა II კლასისადმი კუთვნილების მოტივაცია ბოლომდე ნათელი არ არის: ზოკო „სოკო“, ე^ნხუ „მდინარე“, ლ'იბუ „ფოთოლი“, გენი „მსხალი“, ა^ნც „კარი“, ო^ნზ „თოვლი“, ტალო „ქვა“ და სხვ. მისთ.

III კლასს (ბ, მ, ნ) განეკუთვნება ცხოველთა და მწერთა სახელების ძირითადი ნაწილი, ხილის, ხე-მცენარეთა და ბუნების მოვლენათა სახელწოდებანი, საამშენებლო ლექსიკა და ტანსაცმლის სახელთა ერთი წყება, სამუშაო იარაღებისა და კვების პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა, დაავადებათა და კრებითი მნიშვნელობის სუბსტანტივთა გამომხატველი სახელწოდებანი: ბილ'ო (ჰუნზ. ბელ'ა) „ნადირი“, „ჯიხვი“, ბაწო „მგელი“, ო^ნს „ხარი“, ჟადა „ძროხა“, გჰმჟუ „კამეჩი“, განე „მოზვერი“, ბიშე „ხბო“, ტიგა „ვაცი“, სოდა „იაბო ცხენი“, შუგოშოჟუ „ფაშატი“, ნაცო „ტილი“, წიქე „რწყილი“, გჟდჰ „ქათამი“, ილბა „მტრედი“, ა^ნყო „თაგვი“, აჟდჰჰ „ურჩხული“, შადტან „ემმაკი“, ილბის „კუდიანი“,¹ კოდო „ყურძენი“, სიმილდი „სიმინდი“, მუჰ „ხორბლეული“, „მარცვალი“, ჩალა „ჩალა“, ნიდე 1. „მუხა“, 2. „რკო“, ტიიჰ 1. „გირჩი“, 2. „ერთგვარი ღვეზელი“, ცა^ნცო 1. „თარო“, 2. „კალო“, ტამო „სახურავი“, რჰჰჰ „კლიტე“, ჰემ „ბოძი“, კადო „კიბე“, ქი-

¹ საინტერესოა, რომ ავ სულთაგან **ვართა** (საკ. ბეჟ.), **ვართ** (ჰუნზ.) „როკაპი“ II კლასს განეკუთვნება, ხოლო **შადტან** „ემმაკი“, **ილბის** „დედონი“ III კლასში ერთიანდებიან. ჩანს, ვართა („როკაპი“) მეტად ღირებული (ნაკლებად მავნე) ავი სულია დანარჩენებზე.

ტამან II ტიკამან „ხის ყუთი“, ბოზა „წერაქვი“, ვ^ნგ^ვ „სამაჯური“, ყექეთ „ჟაკეტი“, ჩექმა „ჩექმა“, ქისა „ჯიბე“, ბაბუ „ბავშვის წინდები“, გედა „ერთგვარი ჭრელი წინდები, რომლებსაც ღარბუთ-ლელები იცვამენ“, აბოც „მძივი“, მუყო 1. „ლურსმანი“, 2. „სადგისი“, ხარაჩინ „ცელი“, ხოფლო „ხერხი“, ბჰჰ „პური“, ხოკა „ხინკალი“, ცა^ნ „ვარსკვლავი“, უნთი „ავადმყოფობა“, ტიფი „ტიფი“, ქირილ-უნთი „ეპილეფსია“, ჟოჟ „ჩირქი“, ჰობოლლ'ი „სტუმართმოყვარეობა“, ატირატჰ „ბარი“, „ვაკე“ და მრ. სხვ.

IV გრამატიკული კლასი (რ, დ, ნ) მოიცავს სხვადასხვაგვარი ნივთების (ლითონების, ფულის, მცენარის, ხის, სახლისა და მისი ნაწილების, ავადმყოფობის...) სახელთა და ნადირ-ფრინველთა გამომხატველი ლექსიკის უმნიშვნელო ნაწილს, აგრეთვე, ბუნების მოვლენების, ადამიანის ორგანიზმისა და მშენებლობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას. ამავე კლასში შემოდის განყენებული ცნებებისა და მოვლენების აღმნიშვნელი სახელები: ბაქ „სპილენძი“, ქილ „რკინა“, მესედ „ოქრო“, ოქქო II ოქრო „ფული“, ფოლადი „ფოლადი“, შაჰი „ხუთი კაპიკი“, აბაზი „ოცი კაპიკი“, თუმან „ათი მანეთი“, ჭიტ „დანა“, გენი „მსხალი“, შულდი „შინდი“, ჰიზ „ჭვავი“, „სვილი“, დიცი „ყვავილი“, ა^ნზ „ცირცელი“, აგური „აგური“, ც^ლ „აული“, ჟუდ „ფანჯარა“, ცა^ნც „კარი“, ბილ'ო 1. „სახლი“, 2. „ოთახი“, ფარახი „საზამთრო ფარეხი“, ტოტატჰო „ფიცარი“, ჭად „მამისახლი“, ჭალ'ეფო „აცრა“, ჰოტი „ლობიო“, ქაქის „სოკოვანი დაავადება“, ჰე „ქერი“, წულა „წილი“, წულუ „ისარი“, ვა^ნშ „პირი“, ვო 1. „ბოლი“, „კვამლი“, 2. „კომლი“, ლ'ურუჰ „მათრახი“, ჟოდო 1. „დღე“, 2. „წვიმა“, ო^ნზ „თოვლი“, ო^ნხ „მუცელი“, დაკო „გული“, ჰა^ნე „თვალი“, ჰუდულლ'ი „მეგობრობა“, ინსანლ'ი „კაცობრიობა“, ისლ'ი „ნათესაობა“, „ძმობა“ და ა. შ.

მართალია, ბეჟიტური ენის დიალექტებსა და თქმებში კლას-კატეგორიის მიხედვით სახელთა კლასიფიკაცია ძირითადად ერთგვარია, მაგრამ შეინიშნება გადახრებიც, მეტადრე ეს ითქმის

სახელთა განაწილებაზე III და IV კლასებში. ამასთანავე, განსხვავებები დასტურდება არა მარტოდენ ნასესხებ ლექსიკაში, არამედ ხელშესახებია ძირეულ ლექსიკაშიც. საილუსტრაციო მაგალითები:

ა) ძირეული ლექსიკა

სქემა 6

საკ. ბეჟ. დიალ.	ჰუნზ. დიალ.	ლექსიკური მნიშვნელობა
ნახო (IV კლ.)	ნახუ (II კლ.)	1. „ჩაღა“, 2. „ბზე“
ქენ (IV კლ.)	ქენ (III კლ.)	„საჭმელი“
ქოტ (III კლ.)	ქოტ (IV კლ.)	„შარდის ბუშტი“
ლ'იზო (IV კლ.)	ლ'იზუ (II კლ.)	1. „ქაღალდის ფურცელი“, 2. „ფოთოლი“
ქერხასო (IV კლ.)	ქერხაჟუ (II კლ.)	„ხელის წისქვილი“...

ბ) ნასესხები ლექსიკა

სქემა 7

საკ. ბეჟ. დიალ.	ჰუნზ. დიალ.	ლექსიკური მნიშვნელობა
ქარხანა (IV კლ.)	ქარხანა (III კლ.)	„ქარხანა“
ქასთუმ (III კლ.)	ქასთუმ (IV კლ.)	„კოსტუმი“
ნაჟი (III კლ.)	გამა (IV კლ.)	„ნავი“
ქაჟ (IV კლ.)	ქაჟუ (III კლ.)	„ჭიშკარი“, „კარიბჭე“...

ზემომოყვანილ და მათ ანალოგიურ მაგალითებში თავჩენილი გადახრები მეორეულია — სათანადო სემანტიკური გადააზრებების შედეგი. თავდაპირველად ძირეული სახელები ერთი კლასის კუთვნილებას წარმოადგენდნენ.

4.2.3. **კლასიფიკატორთა დისტრიბუციისათვის.** როგორც ითქვა, გრამატიკული კლასის ნიშნები გვხვდება როგორც გაქვავებული (უმოქმედო) სახით, ისე ცოცხალი (მოქმედი) სახითაც. გაქვავებული კლასიფიკატორები სპორადულად დაჩნდება არსებით სახელებში, ზოგ ნაცვალსახელსა და რიცხვით სახელში, ხოლო კლასის ცოცხალი ექსპონენტები დასტურდება ატრიბუტულ სახელებსა და ზმნაში.

ა) ბეჟიტური ენის არსებით სახელს, თუკი იგი წარმოშობით ატრიბუტული სახელი არ არის, კლასის ცოცხალი ნიშნები არ აქვს. ორიოდ სახელს ხუნძურში, კლასიფიკატორების მიხედვით, ჯერ კიდევ მოეპოვება კორელაცია (ჟ-აცა „ძმა“ — დ-აცა „და“ — ბ-აცა „ცხოველის ნაშიერი“, ჟ-ას „ვაჟიშვილი“ — დ-ას „ქალიშვილი“ — ბ-ასი „მოზვერი“), ბეჟიტურში კი, კლას-ნიშნთა მოშლის გამო, ეს ოპოზიცია გამქრალია: ის (<*ჟ-ის < (*ჟ-ისი) „ძმა“ — ისი (<*დ-ისი) „და“ — ბ-იშე (<*ბ-ისე <*ბ-ისი) „ხბო“, „ნაშიერი (ძროხისა)“, ოჟო „ვაჟიშვილი“ — ქიდ¹ „ქალიშვილი“ — დ-იჟე (საკ. ბეჟ.), რ-იჟე (ჰუნზ.) „უშობელი“, „დეკეული“.²

სავარაუდოა, კლასის ოდინდელი ექსპონენტები იყოს შემდეგ სახელებში: დ-აკო (საკ. ბეჟ.), რ-ოკუ (ჰუნზ.) „გული“, ბ-ოკ „მზე“, ა^ნ-ც (<*ნ-აც <*ბ-აც) „კარი“, მ-იც (საკ. ბეჟ.), მ-გც (ჰუნზ.) „ენა“, დ-ილლა (საკ. ბეჟ.), რ-ილლა (ჰუნზ.) „ბარძაყი“ და სხვ. მისთ.

ამჟამად არსებითი სახელის ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილებაზე მიგვანიშნებს მისივე სემანტიკა, თუმცა ისტორიულად, შესაძლოა, კლასი გრამატიკულადაც გამოიხატებოდა. როგორც ფიქრობენ, სუბსტანტივი სათანადო მსაზღვრელს (ატრიბუტულ სინტაგმაში) და ზმნას (პრედიკატულ სინტაგმაში) შესაბამის კლასში ეთანხმებოდა ან მართავდა. მოგვიანებით თანდათანობით ხდებოდა კლასიფიკატორთა გაქვავება და დაკარგვა. ტ. გუდავა წერს: „რადგანაც არსებითი სახელის კლასი მისი სემანტიკითაა განსაზღვრული, არსებით სახელებში გრამატიკული კლასების „ზედმეტობა“ ძალიან ადრე უნდა მომხდარიყო, რამაც გამოიწვია კლასის ნიშნთა სისტემის მოშლა ამ კატეგორიის სიტყვებში“ [გუდავა 1963 : 36].

¹ **ქალიშვილის** გამომხატველი შესატყვისი სახელი ჩანაცვლებულია სრულიად სხვა ლექსებით, რაც კლას-ნიშნის მოშლის შემდეგდროინდელი მოვლენა ჩანს.

² ცხოველთა ნაშიერებში („ხბო“, „უშობელი“) ჩანს შემონახული ოდინდელი კლას-ნიშანი, თუმცა მთლად ნათელი არ არის, რატომ გვაქვს მეოთხე კლასის ნიშანი (რ-იჟე > დ-იჟე „უშობელი“) მაშინ, როცა უშობელი III კლასს მიეკუთვნება? შეიძლება ეს კლასიფიკატორთა მოშლის შემდეგ მათი რეინტერპრეტაციით იყოს გამოწვეული.

4.2.4. გრამატიკული კლასის კატეგორია ატრიბუტივებში.

კლას-კატეგორია ყველაზე მკაფიოდ და სრულად არის წარმოდგენილი: ა) ზედსართავ სახელში ბ) მიმღეობაში. რიცხვითი სახელები და ნახვალსახელები ამჟამად გრამატიკული კლასის კატეგორიას აღარ განარჩევენ, თუმცა სპორადულად შემონახულია რელიქტური კლასიფიკატორები,¹ რომლებიც მიუთითებენ ამ სახელებში მათ ისტორიულ არსებობაზე [იხ. ლომთაძე 1996 : 63-79].

ა) ზედსართავ სახელთა ერთ წყებაში გარჩეულია გრამატიკული კლასი, რომელიც სათანადო პრეფიქსული ექსპონენტებით გამოიხატება. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I Ø-უყო სუკო „დიდი კაცი“	} ბ-უყნ (<*ბ-უყა-მო) ² სუკო-ბო, ქიბ-ბა
II ა-უყო ქიდ „უფროსი გოგო“	
III ბ-უყო შუგზ „დიდი ცხენი“	} ა-უყნ (<*ა-უყა-მო) შუგზ-ლ, ე ^ნ ხე-აა
IV ა-უყო ე ^ნ ხო „დიდი მდინარე“	

¹ ბეჟ. რ^ნყონა (<*ნ-რყონა <*ბ-რყონა) „ოთხი“ გაცვეთილ კლას-ნიშანს გვიჩვენებს, რომელიც ჰუნზიბურ დიალექტს მთლიანად დაჰკარგვია. კლასიფიკატორს სავსებით მართებულად აღადგენს ე. ლომთაძე ბეჟ. ბ-ელ'-ნა (საკ. ბეჟ.), ბ-ელ'-ნო (ჰუნზ.) „რვა“ რიცხვით სახელშიც [ლომთაძე 1996 : 73; შდრ. გუდავა 1980 : 209], თუმცა მისი რეკონსტრუქცია ბეჟ. სი-დ („ერთი“) რიცხვით სახელში საპაექრო ჩანს [იხ. ლომთაძე 1996 : 74-76].

² ბ-უყნ ფორმის პარალელურად ე. ლომთაძე ბუყაო ვარიანტს ადასტურებს, თუმცა ამ უკანასკნელ ფორმას ამჟამად ჩვეულებრივ აღარ იყენებენ.

ჰუნზიბური დიალექტი

მხოლოდობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
I Ø-იყერუ	ოჟე „პატარა ვაჟი“	} ბ-იყერ-არ ოჟ-და, ჭიდ-ბა
II ე-იყერუ	ჭიდ „პატარა გოგო“	
III ბ-იყერუ	ონს „პატარა ხარი“	} რ-იყერ-არ ონს-უ, ჭიტ-ლა
IV რ-იყერუ	ჭიტ „პატარა დანა“	

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, მრავლობითში რიცხვი ორმაგად გამოიხატება: ა) კლასის ექსპონენტიით და ბ) სპეციალური სუფიქსით, რომელიც სახელთა მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად გამოიყენება. უკლასნიშნო ატრიბუტივებში ეს ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა, მაგრამ კლასიფიკატორიან ზედსართავ სახელებში უცნაურობას ქმნის საზღვრული სახელის რიცხვის ორმაგი აფიქსაცია. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ამგვარ შემთხვევებში კლასიფიკატორი ოდენ სათანადო ობიექტთა კლასურ კუთვნილებას გამოხატავს, ხოლო სახელური სუფიქსი საზღვრული სახელის სიმრავლეს აღნიშნავს [ლომთაძე 1953 : 421; შდრ. ბურჭულაძე 1988 : 194].

ბ) მიმღეობაში ზედსართავი სახელის ანალოგიური ვითარება გვაქვს: კლასიფიკატორი, რომელიც მიმღეობას სათანადო ზმნისაგან აქვს გადმოყოლილი, მიუთითებს საზღვრული სახელის კლასურ კუთვნილებაზე (გარდაუვალ ზმნაში — სუბიექტზე, გარდამავალში — ობიექტზე). მასთან, მსაზღვრელად გამოყენებული მიმღეობა მრავლობითში დასმულ საზღვრულ სახელს ეთანხმება კლასსა და რიცხვში.

რაც შეეხება ხუნძურიდან შეთვისებულ **ბერსინაბ** („ლამაზი“) ტიპის ზედსართავ სახელებს, მათ სტრუქტურაში სუფიქსური კლასიფიკატორი მოქმედი აღარ არის და სრულიად დაცლილია კლასური სემანტიკისაგან — იგი განზოგადებული, გაქვავებული და შეხორცებულია შესაბამისი ზედსართავის ფუძეს [შდრ. ლომთაძე 1996 : 53]. ამის გათვალისწინებით, ბეჟიტური ენის ატრიბუტივებში სუფიქსური კლასიფიკატორის პოვნიერებაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია.

4.2.5. **გრამატიკული კლასის ნიშანი ინფიქსად.** ბეჟიტური ენის ზმნურ ფორმებში დაჩნდებიან კლასის ექსპონენტები, რომლებიც აღნიშნავენ რეალური სუბიექტის (გარდამავალ ზმნაში), ანდა რეალური ობიექტის (resp. უახლ. ობიექტის) (გარდამავალ ზმნაში) კლასს. მასთან, ზმნური სტრუქტურის ძირითადი მოდელი ასე წარმოგვიდგება: **კლასიფიკატორი** (მასუპერიორბელი ხმოვნითი ელემენტიტურთ) + **ძირი** + **სადეტერმინაციო სუფიქსი** + **ფლექსიურ-დერივაციული მორფემები**,¹ მაგ.: ბ-ა-ტ-ი-რო „შეიყვარა“, მ-ე-ტჰ-ე-ჩ „მიდის“, ბ-ი-ყ-ელ-ცა „სწავლობს“ და მისთ.

საგულისხმოა, რომ ბეჟიტური ზმნის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ინფიქსად დაჩნდება **-ჟა-**, **-მა-**, **-ბა-** (საკ. ბეჟ.), **-ჟა-**, **-მა-** (ჰუნზ.) ოდენობანი, რომლებიც, სპეციალისტთა აზრით, სახელთა მრავლობითობის სუფიქსებს უკავშირდება [ლომთაძე 1953 : 441-444; ბურჭულაძე 1988 : 197]. ცნობილია ისიც, რომ შემომოყვანილ ინფიქსთა თანხმონითი ელემენტები გენეზისურად გაქვავებულ კლასიფიკატორებს წარმოადგენენ, მაგალითად:

საკ. ბეჟ.		ჰუნზ.	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
-ჟა-:		-ჟა-:	
ზუყრ „იყო“	ზუ-ჟა-ყრ	ბუჰუ „კვდება“	ბუ-ჟა-ჰე
მოწიფო „გაავსო“	მო-ჟა-წიფო	ბოჰ „ეძახის“	ბო-ჟა-ჰ
ღოჩერო „გაიქცა“	ბო-ჟა-ჩერო	რიყე „იცის“	რი-ჟა-ყე
-მა-:		-მა-:	
ღეჟენა „წაიღო რა“	ბე-მა-ჟენა	ბიტჰე „კლავს“	ბი-მა-ტჰე
გელ „არის“	გე-მა-ლ	ბეჟ „ვარდება“	ბე-მა-ჟ
-ბა-:		-ბა-:	
ღეგაფო „ნახა“	ბეგა-ბა-ფო	ენ ¹ დუჟე „შედის“	ენ ¹ დუ-ბა-ჟე
მილაჟერო „გაიყინა“	მილა-ბა-ჟერო	ბიყარ „მოშვიდა“	ბიყა-ბა-რ
კიშაჩ „თამაშობს“	კიშა-ბა-ჩ	ვოდარ „ისწავლა“	ვოდა-ბა-რ

¹ შეიძლება ზმნას ესა თუ ის კომპონენტი აკლდეს, ე. ი. ერთდროულად ყველა სემანტი წარმოდგენილი არ იყოს.

გაქვავებული კლას-ნიშანი ინფიქსად დაჩნდება აგრეთვე ხუნძურიდან ნასესხები ზედსართავი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოებაში:

მხ. რ.		მრ. რ.
ბეჩედა-ბ	„მდიდარი“	— ბეჩედა-ბ-ლა
სალა-ბ	„ჯანმრთელი“	— სალა-ბ-ლა
ბერცინა-ბ	„ლამაზი“	— ბერცინა-ბ-ლა
მისქინა-ბ	„ღარიბი“	— მისქინა-ბ-ლა

ზოგადად, დიდოურ ენებში, კონკრეტულად, ბეჟიტურში კლას-კატეგორიის მოშლის პროცესი აშკარა ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, შედეგიც სათანადოა: ინფიქსური და სუფიქსური კლასიფიკატორები გაქვავებულია, ან — უკვალოდ დაკარგული.

4.2.6. გრამატიკული კლასის გარჩევის სხვა საშუალებანი.

გარდა გრამატიკული კლასის ექსპონენტებისა (**Ø, მ, ბ, რ**), კლასთა გასარჩევად გამოიყენება ფუძეთა მონაცვლეობა და ხმოვანთა ალტერნაცია. ამ დროს სახელთა განაწილება შემდეგნაირად ხდება: I-IV კლასის სახელებისთვის **-ი** გამოიყენება, ხოლო II-III კლასის სახელებისთვის — **-ო** [ლომთაძე 1956 : 270]. ამგვარი ვითარება დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელთა მხოლოდობით რიცხვში.

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

I კლ.	IV კლ.
ჟაჰდ-ი/ჰუდ-ი ¹ რჟო „ეს ვაჟი“	ჟაჰდ-ი/ჰუდ-ი ცჰლ' „ეს აული“
II კლ.	III კლ.
ჟაჰდ-ო/ჰოდ-ო ქიდ „ეს გოგონა“	ჟაჰდ-ო/ჰოდ-ო ბაწო „ეს მგელი“

¹ საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ტლადალურ თქმაში გვხვდება სრული ფორმები: ჟაჰადი („ეს“), ჟაჰალი („ეგ“), ჟაჰაგო („ის“).

ჰუნზიბური დიალექტი განსხვავებას გვიჩვენებს იმ მხრივ, რომ ერთი ფორმით (**ბჷდ** ოდენობის ფუძისეული ხმოვნის ცვლითა და ნულოვანი მარკერით) I, III, IV კლასის სახელებს აჯგუფებს, ხოლო მეორე ფორმით (**ბოდუ**) კი II კლასის სახელების მსაზღვრელად გვევლინება. სქემატურად:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სქემა 7

მოსაუბრესთან ახლოს მყოფი		მოსაუბრისაგან შორს მყოფი		მოსაუბრისა და მსმენელისგან შორს მყოფი	
I, IV კლ.	II-III კლ.	I, IV კლ.	II-III კლ.	I-IV კლ.	II-III კლ.
ტაჰდი/ ჰუდი ¹ „ეს“	ტაჰდო/ ჰუდო „ეს“	ტაჰლი/ ჰული „ეგ“	ტაჰლო/ ჰოლო „ეგ“	ტაჰგი/ ჰუგი „ის“	ტაჰგო/ ჰოგო „ის“

ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 8

მოსაუბრესთან ახლოს მყოფი		მოსაუბრისაგან შორს მყოფი		მოსაუბრისა და მსმენელისგან შორს მყოფი	
I, III, IV კლ.	II კლ.	I, III, IV კლ.	II კლ.	I, III, IV კლ.	II კლ.
ბჷდ „ეს“	ბოდუ „ეს“	ბჷლ „ეგ“	ბოდუ „ეგ“	ბჷგ „ის“	ბოდუ „ის“

¹ საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ტლადალურ თქმაში გვხვდება სრული ფორმები: ტაჰდი („ეს“), ტაჰლი („ეგ“), ტაჰგო („ის“).

გარდა ნაცვალსახელებისა, კლასის გამოსახატავად ფუძისეულ ხმოვანთა ალტერნაცია ზმნათა ერთ მცირე წყებასაც¹ ახასიათებს. კლასთა ამგვარი კორელაცია მკაფიოდ აისახება ჰუნზიბური დიალექტის ზმნათა ხსენებულ წყებაში, მაგ.: ჰუნზ. გ-გ-ლა (I კლ.), გ-ი-ლა (II კლ.), გ-უ-ლა (III, IV კლ.) „დადება“, მ-გ-მა (I კლ.), მ-ი-მა (II კლ.), მ-უ-მა (III, IV კლ.) „შეხება“...: ბეჟ. გ-ო-წალ (I კლ.), გ-ი-წალ (II კლ.), გ-უ-წალ (III, IV კლ.) „ჩვენება“, ტ-ო-ტალ (I კლ.), ტ-ი-ტალ (II კლ.), ტ-უ-ტალ (III, IV კლ.) „სროლა“, მ-ი-ს (I კლ.), მ-ი-შ (II კლ.), მ-უ-ს (III, IV კლ.) „წავიდეთ!“ და მისთ.

ზემომოყვანილ ზმნათა ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით კლას-კატეგორიის გამოხატვა საკვლევ ენაში რეალური ფაქტია, რომელსაც ეხებიან და იზიარებენ სპეციალისტები [ბოკარევი 1959 : 30, 48; მაღიევა 1965 : 115-116; ხალილოვი 1981 : 28; 1995 : 403; ვან დენ ბერგი 1995 : 35]. ე. ლომთაძე განსხვავებულ აზრს ადგას და ამგვარი დაპირისპირება ფონეტიკური პროცესების საფუძველზე წარმოქმნილად მიაჩნია [იხ. ლომთაძე 2000 : 46-48]. შესაძლოა, ხსენებულ ხმოვანთა ამ სახით ჩამოყალიბება კომბინაციურ ფონეტიკურ მოვლენასაც მიეწეროს, მაგრამ სინქრონიულ დონეზე აღწერითი გრამატიკის პოზიციებიდან კლასთა ალტერნაციული გარჩევის არსებობა სინამდვილეს ასახავს. ჰუნზიბურ დიალექტში მეშველი ზმნა ამის ნათელი დასტურია, მაგ.: ლო (I, II, III კლ.), ლი (IV კლ.) „არის“. ჩანს, ასეთი მოვლენა ახალია, ვინაიდან არ მოეპოვება მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე და არ აქვს სახელთა კლასური გარჩევის მკაცრი წესი, ამიტომაც ხშირად აღრეულია სახელთა ამა თუ იმ კლასისადმი მიკუთვნების პრინციპი.

¹ მათი რიცხვი, მ. ხალილოვის ანგარიშით, ათს ცოტა აჭარბებს [ხალილოვი 1995 : 403].

თავი V

რიცხვის კატეგორია

5.1. **რიცხვი ზოგადად.** ბეჟიტურ ენაში რიცხვის გრამატიკული კატეგორია მეტად მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რადგან საზიაროა სახელისა და ზმნისათვის და მთლიანად გამსჭვალავს მორფოლოგიურ სტრუქტურას. კლასნიშნიან ზმნაში, ზედსართავ სახელსა და ნაზმნარ სახელებში იგი გამოიხატება კლასის ცოცხალი ექსპონენტებით, ხოლო არსებით სახელში, ზედსართავ სახელში, ზოგ რიცხვით სახელსა და ზმნაში — სპეციალური ფორმანტებით. არაიშვიათად ატრიბუტულ სახელებში რიცხვის კატეგორია ერთდროულად გამოიხატება კლასიფიკატორითაც და სხვა სპეციალური ფორმანტითაც, რაც თავისთავად საინტერესო მოვლენაა თეორიული თვალსაზრისით. ამა თუ იმ კლასის სახელთა სიმრავლის გამოსახატავად კლასის ექსპონენტების გამოყენება მათ ბიფუნქციურ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

ღირსსაცნობი ფაქტია, რომ ბეჟიტურში ჩვეულებრივი მრავლობითი რიცხვი გაირჩევა განსაზღვრული მრავლობითი რიცხვისაგან. ეს დაჩნდება მარკირების დონეზეც — მათ ფონეტიკურად და ფუნქციურად განსხვავებული ფორმანტები აწარმოებენ.

ბეჟიტური ენა წყვილობით (ორობით) რიცხვს მოკლებულია. დასტურდება რიცხვის მარტოოდენ ორწევრიანი ოპოზიცია: მხოლოობითი — მრავლობითი. სახელობითი ბრუნვის ჩვენებას თუ დავემყარებით, რიცხობრივი დაპირისპირება პრივატული იქნება, რადგანაც მხოლოობითის ფორმა წმინდა ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი (ოპოზიციის უმარკერო წევრი), ხოლო მორფოლოგიური წესით გამოხატულ მრავლობითის ფორმებს სპეციალური ფორმანტები ერთვის (ოპოზიციის მარკერიანი წევრი).

ბეჟიტურ ენაში გვხვდება მრავლობითი რიცხვის გამოხატვის, სხვა ახლომონათესავე ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობი-

ლი, ორი სახეობა: ა) **ლექსიკური**, რომელიც ძირითადად ნაცვალსახელის, რიცხვითი სახელისა და ზოგიერთი ზმნიზედის კუთვნილებაა; ბ) **მორფოლოგიური**, რომელიც არსებითი სახელის, სადერეივაციო ნიშნების საშუალებით ზედსართავი სახელისა და ზმნის ფორმაწარმოებას გულისხმობს [ჰაიდაყოვი 1985 : 7]. წარმოების მიხედვით, სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმებს პირობითად ორ ქვეტიზად ყოფენ: ა) სუფიქსური და ბ) შინაგანი ფლექსიით ნაწარმოები [მადიევა 1965 : 78].

5.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებით სახელებში. ა) მრავლობითი რიცხვის სუფიქსური საშუალებით წარმოებისას გამოიყოფა როგორც მრავლობითობის საერთო ფორმანტები (-ა, -ჟა, -რა, -ბა, -და, -ლა, -ნა; აგრეთვე: -რო [>-რ], -ო[>-უ]), ისე ამა თუ იმ დიალექტ-კილოკავებისთვის ნიშანდობლივი მაწარმოებლებიც (-როლ, -რალ, -ლალ, -არა, -ნარა...). ეს სუფიქსები სხვადასხვა სიხშირით იხმარებიან და მეტ-ნაკლები ხვედრითი წონა აქვთ მრავლობითობის წარმოებაში.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მრავლობითობის საწარმოებელი სუფიქსები თვით ერთი დიალექტის ფარგლებშიც გვიჩვენებენ განსხვავებას [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 75].

ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში გამოიყოფა თხუთმეტი სუფიქსი მაინც. ეს სუფიქსებია: -ა || -ჰ: ჭიტ „დანა“ — ჭიტ-ა, როხრიჭ „ნამგალი“ — როხრიჭ-ა, ბალ'ად „ხანჯალი“ — ბალ'ად-ა, მჟჟ — „ცოცხი“ — მჟჟ-ჰ.

-ბო: ხონ'ხო „ხე“ — ხონ'ხ-ბო, ჟო „ძალი“ — ჟო-ბო, ცან' „ვარსკვლავი“ — ცან'-ბო, ლ'ი „წელი“ — ლ'ი-ბო, ზოტხო „თითი“ — ზოტხო-ბო.

-V: ლ'ოჟა „ძვალი“ — ლ'ოჟჰ, შჟნჰ „საფლავი“ — შჟნჰ, მატა „შუბლი“ — მატჰ.

-ბა: ვაზაჯ „ქართველი“ — ვაზაჯ-ბა, ქიდ „ქალიშვილი“ — ქიბ-ბა, ყალამ „ფანქარი“ — ყალამ-ბა.

-**და** || -**და**: ქრ „ხელი“ — ქრ-და, გაყო „ეშვი“ — გაყო-და, ტყრ „ვაჟიშვილი“ — ტყრ-და, ვჭრ „ქუსლი“ — ვჭრ-და, შელო „რქა“ — შელო-და.

-**ჟა** || -**ჟა**: ხორლო „ხერხი“ — ხორლო-ჟა, კათუ „კარტოფილი“ — კათუ-ჟა, ცტყტტრ „მილი“ — ცტყტტრ-ჟა.

-**ლა**: ქილ „რკინა“ — ქილ-ლა, ყრ „ნაბადი“ — ყრ-ლა, გენი „მსხალი“ — გენი-ლა, ტექ „წიგნი“ — ტექ-ლა, ფეჩ „ღუმელი“ — ფეჩ-ლა.

-**ლ**: შუგო „იაბო ცხენი“ — შუგო-ლ, იმო „დედა“ — იმო-ლ.

-**ნა**: ცან „თხა“ — ცან-ნა, ის „ძმა“ — ის-ნა, ქა „სანთელი“ — ქა-ნა.

-**მალ**: წო „ცეცხლი“ — წო-მალ.

-**მოლ**: ბიშე „ხბო“ — ბიშე-მოლ, ლ'ილე „ბატკანი“ — ლ'ილე-მოლ.

-**მა**: ქეტე „კოფი“ — ქეტე-მა (|| ქეტ-ბო), ბოლო „სახლი“ — ბილო-მა.

-**მო**: წიქა „სარკე“ — წიქა-მო, მატა „შუბლი“ — მატა-მო.

-**ო**: ო^ნს „ხარი“ — ო^ნს-ო.

სპეციალურ ლიტერატურაში დამატებით დასახელებულია ორი სუფიქსი -**ლ'ი** და -**ზალ** > || -**ჟალ** [ლომთაძე 1996 : 82-93], რომლებიც ხუნძურიდან ახლახან არის შეთვისებული და ძირეულ ლექსიკაში მტკიცედ ფეხი არც კი აქვთ მოკიდებული (იქვე, 89). უპირატესად ეს სუფიქსები ხუნძურიდანვე ნასესხები სახელების მრავლობითობას აწამროებენ, მაგ.: ბაჰარჩი „ვაჟკაცი“ — ბაჰარ-ზალ || -ჟალ, მადუჰან „მეზობელი“ — მადუჰან-ლ'ი „მეზობლობა“ (კრ.) > „მეზობლები“, ვაც „ბიძაშვილი“ — ვაჟ-ლ'ი „ბიძაშვილობა“ (კრ.) > „ბიძაშვილები“ და ა. შ.

საყურადღებოა, რომ ბეჟიტური დიალექტის ხაშარხოტულსა და ტლადალურ კილოკავებშიც ძირითადად ეგვე სუფიქსები იჩენენ თავს, მაგრამ, როგორც მ. ხალილოვი და ი. რამაზანოვი

წერენ [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 75], გვხვდება თავისებურებანიც:

ა) იქ, სადაც საკ. ბეჟიტურ თქმაში **ღ** სონანტი დასტურდება, სხვა კილოკავებში **რ** გვაქვს [ლომთაძე 1996 : 94]: **-რა, -რო, -როლ, -რალ**. მიზეზი ნათელია: ჰუნზ. **რ**: ხაშ.-ტლ. **რ**: ბეჟ. **ღ**.

ბ) ბეჟიტის თქმასა და ხაშარხოტულ კილოკავში განსხვავებულია მრავლობითობის საწარმოებელ ფორმანტთა განაწილების პრინციპიც — ერთსა და იმავე სახელს მრავლობითობის სხვადასხვა სუფიქსები დაერთვის [ლომთაძე 1996 : 97], მაგ.: ხაშ. ცანი-მა, შდრ. ტლ. ცან-ლა, ბეჟ. ცან-ნა „თხები“, ბეჟ. ბიცო-და, შდრ. ტლ. ბიცო-რა „მკლავები“ და ა. შ.

გ) მრავლობითობის ზოგი ფორმანტი განსხვავებულია, მაგ., **-ია** (ხაშ.). ბეჟიტის თქმაში იგი არ აღსტურდება.

ჰუნზიბურ დიალექტში, გარდა საერთო სუფიქსებისა, გვხვდება ოდენ მისთვის ნიშანდობლივი რამდენიმე სუფიქსი:

-ბურ: ლ^გ „წყალი“ — ლ^გ-ბურ, ცა „ვარსკვლავი“ — ცა-ბურ, სგ „მელა“ — სგ-ბურ „მელიები“.

-ურ: ალე „ტოტი“ — ალ-ურ, ლ'ილე „თიკანი“ — ლ'ილ-ურ, ბალა „ფსიტი“ — ბალ-ურ.

-უ: ო^ნ „ხარი“ — ო^ნ-უ, ტხალ „ქვა“ — ტხალ-უ.

უკანასკნელ სუფიქსს საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში **ო** შეეფარდება, შდრ. ბეჟ. ო^ნ „ხარი“ — ო^ნ-ო.

ყურადღებას იქცევს ფუძისა და აფიქსის ურთიერთმიმართების საკითხიც: **-ბურ** ფორმანტდართული ფუძის აუსლაუტი უცვლელია, ხოლო **-ურ** ფორმანტდართული ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი უგამონაკლისოდ ყოველთვის იკარგვის. ეს კი, თავის მხრივ, სრულხმოვნობასთან უნდა იყოს დაკავშირებული [ლომთაძე 1996 : 84].

მხოლოდ ხაშარხოტულსა და ტლადალურში დასტურდება **-ბარა** სუფიქსი, რომელიც, სავარაუდოა, რთული აგებულებისა ციყოს: **-ბა+რა** (შდრ. **-ნა+რა**).

თვალშისაცემია ერთი გარემოება: ბეჭიტელების მეტყველებაში მრავლობითის ფორმები ხშირად ბოლოკიდურ ხმოვანს ან მთლიან მარცვალსაც იკვეცს, რაც წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელებას იწვევს. ამ ფაქტის კონსტატაცია ახალგაზრდების მეტყველებაში ჯერ კიდევ ელ. ლომთაძეს 50-იან წლებში ჩაწერილ მასალაში მოეპოვება [ლომთაძე 1996 : 95]. ვფიქრობთ, რომ ამით ხელშესახებად წარმოჩნდება სათანადო ფორმათა ცვლეთის ტენდენცია, რაც მეტყველების ერთგვარ გამარტივებას უწყობს ხელს.

ბეჭიტურ ენაში სახელთა მრავლობითობის წარმოებისას ფორმანტთა ამა თუ იმ სახელთან განაწილებას ერთიანი საფუძველი არ აქვს ისევე, როგორც ეს ხუნძურშია [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 102]. არის ზოგიერთი ფორმანტი, რომლებთანაც ესა თუ ის სახელი გვხვდება [ხალილოვი 1995 : 395].

ბ) სუფიქსაციის გარდა, მრავლობითი რიცხვის წარმოებაში არცთუ იშვიათად გამოიყენება შინაგანი ფლექსია (ხმოვანთმონაცვლეობა). ხმოვანთმონაცვლეობის მაგალითები:

მატო (ჰუნზ. მატტუ) „ლოდი“ — მატა, ტოტოტო „დაფა“ — ტოტოტოა, თიწიო „ქამარი“ — თიწიოა, ჰამო „ნაცარი“ — ჰამა, პეპელო „პეპელა“ — პეპელა, ჰოჰოტო „ძეწკვი“, „ჯაჭვი“ — ჰოჰოტა და სხვ. მისთ.

გ. მაღიევა დამატებით გამოყოფს თანხმოვანთა გაორმაგებით ნაწარმოებ მრავლობითის ფორმებს, რომლებიც მეტად იშვიათად იხმარება [მაღიევა 1965 : 85].

ჩვენი დაკვირვებით, გ. მაღიევას ამ დებულების დასასაბუთებლად მოხმობილი მაგალითები, რომლებსაც უცვლელად იმეორებს მ. ხალილოვი [ხალილოვი 1995 : 396], ასახავენ არა ხმოვანთა გაორმაგებით მრავლობითი რიცხვის წარმოებას, არამედ უბრალოდ პროგრესულ კონტაქტურ ასიმილაციას ფორმანტისეული თანხმოვნისას წინამავალ ფუძისეულ თანხმოვანთან: ივ „თუში“ — ივვა <*ივ-ბა (შდრ. ჰუნზ. ივ-ბო "id".), ბეჟ „ბაკი“ — ბეჟ-ჟა II < ბეჟ-ლა, ი^ნზ (ჰუნზ. ი^ნჟ) „საცერი“ — ი^ნზ-ზა (<*ი^ნზ-ბა), (ჰუნზ. ი^ნჟ-ჟა <*ი^ნჟ-ბა) და ა. შ.

რაც შეეხება ბოლოკიდური ხმოვნის დაგრძელებას, ეს ხდება კომბინაციური ფონეტიკური პროცესის საფუძველზე ხმოვნის ან თანხმოვნის დაკარგვის საკომპენსაციოდ [იხ. ლომთაძე 1996 : 115-118].

ბეჟიტურში ისევე, როგორც ზოგ სხვა ახლომონათესავე ენაში (მაგ., საკ. დიდოურში), მრავლობითის საწარმოებელ სუფიქსთა ერთი წყება ფაკულტატურად ფუნქციონირებს, მაგ.: ბიცო „ხელი“ — ბიცო-ჟა II ბიცო-და, დარს „გაკვეთილი“ — დარს-ჟა II დარს-ბა, ქეტე „კოვზი“ — ქეტე-მა II ქეტ-ბო.

ასეთი ვითარება კი, როგორც ნათქვამი გვაქვს ზემოთ, იმის მაუწყებელია, რომ მრავლობითის წარმოება ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

5.3. მრავლობითი რიცხვის განსაზღვრული ფორმები. მეტად საყურადღებო ფაქტია, რომ ბეჟიტურ ენაში მ. ხალილოვის მიერ მიკვლეულ იქნა განსაზღვრული (რაოდენობრივად შემოფარგლული) და განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები, რომელიც უპირატესად სემანტიკურ დიფერენციაციას ემყარება. ანალოგიური წარმოება სხვა დიდოურ ენებში არ შეიმჩნევა, იგი მარტოდენ ბეჟიტური ენის საკ. ბეჟიტური დიალექტის კუთვნილებაა [ხალილოვი 1985 : 136-138].

შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თავს იჩენს ეკვიპოლენტური ოპოზიცია, ვინაიდან მრავლობითობის ორივე ფორმა თითქმის თანაბრად მარკირებულია სპეციალური ფორმანტებით. საილუსტრაციო მაგალითები საკუთრივ ბეჟიტური დიალექტიდან:

მხ. რ.		მრ. რ.	განს. მრ. რ.
მიღ	„კუდი“	მიღ-ლა	მიღ-ა
შაჰარ	„ქალაქი“	შაჰარ-ლა	შაჰარ-ბა
ბალ'აღ	„ხმალი“	ბალ'აღ-ლა	ბალ'აღ-ბა
ბაწო	„მგელი“	ბაწ-ა	ბაწ-ბო
ბოცო	„მთვარე“, „თვე“	ბოცო-ჟა	ბოც-ბო (< ბოცო-ბო)
ციყი	„ციყვი“	ციყი-მა	ციყ-ბო (< ციყი-ბო)

ინტერესს აღძრავს სახელთა ერთი წყება, რომელთა მრავლობითი მხოლოობითისაგან ფორმობრივად არ განირჩევა, მაგრამ სემანტიკურად მასში საგანთა სიმრავლე-კრებითობა მოიაზრება. ამგვარ შემთხვევებში გვექნება პრივატული ოპოზიცია, ვინაიდან ჩვეულებრივი (განუსაზღვრელი) მრავლობითი უმარკეროა, მაგ.:

მხ. რ.		მრ. რ.	განს. მრ. რ.
მიც	„წინჭარი“	მიც	მიც-ა
ქურაქ	„ჭერმის ჩირი“	ქურაქ	ქურაქ-ბა
ყარფუზ	„სახამთრო“	ყარფუზ	ყარფუზ-ა

ანალოგიური ოპოზიცია შეიმჩნევა კრებითობის გამომხატველსა და განუსაზღვრელ მრავლობითის ფორმებს შორის:

მხ. რ.		განს. მრ. რ.	კრ. მრ.
მუყო	„ლურსმანი“	მუყო-და	მუყო
ქილ	„რკინა“	ქილ-ლა	ქილ
ჭოტი	„ლობიო“	ჭოტი-ლა	ჭოტი
მიკე	„მორი“	მიკე-და	მიკე

ბეჟიტურ ენაში დასტურდება ისეთი სემანტიკის მქონე სახელები, რომლებიც, მათი აღნაგობა-შედგენილობიდან გამომდინარე, მრავლობითობის გაგებას მოკლებულნი არიან. ასეთებია: ზამან „დრო“, კიმა „ყველი“, სუჟო „ბუზა“, არაყა „არაყი“, ძენლ⁴ „კარაქი“, აერბო⁵, ღინო „ღვინო“, მიზო „თიხა-მიწა“, მისო „ლამი“, კარო „კალტი“, კატიხ „ჩუმა-მაწონი“, ენ⁶ „ვაშლი“, ლენ⁶ „მოცვი“ და მისთ.

რაც შეეხება არსებით სახელთა მრავლობითის სუბლექტურ წარმოებას, რომელზედაც ე. ბოკარიოვი ამახვილებს ყურადღებას [ბოკარიოვი 1959 : 80], ვფიქრობთ, რომ ზოგი რამ დასაზუსტებელია. კერძოდ, მკვლევარი გამოყოფს ორ მაგალითს: სოფრო „ცხენი“ — შუგოროდ „ცხენები“ და სუკო „კაცი“ — ადამლა „კაცები“.

პირველი მაგალითის ორივე საოპოზიციო ერთეულს ბეჟიტის თქმაში მოეპოვება თავ-თავისი ეკვივალენტები: სოფა „ტაიჭი“ —

სოფელ „ტაიჭები“, შტეტ „ცხენი“ — შტეტ-ლ „ჭაკი ცხენები“. მეორესადაც აქვს შესაბამისი შესატყვისები: სუკო „კაცი“ — განს. მრ. რ. სუკო-ბა, განუს. მრ. რ. აღმლჷ „კაცები“.

მართალია, **სუკო** ლექსემას მარტოიდან მრავლობითის განსაზღვრული ფორმა მოეპოვება, მაგრამ მაინც ქმნის მხოლოდ ერთთან ოპოზიციას. სუბლექტურ ფორმებზე თუ მაინც ვილაპარაკებთ, მაშინ ოდენ განსაზღვრულსა და ჩვეულებრივი მრავლობითის დაპირისპირებაღა გვექნება.

5.4. ატრიბუტულ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება. საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში ზედსართავი სახელელების მრავლობითობა იწარმოება შემდეგი სუფიქსებით:

-ა: ქილოს „რკინის, რკინოვანი“ — ქილოს-ა, ლ'იფოტოს „დაბალი“ — ლ'იფოტოს-ა, ლ'იფოს „ქვედა“ — ლ'იფოს-ა. აგრეთვე გვხვდება ფუძისეულ ხმოვანრედუცირებული ფორმები [დირი 1909 : 81]: იხალლო „გრძელი“ — იხალლ-ა, აშშო „მსხვილი“ — აშშ-ა.

-ა¹: ციხნ „მარლიანი“ — ციხნ-ა, სიმაჯო „ბრაზიანი“ — სიმაჯო-ა, ნიყა „მწარე“ — ნიყა-ა.

-ჟნ: კოკო „ავადმყოფი“ — კოკო-ჟნ, ყოყო „მძაღვ“ — ყოყო-ჟნ, ვოჯო „მშრალი“ — ვოჯო-ჟნ || ვოჯო-ლნ.

-ლა: ბერსინაბ „ლამაზი“ — ბერსინაბ-ლა, სალაბ „სალი, ჯანმრთელი“ — სალაბ-ლა, წოდორაბ „ჭკვიანი“ — წოდორაბ-ლა, ლამუსაბ „ნამუსიანი“ — ლამუსაბ-ლა.

როგორც მაგალითებიც გვიჩვენებენ, მრავლობითი **-ლა** სუფიქსით ძირითადად ხუნძურისაგან ნასესხები ზედსართავები იწარმოება [მადიევა 1965 : 91]. ანალოგიურ ვითარებას ვაწყდებით ჰუნზიტურ დიალექტში, მაგ.: ბეჩედაბ „მდიდარი“ — ბეჩედაბ-ლა, მისქინ „ლარიბი“ — მისქინ-ლა.

¹ -ა სუფიქსში **ა**-ს ისევე, როგორც **-ჟა** სუფიქსში **ჟ**-ს შესაძლოა ხმოვანთგამყარის ფუნქცია ჰქონდეს.

ჰუნზიბური დიალექტი, საკუთრივ ბეჟიტურისაგან განსხვავებით, ზედსართავი სახელის მრავლობითობის ფორმანტთა სიუხვით არ გამოირჩევა. **-ლა** სუფიქსის გარდა, გვხვდება **-არ** ფორმანტი, რომელიც ზედსართავის სადა ფუძეს დაერთვის, მაგ.: იჩილ-უ „ძველი“, „მოხუცი“ — იჩილ-არ, ქიქირ-უ „წვრილი“ — ქიქირ-არ, ყეყყ-უ „ვრცელი, ფართო“ — ყეყყ-არ და სხვ.

თუ ზედსართავ სახელს კლასის პრეფიქსული ექსპონენტი მოეპოვება, მაშინ იგი დადგენილი წესით შეიცვლება, რაც კლასის მრავლობითის ნიშნის დართვას გულისხმობს, მაგ.: ბგ-ყ-უ „დიდი“ — რგ-ყ-არ, ბი-ყერ-უ „პატარა“ — რი-ყერ-არ და მრ. სხვ.

ბეჟიტური ენა მრავლობითობის წარმოებისას არც ლექსიკურ საშუალებებს არის მოკლებული, თუმცა იგი, ამ მხრივ, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს და ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

თავი VI

სახელი

6.1. **არსებითი სახელის ბრუნვა.** ბეჟიტური ენის ბრუნვათა სისტემაში, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, გაირჩევა ორი ჯგუფი: ა) ძირითადი (აბსტრაქტული) და ბ) ლოკატიური (კონკრეტული). ძირითად ბრუნვათა ჯგუფში ხუთი ბრუნვა გამოიყოფა: 1) სახელობითი, 2) ერგატივი, 3) მიცემითი, 4) ნათესაობითი, 5) ინსტრუმენტალისი. ლოკატიურ ბრუნვათა ჯგუფი ხუთ ბრუნვასა და ცხრა სერიას აერთიანებს.

ბრუნება აგლუტინაციური ტიპისაა და ერთიან მორფოლოგიურ პროცესს წარმოადგენს. ორივე სახის (ძირითადი, ადგილობითი) ბრუნებისათვის ნიშანდობლივია სუფიქსაცია — თითოეულ ბრუნვის ფორმას საკუთარი გრამატიკული ნიშანი დაერთვის და გამოხატავს: ა) ძირითად ბრუნვებში — აქტანტთა ურთიერთდამოკიდებულებას და კუთვნილებითობას; ბ) ლოკატიურ ბრუნვებში — საგანთა სივრცობრივ მიმართებებს.

6.1.1. **ძირითადი ბრუნვები.** ბრუნვათა სისტემისთვის ნიშანდობლივია ერგატივის ქონა და ბრალდებითი ბრუნვის უქონლობა. გარდა ამისა, ზოგი სხვა მონათესავე ენისაგან განსხვავებით, ცალკე ბრუნვად გამოიყოფა ინსტრუმენტალისი, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო იარაღს (წიტა-დ „დანით“), ან ირიბ ბრუნვაში მდგარ სახელის მსაზღვრელს (ყებედლი-დ აჰნ „მჭედლის ცოლს“).

1) სახელობითი ბრუნვა წარმოადგენს გაუფორმებელ გრამატიკულ ერთეულს, პირველად (წმიდა) ოდენობას, რომელიც არ არის მარკირებული და ბაზისურ ფუძედ მიიჩნევა. ორსავე საკვლევ დიალექტში სახელობითი ბრუნვის ფორმა და სახელის პირველადი ფუძე¹ ერთმანეთს უტოლდება. მასთან, სახელობითი ბრუნვის ფუნქცია არის, გარდაუვალ ზმნასთან გადმოსცეს რეა-

¹ ზოგჯერ „პირველადი“ ფუძე შეიძლება გაცვეთილი იყოს და მისი რეკონსტრუქცია მონათესავე ენათა სათანადო მონაცემებთან შედარებისას მოვახდინოთ, მაგ.: ბეჟ. აბო („მამა“) <*აბ-ოლ <*ამ-ოლ (შდრ. ხუნდ. ემენ "id"), ბეჟ. ბოჰ („მზე“) <*ბიჰუ და მისთ. ამგვარ ელემენტებზე ყურადღების გამახვილება საბრუნებელი სახელის ფუძის წარმოებისას მნიშვნელოვანია.

ლური სუბიექტი, ხოლო გარდამავალ ზმნასთან კი — უახლოესი ობიექტი, მაგ.: ბეჟ. ილოს **აბო** მწტა **გე** „მამაჩვენი მთაზე არის“, **სი^ნ ნუცო** **აფ^ნგიო** „დათვი თაფლს ჭამს“...; ჰუნზ. ბედლო **ცოლე** ბულ'იდ მეტყერ (ლომთ. 2003 : 250) „შემდეგ ჩვენ შინ წავედით“, **ჟაფლ** უაჲს **მაცა^ნ ბახელლოჲს** „ძალი ძაღლის ტყავს არ დახვეს“ და მრ. სხვ.

სახელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც ფუძის მაგივრობასაც ეწევა (გამოიყენება ერგატივის საწარმოებლად), შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანი ან თანხმოვანფუძიანი. ეს კი ერთგვარად მისადაგება ერთფუძიანი და ორფუძიანი ბრუნების ტიპებს [ლომთაძე 1996 : 139].

2) **ერგატიული ბრუნვა** იწარმოება სახელობითის ფორმისაგან არა უშუალოდ, არამედ ირიბ ბრუნვათა ფუძეზე სათანადო ნიშნის დართვით. ერგატივი, ხუნძურისაგან განსხვავებით, ინსტრუმენტალისს არ ითავსებს, რადგანაც ეს უკანასკნელი დამოუკიდებელ ბრუნვად გვევლინება.

ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ კილოში ერგატივის ნიშნად თანხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება **-ლო**, ხოლო ხმოვანფუძიან სახელებთან ოდენ **-ლ**(**<-ლო**). ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ფუძისა და ფორმანტის ურთიერთზეგავლენის ნიმუში: ფუძისეული ხმოვანი იწვევს ფორმანტისეული ხმოვნის აპოკოპეს. საკუთრივ ბეჟიტურ კილოში ერგატივის ნიშნად ნულოვანი მორფემა გვაქვს [შდრ. ლომთაძე 1996 : 140-142]. მართალია, დასტურდება სახელობითი ბრუნვის ფორმის მარკირება **-დი**, **-ბა**, **-ლი**, **-ლა**, **-ტი**, **-ა**, **-ი** ელემენტებით, რომლებიც ერგატივის ნიშნის ილუზიას ქმნიან, მაგრამ სინამდვილეში ისინი, ჰუნზიბურთან შედარებით, ფუძის ფორმანტებს წარმოადგენენ [იხ. ბოკარევი 1959 : 85; შდრ. მადიევა 1965 : 66; ხალილოვი 1996 : 396]. ზოგჯერ საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ერგატივში ბოლოკიდური ხმოვანი გრძელდება (სახ. ლ'ი „წყალი“ — ერგ. ლ'ი), რაც შესაძლოა დაკარგული ფორმანტის საკომპენსაციო სიგრძეს წარმოადგენდეს. გარდა ამისა, ერთი რიგის სახელებში (**იო** „დედა“, **აბო** „მამა“, **სუკო** „კაცი“...) სახელობითისა და ერგატივის ფორმები სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს, რაც ოდინდელი ვითარების ამსახველია.

3) **მიცემითი ბრუნვის** ნიშანი საკუთრივ ბეჭიტურში არის **-ლ**, ხოლო ჰუნზიბურ დიალექტში — ხმოვნის სიგრძე, რაც მოკვეცილი სონორის ერთგვარი კომპენსაციაა. სავარაუდოა, ეს შეპირობებული იყოს ერგატივისა და მიცემითი ბრუნვის ფორმათა ომონიმის თავიდან ასაცილებლად: საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში ერგატივის ნიშანი იკარგვის, ჰუნზიბურ დიალექტში კი — მიცემითის ნიშანი. ამგვარი პარალელიზმი თვალში საცემია ორსავე დიალექტში, მაგ.: ჰუნზ. სახ. ოჟე „ვაჟი“ — ერგ. ოჟდი-ლ, მიც. ოჟდო, ნათ. ოჟდი-ს (<*ოჟედი-ს); საკ. ბეჟ. სახ. ოჟრ „ვაჟი“ — ერგ. ოჟდი, მიც. ოჟდი-ლ, ნათ. ოჟდი-ს.

4) **ნათესაობითი ბრუნვის** ძირითადი ნიშანი ორსავე დიალექტში, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, არის **-ს**, რომელიც გაშიშინების ზოგადი ტენდენციის საფუძველზე **-შ**-დ ტრანსფორმირდება.¹

სპეციალურ ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ მეორე ნათესაობითს, რომელიც ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფორმების მსაზღვრელად არის გამოყენებული [ბოკარევი 1959 : 35; 84; მადიევა 1965 : 70; ხალილოვი 1995 : 396]. საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში მეორე ნათესაობითს საკუთარი გრამატიკული ფორმა აქვს, მაგრამ ჰუნზიბურ დიალექტში ამ ფუნქციით ინსტრუმენტალისის ფორმა გამოიყენება.²

¹ ე. ლომთაძეს შენიშნული აქვს მისი გაშიშინება ტლადალურ კილოკავში [ლომთაძე 1996 : 151], თუმცა **-ს** > **-შ** არც ხაზარხოტული კილოკავისთვის არის უცხო [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 71], მაგ.: ბეჭიტ. **სიფო** — ხაშ. **შიფო** „რა“...

² ირკვევა, რომ ჰუნზიბურში **II** ნათესაობითის გამოყოფა საფუძველს მოკლებულია, რადგანაც მას არც ფორმა და არც ფუნქცია დამოუკიდებელი არ აქვს. რაც შეეხება მეორე ნათესაობითს საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში, მართალია, საკუთარი ფორმა აქვს (ნაწარმოები ჩანს მიცემითი ბრუნვის ფორმისაგან **ა**-ს დართვით: ნათ. **II ლ'ილ-ა**, შდრ. მიც. **ლ'ი-ლ** „წყალს“), მაგრამ ატრიბუტივად არის გამოყენებული და, ამდენად, მოკლებულია განსხვავებულ ფუნქციას. ახალი ბრუნვის გამოსაყოფად კი საჭიროა არა მხოლოდ ნიშანი, არამედ საკუთარი ფუნქციაც.

5) **ინსტრუმენტალისის** ნიშნად ბოლოხმოვნის სახელებთან უპირატესად **-დ** გვაქვს, ხოლო თანხმოვანფუძიან სახელებთან კი — **-დო**, რაც ერგატიული ბრუნვის ნიშანთან პოვებს პარალელს. ამასთანავე, ეს ბრუნვა ოდენ უგონო ცოცხალ არსებათა და უსულო საგანთა გამომხატველი სახელების ბრუნვაა. საგულისხმოა, რომ ადამიანს — აქტიურ გონიერ არსებას, ეს ბრუნვა არ აქვს და ამ ფუნქციით მას ერგატივი ენაცვლება. ცნობილია, რომ სახელთა კლასიფიკაცია ერგატივისა და ინსტრუმენტალისის მიხედვით მეორეული მოვლენაა [ლომთაძე 1996 : 171-172; თოფურია 1995 : 85-86].

ძირითად ბრუნვათა მორფოლოგიური ნიშნები სქემატურად ასე გამოიხატება:

ა) საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი

სქემა 9

ბრუნვები	ბრუნვათა ნიშნები	ბრუნების ნიმუში	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	—	სორა	მელა
ერგატივი	-ლზ, -ლ, -ღ	სორა-ლი	მელამ
მიცემითი	-ლ	სორალი-ლ	მელას
ნათესაობითი	-ს, -შ	სორალი-ს	მელას(ი)
ინსტრუმენტალისი	-დო, -დ	სორალი-დ	მელათი

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 10

ბრუნვები	ბრუნვათა ნიშნები	ბრუნების ნიმუში	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	—	თოფი	თოფი
ერგატივი	-ლზ, -ლ	თოფილ-ლო	თოფმა
მიცემითი	-ლ	თოფილ-ა	თოფს
ნათესაობითი	-ს	თოფილო-ს	თოფის
ინსტრუმენტალისი	-დო, -დ	თოფილ-დო	თოფით

6.1.2. **საბრუნებელი სახელის ფუძე.** საბრუნებელ სახელთა ანალიზისას, ერთი მხრივ, სახელობითის, ხოლო, მეორე მხრივ, ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ჩვენების საფუძველზე, გამოიყოფა: ა) მხოლოდითი რიცხვის წმინდა (პირდაპირი) ფუძე, რომელიც სახელობითის ფორმას უთანაბრდება, ბ) ერგატივისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფუძე, გ) მრავლობითი რიცხვის ბაზისური ფუძე და დ) მრავლობითის ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე.

ა) წმინდა ფუძედ განიხილება სახელობითის (*resp.* აბსოლუტივის) ფორმა, რომელიც ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი. სწორედ ამგვარი ფორმა ერთფუძიანი ბრუნების დროს უცვლელად გაჰყვება ყველა ბრუნვას.¹ ორფუძიან ბრუნებაში, მოყოლებული ერგატივიდან ინსტრუმენტალისის ჩათვლით, **-V, -VC** სტრუქტურის ელემენტებით ნაწარმოები ფუძე გამოიყენება.

ბ) მართალია, ირიბი ფუძე ძირითადად სახელობითი ბრუნვის არამარკირებულ ფორმას ემყარება, მაგრამ ზოგჯერ მისგან მკაფიოდ განსხვავდება. ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე იწარმოება სახელობითი ბრუნვის ფორმისაგან სხვადასხვა წარმომავლობის ელემენტების დართვით, რომლებსაც ნაირგვარი ტერმინებით („ჩანართი ელემენტი“, „დამაკავშირებელი ხმოვანი“, „სავრცობი“...) მოიხსენიებენ. ფუძის ფორმანტად გამოიყენება: 1) ან ოდენ თანხმოვანი: საკ. ბეჟ. **-ა, -ო, -ი (>||-მ), -ე;** ჰუნზ. **-ა, -ო, -ე, -ი, -უ;** 2) ანდა **-CV (-SV)** მოდელის ფორმანტი: საკ. ბეჟ. **-დი(>||-ტი), -ბა, -ლი, -ლა;**² ჰუნზ. **-დი, -დო, -დუ, -ბო, -ლი, -ლა, -ლო, -მო, -რუ, -რა, -რო, -მო.**³ მარცვლოვანი სტრუქტურის ფორმანტები შეიძლება დაიშალონ შესაბამის თანხმოვნურ (სავრცობი, დეტერ-

¹ ცალკეული გადახრები ფონეტიკური ხასიათისაა, მაგ.: ჰუნზ. სახ. ცა⁶ „მარილი“ — ნათ. ჩინ⁶მო-ს, სახ. ოჟე „ვაჟი“ — ერგ. ოჟდი-ლ (<*ოჟედი-ლ) და მისთ.

² ე. ბოკარევი დამატებით გამოყოფს **-და** ფორმანტს [ბოკარევი 1959 : 82]: ლედ „ირემი“ — ლედ-და, ქედ „საკიდელა“ — ქედ-და. სინამდვილეში ამ რიგის მაგალითებში ასიმილაციასა და რედუქციასთან უნდა გვქონდეს საქმე: ქედ-ლა „საკიდლები“ (შდრ. ჰუნზ. ქოდ-ლო "id".) > ქედ-და, ცან-მა „თხები“ (შდრ. ჰუნზ. ცან-ი "id".) > ცან-ნა და ა. შ.

³ იხ. ბოკარევი 1959 : 81-83; ვან დენ ბერგი 1995 : 37-38.

მინანტი, ბრუნვის ოდინდელი ნიშანი) და ხმოვნურ (ე. წ. დამაკავშირებელი ხმოვანი) ელემენტებად.

რაც შეეხება იმ რიგის მაგალითებს (ბოჯ „მზე“ — ბიჯო, ბოცო „მთვარე“ — ბიცო...), რომელთა ფუძისეული ხმოვანი ტრანსფორმირებულია, ისინი ხშირად არქექტიპებს ინახავენ, მაგ.: ბოჯ (<*ბიჯუ) „მზე“, ქორო (<*ქჷარა, შდრ. ჰამ. ქჷადა „ხელში“) „ხელის მტევანი“ და მისთ.

მრავლობითი რიცხვის წარმოებაზე წინა პარაგრაფში გვექონდა საუბარი, ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ შევეხებით. მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძის შესახებ დაწვრილებით არის მსჯელობა სპეციალურ ლიტერატურაში [იხ. ბოკარევი 1959 : 35; 83-84; ვან დენ ბერგი 1995 : 41...].

6.1.3. ბრუნების ტიპები. ბეჟიტურ ენაში არსებით სახელთა ფუძის სტრუქტურის მიხედვით, ბრუნების ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1) მარტივფუძიანი და 2) რთულფუძიანი. ამასთანავე, შეინიშნება ფუძეთა ანომალიური წარმოებაც, რაც განცალკევებულად უნდა იქნეს განხილული.

1) მარტივფუძიანი (*resp.* ერთფუძიანი) ბრუნების მიხედვით იბრუნვის სახელთა შედარებით მცირე ჯგუფი, რომელიც ფუძედ იყენებს სახელობითის არამარკირებულ ფორმას და მას ურთავს სათანადო ბრუნვის ნიშნებს. ამ ტიპის მიხედვით იბრუნვიან ხმოვანფუძიანი საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები.

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის მრავლობითი რიცხვის **-როლ** სუფიქსზე დასრულებულ სახელთა ირიბ ფუძეში **-ლარა** სონორთა მეტათეზისისა და ხმოვანთა ასიმილაციის (ო...ა → ა...ა) შედეგი ჩანს: **-ლორა** (<-**როლა**) > **-ლარა**: სახ. **სᲑ-როლ** „დათვები“ — სᲑ-ლარა (<სᲑ-რალა, შდრ. ხაშ. აბო-რალა „მამები“).

ჰუნზიბურ დიალექტში მრავლობითის ბაზისურ ფუძეს, რომელსაც მრავლობითობის სუფიქსი ერთვის და გაჰყვება ყველა ბრუნვაში, ემატება ირიბი ფუძის ფორმანტი **-ლა** (> || **-ლ**) და ბრუნვის ნიშანი, მაგ.: სგ „დათვი“ — მრ. სგ-ბურ — ერგ. სგ-ბურ-ლა-ლ და ა. შ. ბრუნების საილუსტრაციო პარადიგმები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	იფო „დედა“	იფო-როლ	ქრ „ხელი“	ქრ-და
ერგ.	იფო	იფო-ლა-რა	ქრ/ქნ	ქრ-და-რა
მიც.	იფო-ლ	იფო-ლა-რა-ლ	ქრ-ლ/ქა-ლ	ქრ-და-რა-ლ
ნათ.	იფო-ს	იფო-ლა-რა-ს	ქრ-ს/ქა-ს	ქრ-და-რა-ს
ინსტრ.	_____ ¹	_____	ქრ-დ/ქა-დ	ქრ-და-რა-დ

ჰუნზიბური დიალექტი

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ობუ „მამა“	ობუ-ჟა	ჯოჯო „სახლი“	ჯოჯო-ჟა
ერგ.	ობუ-ლ	ობუ-ჟა-ლ-ლო	ჯოჯო-ლ	ჯოჯო-ჟა-ლ-ლო
მიც.	ობუ	ობუ-ჟა-ლნ	ჯოჯონ	ჯოჯო-ჟა-ლნ
ნათ.	ობუ-ს	ობუ-ჟა-ლა-ს	ჯოჯო-ს	ჯოჯო-ჟა-ლა-ს
ინსტრ.	_____	_____	ჯოჯო-დ	ჯოჯო-ჟა-ლა-დ

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	წგ „ცეცხლი“	წგ-ბურ
ერგ.	წგ-ლ	წგ-ბურ-ლა
მიც.	წგ	წგ-ბურ-ლნ
ნათ.	წგ-ს	წგ-ბურ-ლა-ს
ინსტრ.	წგ-დ	წგ-ბურ-ლა-დ

¹ ინსტრუმენტალისი გონიერ ცოცხალ არსებებს ჩვეულებრივ არ მოეპოვება, მაგრამ აქვთ ნათესაობითის ფუნქციით გამოყენებული ინსტრუმენტალისი, მაგ.: იფოდ ბაბუ ბოჟლილო „დედას (ზედმიწ. „დედით“) პური გამოვაცხოზინე“, შდრ. ბალ'აფო-დ ქილუს ყამ „ხანჯლის (ზედმიწ. „ხანჯლით“) რკინის თავი“.

ანალოგიურად იბრუნვის: სუკო „კაცი“, ისი „და“, სი⁵ „დათვი“, ნიშე „ლამე“, შტნა „საფლავი“, შტგოშტა „ფაშატი“, ყოჭო „ხვრელი“, „ჭუჭრუტანა“, ყო (ჭუნზ. ჭორო) „სკამი“ და სხვ.

2) რთულფუძიანი (*resp.* ორფუძიანი) ტიპის მიხედვით იბრუნვიან როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები. რთულფუძიანი ბრუნება პირობითად ორ ქვეტიპად იყოფა:

ა) პირველი ქვეტიპის მიხედვით ბრუნებისას საბრუნებელი სახელის არამარკირებულ ფუძეს აწარმოებს ან ოდენ ხმოვნური ელემენტი (-ა, -ე, -ო, -ი, -უ), ანდა -CV (-SV) მოდელის ფორმანტი (-დი > || -ტი, -დო, -დუ, -ლი, -ლა, -ლო, -ბა, -ბო, -რა, -რო, -რუ, -მო, -მი), რომლებიც სადა ფუძეს ერთგვარად ართულებენ.¹ სწორედ ამ ელემენტების შემცველ ფუძეს უშუალოდ დაერთვის ბრუნვის სათანადო ნიშანი.

ბეჟიტური ენის არსებით სახელთა ბრუნებაზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ ხუნძურ-ანდიურ ენათა ერგატივზე დამყარებული ორფუძიანი ბრუნება აქ არ შეიმჩნევა [შდრ. ლომთაძე 1996 : 175]. ფაქტობრივად ბეჟიტურ ენაში ფუძის ორფუძიანობაზე დამყარებული ბრუნება გვაქვს. საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ერთი შეხედვით ერგატივის მზამზარეულ ფორმას იმეორებს ირიბ ბრუნვათა ფუძე, მაგრამ ამ შემთხვევაში ერგატივის ნიშანი დაკარგული ჩანს [ლომთაძე 1996 : 140]. ეს, შესაძლოა, პარადიგმის სიმეტრიულობამ შეაპირობა, რადგან ერგატივისა და მიცემითი ბრუნვის ფორმათა დამთხვევა იქნა თავიდან აცილებული.

¹ ამა თუ იმ სახელის ფუძეს რომელი ელემენტი დაერთვის, წინასწარ, მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით, ამოცნობა შეუძლებელია. ზოგჯერ სახელის ფუძის ამგვარი მარკერი სახელობითში გამჭრალია და ირიბ ბრუნვებში აღდგენისას ფუძის საწარმოებელი აფიქსის ილუზიას ქმნის, მაგ.: ჭუნზ. სახ. სხ „მელა“ (<*საო, შდრ. საკ. ბეჟ. სორა "id".) — ერგ. სარო-ლ. სინამდვილეში -რო ელემენტი ფუძისეულია [გუდავა 1979 : 116-117].

ჰუნზიბურ დიალექტში მიცემითი ბრუნვის ნიშანი (-ლ) იკარგვის, თუმცა, საკუთრივ ბეჟიტურისაგან განსხვავებით, საკომპენსაციო სიგრძეს ტოვებს: სახ. მალუ „ფრჩხილი“ — ერგ. მგლა-ლ, მიც. მგლ^ა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ირიბ“ ბრუნვათა ზემომოყვანილ ფორმანტების კვალიფიკაციის დროს სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ერთნი მათ ირიბი ფუძის საწარმოებელ სუფიქსებად (*resp.* დეტერმინანტებად) მიიჩნევენ [ბოკარევი 1959 : 33-35; 81-83; გულაგა 1971 : 68...], მეორენი ამ ელემენტებს ჩანართ, დამაკავშირებელ ხმოვნებად თვლიან [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 122; იმნაიშვილი 1963 : 57-67...], მესამენი მათ ბრუნვის ნიშანს მიაკუთვნებენ [მეგრელიძე 1958 : 224, 231; ლომთაძე 1996 : 142, 153; თოფურია 1987 : 193...].

ჩვენი შეხედულებით, ის ხმოვნური ელემენტები, რომლებიც სადა ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის დაჩნდება, შეიძლებოდა ბრუნვის ნიშნისთვის მიგვეკუთვნებინა, რადგანაც სწორედ ბრუნვის მარკერთა დართვა იწვევს მათ გაჩენას. ამგვარი ელემენტების საჭიროება მორფონოლოგიური პროცესის შედეგია, რადგანაც ისინი სრულხმოვნობის პირობებში თანხმომვანთკომპლექსების სუპერაციას ახდენენ [არდოტელი 2000 : 29]. ამას გვაგარაუდებინებს ის ფაქტი, რომ საანალიზო ხმოვანთა დართვა მეტწილად თანხმომვანფუძიანი სახელებისთვის არის დამახასიათებელი, მაგ.: სახ. ო^ნგ „ცული“ — ნათ. ო^ნგ-ი-ს, ინსტრ. ო^ნგ-ი-დ. აუსლაუტში **გ+ს**, **გ+დ** თანხმომვანთკომპლექსები, ამ ენის ფონოტაქტიკის მიხედვით, ბუნებრივი არ იქნებოდა და მათი სუპერაცია მომხდარა. I ქვეტიპის მიხედვით ნაბრუნებ სახელთა პარადიგმები:

ა) ხმოვანდართული ფუძეები

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სახ.	ჟან „ტყე“	ბიტჰ „ცხვარი“	ყამ „თავი“
ერგ.	ჟანა	ბიტჰი	ყამი
მიც.	ჟანა-ლ	ბიტჰი-ლ	ყამი-ლ
ნათ.	ჟანა-ს	ბიტჰი-ს	ყამი-ს
ინსტრ.	ჟანა-დ	ბიტჰი-დ	ყამი-დ

ჰუნზიბური დიალექტი

სახ.	მგც „ენა“	ონს „ხარი“	ჰიტ „დანა“
ერგ.	მგცა-ლ	ონსი-ლ	ჰიტო-ლ
მიც.	მგცა	ონსი	ჰიტო
ნათ.	მგცა-ს	ონსი-ს	ჰიტო-ს
ინსტრ.	მგცა-დ	ონსი-დ	ჰიტო-დ

ბ) -CV (-SV) სტრუქტურის ფორმანტიანი ფუძეები

მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ოჟე „ვაჟი“	ჟიდ „გოგო“ ¹	მესედ „ოქრო“
ერგ.	ოჟდი	ჟიდბო-ლ	მესედლი
მიც.	ოჟდი-ლ	ჟიდბო	მესედლი-ლ
ნათ.	ოჟდი-ს	ჟიდბო-ს	მესედლი-ს
ინსტრ.	ოჟდი-დ	ჟიდბო-დ	მესედლი-დ

¹ ეს სახელი ჰუნზიბური მონაცემია და საკუთრივ ბეჟიტურისაგან მეტ-ნაკლებ გადახრას გვიჩვენებს.

მრავლობითი რიცხვი

სახ.	ოყ-და	ქიდ-ბარ
ერგ.	ოყ-და-ლ-ლო	ქიდ-ბა-ლ-ლო
მიც.	ოყ-და-ლ-ლჲ	ქიდ-ბა-ლჲ
ნათ.	ოყ-და-ლა-ს	ქიდ-ბა-ლა-ს
ინსტრ.	ოყ-და-ლა-დ	ქიდ-ბა-ლა-დ

ანალოგიურად იბრუნვიან: ჭადამ „ადამიანი“, მამალი „მამალი“, ცან „თხა“, სურათ „სურათი“, შაგ „ქვაბი“, მადუჰან „მეზობელი“, ხორლო „ხერხი“, ჰინო „გზა“, დელ „ირემი“, ოლ „ქერი“, ქილ „რკინა“, ჯაზაჯ „ქართველი“, ჰუნ⁶ცა „ჭიანჭველა“ და მრ. სხვ.

ბ) მეორე ქვეტიპის მიხედვით იბრუნვიან ის სახელები, რომელთა ფუძე ხმოვანზე სრულდება და ბრუნების პროცესში ეს ხმოვნები, ფუძის საწარმოებელი ხმოვნის დართვის გამო, ეკვეცებათ. წარმოვადგენთ ხმოვანთა წყვილულებს, რომლებშიც პირველი სახელობითის ხმოვანია, მეორე კი — ირიბი ფუძისა: **ო — ა, ო — ი, ო — ა, ო — ე, ე — ა, ე — ი, უ — ი, უ — ე, უ — ო, ა — ი.**

	ე — ა	ე — ი	ო — ი	ო — ა
სახ.	ნენ-ე „ძუღუ“	ლდე „ყვავი“	ბაწო „მგელი“	კადო „კიბე“
ერგ.	ნენ-ა (<*ნენე-ა)	ლდე-ი (<*ლდე-ი)	ბაწ-ი (<*ბაწო-ი)	კად-ა (<*კადო-ა)
მიც.	ნენ-ა-ლ	ლდე-ი-ლ	ბაწ-ი-ლ	კად-ა-ლ
ნათ.	ნენ-ა-ს/შ	ლდე-ი-ს	ბაწ-ი-ს	კად-ა-ს
ინსტრ.	ნენ-ა-დ	ლდე-ი-დ	ბაწ-ი-დ	კად-ა-დ

მსგავსადვე იბრუნვიან შემდეგი სახელები: ძაკო „გული“, ნაცო „ტილი“, აჯო „ცოლი“, „ქალი“, ჰელ'ე „კაკალი“, ალე „ტოტი“, უოდო 1. „დღე“, 2. „წვიმა“ და მრ. სხვ.

საგულისხმოა, რომ ჰუნზიბურ დიალექტში ირიბ ბრუნვათა ფუძე კარგავს ბოლოკიდურ თანხმოვანს ან მთლიან მარცვალს, რაც ჰაპლოლოგიის მოვლენაზე მიგვანიშნებს [ვან დენ ბერგი 1995 : 39], მაგ.: ჰობურ „წისქვილი“ — ნათ. ჰობუ-ს, ჰარე „თვალი“ — ნათ. ჰა-ს, ჰ-რლე „ფეხი“ — ნათ. ჰრ-ს და მისთ.

6.1.4. საკუთარ სახელთა ბრუნვა. ჰუნზიბურ დიალექტში თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ერგატიულ ბრუნვაში **-ლო** სუფიქსს დაირთავენ, ხოლო ნათესაობითში **-ლო-ს** ადგილას **-ი** გამოვლინდება, რომელიც წმინდა ფუძისეული ჩანს, ერგატივსა და ინსტრუმენტალისში **-CV** სტრუქტურის ფორმანტის ხმოვნის გავლენით მოკვეცილი. საილუსტრაციო მაგალითები:

სახ.	ჟაბრაჟილ „გაბრიელი“	ფათიმათ „ფატიმათი“
ერგ.	ჟაბრაჟილ-ლო	ფათიმათ-ლო
მიც.	ჟაბრაჟილᲚ	ფათიმათᲚ
ნათ.	ჟაბრაჟილი-ს	ფათიმათი-ს
ინსტრ.	ჟაბრაჟილ-დო	ფათიმათ-დო

ბეჟიტურ დიალექტში ერგატივის ნიშანი არ გვაქვს და ფუძისეული **-ი** დაცულია, მაგ.: სახ. მუჰამად „მუჰამედი“ — ერგ. მუჰამადი, მიც. მუჰამადᲚ, ნათ. მუჰამადი-ს, ინსტრ. მუჰამადი-დ.

6.1.5. ძირითად ბრუნვათა ფუნქციები. ძირითად ბრუნვათა ფუნქციები ქრონოლოგიურად ასე წარმოგვიდგება:

1) სახელობითი ბრუნვის ფუნქცია არის გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტის გამოხატვა, მაგ.: ოჟე (სახ. **RS**) ცალ'ა-ცაშ გროო (საკ. ბეჟ.) „ბიჭი სოფლიდან მოვიდა“, ბიშილ (ერგ. **RS**) ჰორო (სახ. **RO**) ჰონჰე (ჰუნზ.) „ხბო ძროხას წოვს“.

2) ერგატივი, როგორც ცნობილია, გარდამავალი ზმნის რეალურ სუბიექტს გადმოსცემს. იგი უმთავრესად აქტიური ბუნების ცოცხალ არსებათა გამომხატველი ბრუნვაა და ვერ ითავსებს

ნივთა (იარაღების) ბრუნვის — ინსტრუმენტალისის ფუნქციას, როგორც ეს არის ხუნძურ-ანდიურ ენებში. ზოგადად, დიდოურ ენებში, კონკრეტულად, ბეჟიტურ ენაში ერგატივი და ინსტრუმენტალისი სახელებს ორად იყოფენ: პირველ ჯგუფში ერთიანდება ადამიანისა და მასთან გათანაბრებულ სულიერ არსებათა სახელები, რომლებიც წესისამებრ ერგატივს მოითხოვენ, ხოლო მეორე ჯგუფში შედიან დანარჩენი სახელები, რომლებიც მოქმედების იარაღს გამოხატავენ და ინსტრუმენტალისს იგუებენ, მაგ.: ბაწი-ლ (ერგ. **RS**) ბ-იტენ ლო გრმანტუ (სახ. **RO**) (ჰუნზ.) „მგელმა მოკლა ვირი“.

3) მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფუნქცია არის გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტის გამოხატვა, მაგ.: ჰუნზ. ცისა-ლ (ერგ. **RS**) ობჰ (მიც. **O^{ind}**) ტოყოლ (სახ. **RO**) ნგლწარ (ლომთ. 1996 : 155) „ისამ მამას ქული მისცა“. გარდა ამისა, *Verba sentiendi*-ს ტიპის ზმნებში, რომლებიც ინვერსიული ბუნებისანი არიან, სუბიექტი მიცემითი ბრუნვით გამოიხატება: ჰუნზ. სწრწ ოგუ მაწწარ „მელას ის (ყვაგი) ეჩვენა“.

მიცემითი ბრუნვის მეშვეობით გამოიხატება ადგილისა და დროის გარემოება, დანიშნულება და მისთ.

4) ნათესაობითი ბრუნვა, როგორც წესი, კუთვნილებითობას გადმოსცემს. ამ ბრუნვას შეუძლია ატრიბუტივის ფუნქციაც იტვირთოს, რაც ახლომონათესავე ენებისთვისაც ნიშანდობლივია. ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელი უძღვის საზღვრულს.

5) ინსტრუმენტალისი უმთავრესი ფუნქცია სამოქმედო იარაღის გამოხატვაა, მაგ.: ჩაჩალი (ერგ. **RS**) თათო-დ (ინსტრ.) ბილ'ო (სახ. **RO^d**) დოს (ბეჟ.) „ჩაჩნები („ჩაჩნებმა“) ტალახით სახლს („სახლი“) აკეთებენ“.

ინსტრუმენტალისი, როგორც ითქვა, მოქმედების იარაღს გამოხატავს, ამიტომ ადამიანის აღმნიშვნელ სახელებთან ამ ფუნქციით ნაკლებად გვხვდება. თუ ინსტრუმენტალისი ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით არის გამოყენებული, მაშინ ამ ბრუნვის ფორმა ჰუნზიტურ დიალექტში ირიბ ბრუნვებში მდგარ სახელებს განსაზღვრავს, მაგ.: კიმა **სწროდ** შიკა რაჯურ (ლომთ. 2003 : 319) „ყველი მელიის პირში („პირს“) ჩავარდა“, ჭაწწან სგგ

რუჟო **ბოწლო**-დ კიმალი-ს (ვან 1995 : 183) „ათ-ათ გუდას აკეთებს ცხვრის ყველისას“ და მრ. სხვ.

გარდა ზემოთქმულისა, ინსტრუმენტალისს შეიძლება დაეკისროს დროისა და მიზეზის ზმნისართების გადმოცემის ფუნქციაც.

6.1.6. **ლოკატიური ბრუნვები.** ლოკატიურ ბრუნვათა სისტემა საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ცხრა სერიას ქმნის, ხოლო ჰუნზიუბრ დიალექტში — რვა სერიას [ხალილოვი 1995 : 397; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 264]. ყოველი სერია გარკვეულ სივრცობრივ მიმართებას გამოხატავს სხვა საგნის მიმართ. თითოეულ სერიას ხუთი (საკ. ბეჟ.) ან ოთხი (ჰუნზ.) ბრუნვა აქვს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: ა) მდგომარეობის გამომხატველი (სტატიკური) (სად?), ბ) მოძრაობის გამომხატველი (დინამიკური) (საითკენ? საიდან? რის გავლით?).

უნდა აღინიშნოს, რომ ბეჟიტური ენა გამოირჩევა ლოკატიურ ბრუნვათა ფორმების სიუხვით — მათი რიცხვი ორმოცს აჭარბებს. ლოკატიურ ბრუნვათა სიმრავლე მეტ-ნაკლებად ანაზღაურებს თანდებულთა სიმცირეს, რაც ნიშანდობლივია საკვლევი ენისათვის.

არსებული სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ლოკატიურ ბრუნვათა რაოდენობა და თავისებურებანი დიალექტების მიხედვით თვალსაჩინო სხვაობას გვიჩვენებენ [ბოკარევი 1959 : 39-41; 89-92; მადიევა 1965 : 71-78; ხალილოვი 1995 : 397; ვანდენ ბერგი 1995 : 44-49; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 264-265...].

6.1.7. **ლოკატიურ ბრუნვათა წარმოება.** ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში გამოიყოფა ცხრა სერია და თითოეულ სერიაში ერთიანდება ხუთ-ხუთი ლოკატიური ბრუნვა: 1. **ადგილობითი** (Locativus), 2. **მიმართულებითი** (Allativus), 3. **დაშორებითი** (Elativus), 4. **თანაობითი** (Additivus), 5. **შუალლობითი** (Translativus). თითოეულ ამ ბრუნვათაგანს თავ-თავისი მაწარმოებელი მოეპოვება: მიმართულებითს — მარტივი ნიშანი, დანარჩენ ბრუნვებს — რთული (ადგილობითის ნიშანი + სხვა სათანადო ბრუნვათა ნიშანი).

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში სერიები ტაბულის სახით ასე წარმოგვიდგება:

ცხრილი №6

სერია	ნიშანი	სემანტიკა	საილუსტრაციო მაგალითები
I სერია	-ტა	„ზე“, „ზედ“ (ჰორიზონტალურად)	ქილიდავრი სიდ ალ-ტა ჰოს რაჯვა „ქლიავი ერთ ტოტზე ერთი აბია („იქნება“)“.
II სერია	-ლ'	„ზე“ (ვერტიკალურად)	შედი-ლ' ონ გე „კლდეზე თოვლი არის“
III სერია	-ვა	„თან“ (მიც. მნიშვნელობით)	ნილ'ა ოქო აბო-ვა! „მეცი ფული მამას!“
IV სერია	-ლა	„თან“, „მახლობლად“	ისი-ლა რუ გე „დის ახლოს ვაჟი არის“
V სერია	-ც/-ცო	„ში“, „შიგნით“	დო ეტერო თელავრია-ც „მე წავედი თელავში“
VI სერია	-ლაც ¹	„ად“ (მიც. მნიშვნელობით), „ში“	ჭადი-ლაც ცა გე (მადიევა 1965 : 76) „ჭადში მარილი არის“
VII სერია	-ლომ	„ით“, „თან“, „ერთად“	რუდი-ლომ ბიშე მეტელო „ბიჭთან ერთად ხბო წავიდა“
VIII სერია	-დომ	„ში“, „კენ“, „მახლობლად“	დი-დომ ქალა დოყო [მადიევა 1965 : 76] „მე („ჩემკენ“) წერილი მომივიდა“
IX სერია	-ლ'	„ქვეშ“	ცისტოლია-ლ' ლ'როო ტაქანი გელი (ლომთ. 2003 : 181) „მაგიდის ქვეშ, დაბლა, ჭიქა არის“

ჰუნზიტურში ანალოგიური ვითარება დასტურდება იმ განსხვავებით, რომ ბეჟ. -ლომ-ის ნაცვლად -გ(ო) გვაქვს, -დომ-ს ნაცვლად — -დარ, -ლ-ს ნაცვლად — -გ, -ც-ს ნაცვლად — -V. მასთან, თანხმოვანფუძიან სახელებთან ხმოვანი შენარჩუნებულია

¹ ეს სერია შეიძლება V სერიასთან გაერთიანებულიყო.

(ხოხ-ტო „ხეზე“), ხოლო ხმოვანფუძიანებთან — მოკვეცილი (ტოლო-ტო „ხიდზე“). გარდა ამისა, ცალკე გამოიყოფა **-ღია** („-თვის“) სუფიქსიანი სერია [იხ. ბოკარევი 1959 : 41].

ჰუნზიბურ დიალექტში ლოკატიურ ბრუნვათა სისტემა, სერიების სახით, ასე გამოიხატება:

ცხრილი №7

სერია	ნიშანი	სემანტიკა	საილუსტრაციო მაგალითები
I სერია	-ტო/-ტო	„-ზე“, „ზედ“ (ჰორიზონტალურად)	პგ ბჲდ ხოხ-ტო ტოლო უ ^ნ ჩენ ლო „ის ამ ხეზე ზედ ახტა“. ბგლ ^ნ -ტო ენტოლ... „სანადი- როდ („ნადირზე“) წასვლის შემდეგ“.
II სერია	-ლ'	„-ზე“ (ვერტიკალურად)	ტოყოლ ბჲჲლჲნ ლო ნჲსუ-ლ' „ქული კიდია კედელზე“ („კე- დელს“)
III სერია	-გ/-გო	„-თან“, „გვერდით“ (მიც. მნიშვნელობით)	...ქ ^ნ გნ სჲ-სჲსგდ-გო ჰ ^ნ სჭიტ ყურუშ ოქრო ნგლ ^ნ ლი (ვან 1995 : 246) „...ხელში თითო- ეულს ასი ოქრო მისცა“
IV სერია	-ლურ	„-თან“, „მახლობ- ლად“, „-ურთ“	სჲ ხო ^ხ -ლურ ი ^ნ ჩოქერ „მელა ხესთან მივიდა“
V სერია	-წ	„-ში“, „შიგნით“	...პგი ქეტრილ-წ ე ^ნ დუ დიღ ლი- ნო ლო (ვან 1995 : 215) „იმ ქვევრში შიგ ჩემი ღვინო არის“.
VI სერია	-დჲრ	„-კენ“	რბუ ღეტჲერ ჰ ^ნ რო-დჲრ „მა- მა წავიდა ძროხებისკენ“
VII სერია	-ლ'	„ქვეშ“, „ძირს“	გამაჰა-ლ' გ ^ნ ს ლო „ქვის ქვეშ წყარო არის“
VIII სერია	-ტოტო	„ვინმეს (რამის) გავლით“	ე ^ნ ხი-ტოტო ტგრჲ გულურ (ისაყ., ხალილ. 2001 : 265) „მდინარეზე ხიდი გადგეს“
IX სერია	-ღია	„-თვის“	დიბი-ღია იჲულ წგნდარ რუტო „შენთვის დედა წინდებს ქსოვს“

ჩვენ, შესაბამისი ცხრილების სახით, წარმოვადგინეთ მდგომარეობის გამომხატველი ადგილობრივი ბრუნვა. დინამიკურ ბრუნვათა სერიების მიხედვით კი ასეთი სურათი გვექნება: მიმართულების ნიშნად დასტურდება **-ლ** (საკ. ბეჟ.), **-რ** (ჰუნზ.), და შორებითის ნიშნად — **-ს**, **-სჷ**, შუალობითის (*resp.* ტრანსლატივის) ნიშნად კი — **-ტჷ** (საკ. ბეჟ.), **-ტჷ/- ტჷი** (ჰუნზ.). საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში დამოუკიდებელ ბრუნვად გამოყოფენ თანაობითს (*resp.* ადიტივს), რომლის ნიშნადაც **-დჷ** გვხვდება. ზემოჩამოთვლილი დაბოლოებები დაერთვის „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეს.

ამრიგად, ყველა ბრუნვისა და სერიის მონაცემთა გათვალისწინებით, ლოკატიურ ბრუნვათა დაბოლოებების ტაბულა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

საკუთრივ ბეჭეტური დიალექტი

ცხრილი №8. ლოკატიურ ბრუნვათა ფორმანტები

ბრუნვები	აღვითობითი (Locativus) სად?	მიმართულებითი (Allativus) საითკენ?	დაშორებითი (Elativus) საიდან?	თანობით-მიმართულებითი (Aditivus) საითკენ? ვისთან (რასთან) ერთად?	შუალობითი (Translativus) რის გველით?
I	-ტა	-ტა-ლ	-ტა-ს	-ტა-ღა	-ტა-ლა-ტა
II	-ლ'	-ლ'-ცო	-ლ'-ცო-ს	-ლ'-ღა	-ლ'-ტა
III	-ჭა	-ჭა-ლ	-ჭა-ს	-ჭა-ღა	-ჭა-ლა-ტა
IV	-ღა	-ღა-ლ	-ღა-ს	-ღა-ღა	-ღა-ლა-ტა
V	-ც	ცი-ლ, ჟა-ლ, ხე-ლ, ყო-ლ	ცი-ს, ჟა-ს, ხე-ს, ყო-ს	-ც-ღა	-ც-ტა
VI	-ლაყ	-ლაყ-ალ	-ლაყა-ს	-ლაყ-ღა	-ლაყ-ტა
VII	-როა	-როა-ლ	-როა-ს	-როა-ღა	-როა-ტა
VIII	-როა	-როა-ლ	-როა-ს	-როა-ღა	-როა-ტა
IX	-ლ'	-ლ'-ცო	-ლ'-ცო-ს	-ლ'-ღა	-ლ'-ტა

ჰუნზიბური დიალექტი

ცხრილი №9. ლოკატიურ ბრუნვათა ფორმანტები

ბრუნვები სერიები	ადგილობით- მიმართულებითი (Locativus-Allativus) სად? საითკენ?	დაშორებითი (Elativus) საიდან?	დირექტივი (Dirrectivus) საითკენ?	შუალობითი (Translativus) რის გავლით?
I	-ტო/ტა	-ტო-ს	-ტო-დ	-ტო-ტა
II	-ლ'	-ლ'-სნ	-ლ'-დო	-ლ'-ტაი
III	-გო/გ	-გო-ს	-გ-დო	—
IV	-ღურ	-ღურ-სნ	-ღურ-დო	-ღურ-ტაი
V	-ᄁ	-ᄁ-ს	-ᄁ-დ	-ᄁ-ტა
VI	-დნრ	-დნრ-სნ	-დნრ-დო	-დნრ-ტაი
VII	-ლ'	-ლ'-სნ	-ლ'-დო	—
VIII	-ტოტა	-ტოტა-სნ	-ტოტა-დო	-ტოტა-ტაი

როგორც ზემომოყვანილი ტაბულა გვიჩვენებს, ლოკატიურ ბრუნვათა რაოდენობა ჰუნზიბურ დიალექტში ნაკლებია და შესაბამისი პარადიგმა — ნაკლული. სპეციალური ლიტერატურის მიხედვითაც, ჰუნზიბური დიალექტის ლოკატიურ ბრუნვათა პარადიგმა უფრო მეტად დეფექტურია [ბოკარევი 1959 : 39; ისაყოვი 1987 : 193; ვან დენ ბერგი 1995 : 45]. ამგვარი ვითარების ასახსნელად შეიძლება ორი ვარაუდის დაშვება: ა) ან პარადიგმა ნაკლული გამხდარა მის წევრთა ერთმანეთზე დამთხვევით — ადგილობითი მიმართულებითის ფუნქციასაც ითავსებს, ბ) ანდა სათანადო ფორმები და ამოსავალი სემანტიკა ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

საილუსტრაციოდ საკუთრივ ბეჟიტური დიალექტიდან ვიმოწმებთ ბრუნების პარადიგმას:

1) ძირითადი ბრუნები

	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	ჭაღამ „აღამიანი“	ჭაღამ-ლჷ
ერგ.	ჭაღამლი-Ø	ჭაღამლჷ
მიც.	ჭაღამლი-ლ	ჭაღამლჷ-ლ
ნათ.	ჭაღამლი-ს	ჭაღამლჷ-ს
ინსტრ.	ჭაღამლი-დ ¹	ჭაღამლჷ-დ

¹ ამ სახელს ინსტრუმენტალისი ეწარმოება მაშინ, როცა იგი ირიბ ბრუნვათა ფორმის მსაზღვრელად ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით იხმარება.

ბ) **ლალიტა** ბრუნევი
ცხრილი №10

ბრუნევი	აფთოსაბითი ხაზი	ქვეაწარმულებითი ხაითქენი	დამთავრებითი ხაითქენი	თანაბით-ქვეაწარმულებითი ხაითქენი (წახთან) ერთად?	შუალაბითი რის გავლით?
I	მზამლი-ტა	მზამლი-ტა-ლ	მზამლი-ტა-ს	მზამლი-ტა-დნ	მზამლი-ტა-ლა-ტა
II	მზამლი-ლ'	მზამლი-ლ'-ცო	მზამლი-ლ'-ცო-ს	მზამლი-ლ'-დნ	მზამლი-ლ'-ტა
III	მზამლი-კა	მზამლი-კა-ლ	მზამლი-კა-ს-შ	მზამლი-კა-დნ	მზამლი-კა-ლა-ტა
IV	მზამლი-ლა	მზამლი-ლა-ლ	მზამლი-ლა-ს	მზამლი-ლა-დნ	მზამლი-ლა-ლ-ტა
V	მზამლი-მ	მზამლი-მ-ლ	მზამლი-მ-ს	მზამლი-მ-დნ	მზამლი-მ-ტა
VI	მზამლი-ლა-მ	მზამლი-ლა-მ-ალ	მზამლი-ლა-მ-ს	მზამლი-ლა-მ-დნ	მზამლი-ლა-მ-ტა
VII	მზამლი-ლომ	მზამლი-ლომ-ლ	მზამლი-ლომ-ს	მზამლი-ლომ-დნ	მზამლი-ლომ-ტა
VIII	მზამლი-ლომ	მზამლი-ლომ-ლ	მზამლი-ლომ-ს	მზამლი-ლომ-დნ	მზამლი-ლომ-ტა
IX	მზამლი-ლ'	მზამლი-ლ'-ცო	მზამლი-ლ'-ცო-ს'	მზამლი-ლ'-დნ	მზამლი-ლ'-ტა

¹ შესაძლოა ნაბრუნებ სახელს ყველა ბრუნეის ფორმა ზე ნაარსობრივად არც მიესადაგებოდეს, მაგრამ ზინდა თეორიული მოსაზრებით ამგვარად ილუსტრირება შესაძლებელია.

6.1.8. **ლოკატიურ ბრუნვათა ფუნქციები.** ლოკატიური ბრუნვები გამოხატავენ სივრცობრივ, დროისმიერ და მიზეზ-შედეგობრივ კონკრეტულ მიმართებებს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ლოკატიურ ფორმათა კონკრეტული სემანტიკის განზოგადების ტენდენცია, რაც მკაფიოდ დაჩნდება ძირითად ბრუნვათა ნიშნების სტრუქტურაში. ლოკატიურ ბრუნვათა მარკერების განზოგადებითა და მათი ძირითადი ბრუნვის საწარმოებელ ფუძეზე დართვით ხდება ამა თუ იმ ბრუნვის ჩამოყალიბება. ლოკატიურ ბრუნვათა სიმრავლე სხვა წრის ენათა წინდებულებიანი ბრუნვების ერთგვარი კომპენსაციაა.

ბეჟიტურში ისევე, როგორც მის ახლომონათესავე ენებში, ლოკატიური ბრუნვები ფუნქციურ-სემანტიკურად ორ ჯგუფად იყოფა:

1) საბრუნველი სახელის ე. წ. ირიბ ფუძეს უშუალოდ დაერთვის მარტივი დაბოლოება, რომელიც საგნის ადგილმდებარეობას გამოხატავს. ეს არის ძირითადი ადგილობითი ბრუნვა, რომელსაც ფორმობლივ-ფუნქციურად ემყარება სხვა ლოკატიურ ბრუნვათა ფორმები. ამგვარი ადგილობითი ბრუნვის მეშვეობით ხდება პირველადი სივრცობრივ-დროული მიმართების კონკრეტიზაცია („-ზე“, „-თან“, „-ში“, „-ით“, „ერთად“, „მახლობლად“, „ქვეშ“...).

2) ადგილობითი ბრუნვის ცვლილ თუ უცვლელ ფორმას უშუალოდ ერთვის დინამიკურ ლოკატიურ ბრუნვათა (მიმართულებითი, დაშორებითი, თანაობით-მიმართულებითი, შუალობითი) ფორმების გამომხატველი ნიშნები, რომლებიც უფრო მეტად აზუსტებენ და აკონკრეტებენ საგანთა სივრცობრივ მიმართებებს. საგანთა და მოვლენათა ამგვარი გამოხატვა (ქვა-ში-ით, ქვა-ზე-ით...), რაც განყენებული აზროვნების პირობებში შეუძლებელია, ენის ფუნქციონირების ადრეულ საფეხურზე ჩანს საგულვებელი.

6.2. **ზედსართავი სახელი.** ბეჟიტურ ენაში ზედსართავი, როგორც საგნის ნიშან-თვისების გამომხატველი ატრიბუტული სახელი, არსებითი სახელის მსაზღვრელად არის გამოყენებული და ამ უკანასკნელს ატრიბუტულ სინტაგმაში ჩვეულებრივ წინ უსწრებს, მაგ.: Ø-იხალო რჷბ „მაღალი ბიჭი“, დ-უყო ქიდ „დიდი

გოგო“, ბ-აყო ბისა „მძიმე თევზი“ და ა. შ. ზოგჯერ შეიძლება ზედსართავი გასუბსტანტივებული იყოს და, შესაბამისად, საზღვრული არც ახლდეს, მაგრამ ამგვარ შემთხვევაში საზღვრული მაინც იგულისხმება. კერძოდ, გასუბსტანტივებულ ზედსართავში კლასიფიკატორის საშუალებით მასში მოაზრებული (გამოტოვებული) სუბიექტის ან ობიექტის შესაბამისი კლასი აღინიშნება. ფაქტის კონსტატაცია: თუ ზედსართავი სახელი კლასნიშნინია (კლასის ექსპონენტი ოდენ პრეფიქსად მოუღის), მაშინ კლასიფიკატორი საზღვრულის კლასზე მიუთითებს.

6.2.1. ზედსართავი სახელის ჯგუფები და მათი წარმოება.

ბეჟიტურ ენაში გამოიყოფა ზედსართავი სახელის სამი ძირითადი ჯგუფი: 1) **ვითარებითი**, 2) **მიმართებითი**, 3) **კუთვნილებითი**.

1) ვითარებითი (პირველადი) არის ისეთი ზედსართავი სახელი, რომელიც არსებითი სახელის (საზღვრულის) სხვადასხვაგვარ ნიშან-თვისებას ახასიათებს მეტ-ნაკლები ოდენობით. ამგვარი ზედსართავები განარჩევენ გრამატიკულ კლასსა და რიცხვს [იხ. 4.2.4].

კლას-კატეგორიის მიხედვით, ვითარებითი ზედსართავი სახელები იყოფა ორ ჯგუფად: ა) **კლასნიშნინი** და ბ) **უკლასნიშნო**. უკლასნიშნო ზედსართავთა რიცხვი კლასნიშნინათა რაოდენობას სჭარბობს.

ა) **კლასნიშნინ ზედსართავებს** კლასიფიკატორი, რომელიც საზღვრული სახელის კლასიფიკაციას ახდენს და მას ეთანხმება, ყოველთვის პრეფიქსად დაერთვის: „ცოცხალია მხოლოდ პრეფიქსული წარმოება, სუფიქსური — მკვდარი“ [ლომთაძე 1996 : 48]. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ.: **ჟ-ჰჰჰ¹** „ცივი“, **ჟ-ჰჰჰ** „მძიმე“, **ჟ-ა^ნცო** II < **ჟ-ა^ნცო**ჟო „წმინდა“, „ნათელი“, **ჟ-იხალო** „გრძელი“, **ჟ-იხხო** „თბილი“, **ჟ-ილ^ნ** „მაგარი“, **ჟ-უყყო** „დიდი“,

¹ კლასნიშნინ ზედსართავებს ვიმოწმებთ IV კლასის ნიშნით (ჟ-), რომელიც საკ. ბეჟიტური დიალექტის სხვა თქმებსა და ჰუნზიბურ დიალექტში სათანადოდ რ- ნიშნით შეიცვლება: ჟ- < რ-.

ფ-წშუო 1. „მოკლე“, 2. „დაბალი“, **ფ-ილ**'ს (ტლ. **ფ-ილ**'არო) „ძლიერი“, **ფ-უ**შუერო „პატარა“, **ფ-ინ**ს (ტლ. **ფ-ინ**სარო) „სველი“, **ფ-რ**ტტო „ბლაგვი“...; ჰუნზ.: **რ-ი**ცერუ „პატარა“, **რ-რ**ჭჭუ „ცივი“, **რ-ო**ყყუ „მძიმე“, **რ-გ**ხალუ „გრძელი“, **რ-გ**ხხუ „თბილი“, **რ-გ**ლარუ „მაგარი“, **რ-გ**ყუ „დიდი“, **ნ-რ**შუ (< **რ-რ**შუ) „მოკლე“, „დაბალი“, **ნ-ი**ცარუ (< **რ-ი**ცარუ) „სველი“, **ნ-ა**ცარუ (< **რ-ა**ცარუ) „სუფთა“ და სხვ. მისთ.

ბ) **უკლასნიშნო ვითარებით ზედსართავებს** განეკუთვნებიან: საკ. ბეჟ.: აკოზო „ჭრელი“, „ჭროლა“, აწწო „წვერწამახული“, „ბასრი“, ბანდიზო „განსაცვიფრებელი“, ბიქდიზო „სრული“, „ბეჭბრტყელი“, შეშეზო „ხშირი“, ჯუსსო „ვიწრო“, დოჯო „შავგვრემანი“, „მკრთალი“, იწწო „ახალი“, ქელლო „ძველი“, ბელლო „ბერწი“, გამმო „გამხდარი“, გედიზო (ტლ. გერდიზო) „ოვალური“, გილ'ილლო „ღრმა“, ჭაიზო (ტლ. ჭარო) „მრუდი“, ღ'აღ'ატ-ტო „მღვრიე“, ჰალდიზო „თეთრი“, ზიცი || ზიციზო „დაბალი“, „მოკლე“, იტინო (ტლ. უშუერო) „პატარა“, ნიჩდიზო „ცისფერი“, „მწვანე“, ქეშდიზო || ქეშტიზო 1. „ჭრელი“, 2. „რუხი“, ქოლ'ლ'ო „მუქი“, წოდოლო „შავი“, ღ'იქქო „თხევადი“, ღ'ამმზ „წვრილი“, მუხზ (ტლ. მუხერო) „ციცაბო“, ნიჰ „ტკბილი“, ნიყ || ნიყაზო (ტლ. ნიყარო) „მწარე“, ნოჩღ'იზო „სველი“, შუშუშ || < ნუშუშ 1. „წვრილი“, 2. „პატარა“, თთილო „რბილი“, ხელლო „სწორი“, ხეტტო „მსხვილი“, ცაცცო „ცუდი“, ცუღლო „მშრალი“, „მკვახე“, წუღლო (ტლ. წუნდიზო) „წითელი“, ჩჩაზლ „მჟავე“...; ჰუნზ. აწწუ „მახვილი“, „ბასრი“, კოტტუ „კარგი“, ცოლსნ „ცუდი“, იჩილუ „ძველი“, „ბებერი“, ჰალდუ „თეთრი“, ნიჩდუ „მწვანე“, ჰეცრუ „მაღალი“, გილ'ლ'უ „ღრმა“, წადილუ „შავი“, ღ'ამმუ „ვიწრო“, წუნდუ „წითელი“, ჰაკას „ვარდისფერი“, „ყვითელი“, ჩაჩალუ „მჟავე“, გწწუ „ახალი“ და ა. შ.

პირველადი ზედსართავი სახელების წარმოება არქაულია და მათი სათანადო მორფოლოგიური სეგმენტაცია სირთულეებ-

თან არის დაკავშირებული. კერძოდ, სპეციალურ ლიტერატურაში ვითარებითი ზედსართავი სახელის ფორმანტად **-ო** (ბეჟ.) > **-უ** (ჰუნზ.) არის მიჩნეული [ლომთაძე 1996 : 53-54; ვანდ ენ ბერგი 1995 : 57; ისაყოფი, ხალილოვი 2001 : 265].¹

საანალიზო ზედსართავ სახელთა სტრუქტურაზე დაკვირვებისას ირკვევა, რომ მათი ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი გაორმაგებულია. ეს გარემოება გვიკარნახებს ვიფიქროთ, რომ რედუბლიცირებული (*resp.* გემინირებული) თანხმოვნის მეორე წევრი **-ო**-ს დასუსტებით (**-ო** > **-ა**) არის წარმოქმნილი [იხ. ლომთაძე 1991 : 21-23], მაგ.: საკ. ბეჟ. ხეტტო (< ხაშ. ხეტიო "id".) „მსხვილი“, ლ'ამმო (< ხაშ. ლ'ამიო "id".), ჰუნზ. ლ'ამმუ (< ლ'ამიუ) „ვიწრო“, „წვრილი“, საკ. ბეჟ. ქიქქო (< ქიქიო „წვრილი“) „მსუბუქი“, ნუშშუ (< ნუშიო) 1. „წვრილი“, 2. „პატარა“, აჭჭჭ (< აჭიო) „ცივი“, ნიშედლო (< ხაშ. ნიშიდიო) „მდიდარი“ და მისთ.

ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ზედსართავი სახელი ამგვარად არის მიღებული. ზმნისართებისაგან და ზოგი სხვა მეტყველების ნაწრილებისაგან ნაწარმოები ზედსართავები ფუძეში **-ი**-ს არ გვიჩვენებენ, მაგ.: წუდლო (< წუნდო, შდრ. ტლ. წუნდიო, ჰუნზ. წუნდუ) „წითელი“, ცაცცო (< ცათსო, შდრ. ცათ „ცუდად“) „ცუდი“ და მისთ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი რიგის ვითარებით ზედსართავ სახელთა საწარმოებლად გამოიყენებოდა **-იო** (**-იუ**) სუფიქსი, რომელიც თავისი შედგენილობით რთული ჩანს: **-ი** + **-იო**. მეორე კომპონენტი შესაძლოა ნამყო წყვეტილისა და ნამყო დროის მიმღობის შესაბამის ფორმანტს უკავშირდებოდეს. ამასთანავე, ხდება ზედსართავ სახელთა წარმოება **-ო/ო** (საკ. ბეჟ.), **-უ** (ჰუნზ.) ფორმანტის საშუალებითაც: წოდლო-ო „შავი“, ლ'ალ'ანტ-ო, „მღვრიე“, იტინ-ო „პატარა“, იცილ-ო (ტლ. იჩილო), „მოხუცი“,

¹ ე. ბოკარევი ზედსართავში ფორმანტის გამოყოფას საერთოდ უგულებელყოფს [ბოკარევი 1959 : 274].

იწწ-ო (საკ. ბეჟ.), გწწ-უ (ჰუნზ.) „ახალი“, დხალ-ო (საკ. ბეჟ.), ბგხლ-უ (ჰუნზ.) „მაღალი“, „გრძელი“, ჰეკდიმო (საკ. ბეჟ., შდრ. ჰუნზ. ჰეკდუ "id".) „მრუდი“ და სხვ.

როგორც ცნობილია, ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში გვხვდება ზედსართავთა გაუფორმებელი სახესხვაობანი (*resp.* ფუძე-ფორმები), რომლებიც უპირატესად კომპოზიტებსა და მყარ შესიტყვებებში გამოიყენება: წოდოლ ლ'ენ⁵ (საკ. ბეჟ.), წადილ ქან⁶ (ჰუნზ.) „მოცვი“, იჩილ იფუ „ბებია“ (ჰუნზ., ზედმიწ. „მოხუცი დედა“), ჰალდუ აქიჰალ, წადილ ხაბარ (ჰუნზ.) „თეთრი ზღაპარი, შავი ამბავი“, დიყერ გს (ჰუნზ.) „პატარა და“ და ა. შ.

ჰუნზიტური დიალექტის პრედიკატულ სინტაგმაშიც ზედსართავი სუფიქსს არ დაირთავს [ვან დენ ბერგი 1995: 57]: ქიდ დ-იყერ (< დ-იყერუ) ლო „გოგონა პატარაა (ზედმიწ. „პატარა არის“)“. სწორედ ეს გარემოება უნდა ედოს საფუძვლად ზედსართავთა სრული და უსრული ტიპების გამოყოფას [იხ. ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 147].

არცთუ მცირეა იმ ზედსართავთა რიცხვი, რომლებიც ხუნძურისაგან არის შეთვისებული ან ხუნძურის ზედსართავების ანალოგიურად იწარმოება, მაგ.: ზარალაბ II ზარალიაბ „მაგენე“, ზორბააბ „უზარმაზარი“, აწყლოიაბ „ჰკვიანი“, ბალ'გოაბ „საიდუმლო“, ბარქათაბ „ბარაქიანი“, ბეჩედაბ „მდიდარი“, გემოაბ „გემრიელი“, ქეფაბ „სასიამოვნო“ და მრ. სხვ.

გვხვდება ქართულისაგან ნასესხები თითო-ოროლა ზედსართავი სახელი, მაგ.: ფიცხი „ფიცხი“, თბთილო „რბილი“, თელი „მთლიანი“.

ამგვარ ზედსართავებში სუფიქსად პოვნირი ოდინდელი კლასიფიკატორი, როგორც გარკვეულია [ლომთაძე 1996 : 53], კლას-ნიშნის გაგებას მოკლებულია და მას ამ ძირითადი ფუნქციის რეინტერპრეტაციით ატრიბუტივთა საწარმოებელი აფიქსის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

2) **მიმართებით ზედსართავად** განიხილება ისეთი ატრიბუტული სახელი, რომელიც ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის ნიშანთვისებას გამოხატავს სხვა საგანთან შედარებით.

ბეჟიტურში, სხვა ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, პროდუქტიულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება ატრიბუტული მსაზღვრელის ფუნქციით.

მიმართებითი ზედსართავი სახელები იწარმოება სხვა სახელებისა და ზმნისართისაგან სწორედ **-ს** სუფიქსის დართვით,¹ მაგ.: საკ.-ბეჟ.: ბალ'ო-ს (მდრ. ძალ'ო „შუაში“) ზოტხო „შუათითი“, იტყე-შ (მდრ. იტყე „მარშან“) ბოხ „მარშანდელი თივა“, ხისა-ს (ტლ. ხიშა-შ) (მდრ. ხისა „ხვალ“) უოდლო „ხვალინდელი დღე“, აწონლ'-ის (მდრ. აწონ „ათი“ + ლ'ი „წელი“) რჷრ „ათი წლის (ზედმიწ. „ათწლიანი“) ვაჟი“, ოწტაატა-ს (მდრ. ოწტაატა „მარცხნივ“) ქო „მარცხენა ხელი“, ჟე „ახლა“ — ჟე-ს „ახლანდელი“...; ჰუნზ.: ჰასააძრ-ს (მდრ. ჰას „ცა“) „ცისფერი“, ჰანილორ-ს „ალისფერი“, მესედლი-ს (მდრ. მესედ „ოქრო“) საცათ „ოქროს (ზედმიწ. „ოქროვანი) საათი“ და სხვ.

არსებით სახელს სუფიქსად შეიძლება დაერთოს აგრეთვე დამხმარე სიტყვები **ლიდერ**, **ლოდერუ** („-იან“, „მქონე“), **გალოლო** („ერთად“), **გოჩჩო** („არარსებული“), **გოჩისუ** („უქონელი“) და აწარმოოს მიმართებითი ზედსართავები, მაგ.: ხაარლოდერუ „ხეირიანი“, შუგურლიდერ „ცხენიანი“, ძარალოდერუ „იარაღიანი“, აწლოგოჩისუ „უჭკუო“, „გიჟი“ და ა. შ.

მიმართებით ზედსართავთა საწარმოებლად ხშირად გამოიყენება ხუნძურისაგან შეთვისებულ ზედსართავებს გადმოყოლილი და გაქვავებული III კლასის ნიშანი **-(ა)ბ**, რომელსაც გარკვეული გადააზრიანების საფუძველზე ატრიბუტული ფორმანტის ფუნქცია დაუმკვიდრებია. იგი დაერთვის: ა) არსებით სახელებს: აწლო „ჭკუა“ — აწლოა-ბ „ჭკვიანი“, ფიქრუ „ფიქრი“ — ფიქრუა-ბ „ჩაფიქრებული“...; ბ) ზმნისართებს: ასლი „ზუსტად“, „სწორად“ — ასლია-ბ „ძირითადი“, ადდა „ფუჭად“, „უმიზნოდ“ —

¹ სპეციალურ ლიტერატურაში **-ს** მიჩნეულია გენტივის ნიშნად და მიმართებით ზედსართავთა არსებობის საკითხი ეჭვქვეშ არის დაყენებული [ბოკარევი 1959 : 275; ათაევი 1996 : 65; მდრ. ზვიდაური 1995 : 171-177; ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 144].

აღწ-ა-ბ 1. „ბრიყვი“; 2. „უმოწყალო“, წყა „ძალიან“, „ძლიერ“ — წყა-ა-ბ „ჩინებული“, „დიდებული“...; გ) ზმნურ ფუძეებს: ოლ- (ოლ-ა-ლ „მყოფინება“) — ოლ-ა-ბ „ახალგაზრდა“, აჟაბ- (აჟაბ-ა-ბ „განცვიფრება“) — აჟაბ-ა-ბ „არაჩვეულებრივი“, „საკვირველი“ და სხვ. მისთ.

ვ) **კუთვნილებითი ზედსართავი** სახელების გამოსახატავად საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი ისევ ნათესაობითს იყენებს, მაგრამ, მიმართებითი ზედსართავებისგან განსხვავებით, კუთვნილებითი ზედსართავები გავრცობილი (ე. წ. მეორე) ნათესაობითის ფორმას ემყარება, მაგ.: იოლა-ს „დედობრივი“, „დედისა“, მიზოლა-ს „თქვენნი“, „თქვენეული“, ხალილა-ს „მეფისეული“ და მისთ.

გარდა ზემოჩამოთვლილი ზედსართავებისა, ბეჭიტურში დასტურდება სხვადასხვა სახის რთული მოდელები — კომპოზიტ-ზედსართავები: კოლ'ლ'ო-ჰელ'ალჷცოცო-ს (შდრ. ჰელ'ალჷცო „მწვანელი“) „მუქი ლურჯი“, ნიჰ-ნიყ 1. „ტკბილი“, 2. „ტკბილეული“ (ზედმიწ. „ტკბილ-მწარე“), ქაჩო-ნიც (< ქაჩო-ნიცდიჰო, შდრ. ტლ. ნიჩდიჰო <*ნიცდიჰო „ცისფერი“) „ღია ცისფერი“, ქაჩო-უქ (უქ <*უქლიყის „ყვითელი“) „ღია ყვითელი“ და მისთ.

6.2.2. **განსაზღვრულობის გამოხატვა ზედსართავებში.** განსაზღვრულობის (resp. ემფატიკურობის) გამოსახატავად გამოიყენება დაღესტნურ ენათა სინამდვილიდან კარგად ცნობილი მატრიბუტივებელი ფორმანტი **-სო**, რომელიც დაერთვის ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელის მზამზარეულ ფორმებს, მაგ.: წუდღო „წითელი“ — წუდღო-სო „წითელი რომელიცაა“, ჯუსსო „ვიწრო“ — ჯუსსო-სო „ვიწრო რომელიცაა“, იტინო „პატარა“ — იტინო-სო „პატარა რომელიცაა“, ოჟდის-ს „ვაჟის“ — ოჟდის-სო „ის, რომელიც ვაჟისაა, ვაჟისეულია“, ჰოგო „იგი“ — ჰოგო-სო „მისეული რომელიცაა“, „სხვისეული“, ჰეხ „წამიერად“ — ჰეხ-ზუ „დიდი ხანია“ — ჰეხ-ზუ-ს „დიდი ხნისა“ — ჰეხ-ზუს-სო „ძველისძველი“, „ძველი რომელიცაა“ და მისთ.

ყურადღებას იქცევს ზედსართავთა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული ფორმები საკუთრივ დიდოურ ენაში, რომელშიც, მართალია, დერივატი (-ნი) მასალობრივად განსხვავებულია, თუმცა წარმოების პრინციპი ორსავე ენაში ანალოგიურია [იხ. იმნაიშვილი 1963 : 70-71; არდოტელი 2007 : 61].

6.2.3. **ხარისხების წარმოება.** ბეჟიტური ენის ზედსართავი სახელი, ახლომონათესავე ენათა მსგავსად, ხარისხების წარმოების ორიგინალურ ყალიბს მოკლებულია, თუმცა ენა ამ ნაკლის ანაზღაურებას სხვადასხვა გზით ახერხებს. კერძოდ, უფროობითი ხარისხის გამოსახატავად შესადარებელი სახელი დაისმის ერთ-ერთ ლოკატიურ ბრუნვაში — ესივის IV სერიაში, ხოლო თავად ზედსართავი უცვლელია, მაგ.: საკ. ბეჟ. **ისილა** ის კეტო გემ „ძმა დაზე (ზედმიწ. „დასთან“) კარგია“, დო დჷლა **Ø**იხალო გემ „მე შენზე (ზედმიწ. „შენთან“) მაღალი ვარ“...

ჰუნზიბურ დიალექტში შედარებითი ხარისხის სუფიქსად **-ჲრ**, **-ჷრ** არის მიჩნეული [ვან დენ ბერგი 1995 : 50]. ეს სუფიქსი დაერთვის შესადარებელ სახელს — უახლოეს ობიექტს, ხოლო რეალური სუბიექტი, რომლის კლასიკ აისახება ზედსართავ სახელში, სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, მაგ.: ოჟე (RS) დი-ჲრ **Ø**-იყერუ ლო „ვაჟი ჩემზე უმცროსია“, აგ (RS) **Ø**იყერ დუ-ჷრ-ნ დი-ჲრ-ნ ლო „ის ჩემზე და შენზე უმცროსია“ და სხვ.

ბეჟიტურ ენაში თავს იჩენს მეტად საყურადღებო მოვლენა: ფუძისეული ხმოვნის დაგრძელებით ან თანხმოვნის გაორმაგებით დადებითი ხარისხისგან სპორადულად იწარმოება უფროობითი ხარისხი, მაგ.: საკ. ბეჟ. აჰყუჷ „მძიმე“ — აჰყუჷ „უმძიმესი“, იცილო „მოხუცი“ — იცილო „უხუცესი“, დუყო „დიდი“ — დუყო „უდიდესი“, „ძალიან დიდი“, იტინო „პატარა“ — იტინო „ძალიან პატარა“, დიხალო „გრძელი“ — დიხალო „ძალიან გრძელი“...; ჰუნზ. გამუ „გამხდარი“ — გამმუ „ძალიან გამხდარი“, კოტუ „კარგი“ — კოტტუ „უფრო კარგი“, დიყერუ ე^ნუ „პატარა მდინარე“ — დიყერუ ე^ნხე „უფრო პატარა მდინარე“ და ა. შ.

აღმატებითი ხარისხი გადმოიცემა დადებითი ხარისხის ფორმათა კომპოზიციით, მაგ.: იწ-მიწწო (ჰუნზ. გწ-მეწწუ "id".) „ძალიან ახალი“ (ზედმიწ. „ახალ-მახალი“), იც-მიცილო (ჰუნზ. იჩ-მიჩილ "id".) „ძალიან მოხუცი“ (ზედმიწ. „მოხუც-მიხუცი“), ი-იტინო „ყველაზე პატარა“ (ზედმიწ. „პატარ-პატარა“), ღუ-ღუყო გერდენა გე „ძალიან დიდი“ (ზედმიწ. „დიდ-დიდი“) ქვები არის“, ნუმ-მუმში „ძალიან პატარა“ (ზედმიწ. „პატარ-პატარა“) და ა. შ.

აღმატებითი ხარისხის სემანტიკა შეიძლება გამოიხატოს, აგრეთვე, ზმნისართებისა და გამაძლიერებელი ნაწილაკების დართვით: წაყ (< ხუნძ.) „ძალიან“, თელი (< ქართ.) „ბევრი“, „მთელი“, ლადი „ბევრი“, ბისსუნ II ბიშუნ „ყველაზე (მეტად)“: საკ. ბეჟ. ის წაყ ბერსინაბ გე „ძმა ძალიან ლამაზია“, თელი ბუეპ სუკობო გე ათადნ „ბევრი მოხუცი კაცი იქ არის“, ბიშუნ კეტო „ყველაზე კარგი“...; ჰუნზ. წაყ წადილუ „ძალიან შავი“, წაყ ჰალდუ „მეტად თეთრი“ და მრ. სხვ.

ჰ. ვან დენ ბერგი ჰუნზიბურში გამოყოფს -ლ'ორუ („ძალიან“) სუფიქსს, რომელიც აღმატებითი ხარისხის გამოსახატავად გამოიყენება [ვან დენ ბერგი 1995 : 58], მაგ.: Øიყერ-ლ'ორუ „ძალიან პატარა“, ჰალდუ-ლ'ორუ „ძალიან თეთრი“ და სხვ.

ოდნაობითობას გადმოსცემენ ზედსართავის ფორმები, რომლებიც ნაწარმოებია განყენებული სემანტიკის არსებითი სახელეზისაგან -ოო (საკ. ბეჟ.), -რ (ჰუნზ.) სუფიქსების დართვით, მაგ.: ნიჰა (ჰუნზ. ნიჰა-რ) „ტკბილი“ — ნიჰა-ლ'ი (ჰუნზ. ნიჰარ-ლ'ი) „სიტკბო“ — ნიჰა-ლ'ი-ოო (ჰუნზ. ნიჰარ-ლ'ე-რ) „მოტკბო“, ნიყა (< ნიყა-ოო) (ჰუნზ. ნაყა-რ) „მწარე“ — ნიყა-ლ'ი (ჰუნზ. ნაყარ-ლ'ი) „სიმწარე“ — ნიყა-ლ'ი-ოო (ჰუნზ. ნაყარ-ლ'ე-რ) „მომწარო“ და მისთ.

აღსანიშნავია, რომ ტლადალურ თქმაში ოდნაობითი ხარისხი რთული სუფიქსით (-ლდიოო < -ლ [< ლ'] + -დიოო) იწარმოება, მაგ.: ჰალდიოო „თეთრი“ — ჰალდიოო-ლდიოო „მოთეთრო“, წუნდიოო „წითელი“ — წუნდიოო-ლდიოო „მოწითალო“, ნიხდიოო „მწვანე“ — ნიხდიოო-ლდიოო „მომწვანო“ და ა. შ.

ჰუნზიბურ დიალექტში ოდნაობითი ხარისხი გამოიხატება სათანადო ზედსართავ სახელზე **-ლერუ** (შდრ. საკ. ბეჟ. **-ლდიო**) სუფიქსდართული ფორმებით, მაგ.: რ-გყუ „დიდი“ — რ-გყუ-ლერუ „მოდიდი“, ნ-იარუ „ტკბილი“ — ნ-იარუ-ლერუ „მოტკბო“, წუნდუ „წითელი“ — წუნდუ-ლერუ „მოწითალო“ და მისთ.

6.2.4. ზედსართავ სახელთა ბრუნება. ზედსართავი სახელი წინადადებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადად სამი ფუნქციით: ა) **ატრიბუტივად**, ბ) **სუბსტანტივად** და გ) **პრედიკატული სინტაგმის სახელად ნაწილად**.

ა) თავისი ძირითადი (ატრიბუტიული) ფუნქციით გამოყენებული ვითარებითი (ძირეულიც და ნასესხებიც) ზედსართავი სახელები მეტწილად უცვლელია, მაგრამ საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ერგატივისა და ე. წ. ირიბ ბრუნვათა ფორმები ზოგ ზედსართავს აუსლაუტური ხმოვნით განსხვავებული აქვს [ლომთაძე 1956 : 409; ბოკარევი 1959 : 92]. ბრუნებისას, როგორც წესი, ხდება შეთანხმება კლასსა (თუ კლასნიშნაღია) და რიცხვში. საილუსტრაციო მაგალითები:

მხოლოდობითი რიცხვი

	საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
სახ.	ბ-უყ-ო	ბიტჸ „დიდი ცხვარი“	ბ-გყუ	ონს „დიდი ხარი“
ერგ.	ბ-უყ-ა	ბიტჸი	ბ-გყუ	ონსი-ლ
მიც.	ბ-უყ-ა	ბიტჸი-ლ	ბ-გყუ	ონსი
ნათ.	ბ-უყ-ა	ბიტჸი-ს	ბ-გყუ	ონსი-ს
ინსტ.	ბ-უყ-ა	ბიტჸი-დ	ბ-გყუ	ონსი-დ

მრავლობითი რიცხვი

	საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
სახ.	ბ-უყ-წ	ქიბ-ბა	ბ-გყ-არ	ქიდ-ბა „დიდი გოგობი“
ერგ.	ბ-უყ-წ	ქიბ-ბწ-რა	ბ-გყ-არ	ქიდ-ბა-ლ-ლო
მიც.	ბ-უყ-წ	ქიბ-ბწ-რა-ლ	ბ-გყ-არ	ქიდ-ბა-ლწ
ნათ.	ბ-უყ-წ	ქიბ-ბწ-რა-ს	ბ-გყ-არ	ქიდ-ბა-ლა-ს
ინსტ.	ბ-უყ-წ	ქიბ-ბწ-დ		—

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰუნზიბური დიალექტი, ზედსართავ სახელთა ბრუნების თვალსაზრისით, მეტ კონსერვატიულობას ამჟღავნებს, ვიდრე საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი — ამ უკანასკნელში ორივე რიცხვის ფორმები მეტ-ნაკლებ ცვლილებას განიცდიან. მრავლობით რიცხვის წარმოება, გარდა **მ : წ** მონაცვლეობისა, სხვა სუფიქსების (**-უა**, **-ლა**, **-და**) საშუალებითაც ხდება [იხ. ხალილოვი 1995 : 398].

2) გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელები, არსებით სახელთა ანალოგიურად, სუბსტანტიური ბრუნებით იბრუნვიან [იხ. მადიევა 1965 : 94; ხალილოვი 1995 : 398; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 263-267].

3) პრედიკატიულად გამოყენებული ზედსართავი სახელი, ჰუნზიბური დიალექტისაგან განსხვავებით, ბოლოკიდურ ხმოვანს არ იკვეცს, მაგ.: ალილა ღაზი Ø-იტინო გეჲ „ღაზი ალიზე პატარა არის“, შდრ. ჰუნზ. ქიდ დ-იყერ ლო „გოგო პატარა არის“. ამ წინადადებაში გამოყენებული ზედსართავი საკუთრივ ბეჭიტური ზედსართავის სუფიქს **-მ**-ს შესატყვის **-უ**-ს იკვეცს [გან დენ ბერგი 1995 : 57], რაც შესაძლოა ენკლიტიკის თავისებურებასთანაც იყოს დაკავშირებული. კერძოდ, მეშველი ზმნის (**ლო** „არის“) **მ**-ს გავლენით ზედსართავი სახელის ბოლოკიდური ხმოვანი ჩანს რედუცირებული.

ყოველივე ზემოთქმული სქემატურად ასე წარმოგვიდგება:

ა) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სქემა 11. ზედსართავი სახელის ცვლილება ბრუნების პროცესში

ფუნქცია	ატრიბუტული		სუბსტანტიური		პრედიკატული	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
აბსოლუტ.	-ო, -(ა)-ბ	-ჲ, -ჟა, -ლა, -ჟა	-ო, -(ა)-ბ	-ა, -ჟა -ლა, -ჟა	-ო, -(ა)-ბ	-ა, -ჲ, -ჟა, -ლა
ირიბი	-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი		-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი		-ო, -ა, -(ა)-ბ-ლი	

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 12. ზედსართავი სახელის ცვლილება ბრუნების პროცესში

ფუნქცია	ატრიბუტული		სუბსტანტიური		პრედიკატული	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
აბსოლუტ.	-უ, -(ა)-ბ	-არ, -ლა	-უ, -(ა)-ბ	-არ, -ლა	-∅/(-უ), -(ა)-ბ	-არ, -ლა
ირიბი	-უ/(-∅), -(ა)-ბ	-არ	-ო, -ა, -(ა)-ბ	-ალ-ლა, -ლა	—	—

რაც შეეხება ზედსართავ სახელთა ლოკატიურ ბრუნებს, ისინი არსებითი სახელის ბრუნებას მისდევენ და რაიმე არსებითი ხასიათის გადახრა არ შეინიშნება [იხ. მაღიევა 1965 : 97-98; ვან დენ ბერგი 1995 : 45-49].

6.3. **რიცხვითი სახელი.** ბეჭითური ენის თვლის სისტემა ათობითია, რაც ამოსავლად მიიჩნევა ახლომონათესავე ენებში დადასტურებული ათობით-ოცობითი და ოცობითი სისტემებისათვის [ჯავახიშვილი 1992 : 360; შდრ. ბოკარევი 1959 : 278; გუდავა 1980 : 200-201; ლომთაძე 1958 : 311]. გაირჩევა რიცხვით სახელთა ექვსი ჯგუფი, რომელთა ფუნქციური დატვირთვა არათანაბარია: 1) **რაოდენობითი**, 2) **რიგობითი**, 3) **წილობითი**, 4) **ჯერობითი**, 5) **შემკრებლობითი (კრებითი)**, 6) **დაყოფითი** [შდრ. ხალილოვი 1995 : 401].

6.3.1. **რიცხვითი სახელების წარმოება.** 1) **რაოდენობითი (ძირითადი) რიცხვითი სახელები.** ძირითადი რიცხვითი სახელები, აგებულების მიხედვით, იყოფა სამ ძირითად ქვეჯგუფად: ა) **მარტივი** (1-10, 20, 1000), 2) **რთული** (3+10=13), 3) **შედგენილი** (100+6+10+5=165).

მარტივი რაოდენობითი (ძირითადი) რიცხვითი სახელები (1-10, 20, 1000) იწარმოება სათანადო რიცხვითი სახელის ფუძისაგან **-ნა** (საკ. ბეჭ.), **-ნო**, **-ნუ**, **-ნ**, **-ნო¹** (ჰუნზ.) სუფიქსების საშუალებით. ამასთანავე, ჰუნზ. დიალექტში **-ნუ** < **-ნო** (ო-ს დავიწროებით), ხოლო ოდენ **-ნ** (< **-ნო**) დაერთვის ხმოვნით დაწყებულ ხმოვანფუძიან რიცხვითებს.² ატრიბუტივად გამოყენებულ რიცხვით სახელებს ერგატისა და ირიბ ბრუნვებში ნომინატივისაგან განსხვავებული ფორმები მოეპოვება, რომელთა შედგენილობაში **ნ**-ს **ლ** ცვლის და აუსლაუტში ხმოვანი არ გვხვდება. საილუსტრაციო მაგალითები:

¹ **-ნო** სუფიქსი მხოლოდ ერთ რიცხვით სახელში (**ლ'ონო** „სამი“) დასტურდება, რაც რეგრესულ-პროგრესული ურთიერთშექცევადი ასიმილაციის შედეგი ჩანს: ***ლ'ა-ნო** > **ლ'ონო** > **ლ'ონო**.

² მახვილი ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს ეცემა და ფორმანტისეული უმახვილო ხმოვანი იოლად ემორჩილება რედუქციას.

საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
სახელობითი	ერგ. და ირ. ბრუნვები	სახელობითი	ერგ. და ირ. ბრუნვები
2	ყრ-ნა	ყო-ლ	ყა-ნუ
3	ლ'ა-ნა	ლ'ა-ლ	ლ'ა-ნ
4	რ'ყრ-ნა	რ'ყე-ლ	რ'ყე-ნ
5	ლ'რ-ნა	ლ'რ-ლ	ლ'რ-ნო
6	რ'ლ-ნა	ილ'-ე-ლ	რ'ლ-ნო
7	ა'ლ-ნა	ა'ლ'-ო-ლ	რ'ლ'-ნო
8	ბ'ელ-ნა	ბ'ელ'-ე-ლ	ბ'ელ'-ნო
9	ა'ჭე-ნა	ა'ჭე-ლ	ა'ჭი-ნ
10	ა'წო-ნა	ა'წო-ლ	რ'წა-ნ
20	ჯრ-ნა	ჯო-ლ	ჯრ-ნო
1000	ჰაზაა-ნა ¹	ჰაზაა-ლ (ტლ. ჰაზარ-ლა)	ჰაზარ-ნო
			ჰაზარ-ლი-ლ

თავისებურად იწარმოებიან „ერთისა“ და „ასის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები: საკ. ბეჭ. **ჰონს** (კაპ.), **ჰოს** (ხაშ., ტლად.), **ჰანს** (ჰუნზ.) „ერთი“ ირიბ ბრუნვათა ფორმად გამოავლენს **სიდ** (საკ. ბეჭ.), **სედ** (ჰუნზ.) ვარიანტებს [იხ. ლომთაძე 1958 : 306; ბოკარევი 1959 : 277]. რაც შეეხება „ასს“ (**ჰიტ**: ჰონსჰიტ „ასი“ ზედმიწ. „ერთი დანა“), როგორც ცნობილია, მისი მეორე კომპონენტი თანხვედბა „დანის“ გამომხატველ ლექსემას (შდრ. ხუნდ. **ნუს** 1. „დანა“; 2. „ასი“), რომელთანაც წარმომავლობით ჩანს დაკავშირებული [ბოკარევი 1959 : 277; გუდავა 1980 : 212].

რთული რიცხვითი სახელები (30, 40, 50, 60, 70, 80, 90, 100, 200, 300, 400, 500, 600, 700, 800, 900) ათეულთა წარმოებისას სათანადო ერთეულის გამომხატველ რიცხვით სა-

¹ ეს რიცხვითი სახელი ამ ფორმით მხოლოდ შედგენილ რიცხვით სახელად იხმარება. ცალკე **ჰაზაა** გვაქვს. იგი სპარსულიდან შემოსულ **აზარ**-ფუძეს იყენებს, რომელსაც ანლაუტში ფშვინგიერი შემართვის საფუძველზე **ჰ** დართვია და ბეჭ. **-ნა** ნაწილაკით გაფორმებულია.

ხელზე დაირთავენ **-იო** (კაბ.), **-რიო** (ხაშ.-ტლად., ჰუნზ.) სუფიქსს (შდრ. ხუნდ. **-რგო: ლ'ებე-რგო** „30“): საკ. ბეჟ. **ლ'ანა-იო** „30“, **რ'უნა-იო** (ტლად. ოყენა-რიო) „40“, **ლ'ინა-იო** „50“, **ილ'ინა-იო** „60“...; ჰუნზ. **ლ'ონო-რიო** „30“, **ოყენ-რიო** „40“, **ლ'ინო-რიო** „50“ და ა. შ.

ასეულების წარმოება „ასის“ ანალოგიურია: ერთეულის გამომხატველი რიცხვი + ასი ($1+100=100$, $2+100=200$, $3+100=300$...): **ყონაჭიტ** „200“, **ლ'ანაჭიტ** „300“, **ოყენაჭიტ** „ოთხასი“ და მისთ.

შედგენილი რიცხვითი სახელების წარმოების ფორმულები ამგვარია: ა) **ათეული + ერთეული**: საკ. ბეჟ. აწო-ნა ჰონს „11“, აწო-ნა ყონა „12“, აწონა ლ'ანა „13“...; ჰუნზ. ოწა-ნ ჰონს „11“, ოწა-ნ ყანუ „12“, ოწა-ნ ლ'ონო „13“...; ბ) **ოცეული + ერთეული**: საკ. ბეჟ. ვო-ნა ჰონს „21“, ვო-ნა ყონა „22“...; ჰუნზ. ვო-ნო ჰონს „21“, ვო-ნო ლ'ინო „25“, ვო-ნო ილ'ინო „26“ და ა. შ.; გ) **ასეული + ათეული (resp. ოცეული) + ერთეული**: ჰუნზ. ჰონსჭიტ-ნო ოყენრიგ-ნო ყანუ „142“, ყანუჭიტ-ნო ლ'ინორიგ-ნო ჰონს „251“ და სხვ.

2) **რიგობითი რიცხვითი სახელები**. ბეჟიტური ენის საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში რიგობითი რიცხვითი სახელები ორგვარად იწარმოება: ა) ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან „თქმა“ ზმნის ნამყოფი მიმღეობის ფორმის **მალ'ემო** (ბეჟიტ.), **მალ'ერო** (ხაშ.), **მალ'ერო**¹ (ტლად.) („თქმული“) დართვით, რომელიც სუფიქსად არის გადააზრიანებული: **ჰონს-მალ'ემო** „პირველი“, **ყონა-მალ'ემო** „მეორე“, **ლ'ანა-მალ'ემო** „მესამე“, **აწონა-მალ'ემო** „მეათე“, **ვონა-მალ'ემო** „მეოცე“, **ლ'ანაიგნა-მალ'ემო** „ოცდამეათე“, **ლ'ანაიგნა ყონა-მალ'ემო** „ოცდამეთორმეტე“...; ბ) ამჟამად

¹ გავრცელებულია ამ ფორმის სხვაგვარი დაწერილობაც (**იამალ'ემო**) [მაღივა 1965 : 106; ხალილოვი 1995 : 402; შდრ. ბოკარევი 1959 : 97; ლომთაძე 1966 : 317]. ამგვარი ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ თანხმოვანფუძიან რიცხვითებთან.

უფრო გავრცელებულია რიგობითი რიცხვითი სახელების მეორე მოდელი, რომლის წარმოების ფორმულა ასე ჩაიწერება: **რაოდენობითი რიცხვითი სახელი + სუფიქსი -ს (< -სო):¹ ყონა-ს** „მეორე“, **ლ'ანა-ს** „მესამე“, **ოწყონა-შ²** (ხაშ.-ტლ. ო-ყენა-შ) „მეოთხე“, **ლ'ინა-ს** „მეხუთე“, **ბელ'ნა-ს** (ბელ'ნა-ს ჟოდო „მერვე დღე“) (ტლ. ბელ'ნა-შ) „მერვე“, **ჯონა-ს** „მეოცე“, **ლ'ანადიგნა-ს** (ტლად. **ლ'ანარიგნა-შ**) „ოცდამეათე“, **ჰონსჭიტნა-ს** „მეასე“ და ა. შ.

ყურადღებას იქცევს „პირველის“ გამომხატველი რიცხვითი სახელი **ჰადღა-შ** (საკ. ბეჟ.), რომელიც სუბლექტურ ფორმად მიიჩნევა [მაღიევა 1965 : 106; ხალილოვი 1995 : 402]. სინამდვილეში იგი სრულიად სხვა ზმნისართული ფუძე ჩანს: **ჰად** (საკ. ბეჟ.), **არტო** (ჰუნზ.) „ადრე“, „უწინ“. ამ ზმნისართისაგან არის ნაწარმოები „პირველი“: **ჰად-ღა-შ** (ბეჟიტ.), **არად-და-ს** (ტლ.), **არტო-დო-ს** (ჰუნზ.) „უწინდელი“ > „პირველი“ (შდრ. საკ. დიდ. **ადერ** „ადრე“ — **ადერ-სი / -სი-ნი** „უწინდელი“, „ძველთაძველი“).³

ჰუნზიბურ დიალექტში რიგობით რიცხვით სახელთა საწარმოებელ სუფიქსად გვაქვს **-სა/-ს**, რომლის დისტრიბუციაც ასე წარმოგვიდგება: **-სა** თანხმოვანფუძიან რიცხვითებთან გვხვდება, ოდენ **-ს** კი — ხმოვანფუძიანებთან,⁴ მაგ.: **ჰანს-სა** „პირველი“, **ლ'ონორიგ-სა** „ოცდამეათე“, **ოყენრიგ-სა** „მეორმოცე“, **ჰანსჭიტ-სა** „მეასე“, **ჰაზარ-სა** „მეათასე“...; **ყანუ-ს** „მეორე“, **ლ'ონო-ს** „მესამე“, **ოყენო-ს** „მეოთხე“, **ჯონო-ს** „მეოცე“ და ა. შ.

¹ **-ს** სუფიქსი მატრიბუტივებელი **-სო** (საკ. ბეჟ.), **-სა** (ჰუნზ.) სუფიქსის გაცვეთილი ფორმა ჩანს და არა ნათესაობითის მზამზარეული ფორმა, როგორც ამას ზოგი სპეციალისტი ვარაუდობს [იხ. ლომთაძე 1966 : 320-322; ზვიადური 1995 : 171-176]; შდრ. ბოკარევი 1959 : 45, 278; მაღიევა 1965 : 106...].

² ხაშ. და ტლად. კილოკავებში, გარდა „ოთხისა“, **-სა-შ** რეალიზებულია „რვისა“ და „ცხრის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებშიც.

³ არ არის გამორიცხული, რომ იგი ქართული ნასესხობაც იყოს: ქართ. **ადრე** > საკ. დიდ. **ადერ**.

⁴ ერთადერთი ხმოვანფუძიანი სახელი არის **ოწან-** (**ოწანო-ს** „მეათე“), რომელსაც ოდინდელი ხმოვანი **-ს**-ს დართვისას აღუდგება.

3) **წილობითი რიცხვითი სახელები.** წილობითი რიცხვითი სახელები იწარმოება აღწერილობითად: ა) **-ს/-სნ სუფიქსიანი რიცხვითი რიცხვითი სახელი + ბუტა** (< **ხუნძ.**) „ნაწილი“: საკ. ბეჟ. **ლანა-ს ბუტა** „მესამედი“ (ზედმიწ. „მესამის ნაწილი“), **ჰენა-ს ბუტა** „მეათედი“ (ზედმიწ. „ათის ნაწილი“, უდრ. ხუნძ. ანწი-ლ ბუტა "id."), **ლანი-ს** (ტლ. ლალი-ს) **ჰონ-ს ბუტა** „ერთი მესამედი“ (ზედმიწ. „სამიანის ერთის ნაწილი“)...; ჰუნზ. **ყანუ-ს ბუტა** „მეორედი“, **ბელნო-ს ბუტა** „მერვედი“, **ვონო-ს ბუტა** „მეოცედი“ და ა. შ.; ბ) **კრებითი რიცხვისი სახელი + ძალ'ოქოს** (< **ძალ'ო** „შუა“, „შორის“ + **ქო** + **ნათ. -ს**) (ტლ. რალ'ოქოს) „ნახევარი“: **ჰონ-ს-ნა ძალ'ოქოს** „ერთ-ნახევარი“, **ლინა-ნა ძალ'ოქოს** „ხუთ-ნახევარი“, **აწონა-ნა ძალ'ოქოს** „ათ-ნახევარი“ და სხვ. მისთ. **ძალ'ოქოს** („ნახევარი“) კლას-ნიშნის მიხედვით იცვლება, ორმაგდება და კომპოზიტს ქმნის, მაგ.: **ძ-ალ'ოქოლაჟ-ძალ'ოქოს** (IV კლ.), **ბ-ალ'ოქოლაჟ-ბალ'ოქოს** (III კლ.) „ერთი მეოთხედი“ და ა. შ. ანალოგიური წარმოება შეინიშნება ჰუნზი-ბურში: **ჰანსნო რალ'უგუს** „ერთ-ნახევარი“, **ყანუ-ნ რალ'უგუს** „ორ-ნახევარი“ და მისთ.

4) **ჯერობითი რიცხვითი სახელები.** ჯერობის გამოსახატავად ორსავე დიალექტში სუფიქსად **-ხ** დასტურდება, ხოლო საწარმოებელ ოდენობად — ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე, რომელიც გავრცობილია **-რან />-ძა, -ჟა, -რჟა, -ეძა** (<*-**ე-რა**) დეტერმინანტული ელემენტებით. მასთან, „ერთის“, „ორისა“ და „სამის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ისევე, როგორც სხვა ახლომონათესავე ენებში, თავისებურებას ამჟღავნებენ [იხ. ლომთაძე 1966 : 224]. კერძოდ, ამ რიცხვით სახელთა ფუძეში სავრცობი ელემენტები არ გვხვდება და „ორის“ გამომხატველ ძირში **ყ'-ს** ნაცვლად არქიფონემა (**კ**) გამოვლინდება: საკ. ბეჟ. **კა-ხ-ნა** < ***კა-ნა-ხ** (უდრ. **ყო-ნა** „ორი“) „ორჯერ“, **ლა-ხ-ნა** < ***ლა-ნა-ხ** „სამჯერ“. საკ. ბეჟ. **ჰანყა** „ერთხელ“ რთული აგებულებისა ჩანს

და სავარაუდოა, კომპოზიტს წარმოადგენდეს: **ჰან^ნყ-ყა** (<*ჰან^ს+ყა) (ტლ. ჰან-ყა) „ერთხელ“ (ზედმიწ. „ერთი+ორი“). რაც შეეხება ანალოგიურ ჰუნზიბურ ფორმას, **ჰან^სუნ-და-ლ** „პირველად“ ნაწარმოები უნდა იყოს კრებითი რიცხვითი სახელისაგან **-და-ლ** რთული სუფიქსის საშუალებით. ასევე ამ ფორმებისაგან **-ს** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელების ჯერობა: ჰან^სყა-ს „პირველჯერ“, კახნა-ს „მეორეჯერ“, ლ'ახნა-ს „მესამეჯერ“ და მისთ.

ჯერობის გამომხატველი რიცხვითი სახელების წარმოებისას უფრო მეტი ერთგვაროვნობა ჰუნზიბურ დიალექტში გვაქვს, ხოლო საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში, ფუძის ფორმანტების სხვადასხვაობიდან გამომდინარე, მეტი სიჭრელეა. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
თ ^ნ ყრ-ჟა-ხ-ნა	(ტლად. ოყ'-ე-რა-ხ-ნა)	ოყენ'-რა-ხ	„ოთხჯერ“
ლ'-ია-ხ-ნა	(ტლად. ლ'-ი-რა-ხ-ნა)	ლ'-ი-რა-ხ	„ხუთჯერ“
ილ'-ე-ია-ხ-ნა	(ტლად. ილ'-ე-რა-ხ-ნა)	ილ'-რა-ხ	„ექვსჯერ“
ალ'-ო-ჟა-ხ-ნა	(ტლად. ალ'-ო-რა-ხ-ნა)	ოლ'-რა-ხ	„შვიდჯერ“
ბელ'-ე-ია-ხ-ნა	(ტლად. ბელ'-ე-რა-ხ-ნა)	ბელ'-რა-ხ	„რვაჯერ“
აჟე-ია-ხ-ნა	(ტლად. აჟე-რა-ხ-ნა)	უჟი-რა-ხ	„ცხრაჯერ“
აწო-ჟა-ხ-ნა	(ტლად. აწო-რა-ხ-ნა)	ოწა-რა-ხ	„ათჯერ“
ჯო-ჟა-ხ-ნა	(ტლად. ჯო-რა-ხ-ნა)	ჯო-რო-ხ	„ოცჯერ“
ჰონ ^ს ჟიტ-ია-ხ	(ტლად. ჰონ ^ს ჟიტ-რა-ხ)	ჟიტ-რა-ხ	„ასჯერ“
ჰაზა-ია-ხ	(ტლად. ჰაზარ-ლა-ხ)	ჰაზარ-რა-ხ	„ათასჯერ“

„რიგობითი ჯერობითობა“ ჯერობითი რიცხვითი სახელებისაგან **-ს** > **-შ** ფორმანტით იწარმოება, მაგ.: **ოყერახნა-შ** „მეოთხეჯერ“, **ლ'ირახნა-ს** „მეხუთეჯერ“, **ილ'ერახნა-ს** „მექვსეჯერ“, **ბელ'ერახნა-შ** „მერვაჯერ“ და ა. შ. ჰუნზიბურ დიალექტში,

გარდა ზემოხსენებული წარმოებისა, ადასტურებენ **-დ-რ-ს** რთული სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებსაც [ლომთაძე 1966 : 326, შდრ. ბოკარევი 1959 : 45], რომელიც ჯერობის გამომხატველ რაოდენობითი რიცხვითის სახელის ფორმას ერთვის, მაგ.: **ჰანსუნ** „ერთხელ“ — **ჰანსუნ-დრ-ს** „პირველადვე“, **ყანა-ხ** „ორჯერ“ — **ყანა-ხ-დრ-ს** „მეორეჯერ“, **ლ'ო-ხ** „სამჯერ“ — **ლ'ო-ხ-დრ-ს** „მესამეჯერ“, **ოყერა-ხ** „ოთხჯერ“ — **ოყერა-ხ-დრ-ს** „მეოთხეჯერ“ და სხვ.

ბეჭიტურ ენაში დასტურდება ჯერობითი რიცხვითი სახელეებისაგან **-და** (საკ. ბეჟ.), **-დო** (ჰუნზ.) სუფიქსით ნაწარმოები განუსაზღვრელი სემანტიკის გამომხატველი რიცხვითები, მაგ.: **ოყერა-ხ-და-ნა** (ჰუნზ. **ოყერა-ხ-დო-ნ**) „დაახლოებით ოთხჯერ“, **ლ'ირა-ხ-და-ნა** (ჰუნზ. **ლ'ირა-ხ-დო-ნ**) „დაახლოებით ხუთჯერ“ და მისთ.

შეიძლება ბეჭიტურში ჯერობა გამოიხატოს, აგრეთვე, შემდეგი ფორმულითაც: **სათანადო რაოდენობითი რიცხვითი სახელი + ჰინო** (საკ. ბეჟ.), **ჰენი** (ჰუნზ.) „გზა“, მაგ.: საკ. ბეჟ.: **ჰონს-ჰინო** „ერთგზის“, **ყონა-ჰინო** „ორგზის“, **ლ'ანა-ჰინო** „სამგზის“; ჰუნზ. **ჰანს-ჰენი** „ერთგზის“, **ყანუ-ჰენი** „ორგზის“, **ლ'ონო-ჰენი** „სამგზის“ და ა. შ.

5) **შემკრებლობითი რიცხვითი სახელები**. შემკრებლობითი რიცხვითი სახელების საწარმოებლად საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი **-ნა** ნაწილაკს იყენებს, ხოლო ჰუნზიბური — მის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვის **-ნო-ს**. ამ უკანასკნელს ხმოვნით დასრულებულ რიცხვითებთან ხმოვნითი ელემენტი ეკარგება: **V + ნო > V + ნ** (შდრ. **ჩ + ნო > ჩ + ნ**). საწარმოებელი სახელის ფუძედ რაოდენობითი რიცხვითი სახელის ნაწილაკიანი ფორმა გამოიყენება. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი
ჰოს-ნა¹	ჰანსუ-ნ „ერთხელ“, „ერთიც“ ²
ყონა-ნა	ყანუ-ნ „ორივე“
ლანა-ნა	ლონონ-ნ „სამივე“
ონყონ-ნა	ოყენონ-ნ „ოთხივე“
ლინა-ნა	ლინონ-ნ „ხუთივე“
ილნა-ნა	ილნონ-ნ „ექვსივე“
ალნა-ნა	ოლნონ-ნ „შვიდივე“

ამავე ქვეჯგუფში შიძლება გაერთიანდეს ისეთი გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სინონიმური სახელები, როგორცაა: **ზათ, ოლლო, თელი** „ბევრი“, **დჰჰჰ, დტატა** „ცოტა“ და მისთ.

6) **დაყოფითი (resp. დანაწევრებითი) რიცხვითი სახელები.** ამ რიგის რიცხვითი სახელები, როგორც წესი, სათანადო ფუძის რედუპლიკაციით იწარმოება. კომპოზიტის პირველი კომპონენტი ჩვეულებრივ გაცვეთილია, რასაც საკომპენსაციოდ კვალი ხმოვნის სიგრძით დაუტოვებია. საილუსტრაციოდ მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი
ჰონ-ჰოს II სნ-სიდი	სნ-სნ ჰან-ჰანს „თითო-თითო“
ყონ-ყონა	ყან-ყანუ „ორ-ორი“ ³
ლან-ლანა	ლონ-ლონონ „სამ-სამი“
ონ-ოყენა	ონ-ოყენ „ოთხ-ოთხი“

¹ საკუთრივ ბეჟიტურში **ჰოს-ნა** გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკის („არავინ“, „არაფერი“) მნიშვნელობით, მაგ.: დიღლა ბილოყო ჰოსნა სუკო გაყე „ჩემ სახლში არავინ (ზედმიწ. „ერთიც“) კაცი არ არის“.

² ამ რიცხვით სახელს უფრო ჯერობის სემანტიკა აქვს, ვინემ შემკრებლობითობისა, თუმცა წარმოება შემკრებლობითი რიცხვითების ტიპისაა [იხ. ლომთაძე 1966 : 330].

³ სპეციალურ ლიტერატურაში სრული ფორმებიც დასტურდება [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 270], თუმცა მათ ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავთ [შდრ. ვან დენ ბერგი 1995 : 71].

ლ'ნ-ლ'ინა	ლ'ნ-ლ'ინო	„ხუთ-ხუთი“
ბნ-ბელ'ნა	ბნ-ბელ'ნო	„რვა-რვა“
ა-აწონა	ა-აწონ	„ათ-ათი“
ჰნ-ჰონსკიტ	ჰნ-ჰონსკიტ	„ას-ასი“

6.3.2. **რიცხვითი სახელების ბრუნება.** რიცხვითი სახელი, როგორც წესი, გამოყენებულია ატრიბუტივად და არსებით სახელს ახლავს. არსებითი სახელი, სხვა მონათესავე ენათა მსგავსად, მხოლოდობით რიცხვში დაისმის, მაგ.: ლ'ანა სუკო „სამი კაცი“, ჰნსკიტ ყურუმ „ასი მანეთი“ და ა. შ.

რიცხვითი სახელი პრეპოზიციური წყობით არსებით სახელს კლასსა და ბრუნვაში არ ეთანხმება ისევე, როგორც ატრიბუტიულ სინტაგმაში ზედსართავი არ ეთანხმება საზღვრულს, ვინაიდან იგი ძირითადად უცვლელია [ლომთაძე 1996 : 215].

სინტაგმაში **„რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი“** რიცხვითი სახელის ცვლილება შემოიფარგლება, ერთი მხრივ, სახელობითისა, ხოლო, მეორე მხრივ, ერგატივისა და „ირიბ“ ბრუნვათა ფორმების დაპირისპირებით. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები [იხ. 6.3.1], „ირიბ“ ბრუნვებში **-ნა** (საკ. ბეჟ.), **-ნ/ნო** (ჰუნზ.) სუფიქსები არ გვაქვს და მათ ნაცვლად **-ლ/-ლა**, **-დ/-დო** ფორმანტები დაჩნდება. თითო საილუსტრაციო მაგალითი:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი
სახ. ალ'-ნა ალ'	ბელ'-ნო თოფი
„შვიდი სოფელი“	„რვა თოფი“
ერგ. ალ'ო-ლ ალ'ა	ბელ'-ე-ლ თოფილ-ლო
მიც. ალ'ო-ლ ალ'ა-ლ	ბელ'ე-ლ თოფილ-ა
ნათ. ალ'ო-ლ ალ'ა-ს	ბელ'ე-ლ თოფილო-ს
ინსტრ. ალო'-ლ ალ'ა-დ	ბელ'ე-ლ თოფილ-დო

განსუბსტანტივებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი არსებით სახელთა ანალოგიურად იბრუნვის. ბრუნებისას რიცხვითი სახელი **-ნა** (საკ. ბეჟ.) ნაწილაკს ინარჩუნებს და **ჰონს** „ერთი“, როგორც წესი, ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში ფუძეს იცვლის. ჰუნზიბურ დიალექტში ნაწილაკის ადგილას ხანდახან **-ლუ** დაჩნდება:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი		
სახ.	ჰონს	ალ'-ნა	ჰანს	ლ'ი-ნო
	„ერთი“	„შვიდი“	„ერთი“	„ხუთი“
ერგ.	სიდი	ალ'ონი	სგდ-ლო	ლ'ილუ-ლ
მიც.	სიდი-ლ	ალ'ონი-ლ	სგდნ	ლ'ილუ
ნათ.	სიდი-ს	ალ'ონი-ს	სგდი-ს	ლ'ილუ-ს
ინსტრ.	სიდი-დ	ალ'ონი-დ	სგდი-დ	ლ'ილუ-დ

გასუბსტანტივებული რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნებისას სათანადო ნაწილაკი (საკ. ბეჟ. **-ნა**, ჰუნზ. **-ნ/-ნო**) ბრუნვის ნიშანს მოსდევს:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
სახ.	ყონა-ნა	ყა-ნუ-ნ	„ორივე“
ერგ.	ყო-ნი-ნა, ყო-ლი-ნა ¹	ყა-ნ-ლო-ნ	
მიც.	ყო-ნი-ნ-ნა (< ყო-ნი-ლ-ნა), ყო-ლი-ნ-ნა	ყა-ნნ-ნ	
ნათ.	ყო-ნი-ს-ნა, ყო-ლი-ს-ნა	ყა-ნი-ს-ნო	
ინსტრ.	ყო-ნი-დ-ნა, ყო-ლი-დ-ნა	ყა-ნ-დო-ნ	

¹ მარჯვნივ წარმოდგენილი ფორმები ხაშარხოტული და ტლადალური კილოკავების მონაცემებია.

მართალია, ზემომოყვანილი ფორმები ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ მაინც დასტურდება ზოგ წინადადებაში: მი ნილიო ცოქქო **სიდილ** [ლომთ. 2003 : 147] „შენ მიეცი ფული ერთს“, ...ქონ^ნ-ჲ-ნ სწ-სწ-სგდ-გო ჰწ^ნ-ჭიტ ყურუმ ოქრო ნგლ'-ან ლი [ვან 1995 : 246,5] „...ხელში თითოეულს („თითო-თითო მათგანს“) ასი მანეთი ოქრო მისცა“ და სხვ. მისთ.

6.4. **ნაცვალსახელი.** ბეჟიტური ენა მდიდარია ნაცვალსახელებით. შინაარსის მიხედვით, გამოიყოფა ნაცვალსახელთა ცხრა ჯგუფი: 1) **პირისა**, 2) **ჩვენებითი**, 3) **კითხვითი**, 4) **კუთვნილებითი**, 5) **უკუქცევითი**, 6) **განსაზღვრებითი**, 7) **განუსაზღვრელობითი**, 8) **ურთიერთობითი**, 9) **უარყოფითი**. ყოველი ჯგუფის ნაცვალსახელს, გარდა კუთვნილებითისა,¹ აქვს საკუთარი გრამატიკული ფორმა და სათანადო ფუნქციური დატვირთვა. მასთან, ნაცვალსახელი ზოგი თავისებურებით გამოირჩევა — არაიშვიათად სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელში გარჩენილია სუბსტანტივებისა და ადიექტივების გრამატიკული ნიშნები.

6.4.1. **პირის ნაცვალსახელები.** ბეჟიტური პირის ნაცვალსახელებისათვის, ბევრი სხვა დაღესტნური ენისაგან განსხვავებით, „ექსკლუზივ-ინკლუზივის“ (in/ex-ის) კატეგორია არარელევანტურია (შდრ. ხუნდ. **ნიჟ** „მე“ და „ის“ || „ისინი“, **ნილ'** „მე“ და „შენ“ || „თქვენ“). გარდა ამისა, ეს ნაცვალსახელები თავისებურებას სახელობითისა და ერგატივის ორივე რიცხვის ფორმათა მორფოლოგიური განურჩევლობითაც ამჟღავნებენ (შდრ. ქართ. სახ., ერგ. **მე, შენ, ჩვენ, თქვენ**), რაც არქაულ მოვლენად მიიჩნევა და პრედიკატის ძირითად აქტანტთა კოდირების კარდინალურ სტრატეგიას უკავშირდება [ლომთაძე 1956 : 408-409; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 210; დიქსონი 1994 : 104-120].

¹ კუთვნილებითი ნაცვალსახელის ცალკე ჯგუფად გამოყოფა პირობითია, ვინაიდან, როგორც ენათა ტიპოლოგია ცხადყოფს, ასეთი სახის ნაცვალსახელების ფუნქციით, როგორც წესი, პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები გამოიყენება. ამ გარემოებით ჩანს ნაკარნახევი ჰ. ვან დენ ბერგის თვალსაზრისი, რომელიც ჰუნზიბურ დიალექტში კუთვნილებითი ნაცვალსახელების არსებობას უგულვებელყოფს [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 60].

პირის ნაცვალსახელებად გამოიყოფა: საკ. ბეჟ. **ღო** „მე“, **მი** „შენ“, **ილე** „ჩვენ“, **მიჟე** „თქვენ“; ჰუნზ. **ღა** „მე“, **მან** „შენ“, **ილე** „ჩვენ“, **მიჟე** „თქვენ“.

რაც შეეხება III პირს, დამოუკიდებელი ნაცვალსახელები არ მოგვეპოვება და ნაკლული პარადიგმა, სხვა ახლომონათესავე ენათა მსგავსად, ჩვენებითი ნაცვალსახელებით არის შევსებული.¹

ყურადღებას იქცევს პირის ნაცვალსახელთა ფლექსია, რომლის დროსაც აბსოლუტივისა და ერგატივის ფორმები, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, „ირიბ“ ბრუნვათა ფორმები ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. სიმპტომატურია, ისიც რომ მხოლოდითი რიცხვის II პირის ფორმა „ირიბ“ ბრუნვებში სუბლექტივზმით ხასიათდება და მეორე ფუძე I პირის ნაცვალსახელთან პოულობს პარალელს. არც ის ჩანს შემთხვევითი, რომ ფუძეთა ვოკალიზმში ალტერნაციის ნიშნები შეიმჩნევა.²

პირის ნაცვალსახელებს ლოკალური ბრუნვებიც მოეპოვება და ისინი, ამ მხრივ, ძირითადად არსებით სახელთა ანალოგიურად არის ნაწარმოები. საილუსტრაციოდ მოგვყავს პირის ნაცვალსახელთა ბრუნვის პარადიგმები ორივე დიალექტის მიხედვით:

¹ თავად ის ფაქტი, რომ ე. წ. III პირის ნაცვალსახელები (**ეს**, **ეგ**, **ის**, **იგი**) თანამოსაუბრეთა (I და II პირი) ფარგლებს გარეთ დგას და სივრცობრივ ლოკალიზაციას გამოხატავს, აძნელებს ამ რიგის ნაცვალსახელთა პირის ნაცვალსახელებად მიჩნევას [შდრ. შანიძე 1980 : 42].

² ამ თვალსაზრისით, ეს საკითხები სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

ა) საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სქემა 13. პირის ნიშანთა ბრუნების პარადიგმა

ლექსიკური მნიშვნ. ბრუნვები	„მე“	„შენ“	„ჩვენ“	„თქვენ“
სახ.	დო	მი	ილე	მიჟე
ერგ.	დო	მი	ილე	მიჟე
მიც.	დი-ლ	დუ-ლ	ილო-ლ	მიზო-ლ
ნათ.	დი-ე ¹	დი-ბო	ილო-ს	მიზო-ს
ინსტრ.	დრ-დ ²	დჷ-დ	ილო-დ	მიზო-დ
ადგილ.	დრ-ტა	დჷ-ტა	ილო-ტა	მიზო-ტა
მიმართ.	დრ-ტა-ლ	დჷ-ტა-ლ	ილო-ტა-ლ	მიზო-ტა-ლ
დამორ.	დრ-ტა-ს	დჷ-ტა-ს	ილო-ტა-ს	მიზო-ტა-ს
შუალ.	დრ-ტა-ლ-ტა, დრ-ტა-ლა-ტა (ტლ.)	დჷ-ტა-ლ-ტა, დჷ-ტა-ლა-ტა (ტლ.)	ილო-ტა-ლ-ტა, ილო-ტა-ლა-ტა (ტლ.)	მიზო-ტა-ლ-ტა, მიჟო-ტა-ლა-ატა (ტლ.)

¹ გამოყოფენ II ნათესაობითის ფორმასაც (**დიე-ლა**), მაგრამ რამდენადაც **-ლა** ფორმანტით გაფორმებული „ნათესაობითი“ ოდენ „ირიბ“ ბრუნვათა მსაზღვრელად გამოიყენება, მას ადრექტივის ფუნქცია აქვს და ბრუნვის ფორმად ვერ მივიჩნევთ, მაგ.: **დიელა** მალოს ნისალლ'ირო ზედმიწე. „ჩემი ტანის სათქმელი (= ჩემი ავტობიოგრაფია)“.

² ინსტრუმენტალისის ფორმები პირობითად მოგვყავს, რადგანაც თანამოსაუბრე ადამიანია და გონიერ სულიერ არსებებს კი ეს ბრუნვა, როგორც წესი, არ მოეპოვება, თუმცა ჰუნზიბურში კუთვნილებითობის ფორმით (**ილ-დო-ს/ილ-დო-დ** „ჩვენნიანი“, „ჩვენგანი“) მაინც გამოიყენება [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 60].

ბ) ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 14. პირის ნიშანთა ბრუნების პარადიგმა

ლექსიკური მნიშვნ. / ბრუნვები	„მე“	„შენ“	„ჩვენ“	„თქვენ“
სახ.	დჷ	მჷ	ილე	მიჷე
ერგ.	დჷ	მჷ	ილე	მიჷე
მიც.	დი-ცნი/დი-ი/დნი	დგ-ბნი	ილჷ	მიჷჷ
ნათ.	დი-ჲ-ე	დგ-ბჷ	ილჷ-ს	მიჷჷ-ს
ინსტრ.	დი-დო ¹	დგ-ბჷ-დ/დჷ-დო	ილ-დო	მიჷ-დო
ადგილ.	დი-ტჷო	დჷ-ტჷო	ილჷ-ტჷო	მიჷჷ-ტჷო
მიმართ.	დი-ტჷო-დჷრ	დჷ-ტჷო-დჷრ	ილჷ-ტჷო-დჷრ	მიჷჷ-ტჷო-დჷრ
დაშორ.	დი-ტჷო-ს	დჷ-ტჷო-ს	ილჷ-ტჷო-ს	მიჷჷ-ტჷო-ს
შუალ.	დი-ტჷო-დჷრ-ტჷო	დჷ-ტჷო-დჷრ-ტჷო	ილჷ-ტჷო-დჷრ-ტჷო	მიჷჷ-ტჷო-დჷრ-ტჷო

6.4.2. **ჩვენებითი ნაცვალსახელები.** ამ რიგის ნაცვალსახელში მოსაუბრესთან მიმართებით სივრცობრივი ლოკალიზაცია არის ასახული: 1) პირველ პირთან ახლომყოფი; 2) მეორე პირთან ახლომყოფი; 3) პირველ-მეორე პირებისაგან დაშორებული. გარდა ამისა, ჩვენებითი ნაცვალსახელები თვით ჯგუფის შიგნითაც უჩვენებენ კლას-კატეგორიის მიხედვით განსხვავებას: საკ. ბეჟ.: 1) **ჟაჰ(ა)დი II ჰუდი²** (I, IV კლ.); **ჟაჰ(ა)დო II ჰოდო**

¹ ცნობილია, რომ ინსტრუმენტალისი ბეჟიტურში ნათესაობითი ბრუნვის (მსაზღვრელის) ფუნქციითაც დასტურდება და **-დო/-დ** ნიშანს ადიექტიური სუფიქსის ფუნქცია აქვს დაკისრებული [იხ. ლომთაძე 1996 : 183, 218]. ამით ჩანს გამოწვეული, რომ **დი-დო** ფორმა II ნათესაობითის კუთვნილებად ცხადდება [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 268].

² თავისი აგებულებით ეს ნაცვალსახელები რთული ჩანს: **ჟა-** ოდინდელი კლასიფიკატორი [ჯავახიშვილი 1937 : 279-280], **ჰა-** მითითების ფუნქციის მატარებელი ნაწილაკი [ლომთაძე 1956 : 277], ხოლო **დ, ლ, ნ**

(II, III კლ.) „ეს“ (I პირთან მყოფი); 2) **ჟაპლი** || **ჰული**, **ჟაპ(ა)ნი** || **ჰუნი** (ხაშ.) (I, IV კლ.); **ჟაპლო** || **ჰოლო**, **ჟაპ(ა)ნო** || **ჰონო** (ხაშ.) „ეგ“ (II პირთან მყოფი); 3) **ჟაპ(ა)გი** || **ჰუგი**¹ (I, IV კლ.), **ჟაპ(ა)გო** || **ჰოგო** (II, III კლ.) „ის“ (სხვაგან მყოფი).

ჰუნზ.: 1) **ბჷდ** (I, III, IV კლ.), **ბოდუ** (II კლ.) „ეს“; 2) **ბჷლ** (I, III, IV კლ.), **ბოლუ** (II კლ.) „ეგ“; 3) **ჷგ** (I, III, IV კლ.), **ოგუ** (II კლ.) „ის“.

მრავლობით რიცხვში რედუცირებული ხმოვანი მორფონოლოგიურ საფუძველზე კვლავ აღდგება: 1) **ჟა-ჰად-დრლ** || < **ჟა-ჰად-რლ**, **ჰოდ-დრლ** || < **ჰოდ-რლ** „ესენი“; 2) **ჟა-ჰალ-ლრლ** || < **ჟა-ჰაგ-რლ**, **ჰოლ-ლრლ** || < **ჰოგ-რლ**, **ჰოგ-რლ**, **ჰოლ-რლ** (კილოკ. ვარ.) „ეგენი“; 3) **ჟა-ჰაგ-გრლ** || < **ჟა-ჰაგ-რლ**, **ჟა-ჰაგ-რლ**, **ჰოგ-გრლ** || < **ჰოგ-რლ** „ისინი“.

ელემენტები III პირის ნაცვალსახელის რელიქტურად შემონახული ნაშთები [ჩიქობავა 1942 : 32]. გარდა ამისა, ჩვენებითი ნაცვალსახელები განიცდიან ნაირგვარ ფონეტიკურ გარდაქმნებს [დაწვრ. იხ. ლომთაძე 1956 : 269-305]. ა-ს(ა) შემცველი ფორმები ტლადალურია, ხოლო სხვა ფორმები — საკუთრივ ბეჟიტური.

¹ საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 60 წლის წინ ე. ლომთაძეს ჩაუწერია **ჟნგი** („ის“), **ჟნლი** („ეგ“) ფორმები, რომლებშიც ფონეტიკური პროცესი ამგვარად წარმართულა: **ჟაჰაგი** > **ჟააგი** > **ჟნგი**, **ჟაჰალი** > **ჟაალი** > **ჟნლი**. ამჟამად ჩვეულებრივია ჟაჰი, ჟაპლი ფორმები [იხ. ხალილოვი 1995 : 399-300].

ა) საკუთრივ ბეჭედიური დიალექტი
 სქემა 15. გასუსტანტივიზებული ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნვის პარადიგმა
 ა. მხოლოდობითი რიცხვი

ნაცვალ- სახელები ბრუნვები	-ეს ¹			-ემ ²			-ის ³
	I, IV კლ.	II, III კლ.	I, IV კლ.	II, III კლ.	I, IV კლ.	II, III კლ.	II, III კლ.
სახ.	ტაქი ჭედი ¹	ტაქი ჰიდი ²	ტაქი ჰედი	ტაქი ჰიდი	ტაქ(ა)ეი ჭედი	ტაქ(ა)ეი ჭედი	ტაქ(ა)ეი ჭედი
ერგ.	ტაქ-ეო ჰი-ეო	ტაქ-ალი ჰი-ლი	ტაქ-ეო ჰი-ეო	ტაქ-ალი ჰი-ლი	ტაქ-ეო ჰი-ეო	ტაქ-ეო ჰი-ეო	ტაქ-ეო ჰი-ეო
მიც.	ტაქ-ეო-ლ ჰი-ეო-ლ	ტაქ-ალი-ლ ჰი-ლი-ლ	ტაქ-ეო-ლ ჰი-ეო-ლ	ტაქ-ალი-ლ ჰი-ლი-ლ	ტაქ-ეო-ლ ჰი-ეო-ლ	ტაქ-ეო-ლ ჰი-ეო-ლ	ტაქ-ეო-ლ ჰი-ეო-ლ
ნათ.	ტაქ-ეო-ს ჰი-ეო-ს	ტაქ-ალი-ს ჰი-ლი-ს	ტაქ-ეო-ს ჰი-ეო-ს	ტაქ-ალი-ს ჰი-ლი-ს	ტაქ-ეო-ს ჰი-ეო-ს	ტაქ-ეო-ს ჰი-ეო-ს	ტაქ-ეო-ს ჰი-ეო-ს
ინსტრ.	ტაქ-ეო-დ ჰი-ეო-დ	ტაქ-ალი-დ ჰი-ლი-დ	ტაქ-ეო-დ ჰი-ეო-დ	ტაქ-ალი-დ ჰი-ლი-დ	ტაქ-ეო-დ ჰი-ეო-დ	ტაქ-ეო-დ ჰი-ეო-დ	ტაქ-ეო-დ ჰი-ეო-დ

¹ მოგვეყვას მართოდღე კაბუჭური თემის მონაცემები. სხვა თემათა ფორმების შესახებ იხ. [ლომთაძე 1956 : 296-297].

² ი ↔ ო ხმოვნათა ალტერნაციით კლასთა კორელაცია ახლომონათესავე ენათათვისაც არის ნიშანდობლივი, უფრ.
 საქ. დიდ. ა ↔ უ: დედა (I კლ.), დედუ (II კლ.) -ეს³.

³ საგულისხმობია, რომ ე. ლომთაძე ამ მაგალითს ერგატეში (ტაქაქცი) ფორმით იმორჩებს, რაც გაფიქრების საფუძველზე ასიმოლაციურად ჩანს მიღებული [ლომთაძე 1956 : 296].

ბ. მრავლობითი რიცხვი

ნაკვეთ- სახელები	„ესნი“	„მგნი“	„ისინი“
ბრუნვები	ტაჰად-დრულ ჰოდ-დრულ	ტაჰალ-ლრულ ჰოლ-ლრულ	ტაჰაგ-გრულ ჰოგ-გრულ
სახ.	ტაჰად-ლო ჰოდ-ლო	ტაჰალ-ლო ჰოლ-ლო	ტაჰაგ-ლო ჰოგ-ლო
ერგ.	ტაჰადლო-ლ ჰოდლო-ლ	ტაჰალოლო-ლ ჰოლოლო-ლ	ტაჰაგლო-ლ ჰოგლო-ლ
მიც.	ტაჰადლო-ს ჰოდლო-ს	ტაჰალოლო-ს ჰოლოლო-ს	ტაჰაგლო-ს ჰოგლო-ს
ნათ.	ტაჰადლო-დ ჰოდლო-დ	ტაჰალოლო-დ ჰოლოლო-დ	ტაჰაგლო-დ ჰოგლო-დ
ინსტრ.	ტაჰადლო-დ ჰოდლო-დ	ტაჰალოლო-დ ჰოლოლო-დ	ტაჰაგლო-დ ჰოგლო-დ

ბ) ჰუნზიბური დიალექტი
 სქემა 16. გასუბსტანტივები ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმა

ნაცვალ- სახელები	მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი		
	„ეჲ“	„ემ“	„ის“	„ესენი“	„ემენი“	„ისინი“
ბრუნვები						
სახ.	ბჲდ (I, III, IV კლ.), ბოდუ (II კლ.)	ბჲლ (I, III, IV კლ.), ბოდუ (II კლ.)	პგ (I, III, IV კლ.), ჲგუ (II კლ.)	ბჲდ-რა	ბჲლ-ლა	პგ-რა
ერგ.	ბოდლ'ჲ-ლ		ოდლ'ჲ-ლ	ბჲდრა-ლ	ბჲლლა-ლ	პგრა-ლ
მიც.	ბოდლ'	ბოდლ'	ოდლ'	ბჲდრჲ	ბჲლლჲ	პგრჲ
ნათ.	ბოდლ'ჲ-ს		ოდლ'ჲ-ს	ბჲდრა-ს	ბჲლლა-ს	პგრა-ს
ინსტრ.	ბოდლ'ჲ-დ		ოდლ'ჲ-დ	ბჲდრა-დ	ბჲლლა-დ	პგრა-დ

გარდა ზემოგანხილული ნაცვალსახელებისა, დასტურდება ნაწარმოები ჩვენებითი ნაცვალსახელები, მაგ. უაჰადდიო „ასეთი“, უაჰაგგიო „ისეთი“, უაჰალდიო „ეგეთი“, აგას (ჰუნზ.) „ამნაირი“ და მისთ.

6.4.3. **კითხვითი ნაცვალსახელები.** ბეჟიტურ ენაში „ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელები ფორმობრივად გარჩეულია¹ (მდრ. საკ. დიდ **შეჟ** „ვინ“, „რა“): **სუკო** > || **სუეო**² (საკ. ბეჟ.), **სუკუ** (ჰუნზ.) „ვინ?“, **სიჲო** (კაპ.), **შიჲო** (ხაშ.), **შიჟო** (ტლად.), **შიჲო** || **შიჟო** (ჰუნზ.) „რა?“

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ზემომოყვანილი ნაცვალსახელები სტრუქტურულად რთულია: **სი-**, **ში-** („რა?“), **სუ-** („ვინ?“) ძირეული მასალა ჩანს, ხოლო ინტერვოკალური **-ჲ-** შეიძლება ოდინდელ კლასიფიკატორად ჩაითვალოს [ლომთაძე 1956 : 390; იმნაიშვილი 1963 : 129]. რაც შეეხება ბოლოკიდურ ხმოვანს, იგი გვიან დართული ელემენტი ჩანს.³

¹ კითხვით ნაცვალსახელთა ამგვარი დიფერენციაცია მეორეული უნდა იყოს. კერძოდ, სახელობით ბრუნვაში **სუკუ** („ვინ?“) სემანტიკური გადააზრანებით („რა?“ → „ვინ?“) „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა გასარჩევად გვიანდელი მოვლენა ჩანს. თავდაპირველად ეს ნაცვალსახელები, როგორც ცნობილია, ფორმობრივად ერთნაირი უნდა ყოფილიყო [ჩიქობავა 1942 : 40-43; იმნაიშვილი 1963 : 129...].

აქედან გამომდინარე, **სუკუ** („კაცი“) და **სუკუ** („ვინ?“) ფორმათა ბრუნების განსხვავებულობის საკითხიც ავტომატურად მოიხსნება, ვინაიდან ერგატივსა და „ირიბ“ ბრუნვებში „ვინ?“ ნაცვალსახელი ნაცვალსახელური ფუძით (საკ. ბეჟ. **ლ'ო-**: ჰუნზ. **სა-** „ვინ“) განსხვავდება: ბეჟიტურში არქექტივი დაცულია, ხოლო ჰუნზიბურში **ს** (< **სა**, მდრ. ხუნდ. **საუნ** „რა“) სპირანტის შემცველი ფორმა უნიფიცირებულია და „ვინ“ ნაცვალსახელის მაგივრადაც გამოიყენება [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 211-213; ლომთაძე 1963 : 104; მდრ. ბოკარევი 1959 : 44, 25].

² **კ** > **ყ** პროცესი ინტერესს აღძრავს ხუნდ. ბუკუნა: დიდ. ზეჟუ („იყო“) ფორმათა ურთიერთმიმართების კუთხითაც.

³ შესაძლოა მას ნაცვალსახელში მეტი გარკვეულობა შეჰქონდა და მისი არსებობა მორფონოლოგიურად იყო შეპირობებული. იგი კითხვით ფორმებში შეიძლება გრძელი სახითაც შეგვხვდეს, მაგ.: იო ფეგან დულ? — სიჲო? „დღეა ნახე (შენ)? — რა?“

კითხვითი ნაცვალსახელები მრავლობითი რიცხვის ფორმებს მოკლებულნი არიან, მაგრამ მათ მოეპოვება ბრუნება, რომელიც ხასიათდება რიგი თავისებურებებით:

ა) საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ერგატივიდან მოყოლებული სუბლექტურ ფუძეს გამოავლენენ, რომელიც საერთოა ორივე ნაცვალსახელისათვის. ისინი განსხვავდებიან ხმოვნის ალტერნაციით: საკ. ბეჟ. **ლ** („ვინ“): **ი** („რა“). „რა“ ნაცვალსახელი დამატებით დაირთავს **-ნი** ელემენტს.

ბ) ჰუნზიბურ დიალექტში ფუძეთა სუბლექტივიზმი არ შეინიშნება — „რა“ ნაცვალსახელის სახელობითში **ჴ** მეორეული ჩანს: **ჴ < ს**. სხვა მხრივ, საკუთრივ ბეჟიტურისებური ვითარება გვაქვს.

სქემა 17. კითხვით ნაცვალსახელთა („ვინ?“ „რა?“) ბრუნების პარადიგმები

ნაცვალსახელები ბრუნვები	საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჴუნზიბური დიალექტი	
	„ვინ?“	„რა?“	„ვინ?“	„რა?“
სახ.	სუკო	სიჲო, შიჴო	სუკუ	შიჲო
ერგ.	ლ'რ	ლ'ინი	სრ-ლო	სინ-ლო
მიც.	ლ'რ-ლ	ლ'ინი-ლ	სრ-ჲ	სინრ
ნათ.	ლ'რ-ჲ(ს)	ლ'ინი-ს	სრ-ჲ-ს	სინი-ს
ინსტრ.	ლ'რ-დ	ლ'ინი-დ	სრ-დრ	სინ-დო / სინი-დ ¹
ადგ.	ლ'რ-ტჲა	ლ'ინი-ტჲა	სრ-ტჲო	სინ-ტჲო-ლ / სინი-ტჲ
მიმართ.	ლ'რ-ტჲა-ლ	ლ'ინი-ტჲა-ლ	სრ-ტჲო-ლ	სინ-ტჲო-ლ
დამორ.	ლ'რ-ტჲა-ს	ლ'ინი-ტჲა-ს	სრ-ტჲო-ს	სინ-ტჲო-ს
ტრანსლატ.	ლ'რ-ტჲა-ლ- ტჲა ²	ლ'ინი-ტჲა- ლ-ტჲა	სრ-ტჲო- ლ-ტჲა	სინ-ტჲო-ტჲ

¹ **სინიდ** („რით?“) ფორმა ე. ბოკარევის ნაშრომში დასტურდება [ბოკარევი 1959 : 44].

² ტლადალურ თქმაში ინფიქსი **-ლ-** სრულხმოვნობით გამოირჩევა: ლ'რტჲა-ლა-ტჲა "id".

გარდა ამისა, დასტურდება შემდეგი კითხვითი ნაცვალსახელები, რომელთაც არაიშვიათად მრავლობითი რიცხვიც ეწარმოებათ: საკ. ბეჟ. **ნინო** (მრ. რ. **ნინა**) „როგორი? **ნინოს** „რომელი?“ **ლა, ლად, ლასო** „რამდენი?“ **სუდ** „რატომ?“...; ჰუნზ. **ჰინან** / **ჰინან** „როგორი?“, **სესერუ, სესარ** „რომელი?“ **ჰინდილ** „როგორი?“ **ჰიდილ** „რამდენი?“ **სურა** / **სურა** „რატომ?“ **ნიო** „სად?“ **ჰედან** „როდის?“ და მისთ.

რამდენიმე საილუსტრაციო წინადადება: **სუდ** მი დნვა იყლაშაჟაშ? (კაბ.) „შენ მე („ჩემთან“) რატომ არ მელაპარაკები?“ **ლასსო** ისნ დუბო? (ტლად.) „რამდენი ძმა გყავს (შენ)?“ ჟედსა **ნინო** ჰაჟა-ბაყდი გეჟ? „დღეს როგორი ამინდია?“ **ჰიდილ** ლ'გლი დგბან? (ღარბ.) „რამდენი წლის ხარ (შენ)?“

6.4.4. **კუთვნილებითი ნაცვალსახელები.** კუთვნილებითი ნაცვალსახელი, როგორც ცნობილია, „...გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის“ [შანიძე 1980 : 43]. მის ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც მეტწილად მსაზღვრელის როლში გამოდის, მაგ.: საკ. ბეჟ. **დიდე** ბილ'ო „ჩემი სახლი“, **დიბო** ქიდ „შენი გოგონა“, **ილოს** პლ' „ჩვენი სოფელი“, **მიზოს**¹ (ტლ. მიჟომ) ბისა „თქვენი თევზი“...; ჰუნზ. **დიდე** „ჩემი“, **დგბან** „შენი“, **ილუს** „ჩვენი“, **მიჟუს** „თქვენი“.

6.4.5. **უკუქცევითი ნაცვალსახელი.** ბეჟიტურ ენაში უკუქცევით ნაცვალსახელს თავისი საკუთარი ფორმა აქვს: **ჟუ** (საკ. ბეჟ.), **ჟუ** (ჰუნზ.) „თვითონ“, მრ. რ.: **ჟუ-ჟილ** (საკ. ბეჟ.), **ჟურუჟ** || **ჟურ-რუ** (ჰუნზ.).

¹ ტლადალურ თქმაში ე. ლომთაძე **ჟ**-ს შემცველ ვარიანტსაც (მიჟომ < მიჟოს "id".) ადასტურებს [ლომთაძე 2003 : 167].

სქემა 18. უკუქცევითი ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა

ნაცვალსახელები ბრუნვები	საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი	
	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	ჟუ „თვითონ“	ჟუ-ჟოლ	ჟუ „თვითონ“	ჟუ-რუ
ერგ.	ჰინი	ჰიდე	ჟინ-ლო	ჟიდე-ლ
მიც.	ჰინი-ლ	ჰიდე-ლ	ჟინი	ჟიდე
ნათ.	ჰინი-ს	ჰიდე-ს	ჟინი-ს	ჟიდე-ს
ინსტრ.	ჰინი-დ	ჰიდე-დ	ჟინ-დო	ჟიდე-დ

უკუქცევითობა სხვაგვარადაც გამოიხატება: პირის ნაცვალსახელებს დაერთვის ტრანსფორმირებული უკუქცევითი ნაცვალსახელი, მაგ.: საკ. ბეჟ. დო-ზუ „მე თავად“, მი-ზუ „შენ თავად“, ილე-ზუ „ჩვენ თავად“, მიჟე-ზუ „თქვენ თავად“; ჰუნზ. და-ჟუ „მე თავად“, მა-ჟუ „შენ თავად“, აგ-ჟუ „ის თავად“...

საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში ჟუ უკუქცევით ნაცვალსახელს დაერთვის -ზუ [ხალილოვი 1995 : 401], რაც რედუბლიკაციის ტოლფასი ჩანს, მაგ.: ჟუ-ზუ „თავთავად“. ჰუნზიბურში უკუქცევითობის ინტენსივობას -ნ ნაწილაკი გამოხატავს [იხ. ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 268]. მასთან, შეიძლება უკუქცევითი ნაცვალსახელი რედუბლიცირებული სახითაც (ჟინ-შინ-) შეგვხვდეს [ვან დენ ბერგი 1995 : 64]

6.4.6. **განსაზღვრებითი ნაცვალსახელი.** საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში განსაზღვრებით ნაცვალსახელებად უნდა გამოიყოს: სი-სიდი „თითოეული“, გაპიო, (საკ. ბეჟ.), გალო (ტლ.) „ყველა ერთად“, ყაწო „ყველა“, სუკო-ნა-ზუ „ყოველგვარი“, „ყველა“. ჰუნზიბურ დიალექტში გვხვდება: სუკუ-ნო-ჟ (ჰუნზ.), შიო-ნო-ჟ¹ (ლარბ.) „ყველაფერი“, სეტ, ლიდერ „ყველა“. ორსავე დიალექტში იჩენს თავს ხუნძურისაგან შეთვისებული განსა-

¹ შიონოჟ („ყოველი“) განსაზღვრებითი ნაცვალსახელია, თუმცა განუსაზღვრელ ნაცვალსახელად არის დასახელებული [იხ. ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 267].

ზღვრებითი ნაცვალსახელები: **შიბაბ** (საკ. ბეჟ.), **შიბაბ**, **შინაბ** (ჰუნზ.) „ყოველი“, **ჰგას** „ასეთი“, **ჟიბ-ჟიბ** (კაპ.) „თითოეული“.

გასუბსტანტივებული განსაზღვრებითი ნაცვალსახელები ზედსართავი (**resp.** არსებითი) სახელის ანალოგიურად იბრუნვიან.

სქემა 19. განსაზღვრებითი ნაცვალსახელების (**სნ-სიდი** „თითოეული“, **გჰჰიჰო** „ყველა“, **ყაწწო** „ყველა“) ბრუნების პარადიგმები საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში

	„თითოეული“	„ყველა“	„ყველა“
სახ.	სნ-სიდი	გჰჰიჰო	ყაწწო
ერგ.	სნ-სიდი-ლა	გჰჰიჰა	ყაწწო-ლა
მიც.	სნ-სიდილა-ლ	გჰჰიჰა-ლ	ყაწწოლა-ლ
ნათ.	სნ-სიდილა-ს	გჰჰიჰა-ს	ყაწწოლა-ს
ინსტრ.	სნ-სიდილა-დ	გჰჰიჰა-დ	ყაწწოლა-დ

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჰუნზიბურ დიალექტში ხუნძური წარმომავლობის განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მოკლებულია ბრუნების პარადიგმას [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 268]. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ორსავე რიცხვში გვხვდება ამ ნაცვალსახელის ბრუნვის ფორმები:

	მხოლოდბითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
სახ.	შინაბ ¹ „ყოველი“	შინაბ-ლა
ერგ.	შინაბ-ლი-ლ	შინაბ-ლა-ლი
მიც.	შინაბ-ლწ	შინაბ-ლა-ლწ
ნათ.	შინაბ-ლი-ს	შინაბ-ლა-ლი-ს
ინსტრ.	შინაბ-ლი-დ	შინაბ-ლა-ლი-დ

¹ ხუნძურში ცალკე სეგმენტად გამოიყოფა **-აბ** კლასიფიკატორი, რომელიც **შინ-** კითხვითი ნაცვალსახელის ფუძეს დაერთვის. ჰუნზიბურში **-აბ** ელემენტი ფუძეს არის შეხორცებული და კლასიფიკატორულ გაგებას მოკლებულია.

6.4.7. **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები იწარმოება სათანადო კითხვითი ნაცვალსახელის ამა თუ იმ ფორმისაგან განუსაზღვრელობითი **-დი** ნაწილაკის დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. **სუკო-დი**¹ „ვიღაც“, **სიო-დი** (ტლ. შიჟოდი) „რაღაც“, **სუკოდი—სუ-დი** „ვინმე“, **სიოდი—სუ-დი** „რამე“, **ლ'ოფს-დი** „ვიღაცის“, **ლ'ინისდი—სუ-დი** „რაღაცისგან“, **ნიოდი—სუ-დი** „რომელიღაც“...; ჰუნზ. **სუკუ-დი** „ვიღაც“, **შიო-დი** „რაღაც“, **სუკუდი—სუ-დი** „ვინმე“, **შიოდი—სუ-დი** „რამე“, **ნიო^ნ-დი** „სადღაც“ და ა. შ.

ზემომოყვანილ ნაცვალსახელთაგან ზოგ მათგანს შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმაც ეწარმოოს და, როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, ამგვარი ნაცვალსახელები კითხვითი და უარყოფითი ზმნის ფორმებთან ჩვეულებრივ არ გამოიყენება [ვან დენ ბერგი 1995 : 63].

6.4.8. **ურთიერთობითი ნაცვალსახელი.** როგორც ენათა ტიპოლოგია ცხადყოფს, ამ რიგის ნაცვალსახელები ნაკლებად არის გავრცელებული და ბეჟიტური ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. გვხვდება მხოლოდ ერთი კომპოზიტური წარმოების ნაცვალსახელი, რომლის პირველი კომპონენტი ერგატივში დგას, ხოლო მეორე კომპონენტი კი — სახელობითში: **სიდი-ჰონ-სო** (ტლ. სიდი-ჰოს) (საკ. ბეჟ.) „ერთმანეთი“ (შდრ. ძვ. ქართ. „ერთმან-ერთი“).

ჰუნზიბურ დიალექტში „ერთმანეთის“ მნიშვნელობით დასტურდება **ჟიდენ-ს ჟიდენ**, რომელიც უკუქცევითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმის რედუქციაციით ჩანს მიღებული: ...ჟიდენს ჟიდენ ხაბარლიტხ ზუყუნ ლო აგრა [ვან 1995 : 154, 6] ზედმიწ. „...ერთმანეთის ამბავზე იყვნენ ისინი“.

¹ საინტერესოა, რომ გ. მაღიევა კაპუჭურ თქმაში ადასტურებს რთულ ფორმებს, რომელთაც **-დი**-ზე დამატებით დაერთვის უკუქცევითი ნაცვალსახელი **ზუ** „თავად“ [მაღიევა 1965 : 104], მაგ.: **სუკო-დი-ზუ** „ვიღაც“, **სიო-დი-ზუ** „რაღაც“.

6.4.9. **უარყოფითი ნაცვალსახელი.** ბეჭიტურ ენაში საკუთარი წარმოების უარყოფითი ნაცვალსახელები არ მოგვეპოვება. უარყოფითობა ნაცვალსახელური საშუალებებით გამოიხატება კითხვითი ნაცვალსახელებზე ბიფუნქციური {-ნა / -ნა} (საკ. ბეჟ.), {-ნ(ო)} (ჰუნზ.) სუფიქსის დართვით, მაგ.: **სუკო-ნა**, **ჰო-სუყო-ნა** (საკ. ბეჟ.), **სუკუ-ნ** (ჰუნზ.) „არავინ“, **სიძო-ნა** (საკ. ბეჟ.), **შიძო-ნ** (ჰუნზ.) „არაფერი“, „არარა“.

როგორც აღნიშნულია, **ჰოსუყონა** „არავინ“, **ჰოშოზნ** „არაფერი“ საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში კლასისა და ბრუნვის მიხედვით უცვლელია [ხალილოვი 1995 : 401]. ჰუნზიბურ დიალექტში ბრუნვის კატეგორია მოეპოვება **შიძონ** („არარა“), **სუკუნ** „არავის“ ნაცვალსახელებს, რომლებსაც ერგატივსა და „ირიბ“ ბრუნვებში ამოსავალი ფუძისეული თანხმოვანი აღუდგება:

სახ.	შიძო-ნ	„არარა“	სუკუნ	„არავის“
ერგ.	სინ-ლო-ნ		სუკუ-ლო-ნ	
მიც.	სინი-ნ		სოგო-ნ	
ნათ.	სინი-ს-ნო		სოგ-ს-ნო	
ინსტრ.	სინი-დ-ნო		სოგო-დ-ნო	

ჰუნზიბურ დიალექტში გვხვდება ხუნძურისაგან შეთვისებული უარყოფითი ნაცვალსახელი **შიბნიგი** „არაფერი“ (მდრ. ხუნძ. **შიბ-ნიგი** „რაც არ უნდა იყოს“), რომელიც არ იცვლება რიცხვის მიხედვით და ბრუნების პარადიგმასაც მოკლებულია. ანალოგიური სემანტიკით გამოიყენება **შიყო-ნა** („არაფერი“), რომელიც იბრუნვის:

სახ.	შიყო-ნა	„არაფერი“
ერგ.	ლ'ინი-ნა	
მიც.	ლ'ინი-ლ-ნა	
ნათ.	ლ'ინი-ს-ნა	
ინსტრ.	ლ'ინი-დ-ნა	

თავი VII

ზმნა

7.1. **ზოგადი.** ზმნა, როგორც წინადადების ხერხემალი, არის მეტად რთული შინაასის შემცველი მორფოლოგიური მონაცემი. ბეჟიტურ ენაში ზმნას მოეპოვება როგორც უღლების (გრამატიკული კლასის, რიცხვის, დროის, კილოს, აქტის), ისე წარმოქმნის (კაუზატივის, ასპექტის, პოტენციალისის) კატეგორიები. გრამატიკული კლასის გარდა, რომელიც გამსჭვალავს ზმნის მთელ სისტემას და წარმოადგენს მის მეტად სპეციფიკურ ნიშანს, შეინიშნება პირისა და გვარის ჩანასახი.

ზმნა იცვლება დრო-კილოთა მიხედვით, რომლებითაც ბეჟიტური ენა საკმაოდ მდიდარია. მრავლობითობა აღინიშნება კლასიფიკატორების საშუალებით, რომლებიც დაერთვიან პრეფიქსებად, ინფიქსებად და სუფიქსებად. კლასის ექსპონენტების გარდა, ყველა სხვა ფლექსიური და დერივაციული ნიშანი ზმნას სუფიქსად მოუღდის.

უღვლილების სისტემაში არცთუ მცირე როლი აკისრია ინფინიტიურ, მასდარულ, აბსოლუტიურ და მიმღეობურ ფორმებს, რომლებიც აღწერიტად (ანალიზურად) ნაწარმოებ ფორმათა ორგანულ კომპონენტებს წარმოადგენენ.

საგულისხმოა, რომ საკუთრივ ბეჟიტური და ჰუნზიბური დიალექტების ძირითადი თავისებურებანი მეტწილად ზმნის სისტემაში იჩენს თავს.

7.2. **გრამატიკული კლასისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში.** ნებისმიერი ზმნა, თუ ის კლასის კატეგორიას მოკლებული არ არის, ორსავე რიცხვში კლასთა მიხედვით სათანადოდ იცვლება. ზმნაში რიცხვის აღნიშვნის პრინციპი კლასის გამოხატვის ანალოგიურია — მასში აირეკლება შესაბამისი კლასის სუბიექტის ან ობიექტის (resp. ობიექტების) სიმრავლე: გარდაუვალ ზმნაში — რეალური სუბიექტისა (RS), გარდამავალში კი — რეალური ობიექტისა (RO), მაგ.: ჰონლ'ო (RS — ერგ.) მაჩე (RO^d —

სახ.) ბ-ოლოც (ტლად.) „ის მიწას ხნავს“, მრ. რ. ჰონლო (RS — ერგ.) მაჩეა (RO^d — სახ.) რ-ოლოც „ის მიწებს (ყანებს) ხნავს“; აგ (RS — სახ.) Ø-ენⁿტენ ლო მარატა (ვან 1995: 162, 4) „ის ავიდა მთაზე“.

საგულისხმოა, რომ ბეჟიტური ზმნა კლასის ექსპონენტებს ინფიქსადაც გვიჩვენებს, რაც ამ ენის თავისებურებას წარმოადგენს [იხ. 4.2.5]. უკლასნიშნო ზმნათათვის ინფიქსური კლასიფიკატორის დართვა (ყორა კიშა-ბა-ჩ „ბავშვები თამაშობენ...“) ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა, თუმცა კლასნიშნიანი ზმნების დამატებითი მარკირება უცნაურობად მიიჩნევა. უკანასკნელ შემთხვევაში მრავლობითობის ორმაგად აღნიშვნა გვიანდელი პროცესი ჩანს და, როგორც ვარაუდობენ, უკლასნიშნო ზმნათა მრავლობითობის სპეციალური აფიქსებით გამოხატვის ანალოგიით განვითარებული [ბურჭულაძე 1989 : 197]. რაც შეეხება ზმნის მრავლობითობის ინფიქსურ ნიშნებს, ისინი გენეზისურად სუბსტანტივთა მრავლობითობის ნიშნებთან პოულობენ პარალელს [ლომთაძე 2000 : 82].

ამრიგად, ბეჟიტური ზმნა შეიძლება იყოს კლასნიშნიანი ან უკლასნიშნო. კლასნიშნიან ზმნებს კლასიფიკატორი ყველა დროისა და კილოს ფორმაში გასდევს. კლასნიშნიანი ზმნებია: საკ. ბეჟ. დ-ოტალ „კეთება“, „ქმნა“, დ-ავალ „გახდომა“, „ყოფნა“, დ-ალალ „წართმევა“, დ-ატალ „სიყვარული“, დ-ოⁿყალ „მოყვანა“, დ-ეზალ „წაღება“, „წაყვანა“, დ-ედლალ „ჩაქრობა“, დ-უჭჭალ „ჭრა“ (კაბ.), რ-ეჩალ „გაჩერება“, „დგომა“, რ-ალალ „ამოღება“, „მოძრობა“, რ-ესალ „ჭამა“ (ხაშ.)...; ჰუნზ. რ-ექა „ჩამოვარდნა“, რ-ოხა „აღება“, „ყიდვა“, რ-უტა II რ-უა „კეთება“, რ-უჭჭა „ჭრა“, ნ-ეხა „შეხება“, ნ-ეტა „წასვლა“ და მრ. სხვ.

შედარებით მეტი უკლასნიშნო ზმნათა რიცხვი: საკ. ბეჟ. გულალ „დადება“, „დადგმა“, ჩახალ „წერა“, ნილ'ალ „მიცემა“, გიძალ „სვლა“, „სიარული“, გელი (ტლ.), გეე (კ.), გვლ'ი (ხაშ.) „არის“, კიშალ „თამაში“, ხულ'ალ „სმა“...; ჰუნზ. ჩაⁿხა „წერა“, ლ'იშა „დაწებება“, ფულ'ა „ბერვა“, კარდჷ „ტრიალი“, ლ'იჭა „ჩაცმა“ და ა. შ.

უკლასნიშნო ზმნები თავისებურებას გვიჩვენებენ იმ მხრივ, რომ სათანადო პრედიკატულ სინტაგმაში სახელის კლასსა და რიცხვზე მითითება ხდება ატრიბუტული სახელის ან ლექსიკური მნიშვნელობის საშუალებით. იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით (შინაგანი ფლექსიით) ახდენენ კლასთა დიფერენციაციას, კერძოდ, მეშველი ზმნა („არის“) **ლო** გამოიყენება I, II, III კლასებისათვის, ხოლო **ლი** — II (ნივთები), IV კლასებისათვის: **ტოტ-ალ** (I კლ.), **ტიტ-ალ** (II კლ.), **ტუტ-ალ** (III კლ.) „სროლა“, **თოგ-ალ** (I კლ.), **თიგ-ალ** (II კლ.), **თუგ-ალ** (III კლ.) „ფუსფუსი“... [ბოკარევი 1959 : 98; ვან დენ ბერგი 1995 : 99-100; ხალილოვი 1995 : 404; ლომთაძე 2000 : 50].

7.3. უღვლილების ტიპები: კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი. ბეჟიტური ზმნა ჩვეულებრივი გაგებით მონოპერსონალურია და კლასოვანი უღვლილების მქონე, რადგან მასში გრამატიკულად აღინიშნება ოდენ ერთი სახელის (სუბიექტის ან ობიექტის) კლასი, ე. ი. სახელი ზმნაში სათანადო კლასიფიკატორს აჩენს. მასთან, როგორც ცნობილია, გარდაუვალ ზმნაში რეალური სუბიექტის კლასი აისახება, მაგ.:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი
მხოლოდობითი რიცხვი	
I კლ. აბო (RS — სახ.) Ø-ოჰდას	ობუ (RS — სახ.) Ø-ჰჰდᵛ
II კლ. იბო (RS — სახ.) ი-ოჰდას	იბუ (RS — სახ.) ი-ჰჰდᵛ
III კლ. ონს (RS — სახ.) ბ-ოჰდას	ონს (RS — სახ.) ბ-ჰჰდᵛ
IV კლ. ეოჟა (RS — სახ.) ი-ოჰდას	ენრა (RS — სახ.) რ-ჰჰდᵛ
	„მამა მუშაობს“
	„დედა მუშაობს“
	„ხარი მუშაობს“
	„ბავშვი მუშაობს“

მრავლობითი რიცხვი

I კლ.	აბოლ, იფოლ (RS — სახ.) ბ-ოჰდას	ობუჟა, იფუჟა (RS — სახ.) ბ-ჰჰდჸ	„მამები, დედები მუშაობენ“
II კლ.	ონსო, ყოჟა (RS — სახ.) ფ-ოჰდას	ონსუ, ყჰრა (RS — სახ.) რ-ჰჰდჸ	„ხარები, ბავშვები მუშაობენ“

ობიექტური უღვლილებისას კლასნიშნიან გარდამავალ ზმნაში რეალური (უახლოესი) ობიექტის კლასი და რიცხვი აღინიშნება. სქემატურად:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

I კლ. ისტი (RS — ერგ.) მჰჩე (RO^d — სახ.) ბ-ოლ'ოს „ძმა ყანას ხნავს“

II კლ. აჰჰა (RS — ერგ.) მჰჩე (RO^d — სახ.) ბ-ოლ'ოს „ქალი ყანას ხნავს“

III კლ. ო^ნსი (RS — ერგ.) მჰჩე (RO^d — სახ.) ბ-ოლ'ოს „ხარი ყანას ხნავს“

IV კლ. ლ^ნ (RS — ერგ.) მჰჩე (RO^d — სახ.) ბ-ეზემ „წყალს ყანა მიაქვს“.

რეალური სუბიექტი შეიძლება იდგეს მიცემით ბრუნვაში, ხოლო უახლოესი ობიექტი — სახელობითში. გარდამავალ ზმნაში ამჯერადაც რეალური ობიექტის კლასი აისახება:

მხოლოდობითი რიცხვი

I კლ. დილ (RS — მიც.) Ø-აცვა **აბო** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს მამა“

II კლ. დილ (RS — მიც.) ფ-აცვა **იფო** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს დედა“

III კლ. დილ (RS — მიც.) ბ-აცვა **გეგ** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს ჭიდაობა“

IV კლ. დილ (RS — მიც.) ფ-აცვა **კიმა** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს ყველი“

მრავლობითი რიცხვი

- I კლ. დილ (RS — მიც.) ბ-ნცცა **ოჟო-და, კიბ-ბა** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს ბიჭები, გოგოები“
- II კლ. დილ (RS — მიც.) მ-ნცცა **ლანდ-ბო, წიტ-ა** (RO^d — სახ.)
„მე მიყვარს ყვავები, დანები“.

გარდა ამისა, ბეჟიტურ ენას მოეპოვება წინადადების პოსესიური კონსტრუქცია, რომელშიც რეალური სუბიექტი ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო რეალური ობიექტი—სახელობითში. იმის გამო, რომ მეშველი ზმნა უკლასნიშნოა, კლასიფიკატორი გრამატიკულად არ არის რეალიზებული, მაგ.: ჰყდჰჰლჰჰ (RS — ნათ.) ჰაბოჰ (RO^d — სახ.) გეჰ (ხაშ.) „დევებს („დევების“) აქვთ („არის“) წისქვილი“, ოლჰუს (RS — ნათ.) სწრჰო (RO^d — სახ.) ლო (ჰუნზ.) „მას („მისი“) ცხენი ჰყავს („არის“)“.

ზემომოყვანილ წინადადებებში ფორმობრივად არ ჩანს, თუ **ჰაბო** („წისქვილი“) და **სწრჰო** („ცხენი“) რომელ გრამატიკულ კლასს განეკუთვნებიან. კლასისადმი კუთვნილების გამოცნობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მათ დაუკავშირდება რომელიმე ადიექტივი. თავად ამ ენაზე მეტყველისათვის სემანტიკური წარმოდგენა-გააზრებაც საკმარისია გრამატიკულ კლასთა გასარჩევად.

გარდა კლასოვანი უღვლილებისა, რომელიც ბეჟიტური ენის ორივე დიალექტისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ჰუნზიბურ დიალექტში აწმყოს წრის ნაკვთთან შემჩნეულია კლასოვან-პიროვანი უღვლილება [ბოკარევი 1959 : 49; ვან დენ ბერგი 1995 : 83].

ზმნის უღვლილებაში პირის კატეგორიის ჩამოყალიბება იწყება მესამე პირიდან, როგორც უფრო განყენებული ერთეულიდან. ჰუნზიბური ზმნის აწმყო კონკრეტულის I და II პირებში დასტურდება **-ჰო** / **-ჰ** ფორმანტიანი აწმყოს სრული ფორმა, ხოლო III პირი ფუძის სახით (ნულოვანი მორფემით) არის წარმოდგენილი. ტერნარულ ოპოზიციაში III პირი I-II პირებს უნიშნობით უპირისპირდება, როგორც კომუნიკაციის აქტში ჩაუთველი

პირი კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირებს.¹ ამასთანავე, ზმნა კლასების მიხედვითაც სათანადოდ იცვლება:

- I დნ ა-ე^ნტყე-ჩ „მე მივდივარ“
 II მნ ა-ე^ნტყე-ჩ „შენ მიდიხარ“
 III ოგუ ა-ე^ნტყე-Ø² „ის მიდის“

უკლასნიშნო ზმნებში გრამატიკულად ოდენ პირთა დაპირისპირება იქნება გამოხატული:

- I დნ ხულ'-ჩო „მე ვსვამ“
 II მნ ხულ'-ჩო „შენ სვამ“
 III აგ ხულ'-Ø „ის სვამს“

7.4. **გარდამავლობის საკითხისათვის.** ბეჟიტურ ენაში, ახლომონათესავე ენათა ანალოგიურად, ზმნა მეტწილად სტაბილურია. იგი სტაბილურია ხუნძურ ზმნასთან შედარებით, რომელშიც გარდამავალი ზმნა ლაბილურ ერგატიულ კონსტრუქციას ქმნის [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 244]. ზმნის მეტ-ნაკლები სტაბილურობა და გვართა გარჩევის შესაძლებლობა თავისთავად სვამს გარდამავლობის საკითხს.

ბეჟიტურ ენაში, მრავალი ენის ანალოგიურად, გვხვდება პირველადი გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები. ზმნის ძირის სემანტიკიდან გამომდინარე, გარდამავალი ზმნები შეიძლება წარმოქმნილ იყვნენ პასივებისაგან. პირველად აქტივთა სტრუქტურა ხანდახან ამგვარი მოსაზრების საფუძვლიანობას ცხადყოფს [არლოტელი 2008 : 75].

ცნობილია, რომ ზმნური ფუძის გააქტიურება იბერიულ-კავკასიურ ენებში კაუზაციის გზით ხდება [ჩიქობავა 1950 : 061]. ბეჟიტურ ენაშიც აბსოლუტური ზმნებისაგან რელატიური ზმნები კაუზატივის **-ლ / > -ნ** (ბეჟ.), **-ლ / -ლე** (ჰუნზ.) ფორმანტთა დაერთვით იწარმოება, მაგ.: საკ. ბეჟ. ა-უტ-ალ „დაწოლა“ — ა-უტა-

¹ ანალოგიური ვითარება გვაქვს ხუნძური ენის ჭარულ დიალექტში იმ განსხვავებით, რომ პროცესი უფრო შორს არის წასული და II-III პირები I პირს უპირისპირდებიან [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 233].

² Ø აღნიშნავს პირის ნულოვან მორფემას.

ლ-ალ „დაწვევა“, ნის-ალ „თქმა“ — ნისო-**ლ**-ალ „თქმევენება“, ხულ'-ალ „დაღევა“ — ხულ'ო-**ლლ**-ალ „შესმევა“, დ-ულო-ს „კვდება“ — დ-ულო-**ლ**-ცა „კლავს“, ბ-ეკე-რო „დაიწვა“ — ბ-ეკე-**ლ**-ლო (< *ბ-ეკე-ლ-რო) „დაწვა“...; ჰუნზ. ნუყ-ა „მოღუნვა (იღუნება)“ — ნუყე-**ლ**-ა „მოღუნვა (ღუნავს)“, ბექ-ა „ჩამოვარდნა“ — ბექე-**ლ**-ა „ჩამოგდება“, ნოს-ა „ბნევა“ — ნოსო-**ლ**-ა „ყრა“, Ø-უჰჰ-რ „მოკვდა“ — Ø-უჰჰ-**ლე**-რ „მოკლა“ და მრ. სხვ.

გარდამავალ ზმნათა საწარმოებლად კაუზატივის ფორმანტის ფუნქციით გამოიყენება აგრეთვე **-კი / -კ** (საკ. ბეჟ.), **-(ე)კ / -კჷ / -კ** (ჰუნზ.) მაზმნავებელი (resp. ფუძის მაზმნავებელ-მააქტივებელი) სუფიქსი, რომელიც ჰუნზიბურში ფუნქციურად რეინტერპრეტირებულია და უფრო კაუზაციის როლი აკისრია, მაგ.: საკ. ბეჟ. ჯღღ „წინ“ — ჯღღ-**კ**-ალ „გადაადგილება“, დაჰჰო „ცივი“ — დაჰჰ-**კ**-ალ „გაცივება“, ლაფო „დამპალი“ — ლაფ-**კ**-ალ „დაღობა“...; ჰუნზ. დ-არჩე „დგება“, „იღვიძებს“ — დ-არჩე-**კ** „აღვიძებს“, ბ-უტ-ა „დაძინება (იძინებს)“ — ბ-უტ-**კ**-ა „დაძინება (აძინებს)“, მ-უჩე-რ „გაიქცა“ — მ-უჩე-**კ**-ერ „გააქცია“, Ø-ჰჰდ-რ „იმუშავა“ — Ø-ჰჰდ-**კ**-ერ „ამუშავა“, ბ-გყყუ „დიდი“ — ბ-გყ-**კ**-რ „გაადიდა“, კიშა-ბჰრ „ითამაშეს“ — კიშა-ბჰ-**კ**-ერ „ათამაშეს“, ჰელჰ „იხარშება“ — ჰელჰ-**კ** „ხარშავს“ და მისთ.

7.5. გარდამავლობისა და გვარის ურთიერთობისათვის.

მართალია, ბეჟიტური ზმნა გარკვეულწილად სტაბილურია, მაგრამ გრამატიკული გვარი ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. ცნობილია, რომ გვარსა და გარდამავლობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, ვინაიდან გრამატიკული გვარის მქონე ენათა ზმნაში მოქმედებითი გვარის ზმნები გარდამავალია.

ბეჟიტური ენის ერთი რიგის ძირეულ და ყველა ნასახელარ ზმნაში გარდამავლობა, როგორც ზემოთ ვნახეთ, **-კი / -კ** (ბეჟ.), **-კ, -კჷ** (ჰუნზ.) ფორმანტებით იწარმოება. სწორედ ამგვარად ნაწარმოები ფორმები ბინარულ ოპოზიციას ქმნიან **-ლ' / -ლი** (ბეჟ.), **-ლ / -ლა / -ლი** (ჰუნზ.) სუფიქსებით ნაწარმოებ საპირისპირო სემანტიკის ფორმებთან. ასეთი ფორმების კორელაცია ყველაზე მკაფიოდ ნასახელარ ზმნათა წარმოებაში დაჩნდება. საილუსტრაციო მაგალითები:

სახელი		ზმნა	
დიხალო	„გრძელი“	დიხალო-კ-ცა (მოქ.)	„აგრძელებს“
		დიხალო-ლ'-ცა (ვნ.)	„აგრძელდება“
ძანუფო	„მოკლე“	ძანუფე-კ-ცა (მოქ.)	„ამოკლებს“
		ძანუფე-ლ'-ცა (ვნ.)	„ამოკლდება“
ინზო	„გროვა“	ინზო-კ-ცა (მოქ.)	„აგროვებს“, „აბევრებს“
		ინზო-ლ'-ცა (ვნ.)	„აგროვდება“, „ბევრდება“
ფუყო	„დიდი“	ფუყი-კ-ცა (მოქ.)	„ადიდებს“
		ფუყი-ლ'-ცა (ვნ.)	„ადიდდება“
ჰინხ	„დიდხანს“	ჰინხ-კ-ო-ც (მოქ.)	„არჩენს“
		ჰინხ-ლ'-ო-ც (ვნ.)	„არჩება“
ლ'იშე	„წებდება“	ლ'იშე-კ-ე (მოქ.)	„აწებებს“
		ლ'იშე-ლ-ე (ვნ.)	„ეწებება“
ქოშე	„თიბავს“	ქოშე-კ (მოქ.)	„ათიბვინებს“
		ქოშე-ლ (ვნ.)	„ითიბება“

შესაძლებელია, ჰუნზიბურ დიალექტში ვნებიტად მიჩნეულ **ქოშელა** („მთიბაობა“) ტიპის ფორმებს პოტენციალისის სემანტიკაც ჰქონდეს. გარდა ამისა, ჰუნზიბურში ხდება კაუზატივისა და პასიურობის (პოტენციალისის) სუფიქსების დამთხვევა, რაც ფონეტიკური ტრანსფორმაციის (**ლ' > ლ**) საფუძველზე ხდება [ლომთაძე 2000 : 218]. თავის მხრივ, **-ლ'**, რომელიც საკ. ბეჟ. დიალექტში უცვლელად არის დაცული, გენეზისურად „გახდომა“, „გარდაქცევა“ სემანტიკის ზმნური ძირისაგან უნდა იყოს წარმოქმნილი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 341-342].

7.6. **ასპექტის კატეგორია.** ასპექტი ზმნის ერთ-ერთი უძველესი კატეგორიათაგანია, რადგანაც იგი დროის კატეგორიის წინმსწრებია [ჩიქობავა 1948 : 76-80]. ასპექტი განიმარტება, როგორც ზმნის თვისება — განსხვავებულად წარმოგვიდგინოს მოქმედების მიმდინარეობა [იხ. ჰუმბურტი 1986 : 8-9; ქომრი 1976].

ცნობილია, რომ დაღესტნოლოგიაში ასპექტის კატეგორიის მიმართ არის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება [ბურჭულაძე 1993 : 60-66]. კონკრეტულად დიდოურ ენებში საკითხი ასპექტის ცალკე გრამატიკულ კატეგორიად გამოყოფის თაობაზე საგანგებოდ არ დასმულა, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ჰ. იბრაჰიმოვის წერილს, რომელშიც ამ თვალსაზრისით ზოგადად არის მიმოხილული დაღესტნურ ენათა ვითარება [იბრაჰიმოვი 1999 : 82-90].

ენათმეცნიერებაში საზოგადოდ გარკვეულია, რომ გრამატიკული კატეგორიის გამოსაყოფად აუცილებელია გარკვეული შინაარსი შესაბამისი გრამატიკული ფორმით იყოს გადმოცემული. ასპექტის კატეგორია მოქმედების მიმდინარეობის პროცესის რამდენიმე ქვესახეობას იცნობს, რომლებშიც ფუნქციურ-სემანტიკუ-

რი კორელაცია (მომენტობრივი — დიურატიული, უსრული — სრული, ერთგზისი — მრავალგზისი...) სხვადასხვაგვარია [ჯორბენაძე 1993 : 74]. ამ ქვესისტემებიდან ბეჭიტური ენსთვის ნიშანდობლივია ორი ქვესისტემა: **უსრული — სრული, ერთგზისი — მრავალგზისი.**

ე. ბოკარევი ბეჭიტურ ენის საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტზე დაკვირვებისას წერს: „ბეჭიტურ ენაში საკმაოდ დიდია იმ ზმნათარიცხვი, რომელთაც შეუძლიათ „გახშირებული ფორმის“ ზმნათა ცალკე სახე აწარმოონ განგრძობითობის, მუდმივობის, მოქმედების ჩვეულებრიობის მნიშვნელობით“ [ბოკარევი 1959 : 101]. ავტორი ორსავე საკვლევ დიალექტში ასახელებს **ჩახ-დ-ალ** („წერა ხოლმე“) ტიპის საილუსტრაციო მაგალითებს, მაგრამ მათ ასპექტის სტატუსს არ ანიჭებს. ფაქტობრივ ანალოგიურად იქცევიან მისი თანამედროვე თუ მოგვიანო ხანის სპეციალისტებიც, რომლებიც გამოყოფენ მრავალგზისობის (*resp.* უნახაობის, თურმეობითობის) კატეგორიას ან ანტიპასივს [იმნაიშვილი 1963 : 171-172; ვან დენ ბერგი 1995 : 111; ლომთაძე 2000 : 161-171; შდრ. იბრაჰიმოვი 1999 : 82].

სწორედ **ჩახ-და-ს** („წერს საერთოდ, მწერალია“) ტიპის ორგანულად ნაწარმოებ ფორმებზე დაყრდნობით შეიძლება ბეჭიტურ ენაში გამოიყოს ასპექტის კატეგორია. ასპექტის (მრავალგზისობის) კატეგორია, როგორც ამას სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ე. ლომთაძე: „...დამახასიათებელია როგორც ორგანულად ნაწარმოები, ისე ყველა აღწერითი ზმნური ფორმისათვის. მისი აღმნიშვნელია სპეციალური სუფიქსი (-**დV** — ნ. ა.), რომელიც უშუალოდ დაერთვის ზმნის მარტივ ფუძეს დრო-კილოთა ყოველგვარი სუფიქსის წინ და, რაც საყურადღებოა, მრავლობითობისა და კაუზატივის სუფიქსების წინაც კი“ [ლომთაძე 2000 : 164]. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

ერთგზისი (მომენტობრივი) მრავალგზისი (დიურატიული)

ინფინიტივი

მ-ჰტ-ვლ	„ჭრა“, „ჩეხვა“	მ-ჰტ-დ-ვლ	„ჭრა, ჩეხვა ხოლმე“
მ-უტ-ალ	„წოლა“	მ-უტ-დ-ვლ	„წოლა ხშირად“
მ-ალოჰ-ალ	„თიბვა“	მ-ალოჰ-დ-ვლ	„თიბვა ხოლმე“
რ-ოჟ-ალ	„კეთება“, „ქმნა“	რ-ოჰ-დ-ვლ	„მუშაობა, კეთება ხოლმე“
მ-ოკ-ალ	„აღება“, „მათხოვრობა“	მ-ოკ-დ-ვლ	„აღება ხოლმე“
ჩახ-ალ	„წერა“	ჩახ-დ-ვლ	„წერა ხშირად“ ¹
ვოჟ-ალ	„კითხვა“, „რქმევა“	ვოჰ-დ-ვლ	„სწავლა, კითხვა ხშირად“

აწმყო

მ-ჰტ-ჩა	„ჭრის“	მ-ჰტ-და-მ	„ჭრის ხოლმე“
მ-ალოჰ-ცა	„თიბავს“	მ-ალოჰ-და-ს	„თიბავს ხოლმე“
მ-ოჟ-ო-ს	„აკეთებს“	მ-ოჰ-და-ს	„მუშაობს“
მ-ოკ-ცა	„აღებს“	მ-ოკ-და-ს	„აღებს ხოლმე, მათხოვრობს“
ჩახ-ჩა	„წერს“	ჩახ-და-ს/-ჩ	„წერს ხოლმე“
ვო-ც	„კითხულობს“	ვო-და-ც/ვოჰ-და-ც/-ს	„სწავლობს, კითხულობს ხოლმე“

¹ ამ ფორმებიდან ჩანს ნაწარმოები **ჩახ-და-გი** („მწერალი“, „გადამწერელი“), **მოკ-და-გი** („მათხოვარი“) ფორმები, რისთვისაც ფუძის სემანტიკას უნდა შეეწყოს ხელი.

ნამყო ძირითადი

მ-ალოპი-მო / -რო	„მოთიბა“	მ-ალოპ-დმ-მო / -რო	„მოთიბის“
მ-ოკი-მო / -რო	„აილო“	მ-ოკ-დმ-მო / -რო	„აილის“
ტპლ'რ-მრ / -რო	„დაახველა“	ტპ-დმ-მო / -რო	„ახველებდის“
ჩახი-მო / -რო	„დაწერა“	ჩახი-დმ-მო / -რო	„წერდის“

ჰუნზიბური დიალექტი

ლ'ახ-ა	„ვარცხნა“	ლ'ახ-დ-მ	„ხშირად ვარცხნა“
ქან-ა	„ფხანა“	ქან-დ-მ	„ხშირად ფხანა“
ჰეც-ლ'-ა	„ცხვირის ცემინება“	ჰეც-დ-მ	„ცხვირის ხშირად ცემინება“
ჯოჟ-ა	„სწავლა“	ჯო-დ-მ (ლარბ. ჯრ-დ-მ)	„სწავლა ხოლმე“
ჩახ-ა	„წერა“	ჩახ-დ-მ	„ხშირად წერა“
ან ^ლ -ა	„გახვრეტა“	ან ^ლ -დ-მ	„ხშირად გახვრეტა“

აწყო

ლ'ახ	„ივარცხნის“	ლ'ახ-დმ	„ივარცხნის ხოლმე“
ჩახ-ჩო	„წერს“	ჩახ-დმ-ჩ, ჩახ-დმ	„ვწერ, წერ ხოლმე“; „წერს ხოლმე“
ჯრ-ჩ	„აკითხულობ“	ჯრ-დმ	„სწავლობს, კითხულობს ხოლმე“
Ø-რპ-დმ	„ემუშაობ“	Ø-რპ-დმ-ჩ	„ემუშაობ“
ან ^ლ -ა	„ხვრეტს“	ან ^ლ -დმ	„ხვრეტს ხოლმე“

ნამყო ძირითადი

ლ'ახე-რ	„დაივარცხნა“	ლ'ახ-დჷ-რ	„დაივარცხნის“
ქა ^ნ ხე-რ	„დაიფხანა“	ქა ^ნ ხ-დჷ-რ	„დაიფხანის“
ა ^ნ ლ'ე-რ	„გახვრიტა“	ა ^ნ ლ'-დჷ-რ	„გაბურღის“, „გახვრიტის“
ხულ'უ-რ	„დალია“	ხულ'-დჷ-რ	„დალის“

გარდა ასპექტის გადმოცემის ამ საშუალებისა, რომელიც ყველა ზმნას არც ეწარმოება და მეტწილად იტერატიული (resp. მრავავაგზისი) სემანტიკის ზმნებს მოიცავს, გამოიყენება აგრეთვე დაპირისპირება აწმყო კონკრეტულის (მომენტობრივ) და აწმყო ზოგადის (დიურატიულ) ფორმებს შორის. ცნობილია, რომ აწმყო ზოგადი შეიცავს აწმყოსა და მყოფადის შინაარსს, ე. ი. რეგულარული მოქმედების გაგებას გამოხატავს, განსხვავებით აწმყო კონკრეტულისაგან, რომელსაც მეტწილად საუბრის მომენტში მიმდინარე პროცესის გადმოცემა ეკისრება. ამდენად კორელაცია აწმყო კონკრეტულსა და აწმყო ზოგადს შორის სავსებით შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს დაპირისპირებად წყვეტილ და განგრძობით ასპექტებს შორის, მითუმეტეს, აწმყო ზოგადი არც ნამყო უწყვეტლის გაგებას არის მოკლებული [ჩიქობავა 1948 : 77]. საილუსტრაციო მაგალითები:

აწმყო კონკრეტული (მომენტობრივი)		აწმყო ზოგადი (დიურატიული)	
ბ-იტჷე	„კლავს“	ბ-იტჷ-ნ	„კლავს“, „მოკლავს“
ბ-ეჷე	„მიაქვს“, „მიჰყავს“	ბ-ეჷ-ნ	„დააქვს“, „დაჰყავს“, „წაიღებს“, „წაიყვანს“
ბ-ა ^ნ წა-ჩ	„ვხედავ“	ბ-ა ^ნ წ-ნ	„ვნახულობ“, „ვნახავ“
ჰეჰე-ჩ	„ვცემ“	ჰეჰ-ნ	„ვცემ ხოლმე“, „ვცემ“
ხულ'	„სვამს“	ხულ'-ნ	„სვამს“, „შესვამს“
ჩახ-ჩო	„ვწერ“	ჩახ-ნ	„ვწერ“, „დავწერ“
რ-უო-ჩ	„ვაკეთებ“	რ-უჷ-ნ	„ვაკეთებ“, „გავაკეთებ“
ნიჟო-ჩ	„ვთესავ“	ნიჟ-ნ	„ვთესავ“, „დავთესავ“

ასპექტური კორელაცია ხელშესახებია აღწერით ფორმებშიც. კერძოდ, ნამყო უწყვეტლისა და ნამყო წყვეტილის ანალიზური ფორმები ოპოზიციას ზმნით გამოხატული მოქმედების დაუსრულებლობა-დასრულებულობის გადმოცემით ქმნიან, მაგ.:

**ნამყო უწყვეტლის
თურმეობითი**

ღეტყე-ჩ ზუყო-ნა გედ
„მიდიოდა თურმე“
დეკ-ცა ზუყო-ნა გედ
„ამბობდა თურმე“
ღეტყე-ჩ ზუყუ-ნ ლო
„მიდიოდა თურმე“

**ნამყო ძირითადის
თურმეობითი**

ღეტყე-ნა ზუყო-ნა გედ
„წავიდა თურმე“
დეკ-ნა ზუყო-ნა გედ
„თქვა თურმე“
ღეტყე-ნ ზუყუ-ნ ლო
„წასულა თურმე“

ამრიგად, აწმყოს დროიანი აღწერითი ფორმები უპირისპირდებიან ნამყოს აბსოლიტივიან ფორმებს, როგორც დინამიკური შინაარსის (მოქმედების მიმდინარეობის პროცესი) სტატიკური შინაარსის (მოქმედების მდგომარეობა) ფორმებს. ამ შემთხვევაში დინამიკურობა-სტატიკურობა, ხუნძურის ანალოგიურად, მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული შესაბამისად უსრულ და სრულ ასპექტებთან [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 337].

7.7. **კაუზატივი.** კაუზატივი, როგორც ცნობილია, გულისხმობს რეალური სუბიექტის უშუალო ან გაშუალებულ მოქმედებას უახლოეს (*resp.* პირდაპირ) ობიექტზე [ჩიქობავა 1950 : 377-378; მაჭავარიანი 1988 : 62-65; თაყაიშვილი 1974 : 514; უთურგაიძე 1995 : 116...]. ამის გათვალისწინებით, კაუზატივის კატეგორია განიხილება ფართო გაგებით, ვინაიდან საკვლევ ენაში ჩამოყალიბებულია პირველადი (*resp.* ერთინიციატორიანი) და მეორეული (*resp.* ორინიციატორიანი) კაუზატივების წარმოების მწყობრი სისტემა. პირველადი კაუზატივი, რომელიც გარდამავალ ზმნას უტოლდება, ერთი ინიციატორით (*resp.* ეგზეკუტორით) მაინც ნაკლებია მეორეულ კაუზატივზე [არდოტელი 2008 : 64-83].

კაუზატივის წარმოება, სინქრონიული თვალსაზრისით, ორგვარია: 1. **ორგანული** და 2. **აღწერითი**.

7.7.1. **კაუზატივის სინთეზური წარმოება.** სინთეზურ ფორმათა წარმოებისას გამოიყოფა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ფუძის სემანტიკური ორხაზოვნობით შეპირობებული კაუზატივის დერივაციის ორი ძირითადი ფორმულა:

1. **გარდაუვალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ლ = პირველადი კაუზატივი + ფორმანტი -ლ(ი)¹ = მეორეული კაუზატივი;**

2. **გარდამავალი ზმნის ფუძე + ფორმანტი -ლ = პირველადი კაუზატივი + ფორმანტი -ლ(ი) = მეორეული კაუზატივი.**

პირველადი და მეორეული კაუზატიური ფორმები დამახასიათებელია საკვლევი ენის ორივე დიალექტისათვის [ხალილოვი 1980 : 25; ისაყოვი 1986 : 12-14; 1995: 407; ვან დენ ბერგი 1995 : 107-108; ლომთაძე 2000 : 189-208; არდოტელი 2008: 73-74].

საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. ბულო-ს „კვდება“ — ბულო-ლ-ცა „კლავს“, რეკე-ჩ „იწვის“ — რეკე-ლ-ცა „წვავს“, ლ'იჭე-ც „იცვამს“ — ლ'იჭე-ლ-ცა „აცმევს“, ბილ'ო-ჟო „მოხნა“ — ბილ'ო-ლ-ლი-ჟო „მოახვნევენა“...; ჰუნზ. უტ-კ-ა „დაძინება“ — უტ-კ-ეკ-ა „დაძინებინება“, რიშ-კ-ა „გატეხა“ — რიშ-კ-ეკ-ა „გატეხინება“, კარლ'-ეკ-ეკ-ა „დატრიალებინება“ — კარლ'-ეკ-ეკ-ეკ-ა „დატრიალებინებინება“, რუო-რ „გააკეთა“ — რუო-კე-რ „გააკეთებინა“, უტ-კე-რ „დააწვინა“, „დააძინა“ — უტ-კე-კე-რ „დააწვევინა“, „დააძინებინა“ და მისთ.

ანალოგიურად იწარმოება კაუზატივის სინთეზური ფორმები ჰუნზიბურ დიალექტში იმ განსხვავებით, რომ საწარმოებელ სუფიქსად შეიძლება -კV იყოს, მაგ.: Ø-უტუ-რ „დააძინა“ — Ø-უტ-კე-რ „დააძინა“ — Ø-უტ-კე-კე-რ „დააძინებინა“, ლახლ'ე-რ „გაანძრა“ — ლახლ'ე-კე-რ „გაანძრია“ — ლახლ'ე-კე-კე-რ „გაანძრევინა“, ჩანხე-რ „დააწერა“ — ჩანხ-კე-რ „დააწერინა“ — ჩანხ-კე-კე-რ „დააწერინებინა“...

ზემომოყვანილი ფორმები მოწმობს, რომ ბეჟიტურ ენაში ამოსავალი პირველადი ზმნებისაგან კაუზატივის ფორმანტის დართვით იწარმოება პირველადი კაუზატივი (აქტივი), ხოლო ამ ფორმანტთა რედუბლიკაციით, რაც ინიციატორ-ეგზეკუტორთა მატებას იწვევს — მეორეული კაუზატივი [ისაყოვი 1986 : 12-13; არდოტელი 2008 : 70-71]. საილუსტრაციო მაგალითები:

¹ კაუზატივის ნიშნად ჰუნზიბურში შეიძლება განსხვავებული ნიშანი (-კV, -Vკ) დაჩნდეს, მაგრამ ეს მოვლენის არსს ვერ ცვლის.

საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი

ზმნის ფუძე	ზმნის ფორმა	კაუზატივი
ნისო-	ნისო-ს	ნისო-ლ-ცა
წოო- (<წოჟო-)	წოო-ს	წოა-ლ-ი-ს
რ-ეჟე-	რ-ეჟე-ჩ	რ-ეჟე-ლ-ცა
ღ-უღო-	ღ-უღო-ს	ღ-უღო-ლ-ცა

კაუზატივის წარმოება პირველი ფორმულის მიხედვით:

ზმნის პირველადი ფორმა	პირველადი კაუზატივი	მეორეული კაუზატივი
რ-იე-ჩ	რ-იე-ლ-ცა	რ-იე-ლ-ი-ლ-ცა
რ-ეჟე-ჩ	რ-ეჟე-ლ-ცა	რ-ეჟე-ლ-ი-ლ-ცა
რ-ოჟო-რო	რ-ოჟო-ლ-ლო	რ-ოჟო-ლ-ი-ლ-ლო
რ-უღო-რო	რ-უღო-ლ-ლო	რ-უღო-ლ-ი-ლ-ლო

„ანგ რეინებს“
 „აწვეინებს“
 „მოაყვანინა“
 „მოაკვლევინა“

კაუზატივის წარმოება მეორე ფორმულის მიხედვით:

ზმნის პირველადი ფორმა	პირველადი კაუზატივი	მეორეული კაუზატივი
ნისო-ს „ამბობს“	ნისო-ლ-ცა „ეკითხება“	ნისო-ლ-ლო-ის „ათქმევინებს“
მ-ოხ-ცა „იჭერს“	მ-ოხი-ლლო-ი-ს/შ „აჭერიანებს“	მ-ოხი-ლლო-ი-ლო-ის „აჭერიანებინებს“
მ-უჭ-ჩა „ჭრის“	მ-უჭი-ლოლო-ი-ს/შ „აჭრევინებს“	მ-უჭი-ლოლო-ი-ლო-ის „აჭრევინებინებს“

7.7.2. **კაუზატივის ანალიზური წარმოება.** ბეჟიტურ ენაში კაუზატივის აღწერითი ფორმები ბაზისურ ზმნათა დიურატიული ასპექტის ფუძეზე **გულ-ალ** („დადება“, „დადგმა“) დამხმარე ზმნის ენკლიტიკურად დართვით იწარმოება. ეს ზმნა კაუზატიურ ფორმებში ძირითად ზმნასთან ერთად ერთ მთლიანობად აღიქმება, ამიტომ, მ. ხალილოვის ანალოგიურად [ხალილოვი 1995 : 407], მას ჩვენც ერთად ვწერთ [შდრ. ლომთაძე 2000 : 207], მაგ.: **ბუქდა-გოლ-ალ** „გაჭრევიანება“, **კოჭდა-გოლ-ალ** „სწავლებიანება“, **ოოჭდა-გოლ-ალ** „მუშავებიანება“, **ლიაზო-გოლ-ალ** „გაქცევიანება“ და მისთ.

7.8. **დრო-კილოთა სისტემა.** ბეჟიტური ენა დრო-კილოთა ფორმებით საკმაოდ მდიდარია. საუღლებელ ერთეულებში — ნაკვებში, რომლებშიც ზმნა იცვლება გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით,¹ გარჩეულია: 1) **ორგანული (სინთეზური)** წარმოება, 2) **აღწერითი (ანალიზური)** წარმოება. თავის მხრივ, ორგანულ წარმოებაში შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: ა) **მარტივფუძიანი** (მარტივი ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები) და ბ) **რთულფუძიანი** (გრამატიკული ფორმისაგან ნაწარმოები) ფორმები.

ბეჟიტური ენის ორსავე დიალექტში სინთეზური ფორმებიდან გარჩეულია **აწმყო-მყოფადი** და **ნამყო ძირითადი.**² **აწმყო ზოგადის** ფორმებს, ჰუნზიბური დიალექტისაგან განსხვავებით, საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი მოკლებულია.

რაც შეეხება ანალიზურ წარმოებას, დროის აღწერითი ფორმებიდან დასტურდება: ა) **აწმყო კონკრეტული**, ბ) **ნამყო შედეგობითი**, გ) **ნამყო უწყვეტელი**, დ) **წინარე ნამყო**, ე) **ნამყო ძირითადის თურმეობითი**, ვ) **ნამყო უწყვეტლის თურმეობითი**.

¹ პირიელი ფორმების გარჩევის ფაქტებს, ჩანასახის სახით, ვხვდებით ჰუნზიბური დიალექტის აწმყო კონკრეტულში I-II და III პირების დაპირისპირებისას [იხ. ბოკარევი 1959 : 49; შდრ. ლომთაძე 2000 : 84].

² საკუთრივ ბეჟიტურში მყოფადისა და ინფინიტივის ფორმები მატერიალურად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა სემანტიკურად მკაფიოდ განირჩევიან.

7.8.1. **საუღლებელი ზმნის ფუძე.** ბეჟიტური ზმნის ძირითად ელემენტებს შეადგენენ: **კლასიფიკატორი (დამაკავშირებელი ხმოვნითურთ) + ფუძე (resp. ძირი) + თემატური ნიშანი + ფლექსიური (resp. დერივაციული) მორფემა.** ფუძე, რასაკვირველია, ძირისაგან სათანადო დეტერმინანტის დართვით ყალიბდება. ზმნური სტრუქტურის ეს ძირითადი მოდელი არ არის ობლიგატური — იგი შეიძლება ამა თუ იმ კომპონენტის (resp. სეგმენტის) გარეშე დასტურდებოდეს. **ზმნის ფუძე (resp. ძირი) შეიძლება განიმარტოს, როგორც ის მდგრადი სეგმენტი (დერძი), რომელსაც ჩამოშორებული აქვს კლასის (და რიცხვის), დროის, კილოსა და თემის ნიშნები.**

მაშასადამე, კლას-ნიშნიანი ზმნის (უკლასნიშნო ზმნა ფუძით იწყება) ფუძეს წინ უძღვის კლასიფიკატორი, მოსდევს ფუძის ფორმანტი (resp. თემატური ნიშანი) და დრო-კილოთა საწარმოებელი აფიქსი. მასთან, ფუძე არცთუ იშვიათად ძირს უდრის, ან შეიცავს ამ უკანასკნელს. უკლასნიშნო ზმნის ფუძე შეიძლება იწყებოდეს და სრულდებოდეს ხმოვნით ან თანხმოვნით. ხმოვნით დაწყებული ყველა ზმნური ფუძე მაგარშემართვიანია. ძალიან ბევრია ოდენკონსონანტიანი (C-) და ლაბიალურელემენტისანი (CW-) ძირ-ფუძეები. კლასიფიკატორი, როგორც ფლექსიური ელემენტი, ფუძის სტრუქტურაში არ ერთიანდება ისევე, როგორც რიცხვისა და დრო-კილოთა სათანადო აფიქსები.¹

ზმნის ფუძე, გარდა ხმოვნური ელემენტების დართვისა, შეიძლება გართულდეს: გარდამავლობის **-კი/-კ** (საკ. ბეჟ.), **-კწ/-კ** (ჰუნზ.), კაუზატივის **-ლ**, პოტენციალისის **-ლ'/-ლ'ი** და ასპექტის **-და/-და** ფორმანტების დართვით.

ბეჟიტურ ენაში უღვლილება, ბრუნების ანალოგიურად, ერთი მორფოლოგიური პროცესია, ნაირგვარობას საუღლებელი ზმნის ფუძისა და ზმნურ ფორმათა აფიქსების ურთიერთმოქმედების საფუძველზე წარმოქმნილი მორფონოლოგიური ცვლილებები იწვევენ.

¹ ამ მხრივ გამონაკლისს ქმნიან გახლეჩილი (დიქტომიური) ფუძეები, რომლებშიც ინფიქსად ჩაერთვის გრამატიკული ელემენტები (კლასიფიკატორი, მრავლობითობის აფიქსი...).

ზმნური ფუძის რაგვარობის დადგენა და უღვლილების ძირითადი ტიპების გამოყოფა აწმყო კონკრეტულისა და ნამყო ძირითადის მონაცემების გათვალისწინებით უნდა მოხდეს [ლომთაძე 1959 : 13; შდრ. ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 183]. სწორედ ამ ნაკვთთა ფორმებში მოჩანს გამჭვირვალედ ფუძის ნამდვილი სახე.¹

ამრიგად, ბეჟიტურ ზმნაში გამოიყოფა უღვლილების ორი ძირითადი ტიპი: ა) **ხმოვანფუძიანი** და ბ) **თანხმოვანფუძიანი**. ზმნური სიტყვაწარმოებისას შეიძლება სათანადო სტრუქტურის ფორმანტა (-C, -VC) დართვის შედეგად ხმოვანფუძიანი ზმნა თანხმოვანფუძიანად იქცეს.

ა) ხმოვანფუძიანი ზმნები შეიძლება ბოლოვდებოდეს ყველა მარტივ ხმოვანზე,² რომელთაგან გამოყენების სიხშირით ე გამოირჩევა, მაგ.:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	
ბი ^ნ -ტა-ე-ჩ	ბი-ტა-ე	„კლავს“
ბე-ჩ-ე-ჩ	ბე-ჩ-ე	„ღვას“
მე-ტა-ე-ჩ	მე ^ნ -ტა-ე	„მიდის“
ბ-ლ-ც	ბუ-ჟ-ო	„აკეთებს“
ბუ-ღ-ო-ც	ბუ-ჭ-უ	„კვდება“
ბი-ჟ-ე-შ	ნი-ჟ-ლ	„თესავს“
კიშ-ა-ჩ	კიშ-ა	„თამაშობს“
ბი-ლ-ქ-ი-ს	მუჩ-ა	„მირბის“, „მიიპარება“
(ყველზე იტყვიან)		
ბო-ლ'-ო-ც	ბა-ლ'-ა	„ხნავს“
ბი-ჟ-ე-ჩ	ბი-ჟ-ე	„იცის“ ³ ...

¹ ზმნური ფუძე თვალნათლივ გამოჩნდება ჰუნზიბური დიალექტის აწმყო კონკრეტულის III პირში: ხმოვანფუძიანი ხმოვანზე სრულდება, თანხმოვანფუძიანი კი — თანხმოვანზე.

² ე. ლომთაძე ი და ლ ხმოვნებზე დასრულებულ ფუძეთა არსებობას უგულებელყოფს [ლომთაძე 2000 : 149], თუმცა ამგვარი ფუძეები დასტურდება, მაგ.: ჰუნზ. **ღა^ნყრ**- (შდრ. ღა^ნყრ-ჩ „მოდის“), **ნიჟრ**- (შდრ. ნიჟრ-ჩ „თესავს“) ...; საკ. ბეჟ. **ფოქჩი**- (შდრ. ფოქჩი-შ „იღებს“) და მისთ.

³ დაწვრილებით [იხ. ლომთაძე 2000 : 149].

ბ) აწმყო დროის ჩვენების მიხედვით, ზმნათა მეტი წილი თანხმოვანფუძიანია, მაგრამ ნამყო ძირითადის მონაცემებს თუ დავემყარებით, მაშინ ყველა ბეჟიტური ზმნა ხმოვანფუძიანი იქნება [ლომთაძე 2000 : 160]. თანხმოვანფუძიან ზმნათა საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ:

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	
ტუტ -ცა	ტუტ -ჩო	„ვისვრი“, „ვტყორცნი“
ჩახ -ჩა	ჩახ -ჩო	„ვწერ“
ნილ' -ცა	ნელ' -ჩო	„ვიძლევი“
ზოლ -ცა	ზნლ -ჩო	„ეპოულობ“
ბუ- ჯ -ჩა	ნუ- ჯ -ჩო	„ვჭამ“
და- ც -ცა	რა- ტ -ჩო	„მიყვარს“
ბე- ღ -ცა	ბე- ღ -ჩო	„ეჩხუბობ“
რე- კელ -ცა	რე- კელ -ჩო	„ვანთებ“
ბე- ქ -ცა	ბე- ქ -ჩო	„ვეცემი“
ბუ- ჩ -ჩა	ბუ- ჭ -ე ¹	„ვჭრი“...

ნამყო ძირითადში ორივე დიალექტი ხმოვანფუძიან ზმნებს გამოავლენს, რაც ამოსავალ ვითარებად არის მიჩნეული [იხ. ლომთაძე 2000 : 158-160].

7.8.2. **ინფინიტივი.** ზმნის ყველაზე ზოგადი შინაარსის შემცველი უნიფიცირებული ფორმა ინფინიტივია, ამიტომ სალექსიკონო ერთეულადაც ჩვეულებრივ მას ასახელებენ. იგი იწარმოება **-ალ/-ნლ/-პლ** (საკ. ბეჟ.), **-ა/-ა** (ჰუნზ.) სუფიქსებით, რომლებიც ფუძის ყველა აუსლაუტურ ხმოვანს კვეცენ და ხმოვანფუძიან

¹ ეს მაგალითი ნათელი დასტურია იმისა, რომ ისტორიულად საანალიზო ზმნა ხმოვანფუძიანი ყოფილა, მაგრამ საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ფორმანტიკული ხმოვნის გავლენით რედუცირებულა, ხოლო ჰუნზიბურ დიალექტში ფუძისეულ ხმოვანი შენარჩუნებულია. ანალოგიურად უნდა იყვნენ წარმოქმნილი სხვა თანხმოვანფუძიანი ზმნები.

ზმნებს თანხმოვანფუძიანებად აქცევენ. ამით არის ნაკარნახევი არსებითად მართებული მოსაზრება, რომ ინფინიტივის ჩვენების მიხედვით საუღლებელი ზმნის ფუძის ჯეროვანი კვალიფიკაცია და უღვლილების ტიპების დადგენა შეუძლებელია [ლომთაძე 1959 : 16; 2000 : 160; ბოკარევი 1959 : 103-104; ხალილოვი 1995 : 404...].

ზმნათა მცირერიცხოვანი ჯგუფი მარკირებულია კლას-კატეგორიის ნიშნებით, რომლებიც ინფინიტივშიც საერთო წესის მიხედვით სათანადოდ იცვლებიან: საკ. ბეჟ. დ-ოჟ-ალ¹ „კეთება“, დ-ეზ-ალ „წადება“, „წაყვანა“, დ-ატ-ალ „სიყვარული“, დ-ეტ-ალ „წასვლა“, დ-იზ-ალ „ძებნა“, დ-ჟიჟ-ალ „დაძინება“, დ-ედლ-ალ „ჩაქრობა“, დ-ემ-ალ „ჭამა“, დ-აჯ-ალ „გახდომა“, „გადაქცევა“, დ-ენ^ნ-ელ-ალ „შეხება“, დ-ელ-ალ „ჩხუბი“...; ჰუნზ. დ-აჯ-ა „გახდომა“, დ-ოხ-ა „აღება“, „ყიდვა“, დ-ეჩ-ა „დგომა“, „გაჩერება“, „დარჩენა“, ბ-ალ'-ა „ხვნა“, დ-უჟ-ა „კეთება“, დ-იტ-ა „მოკვლა“, დ-ოყ-ა „მოტანა“, დ-ან^წ-ა „დანახვა“...

გარდა კლასიფიკატორებისა, ინფინიტივში კატეგორიისა (საკ. ბეჟ. ნისო-ლ-ალ „შეკითხვა“, ვოჰდა-გოლ-ალ „სწავლებინება“, დ-ეკე-ლ-ალ „დაწვა“, ჰვლდოჟი-ლ-ალ „გათეთრებინება“...) და ასპექტის (საკ. ბეჟ. ჩახ-ჩა „წერს [წერილს]“ — ჩახ-და-ჩ „წერს [მუდმივად]“, ვო-ც „კითხულობს [წიგნს]“ — ვოჰ-და-ც „კითხულობს [საერთოდ]“...; ჰუნზ. რ-უ-ო-ც „გაკეთებ“ — რ-ოჰ-და-ჩ „მუშაობ (მუდმივად)“, ხგს-ჩო „იფხან [ახლა]“ — ხგს-და-ჩ „იფხან ხოლმე“, ჰენ^წჰენ^წ „ჭიხვინებს“ — ჰენ^წჰენ^წ-და „ჭიხვინებს [გაბმით, ხშირად]“...) კატეგორიები არის წარმოდგენილი. ამასთანავე, მასში შეიძლება მაზმნავებელი (resp. გვარის) აფიქსები და პოტენციალის ფორმანტი აისახოს, მაგ.: საკ. ბეჟ. ჰვლდიო „თეთრი“ — ჰვლდო-კ-ალ „გათეთრება (ათეთრებს)“, ნუშო „წვრილი“ — ნუშო-კ-ალ „დანაწილება (ანაწილებს)“, დაჰჰ-ო „ცივი“ — დაჰ-კ-ალ „გაცივება (აცივებს)“, მაშო „მოკლე“ — მა-

¹ ინფინიტივის ფორმებს II კლასის მიხედვით ვიმოწმებთ.

შე-ლ'-ალ „დამოკლება (მოკლდება)“...; ჰუნზ. მოჰჰუ „ცივი“ — მოჰენ-კე-რ „გააცივა“, ჰალდუ „თეთრი“ — ჰალდუ-კე-რ „გაათეთრა“, წუნდუ „წითელი“ — წუნდუ-ლ'ე-რ „გაწითლდა“, როჰჰუ „ცივი“ — როჰენ-ლ'ე-რ „გაცივდა“ და მრ. სხვ.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ანალიზური აგებულების ზმნები, რომლებიც შედგებიან სახელური ან ზმნური კომპონენტისა და მეშველ ზმნად გამოყენებული (ბუჟ-ა „კეთება“, გულ-ალ „დადება“, ბოჟ-ა „გახდომა“, „გარდაქცევა“...) ერთეულებისაგან. ინფინიტის ნიშანი ბოლოკიდურ წევრს ერთვის, მაგ.: საკ. ბეჟ. ვოჰ-და მულ-ალ „სწავლის დასრულება“, წუმი მოჟ-ალ „შენახვა“, ურღეზი მაჟ-ალ „ფიქრი“, დაჟუცა მოჟ-ალ „გაფუჭება“...; ჰუნზ. ბერცინ ბუჟ-ა „გალამაზება“, რეყეზი ბოჟ-ა „შერიგება“ და მისთ.

საინტერესოა, რომ საკვლევი ენის ორსავე დიალექტში ხანდახან ინფინიტის სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი გრძელდება, რაც ჰ. ვან დენ ბერგს ჰუნზიბურში ნულოვან ალომორფს გამოაყოფინებს [ვან დენ ბერგი 1995 : 88].¹

სინამდვილეში საქმის ვითარება ასეთია: ინფინიტის ნიშნად გრძელხმოვნის სუფიქსი (საკ. ბეჟ.) ან გრძელი ხმოვანი (ჰუნზ.) უპირატესად დიურათიულობის (მრავალგზისობის) გამომხატველ ფუძეებთან გვხვდება, მაგ.: საკ. ბეჟ. მოჰ-დ-ალ (კაპ.) „მუშაობა“, მოკ-დ-ალ (კაპ.) „თხოვნა“, „მათხოვრობა“, ვოჰ-და-ბ-ალ (ხაშ.) „სწავლა“...; ჰუნზ. კარ-დ-ა „ტრიალი“, ვო-დ-ა „სწავლა“, ჩახ-დ-ა „წერა ხშირად“ და ა. შ.

როგორც დამოწმებული მაგალითები ცხადყოფენ, ინფინიტის ფუძე შეიცავს დიურათიულობის სუფიქსს -და-ს, რომლის ხმოვნითი ელემენტი ინფინიტის მარჯვრთხან შეხვედრისას კი არ იკვეცება [ლომთაძე 2000 : 169], არამედ ამ უკანასკნელს ერწყმის, რის შედეგადაც ვიღებთ გრძელხმოვნის სუფიქსებს: -ალ < -ა+ალ (საკ. ბეჟ.), -ა < -ა+ა (ჰუნზ.).

¹ საკ. ბეჟ. დ.-ში დასტურდება -ალ ალომორფიც, რომელიც სრული პროგრესული ასიმილაციით ჩანს შეპირობებული [იხ. არდოტელი 2009 : 68].

ისმის კითხვა: ინფინიტივის ფორმათა სეგმენტაციისას გრძელი ხმოვანი ფუძეს უნდა განეკუთვნოს თუ აფიქსს?

თუ გრძელ ხმოვანს ფუძისეულად გავიაზრებთ, როგორც ამას ვან დენ ბერგი აკეთებს [ვან დენ ბერგი 1995 : 88, 111], მაშინ ჰუნზიბურ დიალექტში ნულოვანი ალომორფი გამოიყოფა, ხოლო საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ოდენ **-ლ**, რაც ფაქტობრივ ვითარებას ვერ ასახავს.

უფრო მართებული ჩანს ე. ლომთაძის დებულება, რომელიც დიუტრატიულობის გამომხატველ ფორმებში ინფინიტივის ნიშნად ოდენ **-ა-ს** (resp. **-ჰ-ს**) გამოყოფას უჭერს მხარს [ლომთაძე 2000 : 169; შდრ. ბოკარევი 1959 : 46].

რაც შეეხება ტის-ალ („წევა“, „თრა“) ტიპის ფორმებს, ამგვარი ზმნები ფუძის ბოლოკიდურად ხმოვანს გამოავლენენ, რომელიც ინფინიტივის ნიშანთან შეხვედრისას ერწყმის მას და გრძელ ხმოვნად გარდაქმნის, მაგ.: ტის-ალ <*ტისა-ალ (შდრ. აწყ. ტისა-ს „სწევს“) „წევა“, „თრა“, დეგ-ალ <*დეგა-ალ (შდრ. ნამყ. აბსოლუტ. დეგა-ნა „ნახა რა“) „ნახვა“ და ა. შ.

7.8.3. **სუპინუმი.** ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში დასტურდება ინფინიტივის ფორმაზე **-დიია** სუფიქსით ნაწარმოები სუპინუმის (ე. წ. აუცილებლობითი) ფორმები, რომლებიც ფუნქციურად და სემანტიკურად ინფინიტივთან ახლო დგანან. სუპინუმი ზმნებთან გამოიყენება მიზნის გარემოების, ხოლო სახელებთან უბრალო დამატების დანიშნულების ფუნქციით [ლომთაძე 2000 : 11; ვან დენ ბერგი 1995 : 89], მაგ.: სალლ'ი წუმი **რუჟადია** ბიშმუნ არტო შარტ რაწალ'ი ლი „ჯანმრთელობის დასაცავად („გასაკეთებლად“) ყველაზე წინ სისუფთავის დაცვა არის“, გგ უნხერ **ხულ'ადია** „მან დაიწყო დაღევა“, გგ ე^ნტეერ ბრლ'უ ცალ'ა **ხულ'ადია** „ის წავიდა სხვა სოფელში დასაღევად“, მაჰამად ე^ნტეერ მაჟიდ **იტადია** „მაჰამედი წავიდა მაჟიდის მოსაკლავად“ და მისთ.

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში **რუჟადია** („გასაკეთებლად“, „გაკეთებისათვის“) რიგის ფორმათა ეკვივალენტურ ოდენობად აღწერითი ფორმები (ინფინიტივი პლუს **ნუწოს, ნუწოც** „უნდა“) დასტურდება, მაგ.: **ფეს-ალ ნუწოს** „საჭმელად“, **ოჰდ-ალ ნუწოს** „სამუშაოდ“, „უნდა მუშაობა“: — ჰუგი ჟე ჰენ-მენ **ონყალ ნუწოს** (ხალილ. 1995 : 209) „ის მალე უნდა მოვიდეს (ძვ. ქართ. „მოსვლად არს“)“, ბილ'ო როჟალ ნუწოდა, რიყალ ნუწოც, რიყალ ნუწოდა, ჯოდაჰალ ნუწოც „სახლი რომ აშენო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო“.

ინფინიტივისა და სუბინუმის ფუნქციური სიახლოვე კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან [ვან დენ ბერგი 1995 : 89; ლომთაძე 2000 : 11-13], ამიტომ ამ საკითხს დეტალურად აღარ განვიხილავთ.

7.8.4. დროთა სინთეზური ფორმების წარმოება. ზმნის ორგანულ და აღწერით ფორმათა შეპირისპირებისას თვალშისაცემია ერთი გარემოება: სინთეზური ფორმების სემანტიკა უფრო მეტად აბსტრაქტიზებული და ზოგადი შინაარსის შემცველია, ხოლო აღწერითი ფორმები მეტ-ნაკლებად მოკლებულნი არიან განყენებული შინაარსის გადმოცემის უნარს, მათთვის უფრო მეტად ნიშანდობლივია დამატებითი მოდალური და ასპექტობრივი ნიუანსების გამოხატვა.

7.8.4.1. აწმყო ძირითადი. აწმყო ძირითადი დროის უმთავრესი ფუნქცია არის გადმოსცეს საუბრის მომენტში მიმდინარე მოქმედება. მასთან, იგი არცთუ იშვიათად მყოფადის, აწმყო ზოგადის (მეტადრე საკუთრივ ბეჟიტურში), აწმყოს აბსოლუტივის მოდალურ მნიშვნელობებსაც გამოხატავს.

აწმყო ძირითადი კარგად არის ჩამოყალიბებული საკვლევი ენის ორსავე დიალექტში და მისი ფორმანტებია: **-ცა/-ც**, **-ჩა/-ჩ**, **-შ**, **-ს** (საკ. ბეჟ.). **-ჩო/-ჩ** (I, II პ.), **-Ø** (III პ.) (ჰუნზ.). ზმნის ფუ-

ქეთა რაგვარობის მიხედვით, დასახელებულ ფორმანტთა დისტრიბუცია ამგვარია: ა) **-V#** — **-ცა, -ჩა, -ჩო;** ბ) **-C#** — **-ც, -ჩ, -შ, -ს.**¹

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აწმყო ძირითადის უარყოფითი ფორმები იწარმოება ზმნის სათანადო ფუძეზე **-აჟა/-აჟა, -ა** (< **-ა-ა** < **-აჟა**) (კაპ., ხაშ.), **-აჟა/-აჟ** (ხაშ., ტლად.) საერთო წარმომავლობის სუფიქსის დართვით.² კაპუჭურ კილოკავში ზემოხსენებული სუფიქსი ჩაეთვის ზმნის ფუძესა და აწმყო ძირითადის ფორმანტებს (**-ს, -შ**) შორის, ხოლო ხაშარხოტულ კილოკავში ანალოგიურ პოზიციაში გვხვდება **-ც, -ჩ** სუფიქსები. ტლადალურ და ხაშარხოტულ კილოკავებში უარყოფითობის ფორმანტს

¹ როგორც ჩანს, აწმყო ძირითადის ფორმანტთა ამგვარი არანაპირება საკვლევი ენის სრულხმოვნობით ჩანს შეპირობებული [იხ. ლომთაძე 2000 : 85; ვან დენ ბერგი 1995 : 83]. ამის გათვალისწინებით, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, თითქოს აწმყო (resp. აწმყო-მყოფადი) დრო ნაწარმოებია ინფინიტივის ფუძისაგან [ხალილოვი 1995 : 404], მაგ.: **მისლ'ი**-ს (შდრ. ინფ. **მისლ'**-ალ „გათბობა“) „ვთბები“...

² საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის უარყოფითობის სუფიქსი **-აჟა** II **-აჟა** (< **გაჟა** II **გაჟა**, შდრ. **მატეღლნა** გაჟე „არ უცემია“, **მატეღლ-აჟა** „არ ვცემ“...) **გეჟ** „არის“ მეშველზმნის უარყოფით ფორმას უნდა უკავშირდებოდეს (შდრ. ხუნდ. -ჰო < ჰეჰო „არ არის“...). სპეციალურ ლიტერატურაში უარყოფითობის ფორმანტად ჩვეულებრივ **აჟა/აჟ** [ლომთაძე 2000 : 230], **-ას** [მადიევა 1965 : 133], **-აჟა** [ხალილოვი 1995 : 406] ოდენობას გამოყოფენ. ე. ბოკარევი ამ რიგის ფორმანტად **-აჟა/-აჟ**-ს ასახელებს, რაც უფრო მართებული ჩანს, ვინაიდან **აჟა**-ს გამოყოფის შემთხვევაში რეგულარულად თავჩენილი წინამავალი **ა**-ს გენეზისი გაურკვეველი რჩება [ლომთაძე 1959 : 14]. ფუძედ ინფინიტივის გამოყენება გასაზიარებელი შეიძლება ყოფილიყო [ლომთაძე 2000 : 230], თუმცა დანარჩენი ახლომონათესავე ენები სხვა ჩვენებას იძლევიან: ჰინ. ბაცკოვომ (< *ბაჟ-ჰო გომ < *ბაჟ-ჰო „გვაჟ“ + გომე „არ არის“) „არ გვაჟ“, საკ. დიდ. **მითეი-ხ** მალ' < ***მითეი-ხო** „მივდივარ“ + *გალ' „არ არის“) „არ მივდივარ“ და ა. შ.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ აწმყო ძირითადის უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია აწმყოს ფუძისაგან უარყოფითობის გამომხატველი მეშველი ზმნის თავისებური სემანტიკურ-ფორმობრივი ტრანსფორმაციით, რომელიც ხმოვანფუძიან ზმნათა ბოლოკიდურ ფუძისეულ ხმოვანს კვეცს, მაგ.: აწმყ. დად. ბოლ'-ო-ს „ხნავს“ — აწმყ. უარყოფ. ბოლ'-აჟა-ს (< *ბოლ'-ო-აჟა-ს, შდრ. ჟუყო „დიდი“ — ჟუყო-აჟა-ს < *ჟუყო-აჟა-ს „დიდი მათგანი“) „არ ხნავს“...

ოდენტანხმოვნიანი სახითაც (**-ც**) ადასტურებენ [ლომთაძე 2000 : 232]. საქართველოში (ყვარლის რ-ნის სოფ. ჩანტლისყურე) მცხოვრებ ტლადალელთა მეტყველებაში **-აჯა** სუფიქსია გაბატონებული, მაგ.: ტუტ-აჯა „არ ვისვრი“, „არ ვესვრი“, ატყელ-აჯა „არ ვცემ“ და მისთ.

ტლადალურ და ხაშარხოტულ კილოკავთა სათანადო საანალიზო ფორმებში იკარგება როგორც ხმოვნითი (**-აჯა > -აჯ**), ისე თანხმოვნითი (**-აჯა > -აა > -ა**) ელემენტები [ლომთაძე 2000 : 232-231]. **-აჯა > -აჯ** პროცესი შეინიშნება კაპუჭურ მეტყველებაში [ხალილოვი 1995 : 406].

საფიქრებელია, თავდაპირველად **გეჲ** („არის“) მეშველმზნის უარყოფითი ფორმა **გჷჷ** („არ არის“) ენკლიტიკურად დაერთვოდა ბაზისურ ზმნას და უარყოფითობას ანიჭებდა მას, რომელსაც ცვეთის ნიადაგზე თავკიდური თანხმოვანი დაუკარგავს და თანდათანობით შეხორცებია ძირითად ზმნას [ანალოგიისათვის იხ. არდოტელი 2007 : 92].

ჰუნზიბურ დიალექტში აწმყო ძირითადის უარყოფითი ფორმები **-ატ** სუფიქსის დართვით იწარმოება [ბოკარევი 1959 : 60; ვან დენ ბერგი 1995 : 84; შლრ. ლომთაძე 2000 : 230-235].¹

აწმყო ძირითადის საილუსტრაციო მაგალითები სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

¹ ელ. ლომთაძე შესაბამის სუფიქსად ოდენ **-ტ**-ს გამოყოფს და საწარმოებელ ფუძედ ინფინიტივის მზამზარეულ ფორმას მიიჩნევს [იქვე, გვ. 234]. აქაც ისევე, როგორც საკუთრივ ბეჟიტურში, ფუძის საკითხი საკამათოა, რადგანაც ინფინიტივის **ლ**-ს (**-ალ-** — საკ. ბეჟ.) გაუჩინარებას თავი რომ დავანებოთ, ჩნდება ზოგი გარემოება, რომელთა მიხედვითაც აწმყოს უარყოფითობის ნიშნად **-ატ** გამოიყოფა. კერძოდ, მყოფადის უარყოფითი ფორმები აწმყო კონკრეტულისაგან ხმოვნის დაგრძელებით იწარმოება: ნგლ'-ჩა „ვაძლევ“ — ნგლ'ჩა-ტ „არ მივცემ“, ჰეჷ-ჩა „ვცემ“ — ჰეჷჩა-ტ „არ ვცემ“...

ვფიქრობთ, აღნიშნულ ფორმებში ა მიღებულია ორი ხმოვნის შერწყმით: ხულ'-ჩა „ვსვამ“ — ხულ'ჩა-ტ (<*ხულ'ჩო-ატ) „არ ვსვამ“... ალოგიკური ჩანს ე. ლომთაძის ორი თვალსაზრისი უარყოფითობის სუფიქსის გენეზისის შესახებ ჰუნზიბურში [ლომთაძე 2000 : 246].

ა. საკუთარივ ბეჭდუპო დაალექბა

სქესბა 20. აწუქო ძირითადის უდვლოლებს ბარადვბა

ზმხის ვედუ	დადვბითი ფორბუ-	ფორბუ-	ლექსიკური	უარყოფითი ფორბუბი	ლექსიკური
მაკ-	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა
მაკ- (მატ)	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა
მა-	მა-ს/შ	მა-ს/შ	მა-ს/შ	მა-ს/შ	მა-ს/შ
ბოკდოლ-	ბოკდოლ'-კა	ბოკდოლ'-კა	ბოკდოლ'-კა	ბოკდოლ'-კა	ბოკდოლ'-კა
მატჩ- (<ბუტ-)	მატჩ-ჩა (< ბუტჩ-სა)	მატჩ-ჩა (< ბუტჩ-სა)	მატჩ-ჩა (< ბუტჩ-სა)	მატჩ-ჩა (< ბუტჩ-სა)	მატჩ-ჩა (< ბუტჩ-სა)
ბაკილ-	ბაკილ'-ჩა (ტლად)	ბაკილ'-ჩა (ტლად)	ბაკილ'-ჩა (ტლად)	ბაკილ'-ჩა (ტლად)	ბაკილ'-ჩა (ტლად)
მატ-	მატ-კა	მატ-კა	მატ-კა	მატ-კა	მატ-კა
კო, კოუ-	კო-ს	კო-ს	კო-ს	კო-ს	კო-ს
მატჩ-	მატჩ-ჩ	მატჩ-ჩ	მატჩ-ჩ	მატჩ-ჩ	მატჩ-ჩ
ნილ-	ნილ'-კა	ნილ'-კა	ნილ'-კა	ნილ'-კა	ნილ'-კა
მადლო-	მადლო-ს/კ	მადლო-ს/კ	მადლო-ს/კ	მადლო-ს/კ	მადლო-ს/კ
მაბე-	მაბე-შ	მაბე-შ	მაბე-შ	მაბე-შ	მაბე-შ
რეგა-	რეგა-ჩ	რეგა-ჩ	რეგა-ჩ	რეგა-ჩ	რეგა-ჩ
მაკ-	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა	მაკ-კა
ტუტ-	ტუტ-კა	ტუტ-კა	ტუტ-კა	ტუტ-კა	ტუტ-კა
მაყე-	მაყე-შ	მაყე-შ	მაყე-შ	მაყე-შ	მაყე-შ
ჩაბ-	ჩაბ-ჩა	ჩაბ-ჩა	ჩაბ-ჩა	ჩაბ-ჩა	ჩაბ-ჩა
რუკ-	რუკ-ჩა	რუკ-ჩა	რუკ-ჩა	რუკ-ჩა	რუკ-ჩა

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 21. აწმყო ძირითადის უღვლილების პარადიგმა

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
ბწლ'-ო-	ბწლ'-ო-ჩ (I, II პ.)	„ვხწავ“ ¹	ბწლ'-ატ	„არ ვხწავ“
დიყე-	დიყე (III პ.)	„იცის“	დიყ-ატ	„არ იცის“
აწყე-	აწყე-ჩ (I, II პ.)	„მოვდივარ“	აწყ-ატ	„არ მოვდივარ“
ქოშე-	ქოშე-ჩ (I, II პ.)	„ვთიბავ“	ქოშ-ატ	„არ ვთიბავ“
აწტყე-	აწტყე-ჩ (I, II პ.)	„მივდივარ“	აწტყ-ატ	„არ მივდივარ“
ნიჟო-	ნიჟო-ჩ (I, II პ.)	„ვთესავ“	ნიჟ-ატ	„არ ვთესავ“
დიტყე-	დიტყე-ჩ (I, II პ.)	„ვკლავ“	დიტყ-ატ	„არ ვკლავ“
ჰეჰე-	ჰეჰე-ჩ (I, II პ.)	„ვცემ“	ჰეჰ-ატ	„არ ვცემ“
აწწე-	აწწე-ჩ (I, II პ.)	„ვხედავ“	აწწ-ატ	„არ ვხედავ“
ჩახ-	ჩახ-ჩო (I, II პ.)	„ვწერ“	ჩახ-ატ	„არ ვწერ“
აოხ-	აოხ-ჩო (I, II პ.)	„ვყიდულობ“	აოხ-ატ	„არ ვყიდულობ“
ხულ'-	ხულ' (III პ.)	„სვამს“	ხულ'-ატ	„არ სვამს“
ნგს-	ნგს-ჩო (I, II პ.)	„ვამბობ“	ნგს-ატ	„არ ვამბობ“
აეჰ-	აეჰ (III პ.)	„ვარდებ“	აეჰ-ატ	„არ ვარდებ“
აწლ'-	აწლ'-ჩო (I, II პ.)	„ვაერთებ“	აწლ'-ატ	„არ ვაერთებ“
აოკოლ-	აოკოლ-ჩო (I, II პ.) ²	„ვაგროვებ“	აოკოლ-ატ	„არ ვაგროვებ“

¹ სიმარტივისათვის I და II პირის ფორმები ქართულად I პირით ითარგმნება.

² ერთი ჩემი ინფორმატორი მიმტკიცებდა, აოკოლ-ჩო („ვაგროვებ“) და მისთანა აწმყო დროის ფორმები ცალკე ჩვეულებრივ არ იხმარება, არამედ მხოლოდ აღწერით ფორმებში (ნამყ. უწყვ. აოკოლ-ჩო ზუყურ „ვაგროვებ-დი...“) ვიყენებთ. ე. ბოკარევი მას აწმყო დროის მოკლე მიმღობად თვლის [ბოკარევი 1959 : 53]. ეს ფორმა არც ი. ისაყოსა და მ. ხალილოვს შეუტანია ზმნურ პარადიგმებში [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 277], თუმცა ახლახან გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში [ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 204], ე. ბოკარევის ანალოგიურად, **-ჩო** სუფიქსიან ფორმებს აწმყო დროის მოკლე მიმღობებად მიიჩნევენ. ე. ლომთაძეს და ჰ. ვან დენ ბერგს იგი აწმყო კონკრეტულის ფორმად მიაჩნიათ [ლომთაძე 2000 : 84-88; ვან დენ ბერგი 1995 : 83-84].

საგულისხმოა, რომ ზემომოყვანილი ყოველი პირის ფორმა გაბმულ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში ფართოდ გამოიყენება: საკ. ბეჟ.: დილ **მაცცა** დიფე ქიდ [ლომთ. 2003 : 143] „მე მიყვარს ჩემი გოგო“, მი დილ **მაცცა** „მე შენ მიყვარხარ“, ჰაჲდა კოვაკო სუკო ხეხსა ბოცდოლ'ცა [ლომთ. 2003 : 130] „თვალეზადმყოფი კაცი მალე ბრმავდება“, ვოდაბაცას ჰალტეჟი **ბაცცას** „მოწაფეები შრომობენ“, ჰასას ცაჟაბერა ჰინ'ჰო **განჩო** [ლომთ. 2003 : 185] „ცის არწივი საშიში არ არის“, ბეთა სი-ბორა მეხ **ბაჟილ'ჩა** „შემდეგ შემოდგომისას ამინდი („დრო“) ცივდება“, დო **ცეტეჟი** ცალ'საჰ [ლომთ. 2003 : 156] „მე მივდივარ სოფლიდან“, სიმინდი ჰენ'ხ ბიყოს [ლომთ. 2003 : 137] „სიმინდი ჩქარა მწიფდება“, ისტი **ბონას** შუგო (კაბ.) „ძმა ყიდულობს ცხენს“, დილ **რეგან** ტეჟ (ტლად.) „მე ვხედავ წიგნს“, დიფე ყამი **კოკოცას** (ტლად.) „მე თავი მტკივა“...; ჰუნზ.: დნ **კიშან**, მან კიშ (ნაჰ.) „მე (სადაც) ვთამაშობ, შენც ითამაშე“, „...ილბისლიგონ ნესან მნ დნ **იტეჟი**“, ლ'ე ნესან ლი [ვან 1995 : 160, 2] „დემონს თუ უთხარი, შენ მე მოგაკვლევინებ“ — უთქვამს; კოტ-კოტტუ გემუ ლიდერუ ბატ-ბატიჲაბ ჟო რუჟა **რიყე** ჟე [ვან 1995 : 179, 8] „ძალიან კარგი გემოს მქონე სხვადასხვა რამის კეთება იციან ახლა“, დიჟი **მაწა** შუგუ „მე ვხედავ ცხენს“, ჰონ'ჟე, „შიჲო **ნეს**, შიჲო **ნეს?**“ ლ'ე ნესან ლი [ვან 1995 : 165, 10] მაშ, „რას ამბობს, რას ამბობს?“ — უკითხავს; „ცადამ ზნდლო, გიშოკ, ზნდინ ჩოდ, თუფი **ტუტ-ჩო**“¹ ლ'ე ნესანლი ბოლ'უ ოჟდილ [ვან 1995 : 223,8]. „თუ ადამიანი ხარ, გამოდი (გარეთ), თუ არა, თოფს გესვრი“ — უთქვამს იმ ბიჰს“ და მრ. სხვ.

¹ საცნაურია, რომ ბოლო წინადადებაში დადასტურებულ აწმყო ძირითადის ფორმას (ტუტჩო „ვისვრი“, „გესვრი“) აშკარად მყოფადის გაგება აქვს.

7.8.4.2. **აწმყო ზოგადი.** მართალია, აწმყო ზოგადი რეგულარულად მარტოოდენ ჰუნზიბური დიალექტისთვის არის ნიშანდობლივი, თუმცა სპორადულად საკუთრივ ბჟიტური დიალექტის ხაშარხოტულ და ტლადალურ კილოკავებშიც მოგვეპოვება.¹

ყურადღებას იქცევს სპეციალურ ლიტერატურაში აწმყო ზოგადის სხვადასხვაგვარი გაგება და, აქედან გამომდინარე, მის შესახებ გამოთქმული რელიეფურად განსხვავებული თვალსაზრისები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა აწმყო ზოგადი (**resp.** ზოგადი დრო) ნამყო დროის შინაარსს არ გადმოსცემს და ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ აორისტად² [შდრ. ვან დენ ბერგი 1995 : 84].

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰ. ვან დენ ბერგი აწმყო ზოგადს აორისტის სახელით შეცდომით მოიხსენიებს, თუმცა აწმყო ზოგადის მისეული განმარტება მართებულია და სათანადო მაგალითებიც სწორად არის ნათარგმნი [ვან დენ ბერგი 1995 : 84-85].

მაშასადამე, აწმყო ზოგადი ჰუნზიბურ დიალექტში იწარმოება ზმნის სადა ან მოდიფიცირებული (ხმოვანმოკვეცილი) ფუძისაგან **-Ø/-ჩ/-ჩ³ / -ႁ** სუფიქსის დართვით. ნულოვანი მორფემით (**-Ø**) წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ზმნის ფუძე გრძელი ხმოვნით (**-V#**) ბოლოვდება [ვან დენ ბერგი 1995 : 84].

¹ ტლადალურ კილოკავში მას ადასტურებს ე. ბოკარევი და მას ზოგად დროს უწოდებს, რადგანაც, მისი ინტეგრეტაციით, ყველა დროის გაგებას შეიცავს [ბოკარევი 1959 : 104; მის შესახებ იხ. ლომთაძე 2000 : 97]. ანალოგიურ (**ნისაღრო** ტიპის) ფორმებს ხაშარხოტულ კილოკავში ადასტურებენ მ. ხალილოვი და ი. რამაზანოვი, რომლებიც, ე. ბოკარევისაგან განსხვავებით, მათ ნამყო უწყვეტლის დროით თარგმნიან [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 79].

² აორისტი, როგორც ცნობილია, გამოხატავს ნამყო დროში ზოგად-ასპექტობრივი მოქმედების დასრულებულობას [ჩიქობავა, 2008 : 210; ჭაბაშვილი 1989 : 47; ლელ 1990 : 37], ამიტომ აორისტი, პირდაპირი გაგებით, ნამყოში მომხდარ დასრულებულ მოქმედებასთან შეუთავსებელია.

³ ე. ლომთაძეს აწმყო ზოგადისა და მყოფადის დროები აღრეულად აქვს წარმოდგენილი [ლომთაძე 2000 : 97-108, შდრ. ბოკარევი 1959 : 52-57]. სინამდვილეში ნგს-ჩ („ამბობს ხოლმე“, „იტყვის“) აწმყო ზოგადის ფორმაა, ხოლო ხულ'ჩ-რ („დალევს“) — მყოფადი დროისა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმათა შორის ფუნქციურ-სემანტიკური სიახლოვე ხელშესახება.

რაც შეეხება ხაშარხოტულ კილოკავს, ზოგადი დროის (აწმყო ზოგადის) მნიშვნელობით ადასტურებენ **ნისაარო** („ამბობს“, „იტყვის“) ტიპის ფორმებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად ითარგმნება და სხვადასხვა მკვლევართან სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა [ბოკარევი 1959 : 52-57, 104; ალექსევი 1988 : 163-164; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 79; შდრ. ლომთაძე 2000 : 103-108]. საილუსტრაციო მაგალითები სქემატურად:

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სქემა 22. ნამყო უწყვეტლის შინაარსის შემცველი ფორმები

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
ნის-	ნის-აარო	„ამბობდა“ ¹
დეგ-	დეგ-აარო	„ხედავდა“
დონ ^ე -	დონ ^ე -აარო	„მოდიოდა“
ნილ ¹ -	ნილ ¹ -აარო	„აძლევდა“
ზუყ-	ზუყ-აარო	„არსებობდა“
დე ^ნ ტხ-	დე ^ნ ტხ-აარო	„მიდიოდა“
დოტ-	დოტ-აარო	„აკეთებდა“
დუწ-	დუწ-აარო	„ყვავდა“

¹ ხაშარხოტულსა და ტლადალურ კილოკავებში ამგვარი ფორმები ნამყო უწყვეტლის შინაარსს შეიცავენ და მოკლებულნი არიან აწმყოსა და მყოფადის გაგებას [ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 79; შდრ. ბოკარევი 1959 : 104]. ამის გათვალისწინებით, მათი მიჩნევა აწმყო ზოგადად (*resp.* ზოგად დროდ) ძნელად გასაზიარებელია [იხ. ლომთაძე 2000 : 104; მადიევა 1965 : 124].

ბ. პუნჯიბური დიალექტი

სქემა 23. აწმყო ზოგადის უფლოლების პარადიგმა

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
აქუ-	აქუ-რ	„ჭამს ხოლმე“	აქუ-ო-ას	„არ ჭამს ხოლმე“
აქუ-	აქუ-რ	„ხდება ხოლმე“	აქუ-ო-ას	„არ ხდება ხოლმე“
აილ-	აილ-რ	„მდერის ხოლმე“	აილ-ო-ას	„არ მდერის ხოლმე“
აქუ-	აქუ-რ	„აქეთებს ხოლმე“	აქუ-ო-ას	„არ აქეთებს ხოლმე“
აატი-	აატი-რ	„უნდა ხოლმე“	აატი-ო-ას	„არ უნდა ხოლმე“
ააწ-	ააწ-რ	„ვხედავ ხოლმე“	ააწ-ო-ას	„არ ვხედავ ხოლმე“
აკე	აკე-რ	„ვცემ ხოლმე“	აკე-ო-ას	„არ ვცემ ხოლმე“
ჩახ-	ჩახ-რ	„წერს ხოლმე“	ჩახ-ო-ას	„არ წერს ხოლმე“
ქახ-	ქახ-რ	„ვიფხან ხოლმე“	ქახ-ო-ას	„არ ვიფხან ხოლმე“
კოდნ-	კოდნ-	„სწავლობს ხოლმე“	კოდნ-ო-ას	„არ სწავლობს ხოლმე“
ა'ლ'დნ-	ა'ლ'დნ-	„ხერხუტს ხოლმე“	ა'ლ'დნ-ო-ას	„არ ხერხუტს ხოლმე“
ნგლ'-რ	ნგლ'-რ	„იძლიევა ხოლმე“	ნგლ'-ო-ას	„არ იძლიევა ხოლმე“

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე წინადადებას: ოლ'ულ ქექ **ილ'რ** „ის სიმღერას მღერის (ამბობს) ხოლმე“ [ვან 1995 : 84], აჰმად უტალ' **ხონ'რ** (ისაყ., ხალილ. 2001 : 273) „აჰმედი ძილში ხვრინავს“, მისქინ სუკუ ალაჰლინ **ატოხს** „საწყალი კაცი ღმერსაც არ უნდა“, აწყერ სუკუ ჰონსუნდნ თოფი ტუტა **უუგლოხს** „ომიდან დაბრუნებულ კაცს თოფის სროლა არ ესწავლება“, ჰანდ ჰანად მაცან **ბაცოხს** „სისხლი სისხლით არ იწმინდება“, მადანლ'ერუ ჰენი **რუჟრ** „მოედანივით გზებს აკეთებენ“, ყნრა ისკოლალრ **კოდნ** [ლომთ. 2000 : 105, 24] „ბავშვი სკოლაში სწავლობს“, „რაჰა, ხაბარლა ნიდა“, ლ'ე ნგსან ლი. „ნიდრ“, ლ'ე ნგსან [ვან 1995 : 169, 1) „მოდი, ამბები მომიყვიო“ — უთქვამს. „მოვიყვებო“ — მიუგია“¹ და მრ. მისთ.

7.8.4.3. **მყოფადი დრო.** ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტში დასტურდება სემანტიკურად აწმყო ზოგადთან ახლომდგომი ფორმები, რომლებიც ნაწარმოები ჩანს აწმყო ზოგადის ფორმისაგან **-რ** სუფიქსის დართვით. ამ ორ დროულ ფორმას შორის შინაარსობრივი სიახლოვეც, რაც საგანგებოდ აღინიშნება [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 273-274], სწორედ ფუძეთა ერთობით უნდა იყოს გამოწვეული. აწმყო ზოგადს, როგორც უბნობის მომენტში მიმდინარე ზოგად დროს, მყოფადის გაგებაც მოეპოვება, რომელიც მყოფადში შესაძლებელ მოქმედებად ვრცელდება, მაგრამ მყოფად დროს აწმყოს გაგება ჩვეულებრივ არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მათი სემანტიკური ურთიერთგადაჯაჭვაც საწარმოებელ ფუძეზე ჩანს დამყარებული, რადგანაც სუფიქსად ნამყო ძირითადის ფორმანტი (**-რ < -რო**) მოუღის და არარეგულარული გამოყენების ტლადალურ ფორმებთან გენეზისურად ჩანს დაკავშირებული [იხ. ლომთაძე 2000 : 103-104].²

¹ ბოლო წინადადებაში აწმყო ზოგადის ფორმას მყოფადის მკაფიოდ გამოხატული სემანტიკა აქვს, რაც, ბუნებრივია, აწმყო ზოგადი მყოფადის შინაარსსაც ითავსებს.

² ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ საკუთრივ ბეჟიტური დიალექტის ხაზარხოტულსა და ტლადალურ კილოკავებში აწმყო ზოგადის გაგება დაჰკისრება მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მთლიანად მოშლილა. ამ კილოკავებში დადასტურებულ ისეთ ფორმებში, როგორიცაა **ნილ'-ად-რო** („აძლევს ხოლმე“), **როხ-ად-რო** („იღებს ხოლმე“) **-რო** აორისტის ნიშანია, ხოლო **-ად (> -ა/ > -ო)** კი — აწმყო ზოგადის ოდინდელი ნიშანი [იხ. იმნაიშვილი 1963 : 174-177].

მყოფადის უარყოფითი ფორმები ჰუნზიბურში, აწმყო ზოგადის სათანადო ფორმათა ანალოგიურად, **-ის** სუფიქსით იწარმოება, რაც ერთხელ კიდევ ნათელყოფს ამ დროულ ფორმათა სიახლოვეს, მაგ.: **რუჰლო**-ის მწ „შენ ვერ გატეხ“, უაღლ უაღს მრგრ **ბახელოდ** [ვან 1995 : 148] „ძალი ძაღლის ტყავს არ დახევეს“, ბწლწ რიჟეჟ ხო ნუჟურუ სუკუ ნიშე **იწხოხოდ** „სწორედ ეს ბევრი ხორცის მჭამელი კაცი ამდამ ვერ გადარჩება“, მე ჰუნდუ ბუჟედ, დგ ნოდს „თუ შენ შეშას მოჭრი, მე არ მოვალ“.

რაც შეეხება საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტს, მყოფადი დროის საკუთარი გრამატიკული ფორმა მას არ მოეპოვება და ამ დროის გადმოსაცემად იყენებს აწმყო კონკრეტულს ან ინფინიტივის ფორმას [ბოკარევი 1959 : 102; ლომთაძე 2000 : 104-108]. მართალია, ბეჟიტურ დიალექტში სპორადულად გვხვდება ჰუნზიბურში მყოფადი დროის რეგულარული ფორმების (ნგსწ-რ „იტყვის“...) შესატყვისი ოდენობანი (ეწტაჲ-რო „დადიოდა ხოლმე“...), მაგრამ მათ უფრო ნამყო უწყვეტლის შინაარსი აქვთ. საილუსტრაციო მაგალითები:

სქემა 24. მყოფადი დროის ფორმათა წარმოება

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი		ჰუნზიბური დიალექტი		
ზმნის ფუძე	მყოფადი დრო	ზმნის ფუძე (აწმყო ზოგადი)	მყოფადი დრო	ლექსიკური მნიშვნელობა
ნილ'-	ნილ'-ალ/-ა	ნელ'-რ ¹	ნელ'რ-რ	„მისცემს“
დეტაე-	დეტაე-ალ/-ა	დე ^ნ ტაე-რ-	დე ^ნ ტაე-რ	„წავალ“
დატ-	დატ-ალ/-ა	დატ-რ-	დატ-რ-რ	„შეიყვარებს“
ტუტ-	ტუტ-ალ/-ა	ტუტ-რ-	ტუტ-რ-რ	„ესვრის“
დაყე-	დაყე-ალ/-ა	დაყ-რ-	დაყ-რ-რ	„მოიტანს“
დრ-(^ა დოჟ-)	დოჟ-ალ/-ა	დოჟ-რ-	დოჟ-რ-რ	„გააკეთებს“
დუჯ-	იუჯ-ალ/-ა	დუჯ-რ-	დუჯ-რ-რ	„შეჭამს“
ჩახ-	ჩახ-ალ/-ა	ჩახ-რ-	ჩახ-რ-რ	„დაწერს“

საკ. ბეჟ.: გრდა, **მეტალ** ყარალიდაცა „თუ მოხვალ, წავალთ ყვარელში“, დულ დო ბისსუნ კეტო ლ'ანი ენ^ნდოს ქიდნა **ნილ'ალ** [ლომთ. 2000: 105, 7] „შენ მე სამთაგან ყველაზე კარგ ქალიშვილს მოგცემ“, ჰოლო ბოწი ცილუ **მუხალ** [ლომთ. 2000: 105, 11] „იმ ცხვარს ჩვენ დაგკლავთ“...; **ჰუნზ.**: ტენ^ნ როხნდონ, ბედონ ოქრო **ნელ'რ** „წიგნი რომც არ იყიდო, ფულს მაინც მოგცემ“, ურღე-ლიდ მარუჟან **რექრ** „ნაღველით მთებიც დაიშლებიან“, მესედ რრგჟ მესედ **როჯრ** „ოქრო ნაკელშიც ოქრო იქნება“, ე^ნტაეჩ დიდან სგდ ცადამლიგ ნესალან ლი, „დნ ჰგ^ნდნ უჰრრ?“ [ვან 1995 : 162, 5]. „მიდის რა ერთ კაცს ჰკითხა: — „მე როდის მოგკვდები?“ ცოლ'უდ ჰინ^ს რელ', კიმა, თივერნ **დურ** [ლომთ. 2003 : 296] „მისი რძისგან ერბო, ყველი, მაწონი კეთდება (გაკეთდება?)“ და მრ. სხვ.

¹ ჰუნზიბურ დიალექტში მყოფადი აწმყო ზოგადის ფორმას ემყარება და ამიტომ ფუძედ გამოყენებული ფორმა ყოველთვის ხმოვანზე დასრულებული იქნება.

7.8.4.4. **ნამყო ძირითადი.** ნამყო ძირითადი (აორისტი), რომლის საშუალებით გამოხატული დასრულებული მოქმედება წინ უსწრებს საუბრის მომენტს, იწარმოება უშუალოდ ზმნური ფუძისაგან **-რო/-ლო** (ხაშ., ტლად.), **-ოლ/-ოლ**, **-ლო** (< **-რო**), **-ᄀ** (კაპ.), **-რ** (ჰუნზ.) სუფიქსებით [შდრ. ბოკარევი 1959: 102-103; მადიევა 1965 : 119-120; ვან დენ ბერგი 1995 : 84; ხალილოვი, რამაზანოვი 1992 : 79; ისაყოვი, ხალილოვი 2012 : 187].¹

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აორისტის უარყოფითი ფორმები იწარმოება **-ე** თემატურხმოვნიან ზმნურ ფუძეზე **-ცე** სუფიქსის დართვით, რომელსაც, თავის მხრივ, კაპუჭურ და ხაშარხოტულ კილოკავებში დაერთვის ნამყო წყვეტილის ოდინდელი მაწარმოებლები [ლომთაძე 2000 : 255; შდრ. ბოკარევი 1959 : 106].

ტლადალურ კილოკავში ბოლოკიდურად **-ს/-შ** დანართი არ შეიმჩნევა და ზოგჯერ უარყოფითობას ოდენ **-ც** აწარმოებს. წმინდა აღწერითი თვალსაზრისით, რამდენადაც საკვლევ ენაში ეტეე-შ („წავიდა“) მოდელის ფორმები სინქრონიულად არ დასტურდება, უფრო მართებულია აორისტის უარყოფითი ფორმების სუფიქსად **-ცეს/-ცეშ** გამოიყოს [ხალილოვი 1995 : 406].

რაც შეეხება ჰუნზიბური დიალექტის აორისტს, იგი ნაწარმოებია **-ის** სუფიქსით, რომლის ხმოვნითი ელემენტი, როგორც წესი, გრძელი სახით არის წარმოდგენილი **-ის** (< **-იის**)². საილუსტრაციო მაგალითები:

¹ ამ შემთხვევაში აქტუალურად დგას ნამყო ღროის ფორმათა სეგმენტაციის პრობლემა და, აქედან გამომდინარე, ფუძისა და ფორმანტთა ჯეროვანი გამიჯვნის საკითხი.

² **ცო** (ჰუნზ.): **ცე** (საკ. ბეჟ.) სახესხვაობათა კორელაციისათვის [იხ. ლომთაძე 2000 : 259].

ა. საკუთრივ ბუქიტური დიალექტი
სქემა 25. აორისტის ფორმათა წარმოება

ზმნის ფუძე	ლადენტის ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	ზმნის ფუძე	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
აილ'ა- II აილ'ა-	აილ'ა-აი II აილ'ა-შ	აილ'ანა	აილ'ა-ე	აილ'ა-აეს	აილ'ანა
აუყო-	აუყო-აი	აიყო	აუყო-ე	აუყო-აეს II აუყო-ს	აიყო
აული-	აული-აი	აიკვდა	აული-ე	აული-აეს	აიკვდა
აეაე-	აეაე-აი	აიყაყადა	აეაე-ე	აეაე-აეს	აიყაყადა
აელი-	აელი-აი	აიჩუბა	აელი-ე	აელი-აეს	აიჩუბა
ჩახი-	ჩახი-აი	აიჩაჩა	ჩახი-ე	ჩახი-აეს	აიჩაჩა
აეტი-ე-	აეტი-ე-აი	აეტი-ე-ადა	აეტი-ე-ე	აეტი-ე-აეს	აეტი-ე-ადა
აიწყო-	აიწყო-აი	აიძოვა	აიწყო-ე	აიწყო-აეს	აიძოვა
აწ-	აწ-აი	აგააკეთა	აწ-ე	აწ-აეს	აგააკეთა
თუკი-	თუკი-აი	აიკვდა	თუკი-ე	თუკი-აეს	აიკვდა
ნისი-	ნისი-აი	აიკვდა	ნისი-ე	ნისი-აეს	აიკვდა
ააჭი-	ააჭი-აი	აიკვდა	ააჭი-ე	ააჭი-აეს	აიკვდა
აუტი-	აუტი-აი	აიკვდა	აუტი-ე	აუტი-აეს II აუტი-ს	აიკვდა
ბუტი	ბუტი-აი	აიკვდა	ბუტი-ე	ბუტი-აეს II ბუტი-ს	აიკვდა
ბული-	ბული-აი	აიკვდა	ბული-ე	ბული-აეს II ბული-ს	აიკვდა

¹ თუკე (არ მოესმა) ტიპის ფორმები ჩვეულებრივ ცოცხალი მეტყველებიდან არის ნიშნობლივო და უფრო ახალგაზრდა თაობის მეტყველებს ახასიათებს.

² ბარალექსურ ფორმათა გამოყენება ორდინარული მოვლენაა.

ბ. პუნჯობული დიალექტი

სქემა 26. აორისტის ფორმათა წარმოება

ზმნის ფუძე	დადებითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა	ზმნის ფუძე	უარყოფითი ფორმები	ლექსიკური მნიშვნელობა
ზუყუ-	ზუყუ-რ	-იყო	ზუყი-	ზუყ-რს	..არ იყო
ბუტი-	ბუტი-რ	-გააკეთა	ბუტი-	ბუტი-რს	..არ გააკეთა
ბუჭუ-	ბუჭუ-რ	-მოკვდა	ბუჭი-	ბუჭ-რს	..არ მოკვდა
ბეტიყ-	ბეტიყ-რ	-ნააწრო	ბეტიყი-	ბეტიყ-რს	..არ ნააწრო
ჭეხი-რაცუ-	ჭეხი-რაცუ-რ	-ჩაგვარდა	ჭეხი-რაცუ-	ჭეხი-რაც-რს	..არ ჩაგვარდა
ძეტიყე-	ძეტიყე-რ	-წავიდა	ძეტიყი-	ძეტიყ-რს	..არ წავიდა
ძაწუ-	ძაწუ-რ	-დაინება	ძაწუი-	ძაწუ-რს	..არ დაინება
ნელუ-	ნელუ-რ	-მოშტა	ნელუ-ი-	ნელუ-რს	..არ მოშტა
ბუჭე-	ბუჭე-რ	-გაჭრა	ბუჭე-	ბუჭე-რს	..არ გაჭრა
ბუტი-	ბუტი-რ	-გააკეთა	ბუტი-	ბუტი-რს	..არ გააკეთა
გბლუ- (I კლ.)	გბლუ-რ	-დალო	გბლი-	გბლ-რს	..არ დალო
გილე- (II კლ.) გილუ- (III კლ.)	გილე-რ გილუ-რ	-დააწვინა	გბლი- გილი-	გბლ-რს გილი-რს	..არ დააწვინა
ბუტი-	ბუტი-რ	-დაიძინა	ბუტი-	ბუტი-რს	..არ დაიძინა
ბატი-	ბატი-რ	-მოუწდა, - შეუყვარდა	ბატი-	ბატი-რს	..არ შეუყვარდა

სათანადო წინადადებები დიალექტების მიხედვით: საკ. ბეჟ. მუჯნა, მუჯნა, **ბოლ'ორო** (ტლად.) „ვჭამე, ვჭამე და გათავდა“, არად ილე არშოყ **ზუყაყორო** [ბოკ. 1959 : 103, 20] „უწინ ჩვენ კახეთში (არშოში — ნ. ა.) ვიყავით“, დო აჯად ქენ **ბოლლილო** [ლომთ. 2003 : 232] „მე ქალს საჭმელი გავაკეთებინე“, ბოშერო-შინაბ **მუხურო**, გამმო **ბულორო**, ზარალ **ბავირო** ჟამაჟათლილ [ლომთ. 2003 : 205, 65] „მსუქანი დაკვალით, გამხდარი მოკვდა, ხალხს ზარალი შეხვდა“, დო ქიბბალ **ალ'ოფოწიფო** [მად. 1965 : 120, 32] „მე გოგოს ჩავეხუტე“, ჰუგი რჟო **ეშეცეშ** „იმ ბიჭმა არ ჭამა“...; ჰუნზ. შუგულად მილალ' ტედრა **ნეცარ** (ნაჰ.) „ცხენს კუღზე ვედრა დაკიდეს“, რეყყუ ნუჯი-ხული **ზუყურ** (ნაჰ.) „დიდი სმა-ჭამა გაიმართა („იყო“)“, ცაბულ ჰუნდუ ბუჭადიფა **ბადბინ'ილ ბუორ** (ნაჰ.) „მამამ შეშის ჭრა დაიწყო“, დგ **ტალ'ერ**, ბედო კიმა **რუორ** (ლარ.) „მე მოვწველე, შემდეგ ყველი გავაკეთე“, ონს ბეყა-ჩოს სუკუ **გნს** (ნაჰ.) „ხარის მომყვანი კაცი ვერ ვიშოვე“, ქაჩუ დუნიალ მაწან ლო, ბოცო **მეტაერ...** (ნაჰ.) „ნათელი ქვეყანა იხილა, თვე გავიდა...“, აზდუ ბეგელატო **ჰინჯერ**, ლ'იმმო რორჩტო **ჰინჯორ** (ანდაზ.) „(ვისაც) ზაფხულში გველისა შეეშინდა, ზამთარში საბლისაც შეეშინდება“, დიბი **რატნს**, სუკუ რუტყყო (ანდაზ.) „შენი უნდომელი (რაც არ მოგეწონა) სხვას არ გაუკეთო“, ქიბბალლო დიცი კეკე **ნელ'არ**, კეკე დგ გუდონ **ჭალ'ერ** [ვან 1995 : 144] „გოგოებმა ბიჭონი¹ მომცეს, ბიჭონი მე ქათამს დავუბნიე“, დო ზოკოლოდერუ ხონსტო ტოდო **ცეტაერ** [ლომთ. 2003 : 332] „მე სოკოიან ხეზე ზედ ავხტი“ და ა. შ.

7.8.5. **დროთა ანალიზური ფორმების წარმოება.** აღწერი-
თად ნაწარმოები ფორმები, როგორც ცნობილია, ორი ზმნური
ფორმის შეთანხმებით წარმოიქმნება. ანალიზურ ფორმათა ყალი-

¹ ბიჭონი — მოხალული ხორბალი.

ბები მეტწილად ამგვარია: **მიმღეობა** (resp. **აბსოლუტივი**) + **მეშველზმნა**. გვხვდება ისეთი მოდელიც, რომელშიც შესიტყვების ორივე კომპონენტი ზმნის დროული ფორმაა (ნამყო უწყვეტელი).

მეშველზმნა **ზუყა** („ყოფნა“), **გეჲ** (საკ. ბეჟ.), **ლო, ლი** (ჰუნზ.) („არის“) დროთა მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნას წარმოადგენს¹ და აღწერით ფორმათა წარმოებაში ფართოდ გამოიყენება. მისი ნაკვთები სქემატურად ასე გამოიყურება:

¹ როგორც ენათა ტიპოლოგია ცხადყოფს, მეშველზმნებს მეტწილად სუბლექტიური სტრუქტურა მოეპოვებათ (შდრ. ქართ. „არის“ — „იყო“ — „იქნება“...).

სქემა 27. მეშველზმნათა უღვლილების პარადიგმები

ნაკვთები	საკლთრიგ ბეჭდური დიალექტი		ჰენზიბური დიალექტი		ლექსიკური მნიშვნელობა
	მეშველი ზმნა		მეშველი ზმნა		
	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	დად. ფორ.	უარყ. ფორ.	
ინფინტივი	ზეყალ (მრ. ზე-ტა-ყალ)	—	ზეყა	—	„ყოფნა“, „არსებობა“
ნამყო ძირითადი	ზეყო-რო, ზეყრ	ზეყაყე-ს/მ, ზეყაყე ¹	ზეყურ	ზეყაჲს	„იყო“ — „არ იყო“
ნამყოს აბსოლუტ.	ზეყო-ნა	ზეყაჲჲ	ზეყაჲ-ნ	ზეყა-იტო	„იყო რა“ — „არ იყო რა“
ნამყო შედგენილობითი	ზეყონა გეგული / გელ ¹ ზეყონა-ჲ	ზეყონა გა-ჲე / გჲე	ზეყაჲ-ნ ლო / ლი	ზეყაჲ-ნ გეგ/გეჩ	„იყო“ — „არ იყო“
წინარე ნამყო	ზეყონა ზეყო-რო	ზეყონა ზეყაყე-ს	ზეყაჲ-ნ ზეყურ	ზეყაჲ-ნ ზეყაჲს	„ყოფილა“ — „არ ყოფილა“
აწმყო ზოგადი	—	—	ზეგე-ჩ ბეგე-ჩ	ზეგე-აჲს ბეგე-აჲს	„არსებობს“ — „არ არსებობს“

¹ კოლოკაციების მიხედვით განსხვავებული ვარიანტები.

აწყო კონკრეტ.	გეჲ, გავჲ, გეჲ გავჲ	გეჲ, გავჲ, გეჲ გავჲ	ლო / ლი	გოჲ, გოჲ!	„არიჲს“ — „არ არიჲს“
მყოფადი	ზეყალ II ბაჲალ	ბაჲ-სა-ჲ ოჲჲ-არ	ზეყა II ზედჲრ II ოჲჲ-არ	ზელო-ას II ოჲჲ-ას	„იჲნება“, „მოხდება“ — „არ იჲნება“, „არ გახდება“
აწყო მიმღეობა	მელცა-ს	მელ-ლო, გაჩო	ლიდერ-უ, ლიდერ-უ	გოს-უ	„არსებუღი“ — „არარსებუღი“
ნამყოფ მიმღეობა	ზეყო-რო	ზეყე-ჲ-ს	ზეყურ-უ	ზეყეს-უ	„ნამყოფი“ — „არნამყოფი“
ბრძანებითი	ზეყა! II ზოდლა!	ზეყა-ჲ! / -ჲა-ჲა / -ჲა-ჲა	ზეღ! ზუჲ!	ზეყეჲ-ყო!	„იყავი!“ — „არ იყო!“
პირობითი კოლო	გაღ-და, მელ-და! II ზოდ-და	მელდა გაჲა	ლი-ტო / ლი-ტო, ლი-ტო, ლი-ტო-ნ ზეყურ-ჲა-ჲა-ჲა-ჲა	ზეყა-ს-ჲა-ჲა-ჲა	„ათუ არიჲს“, „რომ იყოჲს“ — „რომ არ იყოჲს“
პირობით- ნატვრითი კოლო	ზეყა-ლა	ზეყა-ჲა-ლა	ზეყო-ბ II ზედო-ბ	ზეყეტ გროლო-ბ II ზეღი-ტ გოლო-ბ	„რომ ყოფილიყო“ — „რომ არ ყოფილიყო“

¹ მძიმით გამოყოფილი ერთეულები კოლოკათა მონაცემბია. ამასთანავე, გ. მაღივა აწყო დროის მეშველზმნათფს (გეჲ „არიჲს“) მოლიანი პარადიგმა მოჲყავს, მაგამ **ზოდალ** (1. „მდებარეობა“, „აღმოჩენა“; 2. „არსებობა“) სულ სხვა ძირის ზმნა ჩანს, მეშველზმნის ფუნქციით გამოყენებული, შდრ. ჰუნზ. ზელა ("id") [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 99].

7.8.5.1. **აწმყო კონკრეტულის ფორმები.** აწმყო კონკრეტული ორსავე დიალექტში ერთნაირი ყალიბისაა: აწმყო დროის მიმღეობა + მეშველი ზმნა (კაპ. **გემ**, ხაშ. **გალ'ი**, ტლად. **გელი**, ჰუნზ. **ლო, ლი** „არის“). ამ მოდელის აწმყო კონკრეტული გამოხატავს ლაპარაკის მომენტში მიმდინარე ისეთ მოქმედებას, რომელიც, მარტივი აწმყო დროისაგან განსხვავებით, მოკლებულია მყოფადის გაგებას [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 328; შდრ. მაღიევა 1965 : 121; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 272], მაგ.: საკ. ბეჟ. მი ნადაჲს **გოცას გელ?** „შენ საიდან მოდიხარ (ზედმიწ. „მომავალი ხარ“)?“ მჭახს ლ'ი **აოწყოცას გემ** (კაპ.) „მთიდან წყალი მოდის (ზედმიწ. „მომავალი არის“); ტიმატას რჷრ **ექცას გემ** „ხიდიდან ვაჟი ვარდება“...; ჰუნზ. ქიდბოლ ქექჷ ილ'ეჩოს ლო [ვან 1995 : 102, 17] „გოგონა სიმღერას მღერის“, (ზედმიწ. „სიმღერის მთქმელი არის“). რბუ **აჰდაჩოს ლო** [ისაყ., ხალილ. 2001 : 272] „მამა მუშაობს (ზედმიწ. „მომუშავე არის“); ჰობოლ **აწყეჩოს ლო** ილღჷ [ბოკ. 1959 : 53, 23] „სტუმარი მოდის ჩვენთან“, დგ ბადრიჷან **ნესგჩოს ლო** [არდ. 2009 : 122, 29] „მე პამიდორს ვყიდი (ზედმიწ. „გამყიდველი ვარ“)" და სხვ. მრ.

შესაბამისი დროის უარყოფით ფორმათა წარმოებისას პირველი კომპონენტი (მიმღეობა) იგივე რჩება, ხოლო მეორე კომპონენტი (მეშველზმნა) უარყოფითი ფორმით იცვლება, მაგ.: ადამ **აჷლოცას გაჷჷ** „ადამიანი არ კვდება („მომკვდომი არ არის“); აბო **აოწყოცას გაჷჷ** (ხაშ.) „მამა არ მოდის („მომავალი არ არის“); ჭალილ ჰალტი **ბუჷჷორ გოჷჷ** (ჰუნზ.) „ალი საქმეს არ აკეთებს“...

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: აღწერითი ფორმის კომპონენტთა შეხამება არის ისეთი მყარი, რომ მეშველი ზმნა მოკლებული იყოს სინტაქსურ დამოუკიდებლობას?

ჩვენი აზრით, აქ ხუნძურის ანალოგიური ვითარება გვაქვს. ეს ცხადი ხდება ბაზისურ გარდამავალ ზმნათა მიხედვით, რომლებიც ძირითად კომპონენტად არიან გამოყენებული [იხ. ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 329-330].

7.8.5.2. **ნამყო შედეგობითი.** ნამყო შედეგობითს სემანტიკურად ნამყო ძირითადად უთანაბრებენ [მაღიევა 1965 : 124], მაგრამ მათ შორის მაინც შეიმჩნევა განსხვავება. კერძოდ, გარდა სტატიკური ხასიათისა, რითაც იგი ნამყო ძირითადისაგან განირჩევა [ლომთაძე 2000 : 127], მას მოეპოვება თურმეობითისა და ნამყოს აბსოლუტივის მოდალური მნიშვნელობები. მისი უმთავრესი ფუნქცია არის გადმოსცეს საუბრის მომენტამდე განხორციელებული სრული ასპექტის მოქმედება. ეს დროული ფორმა მეტწილად დიდი ხნის წინ მომხდარი ამბების, ლეგენდების, ზღაპრებისა და მოთხრობების სტილისთვის არის დამახასიათებელი. ამიტაც ჩანს შეპირობებული ის ფაქტი, რომ იგი პირველ პირს გამორიცხავს [ვან დენ ბერგი 1995 : 101].

ნამყო შედეგობითი იწარმოება ძირითადი ზმნის ნამყოს აბსოლუტივის ფორმაზე დამხმარე ზმნის აწყოს ფორმის (საკ. ბეჟ. **გეჲ, გჷლი, გელი**, ჰუნზ. **ლო, ლი** „არის“) დართვით, რომელიც ფაქტობრივად აფიქსის ფუნქციას ასრულებს. მეტადრე ეს ითქმის ჰუნზიბურ დიალექტსა და ხაშარხოტულ კილოკავზე, რომლებშიც მეშველზმნის ბაზისურ ზმნასთან შეხორცების ტენდენცია იჩენს თავს. საილუსტრაციო მაგალითები:

სქემა 28. ნამყო შედეგობითის უღვლილების პარადიგმები

სკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
Øეტჲე-ნა გეჲ, გელი ¹	Øეტჲე-ნ-ლო	„წასულია“ (ზედმიწ. „წავიდა-რა არის“)
დეჩე-ნა გეჲ, გელი	დეჩე-ნ-ლო	„დამდგარია“
კოკო-ნა გეჲ, გელი	კოკო-ნ-ლო	„ავადაა“
ხულ'ო-ნა გეჲ, გელი	ხულ'უ-ნ-ლი	„დალეულია“
ტუტო-ნა გეჲ, გელი	ტუტუ-ნ-ლი	„ნასროლია“...

¹ მძიმით გამოყოფილი ერთეულები კილოკავთა მონაცემებია.

სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია არსებული წარმოების თავისებურება ხაშარხოტულ კილოკავში, რაც ფონეტიკური ტრანსფორმაციით არის ახსნილი [ლომთაძე 2000 : 131], მაგ.: დატნა-ქლ'ი (<*დატნა-გლ'ი < დატნა გპლ'ი) „შეყვარებულია“, ნისონა-ქლ'ი (<*ნისონა-გლ'ი < ნისონა გპლ'ი) „თქმულია“...

ტლადალურ კილოკავში ნამყო შედეგობითის პარალელური ფორმები გვხვდება: **ზუყონა გელი** || **ზუყონა-ჲ** „ყოფილა“ (პარონომაზიული გამოთქმა: ზუყალ **ზუყონაჲ** „ყოფნით ყოფილა“), **ზუყონაჲ** ზუყონაჲცე „იყო და არა იყო-რა“, **თეტენა გელი** || **თეტენა-ჲ** „წასულია“, **დეჩენა გელი** || **დეჩენა-ჲ** „დამდგარია“, **ხულ'ონა გელი** || **ხულ'ონა-ჲ** „დალეულია“ და მრ. მისთ.

შემომოყვანილი, **ჲ**-ით დასრულებული, ფორმები მეორეული ჩანს, ფონეტიკური ცვეთის შედეგად (**გელი** > **გეჲ** > **ჲ**) მიღებული. რაც უფრო მეტად არის მეშველზმნა შეკვეცილი და გამარტივებული, მით მეტია მისი ფუძეზმნასთან შეხორცების შესაძლებლობა, რის საფუძველზედაც **ხულ'ონაჲ** („დალეულია“) ტიპის ფორმებში იგი ფორმანტად არის გარდაქმნილი.

საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში ნამყო შედეგობითის უარყოფითი ფორმების წარმოებისას პირველი კომპონენტი უცვლელია, ხოლო მეშველზმნა უარყოფითი ფორმით იცვლება, მაგ.: ნილ'ნა-ცე || ნილ'ნა გპცე „არ მიცემულა“, **თენ^ნენა-ჲ** || **თენ^ნენა** გპცე „არ წასულა“...; ჰუნზ. ნგლ'ენ გოჩ „არ მიცემულა“, ბუჟონ გოჭ „არ გაკეთებულა“ და მრ. სხვ.

7.8.5.3. **ნამყო უწყვეტელი.** ნამყო უწყვეტელი იწარმოება ძირითადი ზმნის აწმყოსა და მეშველზმნის ნამყო ძირითადის ფორმათა შეხამებით. საილუსტრაციო მაგალითები:

სქემა 29. ნამყო უწყვეტლის უღვლილების პარადიგმები

სკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
ტოტო-ს ზუყო-მო	ტა ^ნ ტა-ჩ ზუყუ-რ	„ვჭირდი“
ბეჟე-შ ზუყო-მო	ბეჟე-ჩ ზუყუ-რ	„მიმქონდა“
დეტე-ჩ ზუყო-რო	დე ^ნ ტე ზუყუ-რ	„მიდიოდა“
დეშ-ჩა ზუყო-რო	დეშ-ჩო ზუყუ-რ	„ვჭამდი“
მე-ჩ ზუყო-რო	მე ^ნ -ჩ ზუყუ-რ	„ვგზავნიდი“
მუდო-ც ზუყო-რო	მუჰუ-ჩ ზუყუ-რ	„ვკვდებოდი“
გუ-ს ზუყო-მო	ნუ-ჩ ზუყუ-რ	„მოვდიოდი“

ქერხასო ქად **რუხელიშე ზუყორო** „ქერხასოს (პატარა წისქვილი) ხელით ატრიალებდნენ“, ბოლ'ონა **ბოც ზუყორო** [ლომთ. 2003 : 205] „ხნავდნენ კიდეც („ხვნაც კეთდებოდა“) მათი საშუალებით“...; ჰუნზ. მპ **ოაწაჩ ზუყურ** დურღიტე ეწეტე გზალაჩდიო „მე გხედავდი დურბინდით მდინარეში ბანაობისას“, დნ ცისკოლალნ **ცეტეჩ ზუყურ** [ლომთ. 2003 : 355] „მე სკოლაში დავდიოდი“, **...ბადაბეშიო ზუყურ** ბეჩედაბლა [ვან 1995 : 174, 9] „...ცხოვრობდნენ მდიდრები“, მუმულალ'ნო ხაბარ **მიდეჩ ზუყურ...** [ვან 1995 : 177, 9] „...მოგვიანებით ამბავს ყვებოდნენ“ და მრ. სხვ.

ყურადღებას იქცევს ჰუნზიბურ დიალექტში დადასტურებული **რუჟორ ზუყურ** („აკეთებდა“, შდრ. ხუნძ. ჰაბულაან "id".) ტიპის ფორმები, რომლებიც ე. ლომთაძეს ნამყო უწყვეტლის კუთვნილებად მიაჩნია [ლომთაძე 2000 : 115].

ჩვენი შეხედულებით, ამ რიგის ფორმები შეიძლებოდა **აწყო ზოგადის უწყვეტლის** ფორმებად მიჩნეულიყო, რადგანაც ისინი სწორედ ზოგად შინაარსს შეიცავენ და წარსულში განხორციელებული მოქმედების მრავალგზისობას გამოხატავენ [შდრ. ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 273], მაგ.: **ხულ'რ ზუყურ** „სვამდა ხოლმე“, **ბეჟ'რ ზუყურ** „ვარდებოდა ხოლმე“ და ა. შ.

საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში ნამყო უწყვეტლის უარყოფითობას ძირითადი ზმნის უარყოფითი ფორმა გამოხატავს, მეშველზმნა კი უცვლელია, მაგ.: ატაყას ზუყოფო „არ წვებოდა“, იყელაყას ზუყოფო „არ სწავლობდა“, რიყნ ზუყოფო „არ იცოდა“, რეგაჰაყ ზუყოფო „ვერ ვხედავდი“...

ჰუნზიბურ დიალექტში საპირისპირო ვითარება გვაქვს — ძირითადი ზმნა დადებითი ფორმით გვხვდება, მეშველზმნა კი — უარყოფითი ფორმით, მაგ.: კოდაჩ ზუყნს „არ სწავლობდა“, ნგღჩო ზუყნს „არ გაისმოდა“, თრწაჩ ზუყნს „ვერ ვუყურებდი“ და მისთ.

7.8.5.4. წინარე ნამყო. წინარე ნამყო, როგორც ცნობილია, გამოხატავს ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც წინ უსწრებდა აორისტსა და ნამყო მდგომარეობის [ლომთაძე 2000 : 135]. იგი ნაწარმოებია ბაზისური ზმნის ნამყო აბსოლუტივზე მეშველზმნის (**ზუყ-ალ** „ყოფნა“) ნამყო ძირითადის ფორმის დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. მიჯო-ნა ზუყო-რო „ნაპოვნი ჰყავდა“ (ზედ-მიწ. „იპოვნა რა იყო“), კოტაყო-ნა ზუტყაყო-რო „ავად იყვნენ“, ჰინლხო-ნა ზუყო-რო „დარჩენილიყო“, ტუტ-ნა ზუყო-ფო „ესროლა“...; ჰუნზ. როხო-ნ ზუყუ-რ „ნაყიდი გაქვს“, ბიტყენ ზუყუ-რ „წასული ვარ“, ჰეჰენ ზუყუ-რ „ნაცემი ჰყავს“ და მრ. სხვ.

ამავე დროის უარყოფითი ფორმების წარმოებისას მეშველი ზმნა უარყოფითი ფორმით (საკ. ბეჟ. ზუყე-ყე, ჰუნზ. ზუყ-ნს „არ იყო“) იცვლება, მაგ.: ბატყელ-ნა ზუყე-ყე „ნაცემი არ ჰყავს“, დეჩენ-ნა ზუყუ-ყე-ს „არ გაჩერდა“, ეტყენ-ნა ზუყე-ყე-ს „არ წავიდა“...; ჰუნზ. ტუტუ-ნ ზუყ-ნს „არ ესროლა“, ბიტყენ ზუყ-ნს „მოკლული არ ჰყავს“, ზგღნ-ნ ზუყ-ნს „ვერ იპოვა“, „ვერ იშოვა“ და ა. შ.

7.8.5.5. ნამყო განგრძობითი. ჰელმა ვან დენ ბერგი ჰუნზიბურ დიალექტში (მისეული კვალიფიკაციით, ენაში) გამოყოფს ნამყო განგრძობითს, რომელიც იწარმოება ძირითადი ზმნის ნამყო დროის მიმდევრობაზე მეშველზმნის (**ლო, ლი** „არის“) დართვით [ვან დენ ბერგი 1995 : 102], მაგ.: როხო-რ ლი „ნაყიდა“,

ილ'ერ-უ ლო „ნათქვამია“, დუჰურ-უ ლი „მკვდარია“, ბიყერ-უ ლო „შესწავლილია“ და მისთ.

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ზემოწარმოდგენილ ფორმათა ეკვივალენტად დასტურდება **Øჩე-რო-ფ** („დამდგარია“) ტიპის ფორმები. ამგვარი ფორმები ნაწარმოები ჩანს აღწერიტად — ძირითადი ზმნის აორისტისა და მეშველზმნის (**გემ, გაღ'ი, გელი** „არის“) შერწყმის საფუძველზე,¹ მაგ.: ხულ'ო-რო-ფ (< ხულ'ო-რო გელი) „დაღეულია“, რატი-რო-ფ (< რატი-რო გელი) „მონდომებულა“, რიხალოღ'ი-რო-ფ (< რიხალოღ'ი-რო გელი) „გაგრძელებულა“, ბუტი-რო-ფ (< ბუტი-რო გელი) „დაძინებულა“ და სხვ.

7.8.5.6. ნამყო ძირითადის თურმეობითი. ნამყო ძირითადის თურმეობითი იწარმოება ძირითადი ზმნის აბსოლუტივისა და მეშველზმნის ნამყო შედეგობითის ფორმათა შეხამებით. საილუსტრაციო მაგალითები:

სქემა 30. ნამყო ძირითადის თურმეობითის უღვლილების პარადიგმები

საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
ბუტ-ნა ზუყო-ნა გემ (კაბ.)	ბუტუ-ნ ზუყუ-ნ-ლო	„დაწოლილა თურმე“
დეტჰე-ნა ზუყო-ნა-ფ (ტლად.)	დე ^ნ ტჰე-ნ ზუყუ-ნ-ლი	„წასულა თურმე“
Øჩე-ნა ზუყო-ნა-ქღ'ი (ხაშ.)	Øჩე-ნ ზუყუ-ნ-ლო	„დამდგარა თურმე“
ჩახ-ნა ზუყო-ნა-ფ (ტლად.)	ჩახ ^ნ -ნ ზუყუ-ნ-ლი	„დაუწერია თურმე“

¹ უღრ. ნამყო შედეგობითის ანალოგიური წარმოება: ზუყო-ნა-ფ (< ზუყო-ნა გელი) „ნამყოფია“...

ამგვარი თურმეობითის უარყოფითი ფორმების წარმოებისას მეშველზმნის მეორე კომპონენტი (საკ. ბეჟ. გეჲ, -ჲ < გელი, ქლ'ი < გვლ'ი; ჰუნზ. ლო, ლი „არის“), რომელიც აგრეთვე დამხმარე ზმნაა და მეტწილად გარდაქმნილია სუფიქსად, უარყოფითი ფორმით გამოიყენება, მაგ.: ბუტნა ზუყონა გვცა (საკ. ბეჟ.) „არ დაუძინია თურმე“, ჩანხენ ზუყუნ გოჩ (ჰუნზ.) „არ დაუწერია თურმე“, ბუტონ ზუყუნს ლი (ჰუნზ.) „არ გაუკეთებია თურმე“ და მისთ.

7.8.5.7. **ნამყო უწყვეტლის თურმეობითი.** ნამყო უწყვეტლის თურმეობითი ორსავე დიალექტში ნაწარმოებია ძირითადი ზმნის აწმყოსა და მეშველზმნის ნამყო შედეგობითის ფორმათა კომბინირებით. სქემატურად:

სქემა 31. ნამყო უწყვეტლის თურმეობითის უღვლილების პარადიგმები

სკუთრივ ბეჟიტური დიალექტი	ჰუნზიბური დიალექტი	ლექსიკური მნიშვნელობა
ბეჩე-ჩ ზუყო-ნა გეჲ (კაპ.)	ბეჩე-ჩ ზუყუნ-ნ-ლო	„დგებოდა თურმე“
დეტე-შ ზუყო-ნა გვლ'ი (ხაშ.)	დეტე-ჩ ზუყუნ-ნ-ლო	„მიდიოდი თურმე“
ბო-ს ზუყო-ნა გეჲ (კაპ.)	ბუტო-ჩ ზუყუნ-ნ-ლო	„აკეთებდი თურმე“
ოეკ-ცა ზუყო-ნა გეჲ (კაპ.)	აგაშელა-ჩო ზუყუნ-ნ-ლო	„ამბობდი თურმე“
გუ-ც ზუყო-ნა გელი (ტლად.)	ნუ-ჩ ზუყუნ-ნ-ლო	„მოდიოდი თურმე“

ნამყო უწყვეტლის თურმეობითის უარყოფითი ფორმები, ნამყო ძირითადის თურმეობითის ანალოგიურად, იწარმოება ბაზისური ზმნისა და ნამყო შედეგობითის უარყოფითი ფორმის კომპოზიციით, მაგ.: საკ. ბეჟ. ჩან-ჩა ზუყო-ნა გვცა „არ წერდა თურ-“

მე“, ბტჩ-ჩა ზუყო-ნა გჷყე „არ ჭრიდა თურმე“, რუჯ-ჩა ზუყო-ნა გჷყე „არ ჭამდა თურმე“...; ჰუნზ. ხულ'-ჩო ზუყუ-ნ გოჭ „არ სვამდა თურმე“, როკოლ-ჩო ზუყუ-ნ გოჩ „არ აგროვებდა თურმე“, ბნლ'ზ-ჩ ზუყუ-ნ გოჩ „არ ხნავდა თურმე“ და ა. შ.

რამდენიმე წინადადება ტექსტებიდან: **თეტეჩ ზუყონა გეჷ** ჰული მარატჷ „მიდიოდა თურმე იგი მთაში“, ცოლ'უ სუკუს ცოგუ ცურდელ როკტოს **ბოლო ზუყუნლო** [ლომთ. 2000 : 162] „იმ კაცს ის დარდი გულიდან ეცლებოდა თურმე“, საჰლა მაჲდანლიი აწყენ რაჰათ **ბუტოჩ ზუყუნ ლო** [ვან 1995 : 158, 7] „ერთ ადგილას, მოედანზე, მოვიდა რა, ისვენებდა თურმე“ და მრ. სხვ.

7.8.6. **კილოს კატეგორია.** ბეჷიტურ ენაში გაიჩნევა კილოს ხუთი სახეობა: ა) **თხრობითი**, ბ) **ბრძანებითი**, გ) **პირობითი**, დ) **კავშირებითი**, ე) **ნატვრითი**.

თხრობითი კილო, როგორც უნივერსალური ფორმა, ყველა ენაში დასტურდება. თხრობით კილოს საკუთარი აფიქსი არ აქვს. ზემოგანხილული დროული ფორმები თხრობითი კილოს კუთვნილებას შეადგენენ, ამიტომ ამ სახეობაზე აღარ შევჩედებით. რაც შეეხება დანარჩენ კილოებს, ისინი მეტ-ნაკლები სიხშირით არიან წარმოდგენილი ჩვენ ხელთ არსებულ ტექსტებში.

7.8.6.1. **ბრძანებითი კილო.** ბეჷიტური ენის ორსავე დიალექტში ბრძანებით კილოს (იმპერატივის) როგორც წართქმით (დადებით), ისე უკუთქმით (უარყოფით) ფორმებს საკუთარი ფორმანტები მოეპოვება. კერძოდ, მეორე პირი წართქმითი ბრძანებითი (იმპერატივი) იწარმოება სადა ან მოდიფიცირებული ზმნური ფუძისაგან **-ა / -Ø** (საკ. ბეჷ.), **-ო / -Ø** (ჰუნზ.) სუფიქსებით, ხოლო უკუთქმითი ბრძანებითი (პროჰიბიტივი) კი — მეტწილად **-ა** სუფიქსით დასრულებული II პირის ბრძანებითის დადებითი ფორმისაგან **-ჟა-ჟა / -ჟა** (საკ. ბეჷ.), **-ჟო / -ჟატ** (ჰუნზ., სუფიქსებით. საილუსტრაციო მაგალითები:

ა. საკუთრივ ბეჟიტური დიალექტი

სქემა 32. ბრძანებითი კილოს ფორმათა წარმოება

ფუძე	წართქმ. ფორ.		უკუთქმ. ფორ.	
დჱე-	დჱე!	„გაჩერდი!“	დჱე-ცაყა!	„არ გაჩერდე!“
ტუტ-	ტუტ-ა!	„ესროლე!“	ტუტა-ცაყა!	„არ ესროლო!“
ილ'-	ილ'-ა!	„იმღერე!“	ილ'-ა-ცაყა!	„არ იმღერო!“
ნილ'-	ნილ'-ა!	„მომეცი!“	ნილ'-ა-ცაყა!	„არ მომეცე!“
გულ-	გულ-ა!	„დადე!“	გულა-ყა!	„არ დადო!“
ზუკ-	ზუკ-ა!	„სცემე!“	ზუკა-ყა	„არ სცემო!“
დენ ^ნ ტე-	დენ ^ნ ტე!	„წადი!“	დენ ^ნ ტა-ყა!	„არ წახვიდე!“
და-	და-ა!	„იტირე!“	და-ყა!	„არ იტირო!“
დატეელ-	დატეელ-ა!	„დაარტყი!“	დატეელა-ყა!	„არ დაარტყა!“

ტექ ჰუნი გულა-ყა, ჰუგიდაა გულა! „წიგნს აქ ნუ დადებ, იქ დადევ!“ ტიკაბან გულა ცისტოლიდალ' ლ'ირო! [ლომთ. 2003 : 157] „სკივრი დადევი მაგიდის ქვეშ!“ იო, ქიზ თუშოლა-ყა [მად. 1965 : 127] „დედა, ნაბადი არ შედებო!“, იო, ყერე დჱე! „დედა, დაჯექი!“ და მრ. სხვ.

ბ. ჰუნზიბური დიალექტი

სქემა 33. ბრძანებითი კილოს ფორმათა წარმოება

ფუძე	წართქმ. ფორ.		უკუთქმ. ფორ.	
იტე-	იტე-ო!	„მოკალი!“	იტეა-ყო!	„არ მოკლა!“
თრწე- / თრწა-	თრწე!	„უყურო!“	თრწა-ყო!	„არ უყურო!“
ჰეჰე-	ჰეჰე-ო!	„სცემე!“	ჰეჰა-ყო!	„არ სცემო!“
დოხ-	დოხ-ო!	„იყიდე!“	დოხა-ყო	„არ იყიდო!“
ბუჰ-	ბუჰ-ო!	„გაჭერი!“	ბუჰა-ყო!	„არ გაჭრა!“
გულ-	გულ-ო!	„დადევ!“	გულა-ყო!	„არ დადო!“

მე ვოჯლაგ თოწიტ, დუგო **თოწუნ!**“ ლ'ე ნესან ლი [ვან 1995 : 153] „შენ კვერცხს ნუ უყურებ, შენ თავს უყურე! — მას უთქვამს“, **ნუ**, შადამლა! „მოდით, ხალხნო!“ და, ბეტერჰანალლაჰ, დიდო ავალ როტიი **ბუჟორ** — ლ'ე ნესან „ჰოი, მბრძანებელო ღმერთო, ჩემ ცოლს სიყვარული შთაუნერგე! — უთქვამს“, აგ ყა-რა როჯჩორ გიშო **ბეჩე!** [ვან 1995 : 253] „ვიდრე ბავშვი დაიბადება, გარეთ გაჩერდით!“

პირველი პირის ბრძანებითის ნაკვთი არ მოგვეპოვება, რადგანაც I პირი თავად არ გვევლინება ნება-სურვილის უშუალო შემსრულებლად. მაშინ, როდესაც მოუბართან ერთად სხვებიც იმყოფებიან, ე. წ. მოწოდებითი ფორმის გამოსახატავად მყოფადის (*resp.* აწმყოს) ფორმა გამოიყენება: საკ. ბეჟ. გოდა, **მეტალ** ყარალიდაყა „თუ მოხვალ, ყვარელში **წავიდეთ**“; ჰუნზ. ნა, **როხნ!** „მოდი, **ვიყიდოთ!**“

III პირის **ბრძანებითი**, რომლის საშუალებებითაც ბეჟიტურ ენაში II კავშირებითის სემანტიკა გადმოიცემა,¹ ნაწარმოებია ბრძანებითის II პირის ფორმათაგან **-ლა** (საკ. ბეჟ.), **-ბ** (ჰუნზ.) სუფიქსებით, მაგ.: საკ. ბეჟ. უტა-ლა „დაიძინოს!“, ნისა-ლა „თქვას!“, დეჟა-ლა „წაიქცეს!“, ჩახა-ლა „დაწეროს!“...; ჰუნზ. ბო-ხო-ბ „იყიდოს!“, „აილოს!“, მატო-ბ „შეიყვაროს!“, რუჟო-ბ „გააკეთოს!“, ზგლო-ბ „იყოს!“ და მრ. სხვ.

უარყოფითი (უკუთქმითი) ფორმები საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში იწარმოება II პირის უარყოფითი ფორმისაგან **-ლა**, ან III პირის ბრძანებითის დადებით ფორმაზე **-ც** სუფიქსის დართვით, ხოლო ჰუნზიტურ დიალექტში აღწერითად — ძირითადი ზმნის ნამყოს აბსოლუტივის უარყოფით ფორმაზე გალობ II გოლაბ („იყოს!“) ფორმის მიმატებით [მდრ. ლომთაძე 2000 : 267].

¹ მდრ. ხუნძ. ყოტეაბ „გაჭრას“... [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 294]. ჰუნზ. ილ'ო-ბ („თქვას“) ფორმის სუფიქსი **-ბ**, შესაძლოა, ხუნძურის ანალოგიურად, ოდინდელ კლასიფიკატორს დაუკავშირდეს.

ორიოდე წინადადება ტექსტებიდან: საკ. ბეჟ. ალაპლი **ნისალა, ჟოდო როყალა!** „ღმერთმა **თქვას, წვიმა მოვიდეს!**“ ჰოქცო **როჟალა** ბილ'ო! „მან სახლი **გაკეთოს!**“...; ჰუნზ. მოლუ სადლ'ინ-ნო **ნულ'ობ**, ბეხელ ჟურმულის **მავობ!** „დაე, ჯანმრთელობა **მისცეს**, გრძელი სიცოცხლე **ჰქონდეს!**“ „...მ^ნ **ინოხობ** ჰაგუ, დ^ნ **უჰობ!** — ნეს^ნ „შენ **დაგარჩინოს** ცოცხალი, მე **მომკლას!** — უთქვამს“ და ა. შ.

7.8.6.2. **პირობითი კილო.** ბეჟიტურში პირობითი კილო (კონდიციონალისი) ისევე, როგორც ალომონათესავე ენებში, ორ ქვესახეობად იყოფა: ა) **რეალური პირობითი** და ბ) **ირეალური პირობითი.**

ა) **რეალური პირობითი** კილო, რომელიც ნამდვილი პირობის შესრულებით შეპირობებულ მოქმედებას გამოხატავს, იწარმოება ზმნის სათანადო ფუძისაგან **-და** (საკ. ბეჟ.), **-დო (>/-ტო)/-დ** (ჰუნზ.) სუფიქსით, მაგ.: საკ. ბეჟ. ზოდ-და „თუ არის“, გილ-და „თუ დადებს“, გ^რ-და || გოჰ-და „თუ მოხვალ“, მილაზე-და „თუ გაიყინა“, ნუქო-და „თუ მოშვიდება“...; ჰუნზ. ჰეჰე-დო „თუ სცემა“, ჯოდ-დ „თუ ისწავლი“, მ^ნყე-დ „თუ მოვა“, გგზ^ნო-დ „თუ ჩაიცვამ“, ლი-ტო „თუ არის“, ბატ-ტო (<ბატ-დო) „თუ უნდა“ და მისთ.

უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია აწმყოს უარყოფითი ფორმისაგან (საკ. ბეჟ.) ან ნამყო ძირითადის უარყოფითი ფუძისაგან (ჰუნზ.) პირობითი კილოს სათანადო სუფიქსების დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ესაყ-და „თუ არ ვჭამე“, ბატ^ნელ-და „თუ არ ცემა“, რაჯაყა-და „თუ არ იქნება“, ოხილიფლაყა-და „თუ ვერ დავაკავე“...; ჰუნზ. ჰეჰ^ნ-დო „თუ არ სცემა“, იტ^ნ-დ „თუ არ მოკალი“, როხ^ნ-დ „თუ არ იყიდე“ და ა. შ.

რამდენიმე წინადადება: საკ. ბეჟ. შუგო **ბოყდა**, დიბო ჟაბ ბაჯცა „თუ ცხენი დაიკარგება, შენი ბრალი იქნება“, ჰოდო ჟო **ბოყაყდა** ჰოლ ოყოს, ბიტ^ნეჟ „თუ ეს ძაღლი არ მოცილდება აქედან, მოგკლავ“...; ჰუნზ. დიბი დ^ნ აწადო, ინყოჟს „თუ შენ მე მნახავ, ვერ მიცნობ“ და სხვ. მრ.

ბ) **ირეალური პირობითი კილო.** კილოს ეს ქვესახეობა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომლის შესრულებაც იგულისხმებოდა, მაგრამ, სათანადო პირობების უქონლობის გამო, განუხორციელებელი დარჩა. ამ მნიშვნელობით საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში დასტურდება აწმყო ძირითადის ფორმაზე **-ყოღა** სუფიქსის დართვით ნაწარმოები ფორმები, მაგ.: **დეჟემ-ყოღა** „რომ წავიყვანო“, **ხულ'ოს-ყოღა** „რომ დავლიო“...

ჰუნზიბურ დიალექტში ზემოთ წარმოდგენილ ფორმათა ფარდად დასტურდება ანალოგიური წარმოებისა და სემანტიკის შემდეგი ფორმები: **როხჩო-ყაღა** „რომ ვიყილო“ — **როხნის-ყაღა** „რომ არ ვიყილო“, **ბიტეჩი-ყაღა** „რომ მოვკლა“ — **ბიტენის-ყაღა** „რომ არ მოვკლა“...

ზემომოყვანილ ფორმებთან ერთად შეიმჩნევა ნამყო ძირითადისაგან **-ყაღა/-ყა** სუფიქსით გაფორმებული მაგალითები, რომელთაც II თურმეობითის ფუნქცია აქვს, მაგ.: ზუყურ-ყაღა „რომ ვყოფილიყავი“, ბიყერ-ყაღა „რომ მცოდნოდა“: ჭოლოჯან **ზუყურყა**, ბეჯი ეჩოჲს ზუყურ „ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, აქ აღარ გავჩერდებოდი“, მიჟე მაყეჩოს **ბიყერყა**, და ე⁶ტხოჲს ზუყურ „თქვენი მოსვლა რომ მცოდნოდა, მე არ წავიდოდი“...

უნდა აღინიშნოს, რომ რეალური პირობითი კილოსაგან **-ნა** (საკ ბეჟ.), **-ნ** (ჰუნზ.) ნაწილაკის დართვით იწარმოება დათმობითი შინაარსის შემცველი ფორმები, მაგ.: საკ. ბეჟ. ბოწდა-ნა „რომც გაძღეს“, როჰოდა-ნა „რომც იშრომოს“, ხულ'ოდა-ნა „თუ გინდ დალიოს“...; ჰუნზ. ბიტეედო-ნ „რომც მოკლას“, ბრჯდო-ნ „რომც მოხდეს“, ლიტო-ნ „რომც იყოს“, ნეხედო-ნ „თუ გინდ შეახე“ და მრ. სხვ.

7.8.6.3. **ნატვრითი კილო.** ნატვრითი (resp. პირობით-ნატვრითი) კილოს ფორმებად ე. ლომთაძე ორსავე დიალექტში, ხოლო ი. ისაყოვი და მ. ხალილოვი ჰუნზიბურ დიალექტში III პირის ბრძანებითის ფორმებს მიიჩნევენ [ლომთაძე 2000 : 143; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 274].

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბრძანებითის III პირის ფორმები ისევე, როგორც ხუნძურში [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 294], II კავშირებითის გადმოსაცემად გამოიყენება [იხ. 7.8.6.1].

ჩვენი დაკვირვებით, საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში ნატვრითი კილოს (ოპტატივის) ფორმებად უნდა მივიჩნიოთ ჩახა-ყოს („მეწერება“, „წერა მინდა“) ტიპის ფორმები [ხალილოვი 1995 : 405], მაგ.: ხულ'ა-ყოს „სმა მინდა“, ფუტა-ყოს „მეძინება“, ნუქრ-ყოს „მშია“ და მისთ.

რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტს, ზემომომყვანილი ფორმების ეკვივალენტური ოდენობანი არ შეიმჩნევა და ამიტომაც ნატვრით კილოს ფორმებად III პირის ბრძანებითი მიაჩნიათ [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 274; 2012 : 197-198].

7.8.7. აწმყოს აბსოლუტივი. მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში თავჩენილი აბსოლუტივის კატეგორია, როგორც გარკვეულია, ძირითადად წინადადების წევრთა ან თავად წინადადებათა ერთმანეთთან დასაკავშირებლად არის წარმოქმნილი. აბსოლუტივის ფუნქცია ე. ლომთაძის დაკვირვებით: „შერწყმულ წინადადებაში დამაკავშირებელია შემასმენლური ერთგვარი წევრებისა... ხოლო რთულ თანწყობილ წინადადებაში — მათში შემავალი წინადადებებისა“ [ლომთაძე 2000 : 183].

აწმყოს აბსოლუტივი იწარმოება აწმყო ძირითადის სრული ფორმისაგან **-ლაყ(ა)** (საკ. ბეჟ.), **-დიჟრ** (ჰუნზ.), **-დრ** (ღარ.) სუფიქსების დართვით, მაგ.: საკ. ბეჟ. ტოტაც-ლაყა „ესვრის რა“, „სროლისას“, ფესცა-ლაყ „ჭამს რა“, „ჭამისას“, ზუკცა-ლაყ „ცემისას“, ფეტეც-ლაყ „მიდის რა“, ნილ'ცა-ლაყ „მიცემისას“...; ჰუნზ. ფუტოჩ-დიჟრ „აკეთებს რა“, როხჩო-დიჟრ „ყიდულობს რა“, რიტეჩი-დიჟრ „კლავს რა“, ჰეჰეჩი-დიჟრ „სცემს რა“, ნგჩო-დიჟრ „ამბობს რა“ და მრ. სხვ.

საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აწმყოს აბსოლუტივის უარყოფითი ფორმები ნაწარმოებია უარყოფით აწმყო ძირითადის ხმოვანმოკვეცილი ფუძისაგან იმავე **-ლაყ(ა)** სუფიქსის საშუ-

ალებით, მაგ.: ბაჯ-აყა-ს „არ ხდება“ — ბაჯაყ-ცა-ლაყ „არ ხდება რა“, ტუტ-აყა „არ ესვრის“ — ტუტაყ-ცა-ლაყ „არ ესვრის რა“, ნილ' -აყა-ს „არ აძლევს“ — ნილ'აყ-ცა-ლაყ „არ აძლევს რა“ და მისთ.

რაც შეეხება ჰუნზიბურ დიალექტს, აწმყოს აბსოლუტივის უარყოფითი ფორმები იწარმოება უარყოფითი აწმყო ძირითადი-საგან **-ჩო** სუფიქსის დართვით, მაგ.: ნაწ-ატ „ვერ ვხედავ“ — ნაწ-ატ-ჩო „ვერ ვხედავ რა“, როხ-ატ „არ ყიდულობს“ — როხატ-ჩო „არ ყიდულობს რა“ და მისთ.

საინტერესოა, რომ ნაჰადურ კილოკავში შეიმჩნევა უარყოფითი ნამყო ძირითადის ფუძისაგან **-ლტო** სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, მაგ.: დიტჰ-ლტო „კლავს რა“, ჰეჰ-ლტო „ცემს რა“, ბაწ-ლტო „ხედავს რა“ და ა. შ.

7.8.8. ნამყოს აბსოლუტივი. ნამყოს აბსოლუტივი იწარმოება **-ნა** (საკ. ბეჟ.), **-ნ** (ჰუნზ.) სუფიქსით, რომელიც საკუთრივ ბეჟიტურ დიალექტში აწმყო ძირითადის ფუძეს დაერთვის [ლომთაძე 2000 : 177; შდრ. ხალილოვი 1995 : 405], ხოლო ჰუნზიბურ დიალექტში — ნამყო ძირითადის ფუძეს [ლომთაძე 2000: 180, შდრ. ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 276]. საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. **ტუტო-ნა** უღრ ჰუგი [ლომთ. 2003 : 141] „ესროლეს რა, მოკვდა იგი“, ჰუქჟმათლის ხალყ მოყანნა **მოყო-ნა**¹... „მთავრობის ხალხი მოსვლით მოვიდა რა“...; ჰუნზ. **ნეტენ** ლი **რეშენნო**, **ღ'ჟაყენნო**, აგ **ენტენ** ლო ჰობუდ ზუკლაა ე^ნდუ ჰობუტოს [ვან 1995 : 168, 8] „წავიდნენ, შეჭამეს და გაათავეს რა, ის მეწისქვილე წისქვილის ხვიმირში შიგ შექვრა“, ბალა-ბალა ყუ-ყუსა ყო **რყეკენ** რუჰუნ ბოჯორ [ლომთ. 2000 : 181, 29] „სხვადასხვა რამე ისწავლეს-რა, ეჩვევიან“...

¹ ამ შემთხვევაში ნამყოს აბსოლუტივის ფორმა პარონომაზიის საწარმოებელ კომპონენტად გამოიყენება.

ნამყოს აბსოლუტივი არაიშვიათად I თურმეობითის ფუნქციასაც ითავსებს და გამოხატავს წარსულში მომხდარ უნახავ მოქმედებას, მაგ.: ოგუ ნიშოდნო ნიშენ, **კარლ'ენ**, გუჰლან ლო **ბეჩენ** „იგი დღე და ღამე დაძრწოდა თურმე, ქურდობდა და არსებობდა თურმე“, ხიმატო **აყენ** ჰალდუ შუგუ-სარდოტო ტოყერუ სუკუ [ვან 1995 : 163, 5] „დილით მოსულა თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი“ და მისთ.

ნამყოს აბსოლუტივის უარყოფითი ფორმები იწარმოება უარყოფითი ნამყო ძირითადის ფუძისაგან -**ჰე/წე** (კაპ., ხაშ., ტლად.), -**ხე**, -**ჰე-ხ** (ტლად.), -**ტ** (ჰუნზ.) სუფიქსების საშუალებით [დაწვრ. იხ. ლომთაძე 2000 : 268-274; ვან დენ ბერგი 1995 : 90-91].

თავი VIII

უდეტრები

8.1. **ზოგადი.** „უდეტერი“-ს (ზმნისართი, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული) შემოტანა და გრამატიკულ ტერმინად დამკვიდრება დაკავშირებულია აკ. შანიძის სახელთან [იხ. შანიძე 1980 : 587]. მართალია, ტერმინი უცხო ენის (ბერძ. οδεταιρος „არც ერთი მათგანი“) მონაცემია, მაგრამ სრულად გამოხატავს ამგვარ გრამატიკულ ოდენობათა არსს და მარჯვეა მათი ზოგადი ფუნქციური მნიშვნელობის გადმოსაცემად.

„უდეტერი“ („უდეტრები“) ისეთი ლექსიკური ერთეულია, რომელიც ძირითად მეტყველების ნაწილთა დაკონკრეტება-დეტერმინაციას ახდენს და ენას მეტ ინფორმაციულობასა და მოქნილობას ანიჭებს. მართალია, უდეტრების სტრუქტურა და სემანტიკა ხშირად სრულად ჩამონაკეთულ-ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი სახე და მკვეთრად გამოხატული ფუნქციურ-სემანტიკური ველი აქვს. კერძოდ, ბეჟიტურ ენაში ამ თვალსაზრისით თვალშისაცემი თავისებურებანი არ გვხვდება, თუმცა მაინც შეინიშნება, ერთი მხრივ, ზედსართავისა (არსებითი სახელის ატრიბუტი) და ზმნისართის (ზმნის ატრიბუტი) ერთგვარი სინკრეტიზმი, მეორე მხრივ, ზმნისართის, ნაცვალსახელისა და თანდებულის ფორმათა ხშირი თანხვედრა. ეს გარემოება მიგვანიშნებს, რომ საკვლევ ენაში ამ ოდენობათა ჩამოყალიბების პროცესი გრძელდება.

8.2. ზმნისართი

8.2.1. **ზმნისართი სტრუქტურის მიხედვით.** ბეჟიტურ ენაში, სტრუქტურის მიხედვით, ზმნისართი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) **მარტივი**, 2) **რთული**.¹

¹ ზმნისართთა ამგვარი დიქტომიის შესახებ გ. თოფურია წერს: "Прас-тыми являются те наречия, морфологическая сегментация которых не представляется возможной... что же касается сложных наречий, то здесь всегда есть возможность выделить основу, имеющую опорделенную семантику, и какой-нибудь морфологический элемент – морфему (префикс, суффикс, конфикс)" [თოფურია 1995 : 148-149].

1) თავისი აგებულებით **მარტივი** ჩანს ქვემოთ მოყვანილი ზმნისართები: **ცათ** (ჰუნზ. ცაღ "id".) „ცუდად“, **კეტ** (ჰუნზ. კოტ "id".) „კარგად“. ეს ზმნისართები შესაბამისი მატრიბუტივებელი ფორმანტის დართვით ზედსართავ სახელებად ქცეულან: **კეტ-ო** „კარგი“, **ცაც-ცო** (< **ცათ-სო**) „ცუდი“, ჰუნზ. დიალექტში **ცოდ** „ცუდად“ — **ცოხ-სჷ** (< **ცოდ-სჷ**)¹ „ცუდი“ (მდრ. ხუნდ. **ლ'იკ** „კარგად“ — **ლ'იკ-აჷ** „კარგი“...). ამ ტიპის წარმოება მეტად პროდუქტიული უნდა ყოფილიყო ისტორიულად, მაგრამ ამჟამად იგი დაბნელებულია სხვადასხვაგვარი მორფონოლოგიური პროცესების გამო.

სიმარტივით ხასიათდებიან ადგილისა და დროის ზმნისართებიც: საკ. ბეჟ. **ლ'იფო** (ტლ. ლ'ირო) „ქვეშ“, **წიხო** (ტლ. ჭიხო) „შორს“, **ჟე** „ახლა“, **ჰიცა** (ტლ. ჰიჩა) „ახლოს“, **ნიშე** „დამით“, **სო^წ** (ტლ. სოროტხო-დო) „ირგვლივ“, **ათა** „იქ“, **ჰადა** (ტლ. არად) „წინათ“, „ძველად“, **ბეთა** „შემდეგ“...; ჰუნზ. **ლ'გრჷ** „ქვეშ“, **სარო** (ღარბ., ნაპ. **სარჷ, სარგ**) „ირგვლივ“, **იჩო** „ახლო“, **ჰი** „იქ“ და მისთ.

მარტივი შედგენილობა მოეპოვება ზოგ კითხვის, ვითარებისა და ზომა-წონა-ოდენობის ქვემომოყვანილ ზმნისართებსაც: **ზათ** „ბევრი“, **ნა?** (ჰუნზ. ნიფო?) „სად?“, **ხეს** (< ხუნდ.) „უცებ“, **ახო** „კარგად“, **ბელ'ე** „სწორად“, ტლ. **ციტაჷჩ** (ჰუნზ. **გწ**) „კვლავ“, და მისთ.

მიუხედავად ზემოხსენებული მაგალითებისა, ზმნისართთა მეტი წილი ნაწარმოებია სხვადასხვაგვარად სხვა მეტყველების ნაწილებისაგან და ზოგჯერ კი საკუთრივ ზმნიზედებისაგანაც.

2) **რთული** ზმნისართები ნაწარმოებია: ა) არსებითი სახელისგან, რომლებიც ხშირად ლოკატიური ბრუნვის ფორმებს წარმოადგენენ: **ბოგ** „ლოცვისა და სადილის დრო“ — **ბოგ-ლა-ლ'** „დამით“ (ზედმიწ. „შუა ღამეზე“), **ბოგ-ლა-ც** „დროულად“ (ზედმიწ. „დროში“), **ქიქ** (ტლ. ფახ) „მტერი“ — **ქიქქ-ო** „მსუბუქი“ —

¹ ხომ არ არის **ცოდ** (ჰუნზ.), **ცათ** (საკ. ბეჟ.) ქართულიდან ნასესხები ფუძე, მდრ. ცუდ-?

ქიქა-ტა „მსუბუქად“, „იაფად“ (ზედმიწ. „მსუბუქზე“ < „მტვერ-ზე“), **მეხ** „დრო“, „სეზონი“ — **მეხ-მეხ-ლა-ც** (ჰუნზ. მეხ-მეხ-ლი) „ხანდახან“ (ზედმიწ. „დრო-დროში“), **შებლო** (მდრ. **შებო** „ღვიძლი“) „ნეკნი“, „გერდი“ — **შებლა-ც** „გვერდით“ (ზედმიწ. „გვერდში“).

ბ) რიცხვითი სახელისაგან: **სიდ** „ერთი“ — **სიდ-დ** „ერთ ადგილას“, **ლანა** (ჰუნზ. ლ'ონო) „სამი“ — **ლან-ი-ნა** (ტლ. ლ'ალ-ი-ნა; ჰუნზ. ლ'ონო-ნო) „სამობით“, **ლინა** „ხუთი“ — **ლინ-ი-ნა** „ხუთობით“, აწონა „ათი“ — **აწონ-ი-ნა** „ათობით“, „ათნი ერთად“...

გ) ზმნისართისაგან: **ახო** „კარგად“, „ძლიერ“ — **ახხო** (< **ახ-ახო**) „ძალიან“, „მეტისმეტად“, **ჟე** „ახლა“ — **ჟენ** „კიდევ“ (ზედმიწ. „ახლაც“), **ბეთა** (ჰუნზ. ბელო) „შემდეგ“ — **ბეთა-ლა** (ჰუნზ. ბედ-დო) „იმ მხარეს“, „იმ მიმართულებით“ — **ბეთა-ნა** (ჰუნზ. ბედო-ნო) „კიდევ“, „კვლავ“ — **ბეთა-ლა-ლ'** „შემდეგ“ (ზედმიწ. „შემდეგზე“), **ჟე** „ახლა“ — **ჰანჟე** „ახლა“ (ზედმიწ. „აბა, ახლა“), **ჰენ** (ჰუნზ. ჰენ) „უცებ“ — **ჰენ-მეხ** „მალე“, „სწრაფად“ (ზედმიწ. „უცებ—დრო“), **ჰუნლ'** (ჰუნზ. ჰუნლ) „გუშინ“ — **ჰუნლ'-ა-ლ'** (ტლ. ჰუნლ'-ა-ლ') „გუშინწინ“ (ზედმიწ. „გუშინზე“), **გიზილა** (ტლ. გიჟილა) „მომავალ წელს“ — **გიზილა-ლა-ლ'** „ორი წლის შემდეგ“ — **გიზილალალ'** „სამი-ოთხი წლის შემდეგ“, **აჰტატა** „ცოტა“ — **აჰტატაჰ** „ძალიან ცოტა“, **ხისა** (ტლ. ხიშა) „ხვალ“ — **ხიშა-ტა** (ტლ.) „დილით“ (ზედმიწ. „ხვალზე“), **ნიშე** „ღამე“ — **ნიშეთოქა** „შეღამება“ — **ნიშეთოქა-ლ'** „მიმწუხრზე“, **ინჩო** „ახლო“ — **ინშე-ართო** „ახლახან“ (ზედმიწ. „ახლო-წინ“) და მრ. სხვ.

შეინიშნება ზმნისართთა კომპოზიტური წარმოებაც: საკ. ბეჟ. **ჟანა-ბილ'ოც** „ყველგან“ (ზედმიწ. „ტყე-სახლში“), **ჰიცა-თილა** (ტლ. ჰინჩა-თილა) „ახლოს“ (ზედმიწ. „ახლოს-მჭიდროდ“), **მიც-მიცაჰ** (ტლ. მიჩ-მაჩაჰ) „ადგილ-ადგილ“, **ბ-ბნა** (<*იტინ-იტინა) „ცოტ-ცოტა“, **ქეშ-ქეშ** „მუქთად“, „ფუჭად“ (ზედმიწ. „სახე-სახე“), **თიტა-ნიტა** „ყველგან“, „აქა-იქ“ (ზედმიწ. „იმ მხარეს — ?“)...; ჰუნზ. **სარ-სარ** (ნაჰად. სარ-სარ) „ირგვლივ“ (ზედმიწ. „ირგვლივ-ირგვლივ“), **თიშო-დიშო** „იქით-აქეთ“ და მრ. სხვ.

ბეჟიტურ ენაში დასტურდება ხუნძურისაგან ნასესხები ზმნისართები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ადაპტირებულია, მაგ.: **ჰეხ**, **ჰენსა** (ტლ. ხენშა) (< ხუნდ. ხენხა "id".) „უმალ“, „სწრაფად“, **დაჰ** (< ხუნდ. დაჰ "id".) „ცოტა“, **ბოგ-ლა-ლ'** (< ხუნდ. ბოგოდა „სალამოს“) „შელამებისას“, **ტოკაბ** (< ხუნდ.) „კიდევ“, **ურ-ლუნგო** (< ხუნდ.) „განზრახ“, **ხასგუ** (< ხუნდ. ხასგო "id".) „განსაკუთრებით“, **წაყ** (< ხუნდ.) „ძალიან“, **ჩანგუ** (< ხუნდ. ჩანგო „რამდენიმეჯერ“) „ხშირად“, **ბატა-სა** (< ხუნდ. ბატა „ცალკე“) „სხვანაირად“ და სხვ. მისთ.

8.2.2. **ზმნისართი შინაარსის მიხედვით.** შინაარსის მიხედვით, ზმნისართი იყოფა: 1) **ადგილის**, 2) **ვითარების**, 3) **დროის**, 4) **კითხვის**, 5) **ზომა-წონისა** და **ოდენობის**, 6) **მიზნისა** და **მიზეზის** ზმნისართებად.

1) **ადგილის ზმნისართი.** ადგილის ზმნისართი მიგვითითებს არსებული საგნის სივრცობრივ ადგილმდებარეობასა და მიმართულებას.

ა. ადგილმდებარეობის გამომხატველი ზმნისართები (კითხვა: **ნა? || ნად?** „სად?“): **ჰოლ'ოც** (ჰუნზ. ბეცე) „აქ“, „აქეთ“, ¹ **ჰულიც** (შდრ. ჰული „ეს“) „იქ“, **მჰჯარჰე** „მთაში“, **ჰიცა** (ჰუნზ. ი^ნჩო) „ახლო“, **ათა / წინო** (ჰუნზ. ჭინუ, ტლ. ჭინო) „შორს“, **გილ'** „ღრმად“, **ლ'იშო** „ქვევით“, „დაბლა“, **ჰოცოტა** (ჰუნზ. ჰეცტა) „მაღლა“, **სიდდა** „ადგილას“, **გიშა** „გარეთ“ **ედო** (ჰუნზ. ე^ნდუ), „შიგნით“, **შებლაყ** „გვერდით“ და მისთ.

ბ. ზმნისართით აღნიშნული მიმართულება შეიძლება იყოს სამი სახისა: ა) სააქეთო, ბ) საიქითო და გ) საურთიერთო. აღნიშნავენ [იმნაიშვილი 1963 : 242] განსხვავებულ მესამე მიმართულებასაც (|| პირთან ახლომყოფი), რომელიც ბეჟიტურ ენაში კვლევის ამ ეტაპზე არ შეინიშნება.

¹ მყოფობასა და მიმართულებას ბეჟიტური ენა არ განარჩევს, შდრ.: რუს. Дома „შინ“ — Домой „შინისკენ“. ამის გათვალისწინებით, ჰოლ'ოც („აქ“, „აქეთ“) სემანტიკის ზმნისართები გამოხატავენ მყოფობასაც და მიმართულებასაც.

ა) სააქეთო მიმართულების ზმნისართებია: **ჰიცად** (ტლ. ჰი^ნჩად, ჰუნზ. ინჩოდო) „ძალიან ახლოს“, **ცად^ნშ** (ჰუნზ. არტოდოს) „წინიდან“, **მჟღათთ^ნ** (ჰუნზ. მულალ'-დო, დენო) „უკან“, „უკნიდან“, **ნატანი** „საიდანღაც“, **სონ^ნლსონ^ნ** (ტლ. სო-როტორო) „ირგვლივ“, **ტოდან** „ზემოდან“...; ჰუნზ. **დიტო** „ამ მხარეს“, **ლ'გრატო** „ქვევიდან“, **ჰონ** „იქიდან“, **ნიდოს?** „საიდან?“...

ბ) სააქეთო ორიენტაციას გამოხატავენ კონვერსიული ზმნისართები: **თილ'** „იმ მხარეს“, **ჰიდ^ნ** (ტლ. არადდ) „წინ“, „წინისკენ“, „წინათ“, **ან^ნყოთუწო** „პირდაპირ“, **ლ'იროდ** (ჰუნზ. ლ'ზრადო, ყერე "id".) „ქვევით“, „ქვევითკენ“...; ჰუნზ. **ნიდო?** „სა-ითკენ?“, **ჰიდო** „იქით“, **ცეგიდოტოდო** „იმ მხარეს“ და მისთ.

გ) საურთიერთო (ნეიტრალური) ორიენტაციის სემანტიკას შეიცავენ: **დენა-ბეთა** (ჰუნზ. დენო-ბედო) || **ნანაზუ** (ჰუნზ. ნიონოჟ) „ყველგან“, „აქა-იქ“, **ნანა** (ჰუნზ. ნიონ) „არსად“, **მიც-მიცანც** „ადგილ-ადგილ“, **ნადანი-სუდი** „სადღაც“, **ნატანაზუ** „ყველგან“, **თილა-ნილა** (ჰუნზ. თიპო-ნიპო) „აქეთ-იქით“, **თიტა-ნიტა** „მიმომ“...; ჰუნზ. **თიშო-დიშო** „აქეთ-იქით“, **ნიდოლიდო** „სა-დღაც“ და ა. შ.

ადგილის ზმნისართთა ერთი ნაწილი ლოკატიურ ბრუნვის ფორმებს ერთვის და დამატებით აკონკრეტებს საგნის სივრცობრივ ადგილმდებარეობას, მაგ.: ხობტან ტოდო ხაჭო გეე „ხეზე (ზედმიწ. „ხეზე ზედ“, შდრ. ხუნძ. განჭი-და ტად "id".) მერცხალი ზის („არის“)“.

2) **ვითარების ზმნისართი** (კითხვა: **ნილად?** „როგორ?“). დასტურდება როგორც საკუთრივ ბეჟიტური, ისე ხუნძურისგან ნასესხები ვითარების ზმნისართები. საკუთრივ ბეჟიტური ზმნისართებია: **ახო** „კარგად“, „ძლიერად“, **ბადალაც** (ტლ. ბადოცო) „ნაცვლად“, **გილ'** || **დილა** (ჰუნზ. რიპო) „ღრმად“, **დილ'ა** „სწრაფად“, **ჰათთე** „ნელა“, **ჰონ^ნცო** (ტლ. ჰოსცო) „მარტოდ“, **დის** „ბევრად“, „ხშირად“, **ჰატა** „ქვევითად“, **თელლი** „უხვად“, „ხში-

რად“, **ტენა** „უფასოდ“, **მაკტა** „ზეპირად“, **ცათ** „ცუდად“, **ნი-
დადი** „ცუდად“, „არაკეთილგონივრულად“, **ოჩჩოტა** „ზეზეუ-
რად“, **ჰათე** „წყნარად“, **ფულო-მაჯნა** „როგორმე“, „თავგანწირუ-
ლად“...; ჰუნზ. **კოტ** „კარგად“, **ცოდ** „ცუდად“, **გწუხენ** „ხელახლა“,
ტუნს „ვიწროდ“, **რგლ'ვ** || **შულა** (< ხუნდ.) „მტკიცედ“, **ლ'ელ'** „ერ-
თად“, **ცადადა** (< ხუნდ.) „ფუჭად“, **ნაყა** „მხოლოდ“, **ბელ'ე** „სწო-
რად“ და სხვ.

ხუნდურისაგან შეთვისებული სხვა ზმნისართები: **მპარჰუტ**
„მთაში“, **მეცა** (< ხუნდ. **მეცა** „id.“) „მცდარად“, **ზაფსა** (<
ხუნდ. **ზაფიფ** „id.“) „სუსტად“, „ავად“, **ხენსა** (< ხუნდ. **ხენს-გო**
„id.“) „სწრაფად“, **გაჰგო** „შეუბრალებლად“, **ბალ'გო** „ფარუ-
ლად“, „საიდუმლოდ“ და მისთ.

3) **დროის ზმნისართებია** (კითხვა: **ნითოდ?** „როდის?“): **ნი-
სა** (ჰუნზ. **ნიშო**) „ხვალ“, **ყემსა** „დღეს“, **ყე** || **ჰან'ყე** || **ყექალ'ო**
„ახლა“, **ჰენდნლა** „ახლახან“, **თექ-თუქ** || **ჰონ'სოლაც** „ხანდახან“,
სიბოჟა (ტლ. სიბორა, ჰუნზ. სგბზრ) „შემოდგომაზე“, **ჰაქო**
(ჰუნზ. ჰადნ) „გვიან“, **ჰენზუ** „დიდი ხანია“, **ჰონ'ზუ** || **ჰონ'სუ**
„ყოველთვის“, **ჰუნ'ლ'** (ჰუნზ. **ჰუნ'ლ**) „გუშინ“, **ჰუნ'ლ'ალ'** (ჰუნზ.
ჰუნ'ლდარტო) „გუშინწინ“, **დანდე** „ახლა“, „ახლახან“, **ზელ'ბა,**
ყელ'ბა „წელს“, **არად, ადდნ, არად** (ჰუნზ. **არტო**) „წინ“, „ძვე-
ლად“, **ბეთა** (ჰუნზ. ბედო) „შემდეგ“, **ნიშე** „ლამით“, **ნიშე-ნიშე**
„მთელი ღამე“, **ნითონა** (ჰუნზ. ჰგდნ) „არასდროს“, **ნი-
თთომაჯდანა** „ყოველთვის“, **აზოდო** (ჰუნზ. **აზდუ**) „ზაფხულში“,
ცემედნ (ჰუნზ. **ცემედ**) „გაზაფხულზე“, **ლ'ილმა** (ჰუნზ. ლ'იმმო)
„ზამთარში“, **მალ'ოყემ** (ტლ. რალ'ოყერე, ჰუნზ. ლ'ებატჰ) „დღი-
სით“, **დამმ** (ჰუნზ. ჟეტჰო) „მარადიულად“, **ჰახა** (ჰუნზ.) „აბა,
მალე“: ჰახა, ჰიტ ნიფო ლი?! „აბა, ჩქარა, დანა სად არის?!“ (ვან
1995 : 221) და სხვ.

4) **კითხვითი ზმნისართი**: კითხვის გამომხატველი ზმნისარ-
თები, რომელთაგან ზოგი შესაძლოა წარმოშობით კითხვითი
ნაცვალსახელიც იყოს, წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებში

ცალკე არ გამოიყოფა, მათ მეტწილად ადგილისა და დროის აღმნიშვნელ ზმნისართებთან აერთიანებენ [ბოკარევი 1959 : 61; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 278]. არადა, მათი ცალკე გამოყოფა შესაძლებელიც არის და მიზანშეწონილიც [შანიძე 1980 : 594, 596].

კითხვითი ზმნისართებია: ა) დადებითი: **ნა?** || **ნად?** (ჰუნზ. **ნიო?**) „სად?“ **ნითო?** (ჰუნზ. **ჰედა?**) „როდის?“, **ნატა?** || **ნატად?** (ჰუნზ. **ნიოს?**) „საიდან? **ნითოქცალდი?** (ტლ. ნითოქიხალ) „როდემდე?“ **ნადა?** (ჰუნზ. **ნიო?**) „საითკენ?“ **ლა?** || **ლად?** || **ლადსო?** (ჰუნზ. **ჰიგდა?**, ნახ. **ჰიდილი?**) „რამდენი?“ **სუდ?** (ჰუნზ. **სურბა?**) „რად?“ „რატომ?“...; ბ) უარყოფითი: **ნანა** (ჰუნზ. **ნიოს**) „არსად“, **ნანსა** (ჰუნზ. **ნიოსნო**) „არსაიდან“, **ნითონა** (ჰუნზ. **ჰედგ-ნე**) „არასოდეს“ და მისთ.

5) **ზომა-წონისა და ოდენობის** ზმნისართებად შეიძლება გამოიყოს (კითხვა: **ლად?** „რამდენი?“): **ლასოდი** „რამდენიმე“, **დაჰ** || **დაჰაბ** || **აოტატა** „ცოტა“, **ალოშ** || **ლადი** || **აოლო** || **მატა** (ტლ.) || **თელი...** (ჰუნზ. **ლახი** || **თელი**) „ბევრი“, „საკმარისი“, **ოლო**, **წაყ** „ძალიან“, **ახხო** (ჰუნზ. **ქუთაქალდა**) „ძლიერ“, **ჟეგუნ**, **ტაგუნა** (ჰუნზ. **ჟენ**) „კიდევ“, **ეზეჯან** „ბევრად“, **ტუბან** „მთლიანად“, **ალოქოს** (ჰუნზ. **ბოლ'ეგუს**) „ნახევარი“ და სხვ.

6) **მიზეზისა და მიზნის ზმნისართი** (კითხვა: **სუდ?** „რატომ?“). ამგვარი ზმნისართებით ბეჭიტური ენა ღარბია, თუმცა შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მათგანი: **მატანა** || **ურდუნგო** (ჰუნზ. **რატან**) „განზრახ“, ჰუნზ. **სურბა?** „რატომ?“ და მისთ.

8.3. თანდებული

ბეჭიტურ ენაში თანდებულთა სიმცირე შეპირობებულია ლოკატიურ ბრუნვათა სიუხვით, რაც მთის ბევრი იბერიულ-კავკასიური ენის ზოგადი ნიშანია. ლოკატიურ ბრუნვათა დაბოლოებები, რომლებიც წარმოქმნილი არიან ზმნისართ-თანდებულებისაგან, ხშირად ისევ დაერთვიან ამა თუ იმ ადგილობითი ბრუნვის სრულ ფორმას და მათ მნიშვნელობას უფრო მეტად აკონკრეტე-

ბენ, მაგ.: **ცისტოლიდა-ლ' ლ'ირო** ტაქანი გელი (ლომთ. 2003 : 181) „მაგიდის ქვეშ (ზედმიწ. მაგიდის **ქვეშ დაბლა**) ჭიქა არის“. ბოდუ ილბის მაყეჩ მაწოლ', ბად ბოხ-**ტოო ტოოდო** უჩენ ლო აგ „ის ეშმაკი, მომავალი, დაინახა თუ არა, ამ ხე-ზე **ზედ** ახტა იგი“.

როგორც ეს მაგალითები მოწმობენ, თანდებულად (სათანადო სახელის სივრცობრივი მიმართების დასაკონკრეტებლად) გამოყენებული ზმნისართები (**ლ'ირო** „ქვეშ“, **ტოოდო** „ზედ“) და მათი ესივის დაბოლოებები (**-ლ'** „ქვეშ“, **-ტოო** „-ზე“) გენეზისურად ერთმანეთს უკავშირდებიან: **ლ'ირო** > **-ლ'**, **ტოოდო** > **-ტოო**. ცხადი ხდება, რომ ესა თუ ის თანდებული ფუძეს (resp. ბრუნვის ფორმას) შერწყმია და ახალი ბრუნვა წარმოუქმნია, მაგრამ იმავედროულად თავადაც განაგრძობს ფუნქციონირებას. თანდებულთა ფუნქციას მეტწილად ადგილისა და დროის ზმნისართები ასრულებენ.

ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით, პირობითად ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: ა) **ზმნისართული** (თანდებულის ფუნქციით გამოყენებული ზმნისართები) **თანდებულები** და ბ) **საკუთრივ თანდებულები** [ისაყოფი, ხალილოვი 2001 : 279].

ა) ზმნისართულ თანდებულთა ჯგუფს მიეკუთვნება: **ტოოდო** „ზედ“, **ლ'ირო** (ჰუნზ. **ლ'გრან**) „ქვეშ“, **ჰიცა** (ჰუნზ. **იჩო**) „ახლო“, **ჰედან** (ჰუნზ. **არტოდო**) „უწინ“, „ძველად“, **მჰლანთან** (ჰუნზ. **მულალ'**) „უკან“, **ცედო** (ჰუნზ. **ცენდუ**) „შიგ“, „შინ“: „...აგი ქეჭრილო ენდუ დიდე ღინო ლო ოლ'ნო ლ'ი ნეტეერუ (ვან 1995 : 215) „იმ ქვევრში ჩემი შვიდი წლის ღვინო არის“, **ძალ'ო** (ჰუნზ. **ბოლ'ე**) 1. „მუა“ (ზმნის.), 2. „მორის“ (თანდ.), **ყაწო** (ჰუნზ. **ლ'ელ'**) „ერთად“, **გისა** (ჰუნზ. **გიშო**) „გარეთ“, **დანდე** < (ხუნდ., ჰუნზ. **დენო**) 1. „შესახვედრად“, „წინაშე“ (ზმნის.), 2. „წინ“ (თანდ.): ბოლოდ დანდე „სახლსა წინა“, **სოწ** (ჰუნზ. **სარან**, ხუნდ. **საჟერუტ** "id".) „ირგვლივ“, **წინო** (ჰუნზ. **ჰინუ**) „მორს“ და მისთ.

ბ) საკუთრივ თანდებულებად მიჩნეულები პირობითად ორ ქვეჯგუფად გაიყოფა: ა. ცალკემდგომი, ბ. სახელს შეხორცებული.

ა. ცალკემდგომი თანდებულები სახელებს ჩვეულებრივ მოსდევენ:

დასტურდება ხუნძური ფორმების ვარიანტები: **საბაბლ'უნ,** **რლო** (ჰუნზ. **მულუ**): ალლაჰლი მულუ „ღვთის გულისთვის“.

მიცაც „ნაცვლად“: აბოლა მიცაც „მამის ნაცვლად“.

ჰაყალ'ულ' (ჰუნზ.) „შესახებ“, „-ზე“: კუჩიდ ჰაყალ'ულ' „ჩაქუჩის შესახებ“.

გუროგო (< ხუნძ., ჰუნზ. **გურიბ**) „გარდა“: მე გურიბ, ტოკაბ სუკუ გრჭი? „შენ გარდა, სხვა კაცი აღარაა?“.

რეყონ (< ხუნძ.) „თანახმად“, „მიხედვით“: იო-აბო ბოო ჰუმქულაჰ რეყონ... „მშობლების გადაწყვეტილების მიხედვით“...

ბ. სულ რამდენიმე თანდებული დასტურდება, რომლებიც ენკლიტიკურად დაერთვიან ირიბ ბრუნვათა ფუძეს, ანდა იშვიათად აბსოლუტივის ფორმასაც, მაგ., -**ლაბზა** (იხ. საკ. ბეჟ. -**ჩო** „ვით“, ჰუნზ. -**ჩოს**) „ნაცვლად“, „გულისთვის“: საკ. ბეჟ. **დულ-ლაბზა** ბოო უაჰლო ჰალტი „შენი გულისთვის გავაკეთე საქმე“; ჰუნზ. ოყდილ აგ რუჟორ **გსტი-ჩოს** „ვაჟმა ეს გააკეთა ძმის გულისთვის“.

-**დალა** (ჰუნზ. -**ჟბა**¹) „გამო“: ჰუნზ. ცოსსა **მეხლი-ჟბა** ყნრა მეტა ბრჯის (ვან 1995 : 50) „ცული ამინდის გამო, ბავშვები ვერ წავიდნენ“.

-**აც** II -**აცა** „გარდა“: საკ. ბეჟ. **იოლუ-აც** აბონა გოჟალ ნუ-წოს „ღედის გარდა, მამაც უნდა მოვიდეს“ (ხალილ. 1995 : 30).

-**ჟუმ** (ტლ. -ჟუნა) „თან“: ჰუნზ. ოყე ოკრკ ჟინის **ჰალმანო-ჟუნ** „ბიჭი ერთობა მის ამხანაგებთან“.

-**გრლ** (ჰუნზ.) „ვით“: ჰუნზ. ოყე ე⁶ტე **ტიგა-გრლ** „ბიჭი ვაცივით ხტის“.

¹ ჰუნზ. -**ჟბა** მატერიალურად ბეჟ. -**ლაბზა**-ს -**ბზა** კომპონენტს უკავშირდება: -**ჟბა** (< -**ბჟა** < -**ბზა**).

-**ლ'ერუ** (ტლ. -ლ'ირო) „-ვით“: ჰუნზ. **ცა-ბოცო-ლ'ერუ** ქიდ „ვარსკვლავ-მთვარესავით გოგო“ (ვან 1995 : 224).

-**ცორ** „-ვით“: ოჟე **აბო-ცორ** ოდნც „ვაჟი მამასავით მუშაობს“ (ალექს. 1988 : 163).

8.4. კავშირი

კავშირი, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, ზოგადად, სიმრავლით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, იგი წინადადებათა დასაკავშირებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს და, აქედან გამომდინარე, წინადადების აუცილებელი კომპონენტია.

ბეჟიტური ენა, სხვა ახლომონათესავე ენათა დარად, კავშირებით ღარიბია. ეს შეიძლება პიპოტაქსის სპეციფიკით იყოს შეპირობებული—კავშირების ფუნქციას ხშირად ნაწილაკები ასრულებენ.

ფუნქციის მიხედვით, გამოიყოფა კავშირების ორი ძირითადი ჯგუფი: 1) **მაერთებელი** და 2) **მაქვემდებარებელი**.

1) **მაერთებელი** კავშირებიდან გვხვდება: ა) **მაჯგუფებელი**: **-ნა** (საკ. ბეჟ.), **-ნო/-ნ** (ჰუნზ.) „და“. ჰუნზიბურში მისი დისტრიბუცია: **-ნო** ენკლიტიკურად დაერთვის ხმოვანფუძიანსაც და თანხმოვანფუძიანსაც, ხოლო **-ნ** (<**-ნო**) — ოდენ ხმოვანფუძიან სახელს. მასთან, ჩანს, წყობასაც აქვს მნიშვნელობა: **ოჟენო ქიდნო**, მაგრამ: **ქიდნო ოჟენ**. თუ ზედმიწევნით ზუსტად მოვახდენთ **-ნა**, **-ნო** ოდენობის კვალიფიკაციას, იგი ნაწილაკს წარმოადგენს, რომელიც კავშირად არის გამოყენებული: **დან მან** ზედმიწ. „მე-ც შენ-ც“ — „მე და შენ“ (შდრ. ხუნძ. -გი). ეს კავშირი არ იხმარება ზმნების დასაკავშირებლად. არაპროდუქტიულია ხუნძურის გზით არაბულიდან ნასესხები **ჟა** („და“) კავშირის გამოყენება. იგი უფრო წერილობით მეტყველებას ახასიათებს, ვინემ ზეპირმეტყველებას. „და“ კავშირის მნიშვნელობით ასახელებენ **ბეთა** („შემდეგ“) ზმნიზედასაც [ხალილოვი 1995 : 408].

ბ) **მაცალკევებელი კავშირი: მადა || მაგი** (ჰუნზ. **მანი, მა**) „ან“: მაგი ჰუგი, მაგი დო „ან ის, ან მე“; **მაღ'უნი** „ან“: მაღ'უნი ის, მაღ'უნი ისი „ან ძმა, ან და“.

მაღ'უნი ხუნძურიდან არის შემოსული, ხუნძურში კი — არაბულიდან. ამოსავალი **მა** ჩანს, დანარჩენები მისი ვარიაციებია.

გ) **მაპირისპირებელი** კავშირია **ამმა** (< ხუნძ. < არაბ.) „მაგრამ“, „თუმცა“: ყატლიც ე^ნტა, ამმა თელი კაღლ'წყა „ქუჩაში გადი, მაგრამ ბევრი არ იხეტილო!“.

2) **მაქვემდებარებელი** კავშირებიდან გამოიყოფა: **-ლ** „როდესაც“, **-ცალ** „სანამდის“, **-ყოღა** „რომ“, **-და** „თუმცა“ და მისთ.

8.5. ნაწილაკი

ბეჭიტურ ენაში ნაწილაკები ენკლიტიკურად დაერთვიან ცალკეულ ლექსემას და წინადადებას თავისებურ ემოციურ ელფერს ანიჭებენ. რიგ შემთხვევაში ნაწილაკები თავისი ფუნქციით ახლოს დგანან კავშირებსა და ზოგჯერ თანდებულებთან. მიუხედავად ამისა, მათი გარჩევა მაინც შესაძლებელია, რადგან ნაწილაკი არ აკავშირებს წინადადებებსა და მათ წევრებს.

მიუხედავად ნაწილაკთა არამდგრადი ბუნებისა, ფუნქციის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი: 1) კითხვითი ნაწილაკები: **-დ** || **-დი** (საკ. ბეჟ.), **-ი** (ჰუნზ.): **ჩახჩა-დი?** „წერს?“, **ჩანაჯა-დი?** „არ წერ?“, **რუჟინ-ი?** „არ გააკეთა?“ ამავე სემანტიკისა ჩანს ჰუნზ. **-ლ'ა**: ბულაჩ მარატჰ **ენტე-ლ'ა?** — ნგსლო! „ბულაჩი მთაში მიდისა? — ჰკითხე!“

ეგგუ „ნუთუ“: **ეგგუ** ჰუგი ბილ'ოლა ე^ნტენადი? „ნუთუ ის შინ წავიდა?“

2) უკუთქმითი ნაწილაკები: **მა** „არც“: **მა** აბო, **მა** იფო **გაჯა** ბილ'ოლა „არც მამა, არც დედა შინ არ არის“. ნაჰ. **-ტო** (ჰუნზ. **-ატ**) „არ“, „ნუ“: ჯოღ-ტო „ნუ წაიკითხავ“, ჰუნზ. ჯოჟ-ატ „არ წაიკითხო“; **ღეჟა-ატ** „არ ზის“, ნიღანა „არაფრით“.

3) სიტყვასიტყვითი ნაწილაკი: **-ლ'ო** (ჰუნზ. **-ლ'ე**) „-ო“:
ბილ'ოლა **გაჯ-ლ'ო** „შინ არ არის-ო“.

4) მიგებითი (მოდალური) ნაწილაკები:
ბეთთა (ჰუნზ. ბედო) || **ნ** || **ჰან** (ჰუნზ. **ენ**) „ღიას“, „ჰო“: —
მიჟე ჰოლ'ოცდი გეჲ? — **ბეთთა** „თქვენ აქ ხართ? — ღიას“.

გაჯ (ჰუნზ. **გოჯ**, ღარბ. **გორჩ**) „არა“: ილდო ცალ'ან გუჰ-
ლაჯლა **გოჯ** „ჩვენ სოფელში ქურდები არ არიან“.

5) პირობით-ნატვრითი ნაწილაკები:
-დანა „თუნდაც“, „ოღონდაც“: **ქიდ-დანა** ეოჰდასყოღ
„ოღონდ გოგონა ისწავლიდეს“.

ოღონთ (< ქართ. ოღონდ) „ნეტავ“, „ნეტავი კი“: **ოღონთ** მი
ღენ'ტეჩყოღა „ნეტავ შენ წახვიდოდე“.

-და || **-სო** (ჰუნზ. **-ყაღა**) „თუკი“: ხიშონ ნეჩოს **ზუყურყაღა**,
ან ილუს ჰალტი ლიდერ ლ'გეჩორ „თუკი ხვალ ის მოვიდა, მთე-
ლი ჩვენი საქმე დასრულდება“.

6) შედარებითი ნაწილაკები:
-ცოჲ (ტლ. **-ჩორ**, ჰუნზ. **-გორ**) „ვით“: **დიგა-ცოჲ** მაჯცადი
„ჩემსავით გააკეთებ“.

-ლ'იო || **-ღას** || **-ღადან** „მსგავსი“.

7) გაძლიერებით-მითითებითი ნაწილაკები:
ალო „ლა“, „რა“, „ერთი“: ნისალა, **ალო** (გოგოს
მიემართება) „ერთი, მითხარი“.

ჟალე! „აბა“, „მოდო ერთი“: გოჰლო, **ჟალე!** (ბიჰს
მიმართავენ) „აბა, მოდი!“

ჟალლაჰ! „ღმერთმანი!“

8) შესაძლებლობით-მტკიცებითი ნაწილაკები:
ბალიქი (საკ. ბეჟ.), **ბა** (ჰუნზ.) „შესაძლოა“:

ჰუნზ. **ზა** „ალბათ“: ბოდუ ბერსინაბ ტენ' ბოყუნ ლო **ზა**
„ალბათ მან ლამაზი წიგნი მოგვიტანა“; **ეჩე** „გეთაყვა“, „აბა“:
„ბოყო ეჩე“, ლ'ე ნესან „მოიყვანე, გეთაყვაო“ — უთქვამს.

9) განუსაზღვრელობით ნაწილაკი:

ჰუნზ. -დი „-მე“: შიფო-დი „რამე“, ლოფ-დი? „არსებუღია?“ „მართაღია?“ [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 63].

8.6. შორისდებუღი

მეტყვეღებისას ადამიანი ახდენს ცალკეუღი ბგერის, ბგერათა კომპღექსისა თუ მთღიანი სიტყვის ამა თუ იმ კონტექსტში იმგვარი არტიკულაციით წარმოთქმას, რომელშიც არეკღიღია ადამიანის გრძნობები, განცდები და სუღიერი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, შორისდებუღი ემოციურად ტვირთავს გამონათქვამს და წინადადებს ინტონაციურად უფრო მრავალფეროვანსა და მიმზიდველს ხდის. აკ. შანიძე წერს: „როგორც მრავალფეროვანია ბუნების მოვღენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის მოვღენების სახეები, ისე მრავალფეროვანია და ჰრეღი შორისდებუღებიც, რომღებიც წარმოადგენენ გუღიდან ამონახეტქს ამ მოვღენათა განცდის გამო“ [შანიძე 1980 : 621]. ამ მხრივ, არც ბეჟიტური ენა არის გამონაკღისი, რომელშიც თავს იჩენს სხვადასხვა სტრუქტურისა და შინაარსის შორისდებუღები.

შინაარსის მიხედვით, შორისდებუღები, როგორ პრაგმატიკუღი მნიშვნეღობის ერთუღები, შეიძღება გაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

1) **გრძნობა-განცდათა გამომხატვეღი შორისდებუღები:**

გაკვირვება-გაოცება: ჰულა „აი“ (გაოხატავს გაოცებას), ჟაჰ „ახ“, „ერიჰაა!“ (გამოხატავს გაკვირვებას); ა^ნჰჰ „ოო!“ (გამოხატავს ძღიერ გრძნობას); ჟ^აბაბა „ვაი-ვაი-ვაი“ (გამოხატავს გაოცებას, წუხიღსა და ძღიერ განცვიფრებას); ჟაღ „ვაი“; ლეღე „ოჰ!“ (გამოხატავს გაოცებას): ლეღე, ნიღად მე კეზიდაჯიღო! „ოჰ, ასე როგორ მოიქეცი!“; ჟერე 1. „ჰეი“; 2. „აჰა“: ჟერე, ქეჰიღ'ა „აბა, იმღერე!“; ჰ^ან „აბა“: ჰ^ან, მეღა ხაბარ „აბა, მოგვიყევი ახაღი ამბაღი“. ჰაღ-ჰაღ „ღიახაც“, ოჰო-ჰოღ „ოჰ-ჰო-ჰო“.

მიმართვა: **დე** „ჰეი!“ **ფუ** „ჰეი!“ (გამოიყენება ქალებისადმი მიმართვისას); **ოდე** „ჰეი!“ (ასე მიმართავენ მამაკაცს); **ჰე** „ჰეი“, **ლე** „ჰეი“ (ჩვეულებრივ კაცებს მიემართება); **ჟალე** „აბა“: გოჭლო, **ჟალე** „აჰა, მოდი!“ **ჰორა** (ტლ., შდრ. **ჰეა**) „აბა“, **ჟა** „ჰეი!“: ჟა, ოჟე, მჰ ნიჩ რჯატი?! „ჰეი, ბიჭო, არა გრცხვენია?!“

ჟაყვრა „ჰოი, ბავშვო“ (ალერსიანი მიმართვა); **ჟო-ო-ო** „ე, ჰეი“ (ქალებს მიმართავენ): ჟო-ო-ო, ფატიმათ „ჰეი, ფატიმათ!“ და მისთ.

ჰე „ჰეი“: ჰუნზ. ჰე, მალლა ნასრედინ, სურბა გრმტუ ბილ'ეკერ?! „ჰეი, მოლა ნასრედინ, ვირი რატომ მომაკვლევინე?!“

აღლაჰ || **ჟაღლაჰ** || **ჟუღლაჰ** „ჰოი, ღმერთო!“, „ღმერთმანი!“: ჰუნზ. **ჟაღლაჰ**, ე^ნტ^ოოჰს დგ ბჰდი!¹ (ისაყ., ხალილ. 2001 : 281) „ღმერთმანი, იქით მე არ წავალ!“

გაჯავრება: **ოჰოჰა** „ოჰ, ოჰოო“: ჰუნზ. **ოჰოჰა**, ვან^ს რუჰ ბჰჰურ (ვან 1995: 163) „ოჰ-ოჰოო, ერთი სული ამომხდა („მოკვდა“)“.

გამხნეება: **ჰობ** || **ჰობჰ** „ჰობა, ჰობლა“ (ცეკვისას გამამხნეებელი შეძახილი).

ნატვრა: **ჰა** „ოჰ“: ჰუნზ. **ჰა**, რანჯოლ' ჟედულ'დო მჰ ნესო (ვან 1995: 185) „ოჰ, როდის მოხდება კვლავ!“

მწუხარება: **ც^ნ** (გლოვა-ტირილის ხმიანობა). **ჰა** „ჟი“: ჰუნზ. **ჰა**, ჟე შიჰო რუჟა?! „ჟი, ახლა რა გქნა?!“

აუჟ „ვაი“ (გამოხატავს შიშს. იყენებენ მდედრობითი სქესის პირები).

ა „ვაი“ (გამოხატავს ტკივილს): ა, კოკოლლას! „ვაი, მტკივა!“

ჟაჰ „ვაი“, „ვაიმე“: ჰუნზ. **ჟაჰ**, დიდე ოჟე Øუჰენ ლო! — ლალადან ლო ბოდუ „ვაი, ჩემი ვაჟი მოკლეს! — აქვითინდა იგი“.

სინარული და მოწონება: **ჟაჰ** „ვაი“: ჰუნზ. **ჟაჰ**, ბოლ'უს შიჰო როჯი! „ვაჰ, ეს რა მოხდა!“.

¹ ალბათ უნდა იყოს ბალი „იქ“.

ოპოპო „უი-უი“: ჰუნზ. **ოპოპო**, ლოდერუ ქეფ! „უი-უი, რა სასიამოვნოა!“

ჟალალად, ჟალალად „ოპ“, „ოი“: ჰუნზ. **ჟალალად**, ბგვანს ბორტეი! „ოპ, მზე როგორ აჭერს!“

კი-კი „ხი-ხი-ხი“ (ხარხარის ხმიანობა), **კიკი-ნი** „ხიხინი“.

2) **ნება-სურვილის გამოსახატავი შორისდებულები:**

შეცოდება და მოფერება: რუფ, რუფ „სუ, სუ“, „ჩუ, ჩუ“ (შდრ. ხევს. რუ, რუ "id"): **რუფ, რუფ**, ფუს ქიდ; ნეფსი ზანტა, ფუს ქიდ... (ვან 1995 : 142) „ჩუ, ჩუ, დედის გოგო, ნემსივით თითები, დედის გოგო...“

გაფრთხილება: ბებე! (ტლ. ბობო!) „ფრთხილად!“ **აისბონა** „ქცი, ეცი!“ (ძალის მისაქსევი ხმიანობა).

გასადევნი და მოსახმობი შორისდებულები:

გაცი! (ჰუნზ. გაცცი < ქართ. გაცი < გაწი < გასწი) „გასწი“ (იყენებენ ძალის გასაგდებად).

ქიშ, გჷშ-გჷშ (ქათმების გასარეკი ხმიანობა).

ჰჩიუ! „აჩუ!“ (ცხენის გასაგდები ხმიანობა).

ხნ „ხიი, ხი, მო!“ (კალოზე ხარ-უღლის გასადევნი ხმიანობა).

ჟოჰა! (ამ შეძახილით აჩერებენ ხარებსა და ძროხებს).

ჰან „ადე-ჰო“ (ძროხების გასარეკი ხმიანობა).

დბრუ, დრრუ „დრრუ“ (ცხენის გასაჩერებელი ხმიანობა).

ჟის II ქის „აცხა!“ (კატის გასაგდები ხმიანობა).

ტნად (ძროხის მოსახმობი ხმიანობა).

მაჰ-მაჰ (ძალღების მოსახმობი ხმიანობა).

რი-რ-რი, ბრრ... (ცხვრების და თხების მოსახმობი ხმიანობა).

3) **ხმაბაძვითი შორისდებულები:**

წიდაპ-წიდაპ „წიპ-წიპი“ (წიწილების ხმიანობა).

ბაჟ „წლაპუნნი“.

ბე „ბეე“ (ბლავილის ხმიანობა).

ბი-ბიპ II ბა-ბაპ „პი-პიი“, „პიპინი“.

ბუჰ „ბუჰ“ (ხარის ბუბუნი).

ჟიჰ-ჟიჰ „წივწივი“.

მან „ზმული“.

მიანუ „კნავილი“.

ზემომოყვანილი ფორმებით არ ამოიწურება შორისდებულთა სიმრავლე და მრავალფეროვნება. ამ რიგის საკითხები სრულიად შეუსწავლელი ან ნაკლებშესწავლილია. მათი სპეციალურად გაღრმავებული კვლევა-ძიება სასარგებლო იქნებოდა ხმაბაძვითი (ბგერწერითი) ლექსიკის დასამუშავებლად და ენობრივი უნივერსალების გამოსავლენად.

ნაწილი III

სინტაქსი

თავი IX

ატრიბუტული სინტაგმა

9.1. **სინტაქსის საგანი და მიზანი.** სინტაქსის შესწავლის საგანს, ზოგადად, წინადადება წარმოადგენს. რამდენადაც წინადადება შესიტყვებათა ერთობლიობაა, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს, ამდენად სინტაქსი შეიძლება განიმარტოს, როგორც მოძღვრება შესიტყვებათა შესახებ [ფორტუნატოვი 1905; ჩიქობავა 1968 : 113].

ენობრივი სისტემის სინტაქსურ იერარქიულ დონეზე ხდება რთული სტრუქტურული ერთეულების წარმოქმნა: „**უშუალო შემადგენელთა** ტერმინებში **წინადადება** შეიძლება განისაზღვროს როგორც გამონათქვამის ნაწილი, რომელიც ამავე გამონათქვამის სხვა ნაწილის უშუალო შემადგენელს არ წარმოადგენს“ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 246].

შესიტყვების დონეზე გამოიყოფა სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეულები, რომლებსაც ტრადიციულად წინადადების წევრებს უწოდებენ. წინადადების მთავარ წევრებად გამოიყოფა პირმიმართი (კლასმიმართი) აქტანტები — **შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება**, ხოლო შემასმენელს (პრედიკატს) მოეპოვება თავისი ატრიბუტი — გარემოება, ქვემდებარესა და დამატებას კი — განსაზღვრება. წინადადების ეს კომპონენტები სინტაქსურად რელევანტურნი არიან, მაგრამ წინადადების სტრუქტურაში გვხვდება ისეთი კომპონენტებიც (კავშირი, მიმართვა, ჩართული...), რომლებიც რელევანტური წევრებისაგან სტრუქტურულად იზოლირებულნი არიან, ამიტომ მათ პირობითად შეიძლება სინტაქსურად ირელევანტური წევრები ვუწოდოთ.

შესიტყვებაში, როგორც წინადადების მთავარი კომპონენტში, შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ტიპი: ა) **ატრიბუტული სინტაგმა** (შესიტყვება), რომლის უშუალო შემადგენლებს წარმოადგენენ სახელები: მსაზღვრელი (ატრიბუტი) და საზღვრული (სუბსტანტივი); ბ) **პრედიკატული სინტაგმა** (შესიტყვება), რომლის ნაწილებსაც ზმნა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სახელი და ზმნისართი ქმნიან. ჩვენ თავდაპირველად განვიხილავთ ატრიბუტულ სინტაგმას.

ატრიბუტული სინტაგმისათვის არსებითია შესიტყვების (ფრაზემის) წევრთა ურთიერთდამოკიდებულების სახეები და მათი სტრუქტურული მოდელები. ბეჟიტური აგლუტინაციური ტიპის ენაა¹ და, აქედან გამომდინარე, ამგვარ ენაში წინა პლანზე არის წამოწეული შესიტყვების კომონენტთა ფორმობრივი კავშირი, ხოლო ადგილმდებარეობა, ინტონაცია და სემანტიკა ფორმობრივი კავშირის ფუნქციამონაცვლე ოდენობებია.

ატრიბუტული სინტაგმისთვის ისევე, როგორც მთლიანი წინადადებისათვის, არსებობს ცენტრალური კომპონენტი (ბირთვი) და მარგინალური კომპონენტი (ატრიბუტი), მაგალითისათვის განვიხილოთ ასეთი წინადადება მაღლარასადანის **იცილო იო** აჟლონა გეჟ (კაბ.) „მოლა ნასრედინის **მოხუცი დედა** მომკვდარა“.

ზემომოყვანილ წინადადების შესიტყვებაში **იცილო იო** („მოხუცი დედა“) **იო** („დედა“) შესიტყვების ბირთვს ქმნის, ხოლო **იცილო** („მოხუცი“) მისი ატრიბუტია, თუმცა ეს გრამატიკულად არ არის რეალიზებული.

9.2. ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა თანამიმდევრობის საკითხი. სახელურ შესიტყვებაში სიტყვათა რიგი მნიშვნელოვანია ყოველი ენისათვის, რადგან ეს სიტყვების სტრუქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია და მათ კანონზომიერება

¹ ზოგჯერ თავს იჩენს ფლექსიური ტიპის ელემენტებიც: **-ა** გვევლინება II და IV კლასის ექსპონენტად, **-ს** წარმოადგენს ნათესაობით და დაშორებით ბრუნვათა ნიშანს და ა. შ. [იხ. როგავა, იკეწ, XIV, გვ. 9-15].

წყობის დარღვევამ შეიძლება სათანადო კომუნიკაციას ხელი შეუშალოს. მეტადრე ეს ითქმის იმ ენათა მიმართ (მაგ., ინგლ.), რომლებშიც წინადადების წევრთა წყობა კანონიზებული და მყარია.

ბეჟიტურ ენაში ატრიბუტული სინტაგმა, როგორც თავისუფალი შესიტყვება, ძირითადად პრეპოზიციური (ცენტრისკენული) წყობისაა, თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური (ცენტრიდანული) რიგიც დასაშვებია — იგი, როგორც წესი, გათიშულ შესიტყვებაში გვხვდება. საზღვრულ სახელს წინ უძღვის (*resp.* მოსდევს) ჩვენებითი ნაცვალსახელი, მიმღეობა, ზედსართავი, რიცხვითი და არსებითი სახელები.

ა) **პრეპოზიციური წყობა** გაბატონებულია, მაგ.: საკ. ბეჟ. ნუქო უო „მშიერი ძაღლი“, ბუყო ბისა „დიდი თევზი“, ჰონლ'ოს მიც „მათი ენა“, ლ'ანა მესედო „სამი ოქრო“, კოტო ჰამმან „კარგი ცხოველი“, ლ'ინო ყურუმ „ხუთი მანეთი“, მიჟომ ჯრდაბაცას „თქვენი მოსწავლეები“, მალოს ნისალლ'ირო „ავტობიოგრაფია“ (ზედმიწ. „ტანის სათქმელი“)...; ჰუნზ. ჰალდუ აკიჰალ, წადილ ხაბარ, შიფო რატ? „თეთრი ზღაპარი, შავი ამბავი, რას ისურვებ?“ (ზაპრის დასასრული), Øანყეჩოს სუკუ „მომავალი კაცი“, უშას მრგო „ძაღლის ტყავი“, ქოშეჩოს სუკუ „მთიბავი კაცი“, მესედლ'ერუ ქიდ „ოქროსფერი გოგო“ („მზეთუნახავი“), იჩილ აბუ „ბაბუა“ (ზედმიწ. „მოხუცი მამა“), ჰალდუ შუგუ „თეთრი ცხენი“, კოტუ ქიდ „კარგი გოგო“, ჰანს ყარა „ერთი ბავშვი“, აგ შოფერ „ეგ მძღოლი“, ხო ნუჟურუ სუკუ „ხორცის მჭამელი კაცი“ და მრ. სხვ.

ბ) **პოსტპოზიციური წყობა** ფაკულტატიურ ხასიათს ატარებს: საკ. ბეჟ. ეწუ ბოყო „ვაშლი დიდი“: ეწუ ბუყო ბაცცა, მუწუნა ბაცაცცას [ლომთ. 2003 : 194] „ვაშლი დიდი იცის („იქნება“), საჭმელად არ ვარგა („არ იქნება“)“; **ბუყარო ხალყ ჰუქუ-მათლის** „დიდი ხალხი მთავრობისა“; ბუყარო ხალყ ჰუქუმათლის მოყანა მოყონა... „მთავრობის დიდი ხალხი მოსვლით მოვიდა რა...“ [ლომ. 2003 : 200]...; ჰუნზ. ქიდ დიფე „გოგონავ ჩემო“: რუ, რუ ქიდ დიფე, ნეფსი ზოტხო, ქიდ დიფე... ზედმიწ. „ჩუ, ჩუ,

გოგონავ ჩემო, ნემსივით თითი, გოგონავ ჩემო...“ (ბეჭიტური ნა-
ნა), ოჟე ყონა „შვილი ორი“, ისი ფუყო „ და უფროსი“, ჰალტი
ქნდ ბუტოჩოს „საქმე ხელით გასაკეთებელი“, ბოწი, ჰაფუნლისნო
ყასქარლისნო ჰისაბ მიზანგოისუ... [ლომთ. 2003 : 32]
„ცხვარი, საქონელი და ჯარი უთვალავი...“ და მისთ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოსტპოზიციუ-
რი წყობა შესასწავლი ენისთვის ბუნებრივი არ არის და მეტად
იშვიათ შემთხვევებში იჩენს თავს, რაც ელიზბარ ლომთაძესაც არ
გამოპარვია მხედველობიდან [ლომთაძე 2003 : 32]. მ. ხალილოვი
და ი. ისაყოვი შებრუნებულ წყობას გვერდს უვლიან და ოდენ
პრეპოზიციური წყობის არსებობის აღნიშვნით იფარგლებიან
[ხალილოვი 1995 : 410; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 282].

ფრაზაში შესაბამის კომპონენტთა პოსტპოზიციური რიგი
ხშირად სხვადასხვა სტილური თუ ჟანრული გარემოებებით ჩანს
შეპირობებული — იგი კომპოზიტებში, პოეზიის ენაში, ანდა შე-
სიტყვების კომპონენტთა სიმრავლისას იჩენს თავს, მაგ.: **ღაძბა-
ბუტოროგ** „მოჩხუბარი“ (ზედმიწ. „ჩხუბ-მკეთებელი“), **სუკუ შუ-
გურ ლოდერუ**, ბედეჩაბ ნგსრო ზუყურ (ნაპ.) „კაცი ცხენიანი
მდიდრად ითვლებოდა“, კეტატოს **ჰარე ბცდუ** (ნაპ.) „მარჯვენა
თვალი ბრმა“, ზუყონა გე **ბუყა ყონა** ქიბბა¹ ხალლის [მად.
1965 : 93] „მეფეს ჰყავდა **დიდი ორი გოგო**“ (ზედმიწ. „ყოფილა
დიდი ორი გოგო მეფისა“), აცაწან **სგ** რუტო ბოწლოდ **კიმალის**
[ვან 1995 : 117] „ათი **გუდა** გააკეთეს (აკეთებენ — ნ. ა.)
ცხვრის **ყველისა**“ და მისთ.

არაიშვიათად პოსტპოზიციური წყობა დასტურდება გათი-
შულ სახელურ შესიტყვებაში (იხ. 9.3.3).

პრეპოზიციური წყობის გაბატონება, როგორც ვარაუდობენ,
დამოკიდებულია საზღვრულის გავლენის გაფართოებაზე: „...იგი
მყარად არის ბლოკირებული საზღვრულის მიერ“ [უთურგაძე
2009 : 163, 167].

¹ აქ მსაზღვრელთა ბუნებრივი წყობის (ყონა ბუყა... „ორი დიდი...“) დარღვევასთან, ატრიბუტთა ადგილმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

9.3. **ატრიბუტული სინტაგმის წევრთა სინტაქსური ურთიერთობა.** სახელური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა დამოკიდებულია მის კომპონენტთა რაოდენობასა და მათი ერთმანეთთან კავშირის სახეობაზე. აქედან გამომდინარე, ატრიბუტული სინტაგმის წევრები, როგორც სინტაქსური დონის ერთეულები, ერთმანეთთან ამყარებენ გარკვეულ კანონზომიერ კავშირს, რის გარეშეც შესიტყვება დაკარგავდა მთლიანობას და სიტყვათა უაზრო მიმდევრობად იქცეოდა; იგი მოკლებული იქნებოდა მის ძირითად საზრისს — კომუნიკაციის ფუნქციას. ამიტომ არის შესიტყვება ისევე, როგორც მთლიანი წინადადება, ორგანიზებული მთლიანობა. რაც შეეხება წინადადების ერთ-ერთ კომპონენტს — ატრიბუტულ სინტაგმას, მის თავისებურებას, წყობასთან ერთად სტრუქტურული ლაბილურობაც ქმნის. კერძოდ, მსაზღვრელი, საზღვრულისაგან — სუბსტანტივისაგან განსხვავებით, დისკრეტულობას არის მოკლებული, ამიტომ იგი შეიძლება (განსაკუთრებით პრეპოზიციური წყობის დროს) გრამატიკულად არამარკირებული ან ნაწილობრივ მარკირებული იყოს.

სინტაგმა, შემადგენელ წევრთა რაოდენობის მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა: ა) **ორწევრიანი სახელური შესიტყვება: კეტო ტექ** „კარგი წიგნი“, **დიდე ქიდ** „ჩემი ქალიშვილი“...; ბ) **მრავალწევრიანი სახელური შესიტყვება: ხალლის აღ'ნა ოჟო** (კაპ.) „მეფის ათი ვაჟიშვილი“, **იჩილო სუკოს ჰალტი** (ტლად.) „მოხუცი კაცის საქმე“, **არტო ოაწყერუ სგდ ჟრაჩლილ რუჟორუ ქალამალ'ილოს ხაბარ** (ჰუნზ.) „ადრე მოსული ერთი ექიმის გაკეთებული საკვირველების ამბავი“ და ა. შ.

ზოგადად, ატრიბუტულ სინტაგმაში მსაზღვრელ-საზღვრულის კავშირის სინტაქსური სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

9.3.1. **შეთანხმება.** მსაზღვრელი სახელი (ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, მიმღეობა და ატრიბუტივად გამოყენებული არსებითი სახელი), როგორც წესი, წინ უძღვის საზღვრულს. შებრუნებული წყობისას ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი (აჯო-NOM. SG. ფათიშაჰლის-GEN. SG. „ცო-

ლი მეფისა“ ტიპისა) მხოლოდ სახელობითში მდგარი სახელით იმართვის [ლომთაძე 1996 : 214].

პრეპოზიციური წყობის დროს, რომელიც გაბატონებულია საკვლევ ენაში, შეთანხმებას ადგილი აქვს კლასსა და რიცხვში.

სქემა 34. შეთანხმება კლასსა და რიცხვში

კლასი	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი	ლექსიკური მნიშვნელობა
I	Ø -იყერუ ოყე	ბ -იყერ- არ ოყ- და	„პატარა ბიჭი“
II	ჲ -იყერუ ქიდ	ბ -იყერ- არ ქიბ- ბა	„პატარა გოგო“
III	ბ -იყერუ ხოხე	რ -იყერ- არ ხოხ- ლა	„პატარა ხე“
IV	რ -იყერუ ვოვო	რ -იყერ- არ ვოვო- შა	„პატარა სახლი“

კლას-კატეგორიის მიხედვით, შეთანხმება ხდება კლასიფიკატორების საშუალებით, ხოლო რიცხვში შეთანხმება კი — კლასის ექსპონენტებითა და მრავლობითობის სპეციალური ნიშნებით (იხ. 4.2.1; 5.2; 5.3), ე. ი. კლასიფიკატორს ფლექსიური ფუნქცია მოეპოვება, რაც მეორეული მოვლენა ჩანს.


ამ შემთხვევაში კლასში შეთანხმება ასე ხდება: **ჲ**-იყერუ ქიდ „პატარა გოგონა“ — **ბ**-იყერ-**არ** ქიბ-**ბა** (< ქიდ-ბა) „პატარა გოგონები“.

პირველ სინტაგმაში ბირთვს **ქიდ** („გოგონა“) ქმნის და მსაზღვრელში თავის კლასიფიკატორსაც აჩენს, თუმცა თავად სახელი (ქიდ „გოგონა“) გამონათულების პლანში სათანადო მარკერს მოკლებულია (შდრ. ხუნძ. ჰიტინა-**ჲ** **ჲ**-ას „პატარა გოგონა“). ამჯერად სემანტიკური მხარეა წინწამოწეული, რომლის საშუალებითაც საზღვრული—**ქიდ** („გოგონა“) II კლასის კუთვნილება ხდება. რაც შეეხება მრავლობით ფორმას, მასში შეთანხმება ორი გრამატიკული კატეგორიის მიხედვით არის მარკირებული: ა) კლას-კატეგორიის მიხედვით (**ბ**-} — **ქიბბა** „გოგონები“) და ბ) რიცხვის მიხედვით (სათანადოდ: {-**არ**} — {-**ბა**}). პირველ

(ა) შემთხვევაში ზემოგანხილული შესიტყვების ანალოგიური ვითარება გვაქვს, რადგან შეთანხმება კლასში ხდება, ხოლო მეორე (ბ) შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმა (**ქიბბა**), როგორც შესიტყვების ბირთვი, თავის საკუთარ ნიშანს (**{-არ}**) აჩენს მსაზღვრელში. ღირსააცნობი ფაქტი ის არის, რომ ეს უკანასკნელი ბრუნებისას უცვლელია და ერთგვარად სამართავი სუფიქსის ილუზიას ქმნის. გარდა ამისა, ისტორიულად კლასიფიკატორი შეიძლება ატრიბუტულ სახელს მრავლობითი ნიშნის შემდეგაც დართვოდა, რომელსაც, თავის მხრივ, დამატებით უჩნდებოდა საზღვრულთან შესათანხმებელი სუფიქსი, ე. ი. ხდებოდა მრავლობითი რიცხვის ორმაგი მარკირება (შდრ. ლომთაძე 1956 : 389), მაგ.: საკ. ბეჟ. წიკკარ-^{აბ} ხონ^ხო „უზარმაზარი ხე“ — მრ. რ. წიკკარ-^{აბ-ლა} ხონ^ხ-ბო


(შდრ. **რ-უყყო დაკო** „დიდი გული“, **ბ-უყ-არ დაკ-უა** „დიდი გულები“...).

ცნობილია, რომ ფრაზემის (შესიტყვების) წევრთა ურთიერთკავშირი იერარქიულია, რადგანაც მათგან ერთი მმართველი (გაბატონებული) კომპონენტია, ხოლო მეორე (*resp.* სხვები) მართული (დაქვემდებარებული). ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება სტემების სახით ასე გამოიხატოს:



პირველი შესიტყვების ბირთვი არის **იფო** („დედა“), რომელიც სინტაქსურად უკავშირდება როგორც ერთ პოტენციურ მსაზღვრელს (**იცილო** „მოხუცი“), ისე მეორე პოტენციურ მსა-

ზღვრელსაც (**მალლა რასადანის** „მოლა ნასრედინის“). ამის გათვალისწინებით, სამ- და მეტკომპონენტური სინტაგმა კვანძის სახითაც შეიძლება გამოიხატოს, რომელშიც იქნება როგორც შეთანხმება ბრუნვაში (**იცილო იო** „მოხუცი დედა“), ისე მართვა (**მალლა რასადანის იო** „მოლა ნასრედინის დედა“):¹



რაც შეეხება ჰუნზიბურ წინადადებას, მასში **სვდ სუკულ** („ერთმა კაცმა“) დამოუკიდებელი ორკომპონენტური შესიტყვებაა, შეთანხმების სახით გამოხატული (შდრ. სახ. **ჰან სუკუ** „ერთი კაცი“), ხოლო **ავე** („ცოლი“) განკერძოებით დგას და მას რეალური კავშირი მართვის სახით პრედიკატთან ექნება (**ავე ზუყუნ** ლო ძჰყან ზედმიწ. „ქალი იყო რა, მოუყვანია“).

სიმპტომატურია, რომ **ჰან სუკუ** („ერთი კაცი“) ატრიბუტული კომპლექსი გამოხატულების პლანში მარკირებული არ არის კლასისა და რიცხვის მიხედვით, რადგანაც არანაირი გრამატიკული ნიშანი არ დაერთვის. მაშასადამე, არსებობს ატრიბუტული სინტაგმა ოდენ სემანტიკურ დონეზე. ბრუნვის მიხედვით იგი სახელობითში (აბსოლუტივში) მდგარად შეიძლება მივიჩნიოთ იმდენად, რამდენადაც სახელობითი ბრუნვის ფორმა არამარკირებულია, უკეთ: ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი.

ავიღოთ რამდენიმე ჰუნზიბური მარტივი წინადადება:

1. ნიო ზუყურ გულჩო ოგუ ბ-გყყუ მულ მიჰლო იჰულ?
 „სად დებდა იმ (N.) დიდ (III/ART.SG.) ცოცხს (III/N.) დედაშენი“.

¹ შეთანხმებაც მართვის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევა [გამყრელიძე და სხვ. 2003 : 250]. თავის მხრივ, შეთანხმებაში, ენათა სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყოფა: ა) ცალმხრივ მარკირებული შეთანხმება და ბ) ორმხრივ მარკირებული შეთანხმება [უთურგაიძე 2009 : 151-152].

როგორც ჩანს, ჩვენებით ნაცვალსახელებს შეუძლიათ მიჯრით მომყოლი ატრიბუტივის (**ბგყუ** „დიდი“) გვერდის ავლით კავშირი დაამყარონ საზღვრულთან (**ოგუ მულ** „ის ცოცხი“). ამასთანავე, სინტაქსური კავშირი შეთანხმების სახით მყარდება მეზობელ უშუალო შემადგენელთა შორისაც, რომელიც ზედსართავის მიერ გრამატიკულად ცალმხრივად მარკირებულია:

ბ-გყუ მულ „დიდი ცოცხი“.

რ-უჟაჭერუ ხონ^ნ-ლა-ლა-ს ბეტერჰან „მოჭრილი ხეების პატრონი“.

მოყვანილ წინადადებაში უშუალო შემადგენელთა გრადაცი-აში შესიტყვების ცენტრს ქმნის **ბეტერჰან** („პატრონი“), რომელსაც, თავის მხრივ, ექვემდებარება **ხონ^ნლალას** („ხეების“) ფორმა, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, არის როგორც ატრიბუტი — იმართვის ბეტერჰან („პატრონი“) წვერისაგან, ისე ბირთვი **რუჟაჭერუ** („მოჭრილი“) ატრიბუტის მიმართ, რომელსაც ითანხმებს კლასში, რიცხვსა და ბრუნვაში. ბრუნვაში შეთანხმება შესუსტებულია ორსავე დიალექტში. მეტადრე ეს ითქმის ჰუნზიბურ მიმდებარე მსაზღვრელიან შესიტყვებაზე, რომელშიც შეთანხმება ნულამდგა დაყვანილი [იხ. ლომთაძე 1996 : 217].

ატრიბუტული სინტაგმა შეიძლება უფრო მეტადაც იყოს გაგრცობილი და შეიცავდეს რამდენიმე კომპონენტს, რომელთა შორის იერარქიული კავშირი მყარდება, კერძოდ: საკ. ბეჟ. ქუჟაყ **წოდოლო სორალის ბალ'გოაბ ყოჭო** ზუყონა გეგ [მად. 1965 : 91, 9] (ხეობა—IN შავი—ART მელა—OBL-GEN საიდუმლო—ART სორო—N ყოფნა—V-PR) „ხეობაში შავი მელიის საიდუმლო სორო ყოფილა“.

ამ წინადადებაში ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს **ყოჭო** („სორო“), რომელთანაც სავსებით შესაძლებელია ცალცალკე დავაკავშიროთ შესიტყვების თითოეული კომპონენტი (გარდა **წოდოლო** „შავი“ წვერისა), რომლებიც მთლიან სინტაგმაში დამოკიდებულებათა ჯაჭვს ქმნიან: ა) **ბალ'გოაბ ყოჭო** „მელიის სორო“. რაც შეეხება **წოდოლო** („შავი“) ატრიბუტს, იგი ოდენ „მელიის“ კუთვნილებას შეადგენს. ამის გათვალისწინებით,

შესაძლებელია ფრაზემა **წოდოლო სორალის** („შავი მელიის“) მთლიანად ზედსართავი სახელის ეკვივალენტურ ოდენობად—ადიექტიურ განსაზღვრებადაც გავიაზროთ **ყოჭო** („სორო“) ბირთვ-საზღვრულის მიმართ [ბოკარევი 1949 : 235; გამყრელიძე და სხვ. 2003 : 376; არდოტელი 2009 : 160-161].¹

არაიშვიათად ზოგი ტიპის ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტებად ერთსა და იმავე დროს წარმოდგენილია როგორც სუბსტანტიური მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ისე ადიექტიური მსაზღვრელიც, მაგ.:

საკ. ბეჟ. უქქალი-შ (ნათ.) **ღ-იტინო ოჟო** (სახ.) გეჲ [ლომთ. 2003 : 193] „მწყემსის პატარა ვაჟია („არის“)“. აქ **ოჟო** („ვაჟი“) არის შესიტყვების ცენტრი, რომელიც, ერთი მხრივ, კლასში (I კლ.) ითანხმებს მსაზღვრელს, ხოლო, მეორე მხრივ, ბრუნვაში (ნათ.) მართავს სუბსტანტიურ მსაზღვრელს **უქქალი-შ ოჟო** „მწყემსის ვაჟი“ — ერგ. **უქქალი-ლა ოჟ-დი**, მიც. **უქქალი-ლა ოჟო-ლ...**

როგორც ირკვევა, ნათესაობითში მდგარი სუბსტანტიური მსაზღვრელი, რომელიც საზღვრულთან შეხამებით სუბსტანტიურ შესიტყვებას უნდა ქმნიდეს, მწყობრ სისტემას მოკლებულია [შდრ. ქართვ. ენ., კიზირია 1982 : 49-59].

სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ "В гунзибском языке (диалекте – б. а.) существует довольно редкое для кавказских языков явление: согласование определения с определяемым в подеже... Определение стоит в одной из двух возможных форм: в форме именительного или косвенного падежа" [ბოკარევი 1959 : 64].

ანალოგიური დებულება, ორივე დიალექტის მონაცემთა გავალისწინებით, უფრო ვრცლად წარმოდგენილია ე. ლომთაძის 1956 წელს დაბეჭდილ წერილში: "Как правило, определяющее слово, данное в форме родительного падежа и причастие настоящего времени, находясь перед определяе-

¹ მიახლოებით ანალოგიური ვითარება იქნება შემდეგ შესიტყვებაში: ჰუნზ. ქნდ ბ-უჟოჩოს ჰალტი „ხელით (INSTR) გასაკეთებელი (PT) საქმე (II/N)“. **ქნდ ბუჟოჩოს** „ხელით გასაკეთებელი“ შეიძლება მთლიანობაში ბირთვის (**ჰალტი** „საქმე“) მიმართ განსაზღვრებად ჩაითვალოს.

МЫМ, СТОЯЩИМ В ЭРГАТИВЕ ИЛИ В КОСВЕННЫХ ПАДЕЖАХ, ЛИШАЕТСЯ СОБСТВЕННЫХ ФОРМАНТОВ И НАРАЩИВАЕТ СУФФИКСЫ -Д, -ДО В ГУНЗИБСКОМ, -ЛА – В КАПУЧИНСКОМ" [ლომთაძე 1956 : 410].

ის, რაც ე. ბოკარევს ირიბი ბრუნვა ჰგონია, სინამდვილეში წარმოადგენს ერგატივისა და „ირიბ“ ბრუნვათა ფუძეს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები (*resp.* ოდინდელი კლასიფიკატორები) აღარ შერჩენიათ. მსაზღვრელს **ნათესაობითის ნიშანი** ოდენ სახელობით ბრუნვაში (სახ. სუკუ-ს ვოჯო „კაცის სახლი“...) მოეპოვება, სხვა ბრუნვებში კი მათ დაერთვით მსაზღვრელი სახელის ფორმანტი,¹ რომელსაც დიაქრონიულად ერგატივის (*resp.* პალეო-ერგატივის) ნიშნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ე. ლომთაძის მახვილგონივრული დაკვირვებით, მსაზღვრელი სახელის ფორმანტები (საკ. ბეჟ.: **-ლ/-ლა**, ჰუნზ. **-დ/-დო**) გენეზისურად ერგატივის სათანადო ნიშნებს უკავშირდება. როგორც ჩანს, უკლასიფიკატორო ერგატივის ფორმა, რეინტერპრეტაციის შედეგად სხვა ბრუნვათა მსაზღვრელად განზოგადებულა [ლომთაძე 1996 : 224-228].

ატრიბუტული სინტაგმა მორფოსინტაქსური მოვლენაა, რადგან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბრუნების სისტემასთან. ირკვევა, რომ ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი, ქართულისაგან განსხვავებით,² უფრო შეთანხმებას ავლენს, ვინემ მართვას. ეს მტკიცდება იმით, რომ სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში უმთავრესია არა მარტო მათი სტრუქტურული სიმჭიდროვე, არამედ ფუნქციურ-სემანტიკურიც. რამდენადაც საზღვრულმა — აქტანტ-სუბსტანტივმა მორფოსინტაქსური წესებით ისე უნდა შეითანხმოს, მიიჯაჭვოს მსაზღვრელ-

¹ ნახურ ენებში სახელობითის მსაზღვრელი გაირჩევა სხვა ბრუნვათა მსაზღვრელისაგან სპეციალური ფორმანტით: ბაცბ. სახ. არჭი ქუდ „შავი ქუდი“ — ერგ. არჭი-**ჩ** ქუდეუ... [ჩიქობავა 1979 : 192].

² ქართულშიც ეს საკითხი სადავოა, განსაკუთრებით ეს ითქმის პრეპოზიციურ წყობაზე, რომელშიც „...მსაზღვრელისა და საზღვრულის დამაკავშირებელი ბრუნვის ნიშნის როლს ასრულებს მსაზღვრელის პოზიცია“. ანდა: „ჩვენი თვალსაზრისით, მსაზღვრელი შეუძლებელია მართული იყოს საზღვრულის მიერ“. დასკვნა ეხება მეგრ. მანძვერემ ბერე („მეზობლის ბავშვი“) ტიპის შესიტყვებებს [უთურგაიძე 2009 : 167, 163; შდრ. კიზირია 1982 : 51].

სუბსტანტივი, რომ კავშირი მათ შორის მყარი იყოს, ამისთვის კი გრამატიკული გამოხატულების აბსოლუტურობა საჭირო არ არის. შესაძლოა, ამიტომ ხდება სინტაქსური კავშირის მოდუნება სახელურ შესიტყვებაში.

ბეჭიტურ ენაში ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის რელევანტური ოპოზიცია მაინც მყარდება, ერთი მხრივ, სახელობითში მდგარი მსაზღვრელისა და, მეორე მხრივ, დანარჩენ ბრუნვებში მდგარი მსაზღვრელის ფორმებს შორის. საილუსტრაციო მაგალითები:

სქემა 35. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების პარადიგმები

ა. საკუთრივ ბეჭიტური დილექტი

ბრუნვები	ატრიბუტული სინტაგმა	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	აღ'აყა-ს ჭიდ	„სოფლელი (სოფლის) გოგო“
ერგატივი	აღ'აყა-ლა-Ø ჭიბ-ბა	„სოფლელმა გოგომ“
მიცემითი	ყაღ'აყა-ლა-Ø ჭიბბა-ლ	„სოფლელ გოგოს“
ნათესაობითი	ყაღ'აყა-ლა-Ø ჭიბბა-ს	„სოფლელი გოგოს(ი)“
ინსტრუმენტალისი	-----	-----

ბ. ჰუნზიბური დილექტი

ბრუნვები	ატრიბუტული სინტაგმა	ლექსიკური მნიშვნელობა
სახელობითი	რ-უჭდწო-ს ჭიტ	„მჭრელი დანა“
ერგატივი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-ლ	„მჭრელმა დანამ“
მიცემითი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტრ-Ø	„მჭრელ დანას“
ნათესაობითი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-ს	„მჭრელი დანის“
ინსტრუმენტალისი	რ-უჭდწოდ-Ø ჭიტო-დ	„მჭრელი დანით“

გარდა სუბსტანტივისა და აწმყო დროის მიმღობისა, ანალოგიურად იბრუნვიან მსაზღვრელად გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები და განსაზღვრული რიცხვითი სახელები.

ზემომომყვანილ პარადიგმების ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა ფორმებში წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფი, რადგან შეთანხმებაში აუცილებელი გარდუვალობით იგულისხმება მსაზღვრელის — თვისებისა და საზღვრულის — ცნების ლექსიკურ მნიშვნელობებს შორის სინტაქსური კავშირი არასრულად იყოს გამოხატული. თ. უთურაგიძე წერს: „სწორედ ეს მიმართება (სინტაქსური კავშირი — ნ. ა.) ქმნის გრამატიკულ ალგებრულ ფორმულას, რომლის არითმეტიკულ რეალიზაციას წარმოადგენს გამოხატულების პლანი, სადაც ნულოვანი ალომორფი სინტაქსური ძალით მატერიალური ნიშნის ტოლფასია“ [უთურაგიძე 2009 : 148].

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ: **სუბსტანტივ-კომპონენტებიანი ატრიბუტული სინტაგმა ბეჟიტურ ენაში შეთანხმების სახით წარმოვიდგება.** ნათესაობითში მდგარი მსაზღვრელი გამოხატულების პლანში ნაწილობრივად მარკირებული სახით არის რეალიზებული, რაც შეპირობებულია არაერთდროული და არაერთგვაროვანი მორფოსინტაქსური ცვლილებებით [შდრ. ლომთაძე 2003 : 56-57].

ისმის კითხვა: რა სახის სინტაქსური კავშირი მყარდება ატრიბუტივ-მსაზღვრელიანი სახელური შესიტყვების უშუალო შემადგენლებს შორის?

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზედსართავი სახელი და ნამყო დროის მიმღობა ატრიბუტულ სინტაგმაში არ იცვლებიან¹ (შდრ. ქართ. ხმოვანფუძიანი სახელები) [ლომთაძე 1956 : 409; 1996 : 214-216; ბოკარევი 1959 : 42; 92-93; მაღიევა 1965 : 92-95; შდრ. ვან დენ ბერგი 1995 : 57; ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 265-266...].

¹ ზოგი პირველადი ზედსართავი სახელი მეტ-ნაკლებ მოდიფიკაციას მაინც განიცდის, მაგ.: საკ. ბეჟ. სახ. **ბუყო** ტალო „დიდი ქვა“ — ერგ. **ბუყ-ა** ტალო...

ერთი რიგის ზედსართავი სახელები და ნამყოს მიმღეობის ფორმები საკუთრივ ბეჭიტურ დიალექტში მართლაც განიცდიან ზემოწარმოდგენილი სუბსტანტივმსაზღვრელიანი სინტაგმის მსგავს ცვლილებას: სახელობითში მდგარი ფორმის ბოლოკიდური ხმოვანი ერგატივსა და ირიბ ბრუნვებში იცვლება, მაგ.: სახ. **Ø-უყო რჷრ** „დიდი ბიჭი“ — ერგ. **Ø-უყ-ა რჷ-დი**, სახ. წუდლო ენ^რ „წითელი ვაშლი“ — წუდლ-**ა ენ-ა**, სახ. **Ø-უტიმო რჷრ** „დაწოლილი ვაჟი“ — ერგ. **Ø-უტიმა რჷ-დი** და მისთ. ამასთანავე, დასტურდება უცვლელი მსაზღვრელიც. საილუსტრაციო მაგალითები:

საკუთრივ ბეჭიტური დიალექტი

ჰუნზიბური დიალექტი

სახ. Ø-ილ'ნ სუკო „მაგარი კაცი“	ა-იყერუ ქიდ „პატარა გოგო“
ერგ. Ø-ილ'ნ სუკრ „მაგარმა კაცმა“	ა-იყერუ ქიდ-ბო-ლ „პატარა გოგომ“
მიც. Ø-ილ'ნ სუკო-ლ „მაგარ კაცს“	ა-იყერუ ქიდ-ბნ-Ø „პატარა გოგოს“
ნათ. Ø-ილ'ნ სუკო-ს „მაგარი კაცის“	ა-იყერუ ქიდ-ბო-ს „პატარა გოგოსი“
ინსტრ. Ø-ილ'ნ სუკო-დ „მაგარი კაცით“	ა-იყერუ ქიდ-ბო-დ „პატარა გოგოთი“

შენიშნულია აგრეთვე, რომ ჰუნზიბურ დიალექტში ფუნქციონირებენ ზედსართავთა გრძელი და მოკლე ფორმები. მოკლე ფორმების გამოყენება ერგატივისა და ირიბ ბრუნვათა მსაზღვრელისათვის ორდინარული მოვლენაა [ვან დენ ბერგი 1995 : 57]. გარდა ამისა, ისინი გვხვდება მყარ შესიტყვებებში, კომპოზიტოიდებში და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად [ისაყოვი, ხალილოვი 2001 : 466], მაგ.: **ყაყარ ბან** „აბზინდა“ (ზედმიწ. „მყრალი ბალახი“), **ოყე Ø-იყერ** (შდრ. Ø-იყერუ "id".) ლო „ბიჭი პატარაა („არის“)“ და მისთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი სუბსტანტივმსაზღვრელიანი სინტაგმის შემცველი ჰუნზიბური წინადადება:

ჟჷ-ა-ლ ჟჷ-ა-ს მრგორ ბ-ახელ-ოჲს (ძალლი — III-OBL-ERG ძალლი — OBL-GEN ტყავი — III-NOM არ დახევეს — FUTN) „ძალლი (ზედმიწ. „ძალღმა“) ძალლის ტყავს არ დახევეს“.

სუბსტანტიურ მსაზღვრელ-საზღვრულში **ჟჷჷს მრგორ** („ძალლის ტყავი“) ბირთვი **მრგორ** („ტყავი“) იქნება, ხოლო მსაზღვრელი—**ჟჷჷს** („ძალლის“), რომელიც ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ეთანხმება საზღვრულს.

რალაა წინადადების წინა წევრი **ჟჷაჲლ?** იგი ერგატივში დაისმის, როგორც გარდამავალი ზმნის აგენსი, თუმცა მისი ნიშანი ზმნაში არ აისახება—იგი მხოლოდ გრამატიკული ფორმით (ერგ.) ჩანს პრედიკატთან დაკავშირებული. კლასში ზმნას უთანხმდება **მრგორ** („ტყავი“), როგორც ატრიბუტული სინტაგმის მცირე ბირთვი პრედიკატული სინტაგმის დიდ ბირთვს (დაწვრ. იხ. 10.3).

9.3.2. **ზმნისართული შესიტყვება.** ზმნისართულ შესიტყვებაში წამყვან როლს მეტწილად ზომა-წონა-ოდენობისა და ვითარებითი ზმნისართების სათანადო კომბინირებით მიღებული სინტაგმის მეორე კომპონენტი ასრულებს. ამგვარ შესიტყვებაში, როგორც წესი, წინ ზომა-წონისა და ოდენობის ზმნისართები დგანან, რომლებიც ვითარებითი ზმნისართების რალაც ნიშნით დეტერმინაციას ახდენენ, მაგ.:

საკ. ბეჟ. **წაყ დილ'ა** „ძალიან ძლიერად (სწრაფად)“

წაყ კჷთე ვრს „ძალიან ნელა კითხულობს“

ეზეყან ახო „საკმარისად კარგად“...

ჰუნზ. **ყჷგი წაყ ლახხი ცუბურ როჯორ** [ლომთ. 2003 : 35, 24] „იქ ძალიან ბევრი არწივია“
ახხო ხეხსა „ძალიან ხშირად“ და მრ. სხვ.

ზემოწარმოდგენილ მაგალითებში ზმნისართები (*resp.* გარემოებები) შესიტყვებებს, რომელთაგან მომდევნო (ჩვეულებრივ ვითარების ზმნისართი) მართავს წინამავალ (ზომა-ოდენობის) ზმნისართს. ენდოცენტრულ კონსტრუქციაში **ახხო ხეხსა** („ძალიან ხშირად“) **ხეხსა** („ხშირად“) ბირთვია, ხოლო **ახხო** („ძალიან“) — მსაზღვრელი [იხ. გამყრელიძე და სხვ. 2008 : 258].

9.3.3. **გათიშული სახელური შესიტყვება.** ატრიბუტული სინტაგმის კვლევასას აქტუალურია ორი ძირითადი საკითხი: ა) **შესიტყვების კომპონენტთა რიგი;** ბ) **შესიტყვების კომპონენტთა ურთიერთდამოკიდებულება.** ბუნებრივია, მათი დაცალკეება მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტას არ ნიშნავს. პირიქით, ხშირად სინტაქსური კავშირის სპეციფიკა შესიტყვების წევრთა წყობასა და ადგილმდებარეობაზე არის დამოკიდებული. კერძოდ, პოსტპოზიციური და გათიშული საზღვრულ-მსაზღვრელის დროს სინტაქსური კავშირი (შეთანხმება, მართვა) მყარია, ხოლო პრეპოზიციური წყობის (მსაზღვრელ-საზღვრულის) დროს საზღვრულის გავლენის ძალა მსაზღვრელზე შესუსტებულია (მსაზღვრელი ბლოკირებულია) ან მთლიანად მოშლილია [ჩიქობავა 1979 : 191; უთურგაიძე 2009 : 186-188].

ენათა ტიპოლოგია ცხადყოფს, რომ, იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა, გათიშული სახელური შესიტყვება სხვა ოჯახის ენებშიც დასტურდება, რაც ზოგადლინგვისტურ მოვლენად მიიჩნევა [გიგლემიანი, შენგელია 2009 : 98]. მისი გადამოწმება დამატებით შეიძლება უფრო მეტი ენის ლინგვისტურ მასალაზე. თუ ვერიფიკაციის შედეგი დადებითი იქნება, მაშინ მას ენობრივი უნივერსალიის სტატუსი მიენიჭება.

დიდოური ენები მხარს უჭერენ გათიშული ატრიბუტული სინტაგმის ენობრივ უნივერსალიად აღიარებას. კერძოდ, ბეჟიტურ ენის ორსავე საკვლევ დიალექტში დასტურდება ამ ტიპის სახელური შესიტყვება [ლომთაძე 2003 : 57].

გათიშული (დისტანციური)¹ ატრიბუტული სინტაგმის უშუალო შემადგენელთა შორის შეიძლება მოექცეს წინადადების რომელიმე წევრი (ზმნა, ზმნისართი...) ან მთლიანი წინადადება, მაგ.: საკ. ბეჟ. **ილოს** წაყ კეტო **გენი** ძაჯცა ზედმიწ. **„ჩვენი** ძალიან კარგი **მსხალი** არის“, ჰონლ'ოლა მულალ'დნ **ჰინო** რაჯირო ხალყლილ, **წაყ** **ცერქინაბ** [ლომთ. 2003 : 58, 5] „იმის შემდეგ **გზა** გაკეთდა ხალხისთვის, **ძალიან კარგი**“, **ისტის** გედ **ყონა ტუცცას თოფი** „ძმას აქვს (ზედმიწ. „ძმისა არის“) **ორმსროლელი** („ორლულიანი“) **თოფი**“...; ჰუნზ. ბელ'ერ, **მგზეს ტამე ლოდერ კოჯო** არტო ზუყურ **ილდოს** ზედმიწ. „სწორი, **მიწის ბანიანი სახლი** უწინ იყო **ჩვენი**“, მუმულალ'ნო **ხაბარ** მიდეჩ ზუყურ **არტო აწერუ სგდ ჟრაჩლილ რუჟორუ, ცალამალ'ილოს** [ვან 1995 : 177, 9] „უფრო გვიან ამბავს ყვებოდნენ, წინათ მოსული ერთი ექიმის მიერ გაკეთებულს, საოცრების“;² **ყანუ გუჰლაჯ** ზუყურ ლო **სგდიჟნ ჰანს იყერუ** [ვან 1995 : 152, 9] „**ორი ქურდი** ყოფილა, **ერთმანეთის მჯობნი**“ და მრ. სხვ.

ატრიბუტული სინტაგმის წევრთა გათიშვა ძალიან ხშირად დასტურდება პოეზიაში, რაც მისი სპეციფიკით (რიტმის, რიტმისა და მარცვალთრაოდენობის, ფრაზის მახვილის... მოთხოვნილებით) ჩანს გამოწვეული. გარდა ამისა, სახელური შესიტყვების გათიშვა პროზაულ ტექსტებსა და ზეპირმეტყველებაშიც შეინიშნება, რაც სტილისტიკური და ინტონაციური თავისებურებებით უნდა იყოს შეპირობებული.

¹ ჩვენი აზრით, ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა ადგილმდებარეობის მიხედვით, უნდა გამოიყოს ორი ჯგუფი: ა) **კონტაქტური** სახელური შესიტყვება: **ბუყო ტალო** „დიდი ქვა“; ბ) **დისტანციური** სახელური შესიტყვება: **ჰონს** ზუყონა გედ **მალლა რასადან** ზედმიწ. „ერთი ყოფილა მოლა ნასრედინი“.

² ამ რთულ წინადადებაში მრავალწევრიანი ატრიბუტული სინტაგმის წევრები ისე არიან გათიშული ერთმანეთისაგან, რომ სამ დისტანციურ კომპონენტს ქმნიან: 1) ცალამალ'ილოს (ნათ.) ხაბარ (სახ.) „საოცრების ამბავი“; 2) სგდ ჟრაჩლილ (ერგ.) ბუჟორუ ხაბარ (სახ.) „ერთი ექიმის მიერ გაკეთებული ამბავი“; 3) სგდ ჟრაჩლილ რუჟორუ ცალამალ'ილოს ხაბარ „ერთი ექიმის მიერ გაკეთებულ საოცრების ამბავი“.

თავი X

პრედიკატული სინტაგმა და სინტაქსური კონსტრუქციები¹

10.1. **ზოგადი.** პრედიკატული სინტაგმა ისეთი ორგანიზებული მთლიანობაა, რომლის უშუალო შემადგენელ წევრებს შორის კანონზომიერი სინტაქსურ-სემანტიკური მიმართებები მყარდება. ფაქტობრივ იგი არის მინიატურული წინადადება, რომლის დამატებითი გავრცობა შესაძლებელია.

პრედიკატულ სინტაგმაში ზმნა წარმოადგენს ბირთვს, რომელთანაც აქტანტები სინტაქსურ-სემანტიკურად არიან დაკავშირებული. გამოხატულების პლანში ბეჟიტური პრედიკატული სინტაგმის წევრებს შორის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სახეებია: ა) მართვა, ბ) შეთანხმება, გ) მიერთვა.

10.2. **ზმნური შესიტყვების წევრთა წყობა.** ზმნური შესიტყვების წევრებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, ზმნა-შემასმენელი თავისი მრავალგვარი რეალიზაციით, მეორე მხრივ კი, აქტანტები, რომლებიც ზმნის ვალენტობას აპირობებენ. შესიტყვებაში სიტყვათა რიგი, როგორც ცნობილია, არის ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობის მახასიათებელი. მასთან, ზმნური შესიტყვების კომპონენტთა წყობა განსხვავებული შეიძლება იყოს როგორც წინადადების წევრთა შორის, ისე წინადადების ტიპების მიხედვითაც. ბეჟიტური შემასმენელი პრედიკატულ სინტაგმაში (**resp.** წინადადებაში) ჩვეულებრივ ქვემდებარის მომდევნო ადგილს იჭერს, თუმცა ქვემდებარის წინაც შეიძლება დაგვიდასტურდეს. მაშასადამე, გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ქვემდებარე + შემასმენელი), ხოლო შებრუნებული წყობა (შემასმენელი + ქვემდებარე) — მასზე დამოკიდებული, მაგ., საკ. ბეჟ. ბაბა **გე** „პური

¹ ეს მონაკვეთი სტატიის სახით გამოქვეყნებულია [იხ. ივე, XXXIX. თბ., 2011, გვ. 37-47].

არის“, სუკო ჰუნ^ლ **შუნაჯ გოლოლო** „კაცი გუშინ დასაფლავეს“, დიფე ყამი **კოკოცას** „მე თავი მტკივა“, ჰუქმათლი **ნისორო** „მთავრობამ უთხრა“, **ჰონს ხან** ზუყონა გედ „ყოფილა ერთი მეფე (ზედმიწ. „ერთი მეფე ყოფილა“)“ და ა. შ.

პრეპოზიციური წყობა საკვლევი ენისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი¹ და იგი რაიმე სტილური გარემოებებით ან გრამატიკული კილოს თავისებურებებით უნდა იყოს შეპირობებული, მაგ., ჰუნზ. ჰანს ზუყურ **შოფერ** „იყო ერთი მძღოლი“, ნიფო **თენტერ სუკუ?** „სად წავიდა კაცი?“ ძარჩე, ჟაგინდო! „გაიღვიძე, ჟაგინდო!“ ოლ'უს ზუყურ **ბერდენქა** „მას ჰქონდა თოფი“ და მისთ.

პირდაპირი და ირიბი დამატების ადგილი მკვეთრად ლოკალიზებული არ არის — ის შემასმენლის წინაც და შემდეგაც თითქმის თანაბრად გვხვდება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში უფრო ბოლოკიდური პოზიცია უჭირავს [შდრ. ლომთაძე 2003 : 11-21]. **შემასმენლის შემდეგ**: საკ. ბეჟ. დილ ბაცცა **გეგ** (ტლად.) „მე მიყვარს ჭიდაობა“, დო ვრცასი **ბეჟტალა მიცაჯა** (ტლად.) „მე ვსწავლობ ბეჟიტურ ენას“, დილ რეგაჩ **ტექ** (ტლად.) „მე ვხედავ წიგნს“, ჟაჰალლო **თიტეს** ზუყოფო **დო** (კაბ.) „ის მკლავდა მე“...; **შემასმენლის წინ**: საკ. ბეჟ. ილე **ჰუდო** ტოტოც (ტლად.) „ჩვენ შეშას ვჭრით“, იფო **ქენ** ბრც (კაბ.) „დედა საჭმელს აკეთებს“, აბაქარდი **ქეჭ** ილ'ეფო (კაბ.) „აბაქარმა სიმღერა იმღერა“, გელი **ანყო** ბოხიფო (კაბ.) „კატამ თავი დაიჭირა“...; ჰუნზ. ოჟდილ **ქიდ** ჰეჰერ „ბიჭმა გოგოს სცემა“, მან **ბადრა** ლ'იკლ'ი **ბუჟო!** (ნაპ.) „შენც სხვებს სიკეთე გაუკეთე!“, **ქიდ-ბოლ დიფი** კეკე **ნელ'პრ** (ღარ.) „გოგომ მე ბიჭონი („შებრაწული ხორბალი“) მომცა“ და სხვ. მრ.

რაც შეეხება **უბრალო დამატებას**, იგი მეტწილად შემასმენლის მომდევნო პოზიციაში დგას. მასთან, ამგვარი დამატება არაიშვიათად გათიშულიც არის შესიტყვების ბირთვისაგან, მაგ.:

¹ ე. ლომთაძის აზრითაც, ქვემდებარის წინ მდგარი შემასმენელი დომინანტური არაა [ლომთაძე 2003 : 10-11].

Øენტეფო იცილო **ცადამლიდო**... „წავიდა მოხუც ადამიანთან...“, მალლარასადანნა ხონილ ი^ნცონა **თოკილად** (კაპ.) „მოლა ნასრედინიც (მათ) ხეზე მიაბეს რა საბლით“ და ა. შ.

გათიშული უბრალო დამატება: ჰუნზ. **დიბიდი**ა ციფულ... წუნდარ რუჲ „შენთვის დედა წინდებს ქსოვს“, ყორტო უსთარ Øეჩერ „მჭედელი სკამზე დაჯდა“, ობულ ოლ'უ **ვედრალდო** ჰი^ნგლ'ზრ (ჰუნზ.) „მამამ მას ვედროებით რძე მისცა“...

10.3. **პრედიკატული სინტაგმის სტრუქტურა.** პრედიკატული სინტაგმა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც დაკავშირებულინი არიან როგორც ერთმანეთთან, ისე შესიტყვების ბირთვთან — შემასმენელთან. არსებულ კომპონენტთა სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება გრამატიკულად მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც. უკანასკნელ შემთხვევაში გრამატიკული გამოხატულება ფუნქციურ-სემანტიკურ დონეზე რჩება და, მიუხედავად ამისა, შესიტყვების არსი ბოლომდე ნათელია. სახელდობრ, ბეჟიტურ ენაში, რომელიც კლასოვანი უღვლილებით ხასიათდება, ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი შეიძლება კლასის ექსპონენტით მარკირებულიც იყოს და არამარკირებულიც, მაგ.: ჰუნზ. **ქიდ** დ-უტურ „გოგომ (ზედმიწ. „გოგო“) დაიძინა“; **ქიდ** („გოგო“) საკუთარ გრამატიკულ დ-ნიშანს აჩენს ზმნაში, ხოლო გარდაუვალი ზმნა, თავის მხრივ, **RS**-ს (ქიდ „გოგო“) მართავს სახელობით ბრუნვაში. იფულ (**RS/ERG**) ქეჭ (**RO^d/NOM**) ილ'ერ „დედამ სიმღერა იმღერა“: ამ წინადადების შესიტყვების ბირთვი — გარდამავალი ზმნა **ილ'ერ** („იმღერა“) კლასიფიკატორს მოკლებულია, თუმცა აგენსს მართავს ერგატივში, ხოლო პაციენსს — სახელობითში. მაშასადამე, ირკვევა, რომ რიცხვში შეთანხმებისათვის კლასიფიკატორის უქონლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ უახლოეს ობიექტს რიცხვს შევუცვლით (იფულ ქეჭ-ლა ილ'ერ „დედამ სიმღერები იმღერა“), მაშინ რიცხვში ცალმხრივ მარკირებულ შეთანხმებას მივიღებთ.¹

¹ მარკირების ინტერპრეტაციისათვის [იხ. უთურგაიძე 2009 : 151-152].

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია თეზისი პირიანობისა და ვალენტობის განსხვავებულ გრამატიკულ კატეგორიებად მიჩნევის შესახებ [გამყრელიძე და სხვ. 2008 : 257]. ბეჟიტური ზმნა პირის კატეგორიას მოკლებულია. ვალენტობის თვალსაზრისით გარჩეულია ერთვალენტიანი (გარდაუვალი), ორვალენტიანი (გარდამავალი, გრძნობა-აღქმის) და სამვალენტიანი (გარდამავალი, კაუზატიური) ზმნები.

1. **ორვალენტიან ზმნათა** დიდ ნაწილს კლას-კატეგორია არ მოეპოვება და ზმნაში რიცხვი ცალმხრივად მარკირებულია, ე. ი. ზმნის სტრუქტურაში კლასი არ აისახება, ხოლო კლასნიშნის ზმნათა სტრუქტურაში ნათლად დაჩნდება სათანადო აქტანტთა მიერ გამოხატული საგნების სემანტიკური კლასიფიკაცია. კერძოდ, შესიტყვებაში: დო (RS/GEN) მჭე (0^d) ბოლ'ოჲო („მე ყანა მოვხანი“) ზმნა (ბოლ'ოჲო „მოვხანი“) მოკლებულია კლასოვან უღვლილებას, ამიტომ მასში უახლოესი ობიექტი (მჭე „ყანა“), რომლის კლასის ნიშანი **ბ**- ზმნაში უნდა დაჩენილიყო, არ მოგვეპოვება. ამგვარ შემთხვევებში არ გვაქვს არც კლასოვანი, არც კლასოვან-პიროვანი და, მით უფრო, არც პიროვანი უღვლილება. მაშასადამე, ობიექტურ-კლასოვანი უღვლილების სისტემის ენაში აღმოგვაჩნდა **ნეიტრალური უღვლილების** ზმნები, რომლებსაც აქტანტები მართოდენ სემანტიკურ დონეზე უკავშირდებიან.

რაც შეეხება ორვალენტიან უკლასნიშნო ზმნათა და მათი კლასმიმართ აქტანტების (S₁O^d) სტრუქტურულ ასპექტებს, ჩვენი შეხედულებით, აქ გვაქვს ნაწილობრივ მარკირებული მართვა, ვინაიდან სათანადო ზმნის სემანტიკა რეალურ სუბიექტს (დო „მე“) მართავს ერგატივში, რომელშიც დგას მარკირებული რეალური სუბიექტი. მაშასადამე, ერგატიული ბრუნვის ფორმა და ზმნის სემანტიკა კლასიფიკატორის უქონლობის ერთგვარ კომპენსაციას ახდენენ.

ორვალენტიანი კლასნიშნიანი გარდამავალი ზმნების აქტანტთა სინტაქსურ-სემანტიკური ურთიერთდამოკიდებულება ნათელია: რეალური სუბიექტი, რომელიც ერგატივში დგას, ზმნაში არ აისახება, იგი ოდენ ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზეა

წარმოდგენილი. უახლოესი ობიექტი ორმხრივად (სრულად) მარკირებულია, ვინაიდან გრამატიკულადაც გამოხატულია (თავის საკუთარ ნიშანს აჩენს ზმნაში) და სემანტიკურ დონეზეც წარმოდგენილია, რადგანაც სხვანაირად შესიტყვების აზრი გაუგებარი იქნებოდა, მაგ.: ჰუნზ. **ოყ-დნ (RS) დარს (O^d) ბ-**იყე „ბიჭმა გაკვეთილი იცის“, **ობუ-ლ(RS) ჰორრ (O^{ind}) ბ-**ოპორ „მამამ ძროხას აჭამა“ და მისთ.

2. **გრძნობა-აღქმის** გამომხატველი ზმნები (Verba Sentiendi), რომლებსაც ინვერსიულ ზმნებსაც უწოდებენ, ორვალენტიან ზმნებს განეკუთვნებიან. ამ ტიპის ზმნათა პრედიკატულ სინტაგმაში ქვემდებარე წარმოადგენს ექსპერიენსერს და იგი მიცემითი ბრუნვის ფორმით რეალიზდება, ხოლო პაციენსი (O^d), რომლის კლასიც ზმნაში აღინიშნება, სახელობით ბრუნვაში დგას. რეალური სუბიექტის (ექსპერიენსერის) აღუნიშვნელობა ცხადყოფს მის განკუთვნებას გრამატიკული სუბიექტისადმი [ანდლულაძე 1968 : 65-67; შდრ. უსლარი 1889 : 120-121; ლომთაძე 2003 : 43].

ბეჭიტურ ენაში Verba Sentiendi-ს ტიპის ზმნათა რიცხვს მიეკუთვნება: **მ-ატ-ალ** „სიყვარული“: **რყდი-ლ (DAT) იოო (NOM)** **მ-აცცა** „ვაჟს უყვარს დედა“, **მ-იყ-ალ** „ცოდნა“, „გაგება“: **დი-ლ (DAT) Ø-იყეშ** უჰჰდი **ცადამ (NOM)** „მე ვიცნობ ამ კაცს“, **მ-ეგ-ალ** (ჰუნზ. **ჰ-ანწ-ა** "id.") „ხედვა“: **დი-ლ (DAT) ისი (NOM)** **მ-გჰ-მო** „მე დავინახე და“, **შრც-ალ** (ჰუნზ. **შოც-ა** "id.") „დავიწყება“: **ილშ (DAT) ლ'იკლ'ი (NOM)** შოცოჲს „ჩვენ სიკეთეს არ ვივიწყებთ“, **ჩოც-ალ** გაგება“, „შეტყობა“: **დუ-ლ (DAT) იწწო ხაბარ (NOM)** ჩოცნადი? „შენ ახალი ამბავი გაიგე?“ **თუც-ალ** „მოსმენა“: **დი-ლ (DAT) მი ილ'ეჲოლ'ი (NOM)** თუვიჲო „მე გავიგონე შენი ძახილი“, **თიყ-ალ** (ჰუნზ. **თეყ-ა** "id.") „ჩხვლეტა“: **ჰოლლ'ო-ლ (DAT) ნისოჲო მჰყე (NOM)** თიყოჲო „მას გულში მოხვდა (ზედმიწ. „უჩხვლიტა“) ნათქვამი სიტყვა“, **მ-ოც-ალ** (ჰუნზ. **ბ-ჰც-ა** "id.") „დაკარგვა“, „გაუჩინარება“: **დიცნ (DAT) ქიდ (NOM)** **მ-ატ** „მე გოგონა მიყვარს“ და მისთ.

ამ რიგის პრედიკატული სინტაგმები ნიშანდობლივია არა მარტო ახლომონათესავე ენათათვის [ბოკარევი 1949 : 34-38; ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 367; იმნაიშვილი 1963 : 260-261...], არამედ სხვა წრის ენებისთვისაც [ჩიქობავა 1979 : 197]. რაც უფრო მეტი ენის მონაცემებზე დაყრდნობით გადამოწმდება ეს მეტად საინტერესო მორფოსინტაქსური მოვლენა, მით უფრო მეტად დამაჯერებელი იქნება თვალსაზრისი მისი ენობრივ უნივერსალიად მიჩნევის შესახებ.

ზემოგანხილული შესიტყვების სტრუქტურაში ჩვენს ყურადღებას იქცევს შემასმენლის სამართავი ბრუნვა. უღვლილებისას ექსპერიენსერი (მოქმედების განმცდელ-აღმქმელი) ყველა დრო-კილოთა ფორმაში მიცემით ბრუნვას მოითხოვს, თუმცა ზმნა-შემასმენლის სტრუქტურაში ასახვას ვერ ჰპოვებს. მიუხედავად ამისა, სინტაგმის წევრთა კავშირი გამოხატულია ქვემდებარის ბრუნვით [ბოკარევი 1949 : 34], რაც შეიძლება ცალმხრივ მარკირებულ მართვად კვალიფიცირდეს.

3. გარდაუვალი ზმნებიდან ინტერესს აღძრავს, აგრეთვე, ერთვალენტიანი დამხმარე ზმნები (კაბ. **გეჲ**, ხაშ. **გოლ'**, ტლად. **გელი**, ჰუნზ. **ლი**, **ლო** „არის“, ხაშ., ტლად. **ზუყო-რო**, კაბ. **ზუყო-ჲო**, ჰუნზ. **ზუყუ-რ** „იყო“), რომლებიც, კონტექსტისდა მიხედვით, კუთვნილებას გამოხატავენ და ორვალენტიანები ხდებიან. მეორე ფუნქციით ხმარებისას რეალური სუბიექტი უახლოეს ობიექტად იქცევა და ჩნდება კუთვნილების სუბიექტი (**Genitivus Subjectivus**), მაგ.: საკ. ბეჟ. ო^ნსი-ს ყამ გეჲ „ხარს თავი აქვს (ზედმიწ. „ხარ-ის თავი არის“)“, შუგა-ს ჰინ^ნა ძაჯცა „ცხენს რძეც აქვს (ზედმიწ. „ცხენ-ის რძეც არის“)“...; ჰუნზ. სუკუ-ს ლო სარ^იჲო „კაცს ჰყავს ცხენი (ზედმიწ. „კაც-ის არის ცხენი“)“, დიდო ობუ-ს ვოჯო ლი „მამაჩემს სახლი აქვს (ზედმიწ. „ჩემი მამ-ის სახლი არის“)“ და ა. შ.

ზემოწარმოდგენილ პოსესიური კონსტრუქციის შემცველ წინადადებებში ზმნა-შემასმენელი ლაბილურია, თუმცა გარდამავლობის თვალსაზრისით — ინდიფერენტული. ზმნაში სახელის

კლას-ნიშანი არ აისახება, ამიტომ კლასში და რიცხვში შეთანხმება არ გვაქვს. სამაგიეროდ ხელშესახებია მართვა—ზმნა სახელს მოითხოვს ნათესაობითსა (აგენსი) და სახელობითში (პაციენსი), თავად სახელი კი ზმნასთან შეთანხმებას ვერ ახერხებს.

კუთვნილების გამომხატველ ორგანულიან ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე, მიცემითის გარდა, შეიძლება შეგვხვდეს ლოკატიურ ბრუნვებშიც, რაც მეტად დამახასიათებელია ახლომონათესავე ენათათვისაც [იმნაიშვილი 1963 : 264; ლომთაძე 2003 : 48-49...], მაგ.: ჰუნზ. **ცაგრაგ** (ლოკ.) ზუყუნლი თოფია (ლომთ. 2003 : 48) „მათ ჰქონიათ („მათთან ყოფილა“) თოფები“, ბალაა **უსთარლი-გ** (ლოკ.) ლი „ხანჯალი მჭედელს აქვს (ზედმიწ. „მჭედელთან არის“)“...

გარდა ამისა, გარდამავალ ზმნებთან ლოკატიური ბრუნვის ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ირიბი და უბრალო დამატება [იხ. ვან დენ ბერგი 1995 : 123].

ბეჟიტური ზმნის არსებითი მახასიათებელია კლასისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები და მათი მარკირების არცთუ რთული სისტემა. ეს უპირატესად კლასნიშნის ზმნებს ეხება. ამ ტიპის **ორგანულიან** გარდამავალი ზმნა სახელს მართავს: ა) ქვემდებარეს — ერგატიულ ბრუნვაში, ბ) პირდაპირ დამატებას — სახელობით ბრუნვაში. ეს დამოკიდებულება ფორმულის სახით ასე ჩაიწერება: $Ag + Pr + Pat$ (resp. $RS + Ver + RO$). საილუსტრაციო მაგალითები: საკ. ბეჟ. დიდელა ის-ტი (Ag/ERG) შუგოშოტუპ (Pat/NOM) მ-ოყონა „ჩემმა ძმამ ცხენი მოიყვანა“, ვოჰ-დაგი-და (Ag/ERG) ჩახხო ქალა (Pat/NOM) „მოწაფე წერს წერილს“, აჰმად-ი (Ag/ERG) რადიო (Pat/NOM) დ-იტილო „აჰმადმა რადიო დაშალა“...; ჰუნზ. დიდო გსტი-ლ (Ag/ERG) ყორო (Pat/NOM) რ-უტო „ჩემი ძმა სკამს აკეთებს“, ოლ'უ-ლ (Ag/ERG) Ø-იტჟერ სუკუ (Pat/NOM) „მან მოკლა კაცი“, ილდო უშთელი-ლ (Ag/ERG) ჰუნ-დუ (Pat/NOM) ბ-უტე „ჩვენი მასწავლებელი შეშასჭრის“ და მრ. სხვ.

როგორც ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, სახელი კლასნიშნის ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში, მაგ.: აჰმადი მაშინა ბ-ტილო „აჰმედა მანქანა შეაკეთა“, მაგრამ: აჰმადი მაშინა დ-ტილო „აჰმედა მანქანები შეაკეთა“.

მაშასადამე, ბეჟიტურ ენაში მკაფიოდ გამოხატული საურთიერთო კოორდინაცია, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ქართველური ენებისათვის, არ დასტურდება.

3. **სამვალენტიანი** ზმნის ორდინარულ აქტანტებს წარმოადგენენ: ქვემდებარე (RS), პირდაპირი დამატება (RO^d) და ირიბი დამატება (RO^{ind}). ორვალენტიანი და სამვალენტიანი ზმნის სინტაგმაში მეტ სინტაქსურ ძალას პირდაპირი დამატება ავლენს, რადგანაც მისი ნიშანია წარმოდგენილი ზმნაში, ე. ი. სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში: საკ. ბეჟ. სი-დი (RS/ERG) ყონა სუკო (RO^d /NOM) ბ-ეაქილო „ერთმა ორი კაცი წააქცია“. თუ პირდაპირ დამატებას მხოლოდობით რიცხვში გადავიყვანთ, ზმნაში ამ უკანასკნელის მხოლოდობითი რიცხვის კლასის ნულოვანი ალომორფი გვექნება: სი-დი ჰონს სუკო Ø-ექილო (კაპ.) „ერთმა ერთი კაცი წააქცია“.

ავიღოთ სამვალენტიანი ზმნის ორი წინადადება: (1) ოჟ-დი (ERG) მადუჰალლი-ლ (DAT) ხოფ (NOM) მისონა „ვაჟმა მეზობელს ცხვარი მიჰყიდა“; (2) დო (ERG) დიფელა რჟდი-დ (INS) ჰინის დნენიქ (NOM) რ-ეგალილნა „მე ჩემ ვაჟიშვილს (ზედმიწ. „ჩემი ვაჟით“) თავისი დღიური ვაჩვენებინე“.

პირველ წინადადებაში წევრთა წყობა და აქტანტთა ზმნასთან მიმართება კლასიკურია: RS ერგატივში დგას, უახლოესი ობიექტის (O^d) კლასს კი ზმნა აირეკლავს. რაც შეეხება მეორე წინადადებას, რომელშიც სამვალენტიანი კაუზატიური ზმნა გამოიყენება, აქტანტთა რაოდენობა გაზრდილია ირიბი დამატებით (O^{ind}), რომელიც ფაქტობრივ მოქმედების შემსრულებლად (ექსეკუტორად) გვევლინება და პრედიკატთან ფორმობრივი კავშირის გამოხატვას მოკლებულია. ზმნაში უახლოესი ობიექტის კლასის (და რიცხვის) ნიშანი დაჩნდება. ინსტრუმენტალისის

ფორმიანი უბრალო დამატების ექსეკუტორის ფუნქციით გამოყენება კიდევ ერთხელ სვამს ერგატივისა და ინსტრუმენტალისის გენეზისური ერთიანობის საკითხს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამვალენტიან გარდამავალ უკლასნიშნო ზმნაში, ორვალენტიანი გარდამავალი ზმნის ანალოგიურად, ზმნისა და სათანადო აქტანტის კავშირი შესუსტებულია: სახელი ზმნას ვერ ითანხმებს კლასსა და რიცხვში, თუმცა ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში (RS-ერგატივში, RO^{ind} — მიცემითში ან ლოკატივში, RO^d — სახელობითში), მაგ.: ჰუნზ. ოლ'უ-ლ (RS/ERG) ნელ'არ ტეხ (RO^d/NOM) გსტი-გ (RO^{ind}/ADT) „მან მისცა წიგნი ძმას“, შდრ. გსტი-ლ (RS/ERG) ბ-ოხორ გსტრ (RO^{ind}/DA) ზაჭაჲ (RO^d/NOM) „ძმამ დას ბეჭედი უყიდა“.

მეორე წინადადებაში გვაქვს როგორც მართვა (ზმნა ქვემდებარეს მართავს ერგატივში, ირიბ დამატებას — მიცემითში, პირდაპირ დამატებას — სახელობითში), ისე შეთანხმება (სახელი ზმნას ითანხმებს კლასსა და რიცხვში).

10.4. სინტაქსური კონსტრუქციები. პრედიკატულ სინტაგმაში, სუბიექტის ბრუნვის გათვალისწინებით, გამოიყოფა შემდეგი სინტაქსური კონსტრუქციები: 1) **ნომინატიური**, 2) **ერგატიული**, 3) **დატიური**, 4) **პოსესიური**, 5) **ლოკატიური**. თითოეული ეს კონსტრუქცია დამოკიდებულია რეალური სუბიექტის ან მასთან გათანაბრებული აქტანტის (აგენსის) ბრუნვაზე და სახელწოდებაც ამის მიხედვით აქვს შერქმეული.

10.4.1. ნომინატიური კონსტრუქცია. ნომინატიური კონსტრუქცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია გარდაუვალი ზმნისთვის. პრედიკატულ სინტაგმაში წარმოდგენილია ოდენ აგენსი (RS), რომლის კლასის ექსპონენტიც დაჩნდება კლასნიშნიან ზმნაში, უკლასნიშნო ზმნებში კი რეალურ სუბიექტზე მითითება ხდება სემანტიკურ დონეზე, მაგ.: საკ. ბეჟ. ილო (RS/NOM) ბილ'ოლა გ-ენტეჟო „დედა შინ წავიდა“, ცემედან მეხ (RS/NOM) ბ-აჭოლ'ჩა „შემოდგო-

მაზე ამინდი ცივი ხდება“, დიფე ონს (RS/NOM) კოკოს ზედმიწ. „ჩემი მუცელი ავადაა“...; ჰუნზ. ქედ (RS/NOM) დ-იანზ „გოგონა ატირდა“, სუკუ (RS/NOM) Ø-უჰურ ნოჯრ ბ-იანზარ „სახლში, სადაც კაცი მოკვდა, იტირეს“, სსს მებტო კოკორ ცუგ ((RS/NOM), სსს მებტო კოტ ცოჯორ (ლომთ. 2000 : 98) „ხან ავად არის ის, ხან კარგად ხდება“ და მრ. სხვ.

პირველადი აბსოლუტური ზმნების გარდა, არაიშვიათად ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნიან მეორეული ერთაქტანტიანი ზმნებიც, რომელთაც განეკუთვნება ნასახელარი და პოტენციალისის სემანტიკის შემცველი ზმნები. ამგვარ ზმნებთან შეწყობილი რეალური სუბიექტიც ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დაისმის [ლომთაძე 2000 : 213-215], მაგ.: უაჰდი სუკო (RS/NOM) კეტელ'იო „ეს კაცი კარგი გახდა“, ცუგ (RS/NOM) წუნდულერ (ჰუნზ.) „ის (კაცი) გაწითლდა“, ყარა (RS/NOM) ბ-გყალერ (ნაჰ.) „ბავშვი გაიზარდა“ და მისთ.

10.4.2. **ერგატიული კონსტრუქცია.** ზოგადად, იბერიულ-კავკასიური ენებისთვის, კონკრეტულად, ბეჟიტური ენისთვის თავისებურ კონსტრუქციას ერგატიული ბრუნვა ქმნის. მარტივი წინადადების სტრუქტურისა და პრედიკატული სინტაგმის აგებულების კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ერგატიულ კონსტრუქციას ენიჭება, რომელიც ორ- ან სამვალენტიანი გარდამავალი ზმნის კონსტრუქციად გვევლინება. ამგვარი პრედიკატული სინტაგმის თავისებურებას ის ქმნის, რომ გარდაუვალი ზმნის RS და გარდამავალი ზმნის RO^d ერთი და იმავე ბრუნვით — სახელობითით გადმოიცემა. მასთან, ზმნაში აისახება სახელობითში მდგარი უახლოესი ობიექტის (პაციენსის) კლასი, ხოლო ფუნქციურ-სემანტიკურად უფრო აქტიური აქტანტის — ქვემდებარის კლასი კი აღუნიშნელი რჩება — უახლოესი ობიექტის ძალა სუბიექტისას სჭარბობს [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 : 239].

ბეჟიტური ზმნა, ხუნძურ-ანდიურ ენთა ზმნისაგან განსხვავებით და ახლომონათესავე დიდოურ ენათა ანალოგიურად, მეტი სტაბილურობით გამოირჩევა, ამდენად სათანადო სინტაგმებში იგი მოკლებულია ორაზროვნებას, მაგ., დიდელა უო-ჲ (RS/ERG) აჟდაჰ (RO^d/NOM) ბ-იტჟეო „ჩემმა ძაღლმა ურჩხული მოკლა“, დო (RS/ERG) სიმინდი (RO^d) ბ-იჟეჩ „მე სიმინდს ვთესავ“ და მისთ.

